

Elegance is an attitude

Simon Baker
Simon Baker

LONGINES®


აქტიუმი  ARTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge



The Longines Master Collection



აღმოაჩინე მეტი

შექმენი თავისუფალი სტილი ახალი ჰაეროვანი სამკაულებით

#DOPANDORA



PANDORA

[pandora.net](https://www.pandora.net)

რუსთაველის 46
პეკინის 18
ს/ც ჭი-თი-სი
ს/ც თბილისი მოლი

ს/ც ისთ ფონთი
ს/ც გალერია თბილისი
აღმაშენებლის 98
+995 322 000 280

TIME

სარევი

LISBON SOLO მოგზაურისათვის VOYAGER



ცეცხი ქარავის ქადაგი	12
უხვები / ღირსშესანიშნაობები	/
მუზეუმები / სასტუმროები	45
რესტორნები / ჰარავი	
ბაზრები / მოვინები	
ღისაზონი	42
სტატისტიკა	45
მზის სათვალის გარეგანი	50
ღიღი ადგილებების კვლევა	52
აზუდეუ	56
პორტუგალიის უჩვეულებრივი გრანდიკა	58
ფუდეუ - მდინარეების ზღვრები	62
უპოქრიფიკაციის სარევი	66
რონადუ, ვესეიო და გუტანის წყვილი	70
რა ირეკლება ერთი ავიაკომპანიის სარევი	74
ვაქცინური ღვინო, რომელსაც მოგზაურობა არ უყვარდა	84
პორტუგალიის	94
ქადაგი	88
პორტუ / ჰარავი / ფატიმა / ტოპარი	/
ოკიდები / ევროპა / ელვაი / სინტრა	117
კაშკაივი / იმპერიული / ადვარვა	
საზღვაო ტურიზმი	118
თანსოთარაქი	

ბათუმი თაური

პრემიუმ კლასის რეზიდენციები

კომფორტი • სტილი • სტატუსი

BATUMI TOWER

LUXURY RESIDENCES

YOUR COMFORT STYLE STATUS



ბათუმი თაურის რეზიდენციები უკვე გაყიდვაშია

კავკასიაში ყველაზე მაღალი შენობიდან იშლება ულამაზესი ხედები ბათუმზე, შავ ზღვასა და აჭარის მთებზე, ცათამბკვნის მშენებლობა 2019 წლის ბოლოს დასრულდება. მასში განთავსდება 5* სასტუმრო „Le Meridien“, სამორინე „Tower Casino“ და **პრემიუმ კლასის რეზიდენციები.**

კომპლექსის ინფრასტრუქტურა და მომსახურება მოიცავს:

- 5* სასტუმრო Le Meridien
- რესტორანი და ლაუნჯი ღია ტერასით
- სამორინე Tower Casino
- საკონფერენციო და სადღესასწაულო დარბაზები
- ღია და დახურული აუზი
- კონსიერჟის მომსახურება
- სპა და ფიტნეს ცენტრი
- 24-საათიანი დაცვა

75 პრემიუმ კლასის რეზიდენციები განთავსებულია მე-4 სართულიდან 33-ე სართულის ჩათვლით მინიმალური ფართობი 64 მ², მაქსიმალური 215 მ²

პორტუგალია, 300 მზიანი დღითა და 850 კილომეტრზე გადაჭიმული ოქროსფერქვიშიანი სანაპიროთი წელიწადის ყველა დროს მოგზაურობისათვის საუკეთესო არჩევანია. ჟურნალ Voyager by SOLO-ს მორიგი ნომერი პორტუგალიას ეძღვნება.

პორტუგალიაში მოგზაურობისას აკა მორჩილადის რჩევა გაითვალისწინეთ და ოკეანეს აკრული ქვეყანა „მზის სათვალის გარეშე“ მოიარეთ; აღმოაჩინეთ ზღვის სული მდინარისპირა ქალაქები; მოუსმინეთ გრასას მონასტრის კაპიტოლუმის დარბაზში აზულეჟუს 1080 ფილით მოთხრობილ ქეთევან დედოფლის წამების ამბავს; გაიგეთ, რით განსხვავდება პორტუგალიური ტორადა ესპანური კორიდისაგან; ნახეთ, რა ირეკლება პორტუგალიის ყველაზე ახალგაზრდა და წარმატებული შეფის, ჟოზე ავილეშის სარკეში; გაიგეთ, რატომ დაწვევლა ლეგენდარულმა მწვრთნელმა „ბენფიკა“; რატომ „აკრძალა“ სიკვდილი პორტუგალიის ყველაზე სახელოვანმა მწვრთნელმა; გასინჯეთ „ვაჟკაცური ღვინო, რომელსაც მოგზაურობა არ უყვარდა“; მოუსმინეთ „ფადუს“ – პორტუგალიურად ეს სიტყვა ბედისწერას ნიშნავს და, პორტუგალიელების აზრით, ამ სასიძვერო ფორმის გარეშე, რომელიც იმავე სახელს ატარებს, მათი ქვეყნის გაგება შეუძლებელია.

ევროპის ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქი განუმეორებლად შთაბეჭდავია, თანამედროვე არქიტექტურა მავრიტანული სტილის მიხვეწულ-მოხვეწულ ქუჩებსა და საუკუნოვან ნაგებობებთან თანაარსებობს.

ლისაბონის ცხელ ზაფხულს შეგიძლიათ, პორტუგალიის სამეფო ოჯახის მსგავსად, სინტრაში გაეცეთ – ქალაქში, რომელიც მწვანე ტყეებით დაფარულ მთის ხეობაში ჩაკარგულა და არისტოკრატიული სიმშვიდით სუნთქავს; ანდა ლისაბონთან ახლოს, ჩრდილოეთით, კაშკაშისა და იშტურილის სანაპიროზე გაემგზავროთ, სადაც ჯერ კიდევ ასი წლის წინათ გაჩნდა ევროპის საუკეთესო საზღვაო კურორტი.

თუ თავიდანვე ზღვაზე დასვენებას დაგეგმავთ, პირდაპირ ალგარვეში წადით, აქ ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გადაჭიმული შესანიშნავი თეთრქვიშიანი პლაჟები, ოქროსფერი კლდეებით შემოსაზღვრული პატარა უბეები, მუდამ მშვიდი, თბილი და ლურჯი ოკეანეა. 200 კმ-იანი სანაპირო ზოლი საუკეთესო ადგილია ყველა სახეობის საწყლოსნო სპორტისთვის, სერფინგისა და ვინდსერფინგისთვის. მთელი წლის განმავლობაში ხასხასა მწვანე მინდვრები ალგარვეს გოლფისტების სამოთხედაც აქცევს. ესტუმრეთ პლანეტის უმშვენიერეს პლაჟად აღიარებულ ბენაჟილს, სადაც კრისტალურად სუფთა, ქვიშიანი სანაპირო, კლდოვანი წარმონაქმნები და მღვიმეებია; აუცილებლად მოძებნეთ ერთ-ერთი მორკალულ კლდესთან „საიდუმლო“ პლაჟი, სადაც მხოლოდ ზღვიდან მოხვედრით.

პორტუგალიის გაცნობა ლისაბონის ამბიციური კონკურენტის, საზღვაო კარიბჭისა და მეღვინეობის დედაქალაქის, პორტუს მონახულებით განაგრძეთ, შემდეგ ბრაგაში გაემგზავრეთ – ცაში გამოკიდებული ბომ ჟეზუსის ეკლესიის სანახავად.

თუ თავდადასავლების მოყვარული ხართ, ტომარში ტამპლიერების ორდენის რაინდების მსგავსად შეგიძლიათ წმინდა გრაალი ეძიოთ, ანდა ალენტეჟუსში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი უძველესი ქალაქები – ევორა და ელვაში მონახულოთ.

კონტინენტური პორტუგალიიდან ტურისტულ სამოთხეში, მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხოდ აღიარებულ მადეირაზე გაემგზავრეთ. იდეალური კლიმატის წყალობით (ზამთარში ტემპერატურა საშუალოდ 18, ზაფხულში კი – 28-33 გრადუსი) ამ კუნძულზე მოგზაურთა ნაკადი არცერთ სეზონზე არ წყდება. არანაკლები სიამოვნება გელით მადეირიდან 50 კილომეტრში მდებარე კუნძულ პორტუ სანტუზე. ოქროსფერი ქვიშის გამო მას „ოქროს კუნძულსაც“ უწოდებენ.

გაიგეთ, როგორ გახდა XV საუკუნის დასაწყისში პატარა პორტუგალია კონტინენტური ევროპის ფორპოსტი, როგორ დაუკავშირეს დაბადებით ზღვაოსანთა ქვეყნის მცხოვრებლებმა ატლანტის ოკეანე ინდოეთისას, ევროპა – აფრიკას, ინდოეთს, ჩინეთს, იაპონიას და, ფაქტობრივად, მსოფლიოს ახალი მოდელი ჩამოაყალიბეს.

სწორედ პორტუგალიელებმა შექმნეს გლობალიზაციის პირველი ფენომენი. ბევრი რამ, რასაც პორტუგალიაში ნახავთ, მათ შორის, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამზარეულო, იმ კულტურული გაცვლებისა და ურთიერთობების შედეგია, რომლებიც დიადი აღმოჩენების ეპოქაში განხორციელდა. პორტუგალიური სამზარეულოც ერთგვარი სარკეა, რომელშიც, ერთი მხრივ, ქვეყნის ინდივიდუალიზმი ირეკლება, მეორე მხრივ კი, მთელი სამყაროსადმი მისი გახსნილობა. თუ ნამდვილი „იხტიოფაგი-გურმანი“ ხართ, პორტუგალია თქვენი მთავარი „სამიზნეა“; აქ მსოფლიოში საუკეთესო ხარისხის 80-ზე მეტი სახეობის თევზი და ზღვის პროდუქტი გასასინჯად გელით.

წინასწარ იცოდეთ, ამ ჯადოსნურ ქვეყანაში მოგზაურობიდან დაბრუნებულს, აუცილებლად Saudade შეგიპყრობთ; Saudade – ეს წმინდად პორტუგალიური სევედაა, თანაც, კარგი სევედა – ტანჯვისაგან სიამოვნების მიღება, მონატრებასა და სიხარულნარეგ ნოსტალგიასთან დაკავშირებული; ის, რაც აღარ არსებობს და რასაც ტკბილი ნაღველით იხსენებენ. ამ სევედის განკურნება წარმოუდგენელია, Saudade-ს სხვა ენაზე ვერ თარგმნი, მაგრამ იგრძნობ – ეს პორტუგალიის მონატრების სევედაა, ქვეყნისა, რომელიც თქვენს დიად აღმოჩენად იქცევა და რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებთ.

თვა სხივრელი მთავარი რედაქტორი



კეთილი იყოს თქვენი მობრძანება American Express Platinum-ის სამყაროში

Platinum-ი გასაოცარი სამყაროა, სადაც წინ გელით მრავალფეროვანი შეთავაზებები, უპირატესობები და გამოცდილება...

Platinum-ის დახმარებით თქვენ შეძლებთ:

- გყავდეთ პირადი კონსიერჟი;
- დაგეგმეთ მოგზაურობა:
 - დაისვენოთ განსაკუთრებული პირობებით მაღალი კლასის სასტუმროებში;
 - ეწვიოთ 1 000-ზე მეტი აეროპორტის ლაუნჯს 120-ზე მეტ ქვეყანაში;
 - ისარგებლოთ სასტუმროების ლოიალურობის პროგრამებით;
- აღმოაჩინოთ ცხოვრების ახალი სტილი American Express Invites-თან ერთად;
- დააზღვიოთ თქვენი მოგზაურობა და სხვ.




გახდით SOLO CLUB-ის წევრი, გაიზარეთ American Express Platinum-ის ახალი გამოცდილება და ისარგებლეთ სპეციალურად თქვენზე მორგებული მრავალფეროვანი უპირატესობებით.

SOLO CLUB-ი თქვენთვის მხოლოდ სრულყოფილ მომსახურებას უზრუნველყოფს.

VOYAGER

BY SOLO

11, 2018



მთავარი რედაქტორი
თეა სხიერელი
დიგაინერი
ნინო ყაველაშვილი

მხატვარ-ილუსტრატორი
მაია სუმბაძე

სტილის რედაქტორი
ნინო ლურსმანაშვილი

ფოტო – Shutterstock
Turismo de Portugal

ავტორები:
აკა მორჩილაძე
ლაშა ბულაძე
სალომე დადუნაშვილი
ნინო დარასელი
ბიძინა ბარათაშვილი
კახა თოლორდავა
ნიკოლოზ ჩხაიძე
მარინა ყიფშიძე
ციუკა ყიფშიძე
ირინა ბაგაური

მზია ჩიხრაძე
ზაზა ჭილაძე
გურანდა ფაჩულია
თეა გვასალია

ადმინისტრაციული
თანამშენი
გიორგი ვასაძე
სარეკლამო გაყიდვების
მენეჯერი
ნაზი გოშაძე

პროექტის ხელმძღვანელი / SOLO-ს დირექტორი
ნინო ჩიქოვანი

პროექტის კონსულტანტი
ნინო გეგუშიძე

SOLO-ს ბრენდმენეჯერი
ქეთი ნიკოლეიშვილი



გამომცემელი: შპს „სოლო“
ვებგვერდი: www.solo.ge
ტელ.: +995 32 2 44 44 00
ISSN: 2346-8130

რეკლამა შურნალში: +995 599 330 364
შურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს შპს „სოლოს“ საკუთრებას. შურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება კომპანიის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



2950
ლარიდან



წარმოიდგინე
პირველი ნიუ-იორკული ცათამბჯენი თბილისში

ლობი
კონსიერჟის სერვისი და იდეალური სივრცე საქმიანი შეხვედრებისთვის.

უსაფრთხო გარემო
მშვიდი საცხოვრებელი სივრცე დაცვის განსაკუთრებული სერვისით.

ფიტნეს ცენტრი
24 საათიანი სავარჯიშო დარბაზი გამოცდილი ინსტრუქტორებით.

აუზი
ოლიმპიური მომისა და საბავშვო საცურაო აუზები დასვენებისა და ჯანსაღი ცხოვრებისთვის.

საბავშვო ბაღი
ფერადი გარემო და მზრუნველი აღმზრდელები.

ივენტ ჰოლი
მშენიერი ადგილი სმაურიანი წვეულებებისა და დიდი ივენთებისთვის.

გამწვანება
21 000 მ² -იანი გამწვანებული სივრცე დასვენებისთვის.

ქალაქის ცენტრში
ყველაფერი ერთ სივრცეში

ახათიანის ქ. 6 | +995 322 202 323 | tbilisigardens.ge



www.solo.ge

ტელ.: +995 32 2 44 44 00



ფორუმი BY ახალი ნათება

აკვეჩი განათება აქსესუარები



furninova

იხილეთ უფრო მეტი
აკვეჩის ახალ სკლონში

📍 აღმაშენებლის ხეივანი მ-12 კმ
🌐 www.newlight.ge
🕒 2 20 24 24

SOLO გლობალური

15%



ცაღი ქარაზის ქაღაღი

სალომე დაუნაშვილი

„იმითომ, რომ მე ვიყავი ლისაბონში მამაჩემთან ერთად“
პეპი გრძელიწინდა

1755 წელს ატლანტის ოკეანის სიღრმეში, ნოემბრის ცივი წყლის ფენის ქვეშ, რაღაც დატყდა. თითქოს უხილავი საათის დაჭიმული ზამბარა ამოვარდა და გაიშალა. დამანგრეველი მიწისძვრის ბიძგებმა წამიერად მიაღწია ნაპირს.

ნაპირზე მძინარე ქალაქი დახვდათ.

რამდენიმე საშინელ წუთში პორტუგალიის სამეფოს მარგალიტი ნანგრევებში იწვა.

ყველა წმინდანის დღეს ლისაბონი შემზარავი სიჩუმით შეხვდა. ქალაქს ჯერ კიდევ მტვრისა და ალაგ-ალაგ გაჩენილი ხანძრების კვამლი ფარავდა, როცა ლისაბონს ცუნამის კედელი წამოადგა თავზე. ოკეანის წყალობით აყვავებული ქალაქი წყალმა წაიღო, როგორც ნაპირზე მიჯაჭვული, ზღვის ურჩხულისთვის გამზადებული მსხვერპლი.

როცა წყალმა უკან დაიხია, ოდესღაც მშვენიერი ქალაქისგან მოგონებალა დარჩა... და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

წითელი ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან ჩოჩქოლია. ყველას უნდა, შემდეგ რეისზე მოხვდეს. არავის სურს, მთის წვერისკენ მიმავალ დამრეც ქუჩებს ფეხით აუყვეს. ისეთ ქუჩებს, ყველაზე კომფორტულ ფეხსაცმელსაც რომ რკი-

ნის ქალამნად გადააქცევს. ტრამვაის მემანქანესა და შეთავსებით კონდუქტორ ქალს ოქროსფერი ხვეული თმა აქვს, რომელსაც დილიდან ქარი უვარცხნის. ისიც მორჩილად იტანს მის გამჭვირვალე სავარცხელს, იმითომ რომ იცის – ეს ქარი მისი მეგობარია. ის ლისაბონის ყველაზე ძველი და საპატიო მოქალაქეა.

ოჰ, ეს ლისაბონის ცელქი ქარი! ის არის ამ ქალაქის მთავარი ხულიგანიც, სტილისტიც და პატრიოტიც.

რიგში ჩამდგარ ტურისტებს ქუდებს მოსტაცებს, პატარა ბიჭებს ისედაც ურჩ ქოჩრებს ყალფე დაუყენებს, ლამაზ გოგონებს კაბებს აუფრიალებს. მერე ასკინკილით აუყვება ქუჩებს, იმ ქუჩებს, წითელ ტრამვაიში სარდინებივით ჩაწყობილი ტურისტები რომ პირდაღებულები თვალით ყლაპავენ. წმინდა გიორგის ციხესიმაგრეს თავზე მოექცევა, ქონგურებზე ჩამწკრივებულ მტრედებს დააფრთხობს. მერე აზულეუთი აჭრელებულ, მოლაპლაპე კედლებს ფეხს დაჭკრავს, იხუვლებს და ისევ ძირს დაემგება; ალფამაში ფადუს ტავერნებს ჩამოუქროლებს, მუსიკის ერთ-ორ ნოტს და შემწვარი თევზის საამურ სურნელს თან გამოიყოლებს და გამვლელებს თავგზას აუბნევს. ბოლოს კომერციის მოედანზე გაინავარდებს, სანაპიროს გადაუფრენს და ატლანტის ოკეანის ტალღების შხეფებით გაწუწავს თოლიებს. მარილიანი წყლისა და იოდის სუნს ხელს გამოაყოლებს და თავისუფლების გამზირის თავში ამაყად მომზირალ მარკიმ დი პომბალის ქანდაკებას შემოახვევს.

კმაყოფილია მარკიზი თავის ნამუშევრით. მიწისძვრის შემდეგ აღდგენილი ლისაბონი სულ სხვა ქალაქი გახდა. შუასაუკუნეების მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და ჩიხები სწორედ დაგვემიღმა, თავისუფალმა უბნებმა შეცვალა.

მაგრამ კუზიან ლისაბონს ვერაფერი გაასწორებს. ხანდახან გეგონება, რომ ამ ქალაქში, ფიზიკის ყველა კანონის დარღვევით, მხოლოდ აღმართებია. თითქოს მთელი ლისაბონი სადღაც მიიწევს. სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა, რომ ცას გამოეკეროს.

რა გასაკვირია, რომ ქარს ეს ქალაქი უყვარდეს. ბოლოს და ბოლოს სად უნდა ცხოვრობდეს ქარი, თუ არა ცაში გამოკიდებულ ქალაქში?! ამიტომაცაა ეს ქარი ამ ქალაქის პატრიოტი. მას მოჰქონდა შორეული ქვეყნების სურნელი და ყურში სანუკვარ სიტყვებს ჩასურჩულებდა მგზდვარებს. მერე ნაოსანთა აფრებს ბერავდა და მხიარული დელფინივით ჰორიზონტის კიდემდე აცილებდა აღმოსავლური სიტკბოების საძებნელად წასულ გემებს.

ტროის ომიდან მომავალ ითაკის გამჭრიახ მეფესაც ალბათ ის მოიყვანდა ამ ნაპირებთან. ლისაბონში უყვართ ლეგენდა, რომ ქალაქის ადგილზე დასახლება ოდისევსის დაარსებულია.

არაბებს ნორვეგიელი ჯვაროსნები ცვლიდნენ, მავრებს – ქრისტიანები. ქარი უცვლელი იყო. მე-16 საუკუნის ლისაბონის პორტში ჩამომდგარი გემების ტრიუმფიდან ისევ მას გამოჰქონდა შაქრის ლერწმის სურნელი და მონების კვნესის ხმა.

ლისაბონში მშვიდი ხალხი ცხოვრობს. მათ მაგივრად ხომ ქარი ცელქობს. ისინი კი შრომობენ, უყვართ, ნამზეური, ქარით გამომშრალი ტუჩებით ლაპარაკობენ ისე, თითქოს მღერიან და მღერიან ისე, თითქოს კვნესიან. ფადუ ხომ უმთავრო ლამით ქარის ღმუილივით შემადრწუნებელი, ან ფოთლების ნაში შრიალივით მშვენიერი შეიძლება იყოს.

დღესაც ის ქარი ქრის ლისაბონში. ყოვლის მნახველი და ყოვლის მცოდნე, რაც მთავარია, ჯადოქარივით ყოვლისშემძლე. არც კეთილი, არც ბოროტი – ცელქი ქარი.

ამიტომ თუ ლისაბონის ქუჩების გორგალში უიმედოდ დაიკარგეთ და არ იცით, საით წახვიდეთ, ქარს გაჰყვით.



ALFAMA

ალფამა ლისაბონის ყველაზე ძველი და ყველაზე ტიპური უბანია; ათასი წლის წინათ ალფამაში მთელი ლისაბონი ეტეოდა. მისი სახელი არაბული ალ-ჰამასგან წარმოდგება, რაც აბაზანებს ან შადრევნებს ნიშნავს.

1755 წლის მიწისძვრას ეს ერთადერთი რაიონი გადაურჩა. კლაკნილი ქუჩების ქსელი ფერადოვნებითა და ტეჟუზე გამავალი ხედებით თავგზას აგებნევთ. ჰაერში შემწვარი თევზის სუნი ტრიალებს, ყველგან ფადუს მელოდიები გაისმის.



LAPA

ლაპა საცხოვრებელი რაიონია, საელჩოების უმეტესობა, სან ბენტუს სასახლე (პარლამენტის შენობა) და პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენცია ამ უბანში მდებარეობს.

ლაპაში ყოფნისას ძველი ლისაბონის დიდებულებას შეივრძნობთ. მისი ისტორია 1770 წელს უკავშირდება, როცა ლაპის ღვთისმშობლის (Nossa Senhora da Lapa) სამრევლო შეიქმნა.

სივრცე ლაპიდან იმტრელამდე სავარეულო ისტორიისა და კლასობრივი სტატუსის „სინონიმი“.

GRAÇA

შვიდ ბორცვთაგან უმაღლესზე, ისტორიულ გრასაში ლისაბონისთვის დამახასიათებელ ჭეშმარიტ ატმოსფეროსაც შეივრძნობთ და ადგილობრივ მკვიდრთა ტოლერანტულ ბუნებასაც. აქ ძალიან ბევრი უცხოელი ცხოვრობს. Graça-ს უბანი ციხესიმაგრის, São Jorge-ს გვერდით მდებარეობს.

გრასა მდიდარი და მრავალფეროვანი უბანია, სადაც მშვენიერი მოედნები, ღირსშესანიშნაობები და ულაამბესი ნაგებობებია – უბრალო სახლებით დაწყებული, მდიდრული სასახლებით დამთავრებული.





BAIRRO ALTO

ბაირუ ალტუს უბანი ლისაბონში ყველაზე გლამურულად მიიჩნევა. აქ ძვირადღირებული მაღაზიები, ყველაზე მოდური ლამის კლუბები და საუკეთესო რესტორნებია. მიუხედავად მრავალფეროვანი არჩევანისა, ამ რაიონში წინასწარ განსაზღვრული მიზნით უნდა გაემგზავროთ – მაღაზიებში



გასეირნება და გადმოსახედ მოედნებზე – მირადორუებზე ასვლა დღისით ჯობს, ხოლო კლუბებსა და რესტორნებს საღამოს ესტუმრეთ. აქ იმდენი გასტრონომიული ადგილია, რომ ლისაბონელები ხუმრობენ, სადაც შეიხედავ, ყველგან რესტორანიაო. მათი უმეტესობა საღამომდე დაკეტილია. ბარები, ძირითადად, მცირე ზომისაა, ამიტომ ხალხი, ჭიქით ხელში, ბაირუ ალტუს ვიწრო ქუჩებზეა გამოფენილი.



PRINCIPE REAL

რაიონს სახელი დომ პედრუ V-ის, მარია II-ის ვაჟის პატივსაცემად ეწოდა. ის Bairro Alto-ს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ფემინებელურ უბანში საუკეთესო რესტორნები და კონცეპტუალური მაღაზიებია თავ მოყრილი.

Principe Real ახლა ყველაზე მოთხოვნილი საცხოვრებელი ადგილი და სავაჭრო უბანია. ეს წყნარი რაიონი სახელგანთქმულია სასახლეებით, მუზეუმებით, პარკებით, რომელთა შორისაა უმშვენიერესი ბოტანიკური ბაღიც.



ESTRELA

იმტრელის რაიონის გული ამავე სახელწოდების ბაზილიკაა (Basilica da Estrela), რომელსაც ულამაზესი ბაღი აკრავს. ტაძარი 1790 წელს მთაზე აუგიათ. მას უზარმაზარი გუმბათი და ბაროკოს სტილის ფასადი აშვენებს. იმტრელის მცხოვრებლები ამაყობენ ქალაქში ერთ-ერთი უძველესი კაფე Brasileira-თი, სადაც უგემრიელესი ყავის მირთმევა და წახემსება შეგიძლიათ.



CHIADO

შიადუ XX საუკუნის დასაწყისში, პორტუგალიელი მწერლების – ფერნანდუ პესოსა და ესა დე კეირუსის საყვარელ კვარტლებში დაგაბრუნებთ. ეს სიმბოლოებით სავსე, ელევანტური უბანი Bairro Alto-სა და Baixa Pombalina-ს შორის მდებარეობს.



1856 წელს შექმნილი ლიტერატურული გილდიის ინტელექტუალური კლუბი Chiado პორტუგალიური რომანტიზმის ცენტრად იქცა.

კოსმოპოლიტური, სიცოცხლით სავსე უბანი დღეს ქალაქის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო რაიონია. აქ სან-ლუისის, სან კარლოსისა და ტრინდადის თეატრებია.



BAIXA

Avenida da Liberdade – თავისუფლების გამზირი ლისაბონის ცენტრში მდებარე 90 მ სიგანისა და 1100 მ სიგრძის ბულვარია, სადაც მშვენიერი მწვანე ნარგავები და საფეხმავლო ბილიკებია. ის, პარიზული ბულვარების გავლენით, 1879-1886 წლებში გაშენდა. ბულვარი ქალაქის ჩრდილოეთისკენ გაფართოებისა და გან-




ვითარების ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპად იქცა.

აქ მდიდარი ოჯახები დასახლდნენ, დაიწყო ელიტური სახლების მშენებლობა. XX-XXI საუკუნეებში ბაიშის რაიონში რესპექტაბელური ბინები, სასტუმროები, რესტორნები და მაღაზიები გაჩნდა. დღეს Avenida da Liberdade, თავისი ბუტიკებისა და ლუქსბრენდების გამო, მსოფლიოს

BELÉM

ბელემი ლისაბონის ის უბანია, სადაც 1 კვ. მ-ზე ყველაზე დიდი რაოდენობის ისტორიული ძეგლი მდებარეობს. სწორედ აქედან, ტეჟუს სანაპიროდან გაემართნენ ვასკო და გამა და სხვა ზღვაოსნები ახალი მიწების ასათვისებლად.



მოადნები

მდ. ტეჟუს ზემოთ ლისაბონის რამდენიმე შესანიშნავი მოედანი მდებარეობს: პირველი – როსიუ (Rossio) ტალღოვანი მოზაიკითაა დაფარული, მეორე – დომ პედრუ IV-ის სახელობის მოედანი (Praça de Dom Pedro IV) ძეგლითა და შადრევნებითაა დამშვენებული. ოდესღაც აქ ხარების ბრძოლა

ამავე რაიონში მდებარეობს ცნობილი ბელემის კოშკი და ჟურონიშუსის მონასტერი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია. ბელემში აუცილებლად უნდა მოინახულოთ ეტლების მუზეუმი, Berardo-ს მუზეუმის კოლექცია და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი MAAT.



და აუტოდაფე იმართებოდა, დღეს კი ირგვლივ კაფეები და მაღაზიებია. ჩრდილოეთის მხარეს ეროვნული თეატრის ელევანტური ფასადი მოჩანს. მისგან მარცხნივ როსიუს რკინიგზის სადგურია – XIX საუკუნის ნეო-მანუელინუს სტილის შესანიშნავი ნაგებობა. აქედან მატარებლები სინტრაში მიდის, ხოლო ესკალატორები ქალაქის ზედა ნაწილში აგვიყვანთ.



აქვე ახლოსაა მესამე, პატარა მოედანიც – ფიგეირა (Praça da Figueira), სადაც ცხენზე ამხედრებული მეფე ჟუაუ I-ის ქანდაკება დგას.

მაღალი ობელისკის წყალობით ყველა მხრიდან მოჩანს რემტაუდორეშის მოედანიც (Praça dos Restauradores), რომელზეც ფოშის სასახლისა (XVIII ს.) და Avenida Palace Hotel-ის ფასადები გამოდის.





ALCÂNTARA / DOCAS

ალკანტარის რაიონში, 25 აპრილის ხიდთან მდებარე უბანი ლისაბონის ღამის ცხოვრების მექაა – ყოფილ საწყობებში უამრავი ღამის კლუბი განთავსდა. დღისით

ამავე შენობებში სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს რესტორნები და ბარები მუშაობს. ამ ადგილებიდან მდინარე ტეჟუსა და მისი სამხრეთი ნაპირის, ასევე, 25 აპრილის ხიდის თვალწარმტაცი ხედები იშლება. აქვეა LX Factory – ყოფილი ფაბრიკა, ამჟამად კი ღამის ცხოვრების ცენტრი.

როცა ქალაქის ისტორიული ღირსშესანიშნაობების მონახულება დაგლით, Docas-ში გაისეირნეთ, ის დასვენებისა და გართობისათვის შესანიშნავი უბანია.

PARQUE DAS NAÇÕES

ეს უბანი არქიტექტურული ნაგებობებისა და დასასვენებელი ადგილების გამო აუცილებლად უნდა მონახულთ. ლისაბონის ყველაზე თანამედროვე რაიონი ტეჟუს სანაპიროზე Expo-98-ის, მეოცე საუკუნის ბოლო უნივერსალური გამოფენის ფარგლებში გაშენდა. Parque das Nações-ში რამდენიმე თანამედროვე არქიტექტურული შედეგებია: ორიენტეს სადგური (ავტ. სანტიაგო კალატრავა),



სიზა ვიერას პორტუგალიური პავილიონი, წმ. გაბრიელისა და წმ. რაფაელის ტყუბი კოშკი, ასევე, ვასკო და გამას ფლაგმანი-კოშკი, რომელიც ქვეყნის ყველაზე მაღალი ნაგებობაა.



OCEANÁRIO DE LISBOA

ოკეანარიუმი ორ შენობას მოიცავს: ერთი 1998 წელს აშენდა, ხოლო მეორე, რომელიც პირველს გადასასვლელით უერთდება – 2011 წელს. ყოველწლიურად აქაურობას 1 მლნ ადამიანი სტუმრობს. ოკეანარიუმის საერთო ფართობი დაახლოებით 20 000 კვ. მ-ია, ხოლო აკვარიუმების რაოდენობა 30-ს აჭარბებს. მათ შორის ერთი გიგანტური ზომისაა. მასში 5 მლნ ლიტრი წყალი ასხია. ამ აკვარიუმის თვალჩინება სხვადასხვა დონიდანაა შესაძლებელი. სულ ოკეანარიუმში 500 სახეობის 8000-ზე მეტი ცოცხალი ორგანიზმი ცხოვრობს.



გიგანტური აკვარიუმის ირგვლივ რამდენიმე დარბაზია, სადაც სხვადასხვა კლიმატური პირობა იმიტირებული: ინდოეთის ტროპიკები თუ ანტარქტიდის ყინულები, ამავე პირობებში მცხოვრები ცხოველებით.

ლისაბონის ოკეანარიუმი მსოფლიოს იმ რამდენიმე აკვარიუმის რიცხვშია, სადაც მთვარათევზი (ლათ. Mola mola) ცხოვრობს. ის განსაკუთრებულ, სპეციალურად მისთვის შექმნილ უნიკალურ გარემო პირობებში ცხოვრობს.

ღიაა: ზაფხულში – 10.00-20.00 (შესვლა 19.00-მდე), ზამთარში – 10.00-19.00 (შესვლა 18.00-მდე).

ბილეთის ფასი: 13-64 წლის დამთვალელებებისთვის – 16.20€; 4-12 წლის და 65-ს ზემოთ – 10.80€; საოჯახო ბილეთი (2 მოზრდილი, 2 ბავშვი) – 39€; სამ წლამდე პატარებისთვის უფასოა.

Esplanada D. Carlos I



CALÇADA PORTUGUESA

პორტუგალიური მოზაიკა ქვაფენილის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც პორტუგალიურენოვან ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული. ლისაბონში ძნელად თუ მოიძებნება ტრადუციური, ამგვარი ფილაქნით რომ არ იყოს დაფარული.



ტრადიციულად, პორტუგალიური მოზაიკისთვის ბაზალტისა და კირქვის შავი და თეთრი ფილები გამოიყენება, თუმცა გვხვდება წითელი, ყავისფერი, რუხ-ცისფერი, ყვითელი ფილაქანიც. უფრო ხშირად ტროტუარებზე სხვადასხვა ფერის ქვებით აბსტრაქტული ნახატი იქმნება. მათ შორის ხანდახან ნამდვილი შედეგები შეგვხვდებათ. წვიმის დროს ფრთხილად იყავით, აქ ადვილად შეიძლება ფეხი დაგისრიალეთ.

VOYAGER კომენტარი

ლისაბონში სეირნობისას არასოდეს ჩაიცივთ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ქალაქში ასეთი ფეხსაცმლით სიარული, ცივადი ფერდობებისა და ქვაფენილების გამო, სრულიად შეუძლებელია. ვინც ლისაბონში არ დაბადებულა, მას გადაუდებელი დახმარების კაბინეტში დატვირთული კოჭით მოხვედრის საფრთხე ემუქრება. ე. წ. პლატფორმიანი ფეხსაცმელი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ერთადერთი სახეობაა, რომლითაც გავლას შეძლებთ. წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი კი დაივიწყეთ.



QUIOSQUES

ჭიხური ლისაბონის ქუჩის პეიზაჟის მთავარი შტრიხია. ხვეული რკინისგან დამზადებული ფრანგული არტ-ნუვოს სტილის ჭიხური პირველად XIX საუკუნეში, 1869 წელს Praca Rossio-ზე გამოჩნდა. მომცრო ჭიხურებში თამბაქო, გაზეთები, ლატარეის ბილეთები, მსუბუქი სასმელი იყიდებოდა. ეს ტრადიცია სხვადასხვა ფერისა და დიზაინის კაბინეტში წმინდად პორტუგალიური ნაწარმი – ლიმონათი, ჟინჯინა, პორტვინი, ნუში და ვირთევზას ღვეზელები იყიდება. ამჟამად ქალაქში 70 ჭიხურია.

ყვავილოვანი შაკარანდები

შაკარანდის ყვავილობა მისის შუა რიცხვიდან შუა ივნისამდე ან თვის ბოლომდე გრძელდება. თბილი შემოდგომის დროს ზოგი ხე ხელმეორედაც ყვავის. მოგზაურები ულამაზესი ყვავილობის სანახავად ლისაბონში გამგზავრებას სწორედ ამ პერიოდში გეგმავენ.



მამლის ფერადოვან ფიგურებს პორტუგალიაში ყველგან შენიშნავთ. პორტუგალიაში მამალი სამართლიანობის სიმბოლოა. ლეგენდა გვიამბობს, რომ ოდესღაც სანტიაგო დე კომპოსტელაში სალოცავად მიმავალ ახალგაზრდა გალისიელს ქალაქ ბარსელეში ღამის გათევა მოუწია. დიასახლისმა მისი შედეგად სცადა, თუმცა უშედეგოდ. შეურაცხყოფილმა ქალმა გაბუკს ჩანთაში ვერცხლეული ჩაუწყობ, დილით კი ქურობაში დაადანაშაულა. ახალგაზრდას ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ჭაბუკი წმ. იაკობს წყალობას შეევედრა, მოსამართლეს კი უთხრა, რომ როგორც კი ჩამოახრჩობდნენ, მის სუფრაზე შემწვარი მამალი აყვილდებოდა. სწორედ ასე მოხდა, როცა მსჯავრდებულს ყულოფი ჩამოაცვეს. მოსამართლე მოედინისკენ გაიქცა – ახალგაზრდა სიკვდილს გადაურჩა, წლების შემდეგ ბარსელეში დაბრუნდა და იქ მამლის უზარმაზარი ქანდაკება აღმართა.

FESTAS DOS SANTOS POPULARES

ივნისი პორტუგალიაში წმინდანთა ეროვნული დღესასწაულების თვეა – ე. წ. „სანტუმ პოპულარემი“ (Santos Populares) ზეიმებითა და ფერადოვანი ქუჩის მსვლელობებით (arraiais) აღინიშნება, რომლებიც მთელ ქვეყანაში წმ. ანტონის, წმ. იოანესა და წმ. პეტრეს დღესასწაულების ღამეს იმართება.

ლისაბონში უმთავრეს ზეიმად dia de Santo António მიიჩნევა (12-13 ივლისის ღამე). ამ ზეიმებს თან არნახული მხიარულება ახლავს. ქუჩები მორთულია ყვავილების თაღებით, საჰაერო ბუშტებით, manjerico-ს (ბაზილიკი) სურნელოვანი ქოთნებით.



მუსიკის თანხლებით სახალხო მსვლელობა (marchas populares) იმართება; მრავალი ასეული ადამიანი ქალაქის ყველა რაიონიდან მთავარ არტერიამდე, Av. da Liberdade-ზე იკრიბება, თუმცა ამ დღეებში არანაკლებ ხალხმრავალი და მხიარულია Alfama, Graça, Bica, Mouraria და Madragoa.

შუასაუკუნეების მოედნებზე და ქუჩებში ტრადიციულ კომბოსტოს წვნიანსა (caldo verde) და ნაკვერჩხლებზე შემწვარ სარდინებს მიირთმევენ, მთელი ღამე მღერიან და ცეკვავენ. ზემის კულმინაციაა პროცესიის გამოსვლა კათედრალის (Sé) ახლომდებარე ალფამის ტაძრიდან, რომელიც წმ. ანტონის სახელს ატარებს.



SÉ DE LISBOA

საპატრიარქო კათედრალის მშენებლობა მეფე აფონსუ I-მა მავრებისგან ლისაბონის გათავისუფლების შემდეგ (1147) დაიწყო. რომანული ტაძარი მოგვიანებით გაფართოვდა და გოთიკური ეზო და სამეფო პანთეონისთვის ნახევარწრიული გალერეა ააგეს. შენობა ძლიერაა მიწისძვრამ რამდენჯერმე დააზიანა. XVII საუკუნეში მას მანიერობის სტილის სამოსაცავი დაემატა, XVIII ს-ში კი - ბაროკოს საკურთხეველი - Capella Santissimo, სამხრეთის კოშკი და ორი ორგანი.

ღიაა: ყოველდღე - 09.00-19.00

Largo da Sé



BASILICA DA ESTRELA

ვარსკვლავის ბაზილიკა გვიანდელი ბაროკოს სტილის ულამაზესი ტაძარია - სამკუთხა ფრონტონით, ორ სამრეკლოს შორის მოქცეული საათით, მონუმენტური ქანდაკებებით, თეთრ-ვარდისფერი მარმარილოს ინტერიერით.

გადმოსახედ მოედანზე ასახველი ბილეთი 5€ ღირს.

Praça da Estrela



IGREJA DE SÃO ROQUE

ლისაბონის წმ. როკის ტაძარი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და პორტუგალიურენოვან ქვეყნებში ყველაზე ადრეული იეზუიტური ეკლესიაა. ინტერიერი მ კაპელისაგან, საკურთხევისა და გამყოფი ტრანსეპტისგან შედგება. უბრალო ფასადიანი ტაძრის ინტერიერი მდიდარია მოქრული ფილებითა და მარმარილოთი. განსაკუთრებით შთაბეჭდავია კაპელების დეკორი.

ჟუაუ V-ის დროს რომიდან გადმოიტანეს და ტაძრის შიგნით ააწყვეს ბაროკოს შედეგები - იოანე ნათლისმცემლის კაპელა, რომელიც ოქროთი, ვერცხლით, ნახევრად ძვირფასი ქვებითა და XVI ს-ის მორეწვევებითაა შემკული. ის წმინდა როკს, შავი ჭირისაგან დამცველ წმინდანს ეძღვნება. აქვეა საკრალური ხელოვნების მუზეუმი - Museu de Arte Sacra, რელიგიური ნივთებისა და რელიკვიების მდიდარი კოლექციით. ღიაა: კვირის დღეებში - 9.30-17.00, დასვენების დღეებში - 9.30-13.00; ტაძარში შესვლა უფასოა. Museu de Arte Sacra-ს ბილეთის ფასი: 1.5€

Largo Trindade Coelho

CARMO CONVENT

კარმელიტების ორდენის მონასტრის ნანგრევები ლისაბონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლირსქესანიშნაობაა. ის 1389 წელს გრაფმა, მხედართმთავარმა, ეროვნულმა გმირმა, შემდგომში ბერმა, ნუნუ ალვარეშმა დააარსა. ოთხი საუკუნის მერე ნაგებობა მიწისძვრამ (1755) დააზიანა. XVIII ს-ის ბოლოს აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, მაგრამ 1834 წელს რელიგიური ორდენების გაგლეხის შესუსტების გამო შეჩერდა. XIX საუკუნეში, იმდროინდელი ესთეტიკის გავლენით, გადაწყდა, ნანგრევები ხელუხლებლად დაეტოვებინათ. ბილეთის ფასი: 4€

Largo do Carmo



SÃO JORGE CASTLE

წმ. გიორგის ციხესიმაგრე ლისაბონის ცენტრში, მთაზე მდებარეობს. ფინიკიელების, ბერძნებისა და კართაგენელების კვალი ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება. რომაელმა დამპყრობლებმა ლუზიტანებისაგან თავდასაცავად აქ სიმაგრე აღმართეს. ქალაქი V საუკუნეში - სვებებმა, მერე - ვესტგოთებმა, VIII ს-ში კი მუსლიმებმა დაიპყრეს.

1147 წელს ის აფონსუ I-მა აიღო და წმ. გიორგის სახელი უწოდა. XIII საუკუნეში ციხესიმაგრეში სამეფო რეზიდენცია განთავსდა, XVI ს-იდან - სატუსალო, მოგვიანებით კი - ბავშვებისა და მოზარდების უფლებათა დაცვის ორგანიზაციის შტაბ-ბინა.

ციხესიმაგრის ახლოს მშენიერ კაფეებში შეგიძლიათ წაიხემსოთ, ღვინო მიირთვათ და თავისუფლად მოსიერიენე ფარშევანგებითა თუ ქალაქის ხედებით დატკბეთ.



ციხესიმაგრის ერთ-ერთ კოშკში, რომელიც ლისაბონს გადმოჰყურებს, ლეონარდო და ვინჩის მიერ გამოგონილი კამერა-ობსკურა დაგხვდებათ, რომლის მეშვეობითაც ობიექტების ოპტიკური გამოსახულებების დანახვას შეძლებთ. სარკეების სისტემის წყალობით, სრულ სიბნელეში უზარმაზარ ნახევარსფეროს ფორმის ეკრანზე გამოჩნდება ლისაბონის 360-გრადუსიანი პანორამა. ბილეთის ფასი: 7.5€

R. de Santa Cruz do Castelo



AQUEDUTO DAS ÁGUAS LIVRES

აკვედუკმა „თავისუფალი წყლები“ ლისაბონის დამანგრეველ მიწისძვრას გაუძლო. ის თალოვანმა კონსტრუქციამ გადაარჩინა - კოლონები ამორტირებდას უკეთებდნენ და ამცირებდნენ ბიძგების ძალას. 1732 წლიდან, 200 წელიწადზე მეტხანს, აკვედუკს სასმელი წყლის მიწოდებისთვის იყენებდნენ, მაგრამ 1967 წელს დახურეს - 35 თალიდან ერთი 65 მეტრის სიმაღლის - მსოფლიოში ყველაზე მაღალი ქვის თალია.

Calçada da Quintinha 6



PRAÇA DO COMÉRCIO

ლისაბონის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი Praça do Comércio დღეისთვის ევროპის უდიდეს მოედანთა შორისაა (36 000 კვ.მ / 180x200 მ). მოედნის ცენტრში მეფე ჟოზე I-ის ქანდაკება (1775) დგას.

ARCO DA RUA AUGUSTA

თალის უმაღლეს წერტილში დგას „ტრიუმფის“ (დიდების) გამომსახველი ფიგურა, რომელიც „გენიალურობასა“ და „ღირსებას“ აჯილდოებს, მათ ქვემოთ - ლუზიტანების წინამძღოლი ვირიატუ, ზღვაოსანი ვასკო და გამა, პოლიტიკოსი პომბალი, მხედართმთავარი პერეირა; ყველაზე მარცხნივ - მდინარე დორუსა და მდინარე ტეჟუს სიმბოლიკაა. თალიდან გადმოსახედ მოედანზე ლიფტით ანდა ორი ხვეული კიბით მოხვდებით. სიმაღ-



ლისაბონის გარეუბანში, ქალაქ აღმადუში ქრისტეს უზარმაზარი ქანდაკება დგას. ის რიო დე ჟანეიროს სკულპტურას სიმაღლეში 10-იოდე მეტრით ჩამორჩება. 1940 წელს პორტუგალიელები ღმერთს ევედრებოდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომს მათ ქვეყანაში არ შეეღწია. პორტუგალია ევროპის ქვეყნების იმ მცირე რიცხვშია, სადაც საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა. ამბობენ, რომ ფულს ქალები კრებდნენ მადლიერების ნიშნად, რადგან მათი ვაჟები, მამები და ქმრები ომში არ დაიხოცნენ. ქანდაკება ტეჟუს სანაპიროზე, 25 აპრილის ხიდის სიახლოვეს დგას.

Alto do Pragal, Av. Cristo Rei



GARE DO ORIENTE

ესპანელი არქიტექტორის, სანტიაგო კალატრავას პროექტით აგებულ სადგურს გიგანტური ფრთები და ზიგზაგისებურად დატეხილი სახურავები აქვს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აშურული ლითონის კონსტრუქციის ფსევდოგოთიკური გუმბათები, დაუმუშავებელი ბეტონის გადახურვის კოჭები ადამიანის ამწეული კი არა, ბუნების შექმნილია.

CASA DOS BICOS

წახნაგოვანი ანუ ეკლებიანი სახლის ასიმეტრიული შენობა იტალიური პალაცოს მსგავსადაა აგებული. ავტორები შეეცადნენ, ერთმანეთისთვის შეერწყათ სრულიად შეუთავსებელი სტილები - რენესანსი, მანუელინიუ და ვენეციური გოთიკა.



ინდოეთის პორტუგალიური ნაწილის ყოფილი მეფის ექსტრავაგანტურმა ვაჟმა ბრას დე ალბუკერკემ მოითხოვა, რომ შენობის ფასადი წახნაგოვანი ალმასების ფორმის დეკორით მოერთოთ. 2012 წლიდან აქ ნობელიანტი მწერლის, ჟოზე სარამაგუს ფონდი მუშაობს.

Rua dos Bacalhoiros 10.



LX FACTORY

ეს ლისაბონის შემოქმედებითი ცენტრია, XIX საუკუნის ინდუსტრიული დეკორით დამშვენებული. ალკანტარის რაიონში ყოფილი ფაბრიკის შენობა ამჟამად მხატვრების, დიზაინერებისა და მუსიკოსების ნავსაყუდელად იქცა. კვირაობით ღია ცის ქვეშ ბაზრობა იმართება.

R. Rodrigues de Faria 103



ELEVADOR DE SANTA JUSTA

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ეიფელის მოწაფის, რაულ მესნერ დიუ პონსარის (Raoul Mesnier du Ponsard) აშენებული სანტა ჟუსტას ნეოგოტიკური სტილის ლიფტი მთავორიანი ლისაბონის ქვედა რაიონს – ბაიშას ზედასთან – კარმუსთან აკავშირებს. ქალაქში ერთადერთი ვერტიკალური ელევატორი 1901 წელს პორტუგალიის მეფე კარლოს I-მა საზეიმოდ გახსნა. 1907 წ. ორთქლის მექანიზმი ელექტროდრავამ შეცვალა. ლიფტი ლისაბონის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, საინჟინრო აზროვნების ძეგლი, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შემოქმედებითი ღირსშესანიშნაობაა – არტ-ნუვოს

ლისაბონში ოთხი ა. შ. ელევატორია. მათგან სამი რალსაბაზა მოძრაობს, ერთი კი ჩვეულებრივი ლიფტია.

სტილის კაბინებით, ხის პანელებით, სარკეებით, ფანჯრებით, 19 დასაჯდომი და 10 დასადგომი ადგილით. მორიგეობით მოძრაობს ორკაბინიანი ლიფტის გაჩერებებს შორის მანძილი 30 მ-ია, კონსტრუქციის სიმაღლე – 45 მ. ამწის ბოძები ულამაზესი ნაჭედობებით დაფარული სხმული რკინისაა. სიმაღლიდან ფუტურისტული ფასადებისა და ისტორიული ნაგებობების ხედი იშლება. პიკის საათებში ლიფტი გადატვირთულია.



მოედანზე ხვეული კიბით ასვლაც შეგიძლიათ.

მარშრუტი: Largo do Carmo _ Rua do Ouro მუშაობს ყოველდღე: მარტი-ოქტომბერი – 07.00-23.00, ნოემბერი-თებერვალი – 07.00-21.00

გადმოსახედი მოედანი მთელი წელი ყოველდღიურად ღიაა – 08.30-20.30. ორმხრივი მგზავრობის ფასი: 5.15€



GLORIA FUNICULAR

გლორიას მთის ფუნიკულიორი ევროპაში ერთ-ერთი უძველესია. ის ლისაბონის ქუჩებში 1885 წელს გამოჩნდა და თავდაპირველად ორთქლის ძრავაზე მუშაობდა, 1915-იდან კი – ელექტროდენზე.

მარშრუტი: Praça Restauradores _ S. Pedro de Alcântara

LAVRA FUNICULAR

ეს ლისაბონში ყველაზე ძველი ფუნიკულიორია, რომელიც 1884 წელს ამოქმედდა. ის Calçada do Lavra-ს ვიწრო ქუჩაზე მოძრაობს. ზედა გაჩერებასთან ახლოს შთამბეჭდავი გადმოსახედი მოედანია – Jardim do Torel.

მარშრუტი: Largo da Anunciada _ Rua Câmara Pestana

ფუნიკულიორის ორმხრივი ბილეთის ფასი: სატრანსპორტო ბარათით – 1.30€, მძღოლთან – 3.70€. მუშაობს: ორშაბათი-ხუთშაბათი – 07.15-23.55, კარასკაპი – 07.15-00.25, შაბათი – 08.45-00.25, კვირა და დღესასწაულები – 09.15-11.55

BICA FUNICULAR

ბიკას ფუნიკულიორი 1892 წელს ამოქმედდა. მისი მარშრუტი ყველაზე ლამაზ გზად მიიწნევა. შეგიძლიათ, მას ფეხითაც გაუყვით და აზულუჟუს ფილებით მოპირკეთებული, მიჯრით მდგარი პატარა სახლების თვალიერებით დატკბეთ. თავიდან ფუნიკულიორი წონის ცვლილების ხარჯზე მოძრაობდა და რიგრიგობით წყლით ავსებულ რეზერვუარებს იყენებდა, 1896 წელს ორთქლის ძრავათი აღჭურვეს, 1914 წლიდან ელექტროენერგიაზე მუშაობს.

მარშრუტი: Rua S. Pedro de Alcântara _ Largo Calhariz



ფუნიკულიორის ორმხრივი ბილეთის ფასი: სატრანსპორტო ბარათით – 1.30€, მძღოლთან – 3.70€. მუშაობს: ორშაბათი-ხუთშაბათი – 07.15-23.55, კარასკაპი – 07.15-00.25, შაბათი – 08.45-00.25, კვირა და დღესასწაულები – 09.15-11.55

VOYAGER რჩეული მარშრუტები მოქალაქეთა რეჟიმში

ვირვანი დღე - ქალაქური ღისაბონი

- 1 Avenida da Liberdade, რომელიც მაღალი კლასის მაღაზიებითა და სასტუმროებით არის სახელგანთქმული, შესანიშნავი „შესავალი“ ქალაქის გაცნობისთვის, თავისი ტრადიციული ქვაფენილის დიზაინით.
2 Restauradores-ის მოედანზე როცა მიხვალთ, რამდენიმე ნაბიჯში Rossio-ს რკინიგზის სადგურსაც მიადგებით – აქედან სინტრაში შეგიძლიათ გაემგზავროთ. აქვეა ამავე სახელწოდების მოედანი ულამაზესი შადრევნით.
3 Rua Augusta-ს საფეხმავლო ქუჩას მდინარისკენ გაუყვით, ტრიუმფალური თაღის ქვეშ რომ გაივლით (შეგიძლიათ ლიფტით მაღლაც ახვიდეთ და ქალაქის ულამაზესი ხედებით დატკბეთ), ევროპაში ყველაზე დიდ, Comercio-ს მოედანზე აღმოჩნდებით.
4 Ribeira das Naus promenade – „ურბანული პლაჟი“ და საუკეთესო ადგილია წყლის პირას განტვირთვისთვის. იქვე ისტორიული რიბეირას ბაზარია, ამაჟამად – Time Out Market-ი, სადაც მთელ ქალაქში საუკეთესო რესტორნები და კაფეებია თავმოყრილი და საუკეთესო ლანჩი შეგიძლიათ მიირთვათ.
5 Jeronimos Monastery – ახალი ენერგიით დამუხტული, ტაქსით ბელეიმისკენ გაემგზავრეთ. ბელეიმის მთავარი ღირსშესანიშნაობა გასაოცარი ქვის ჩუქურთმებით დამშვენებული მონასტერია, სადაც ვასკო და გამას საფლავია.
6 Coaches Museum-ის ზღაპრული ეტლები და Berardo-ს რეზერვუარში გამოფენილი თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები (ენდი უორჰოლი, პიკასო, დალი, დავით კაკაბაძე) აუცილებლად უნდა დაათვალიეროთ.
7 Padrão dos Descobrimentos – აღმოჩენების მონუმენტის წინ უზარმაზარ მოზაიკის კომპლასზე პორტუგალიის კოლონიების გეოგრაფიას გაეცანით და გზა Belém-ის კოშკისკენ განაგრძეთ. ეს ლისაბონის ყველაზე ლეგენდარული ძეგლია და დრო აუცილებლად უნდა გამოიხსოვთ მისი არქიტექტურული დეტალების შესაფასებლად.
8 ქალაქის ცენტრში დასაბრუნებლად ტრამვაის – Tram 15-ს გაჰყვით. კომერციის მოედანზე კი ისტორიულ tram 28-ზე გადაჯექით და ლისაბონის უძველეს უბანში – ალფამაში გაემგზავრეთ.
9 Portas do Sol-ის ტერასიდან ქალაქის ულამაზეს ხედებს დაათვალიერებთ და თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო მზის ჩასვლას ნახავთ.
10 Lx Factory-ს რესტორნები 25 de Abril-ის მონუმენტური ხიდის ქვეშ დღის საუკეთესო დასასრული იქნება.

მეორე დღე - თანამედროვე ღისაბონი

- 1 Parque das Nações – Rossio-ს რკინიგზის სადგურიდან Oriente-ს სადგურამდე გაემგზავრეთ, რომელიც სახელგანთქმული არქიტექტორის, სანტიაგო კალატრავას ქმნილებაა. Parque das Nações-ის უბანში არაერთ არქიტექტურულ შედეგს ნახავთ, მათ შორის, სიმა ვიერიას პორტუგალიურ პავილიონს და ვასკო და გამას კოშკს.
2 Vasco da Gama-ს მოლი ლისაბონში არა მხოლოდ მოპინგითაა ცნობილი, აქ უამრავი კაფე საუკეთესო ლანჩს შემოთავაზებთ.
3 Oceanário de Lisboa – მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ოკეანარიუმი, მასში 5 მლნ ლიტრი წყალი ასხია და 500 სახეობის 8000-ზე მეტი ცოცხალი ორგანიზმი ცხოვრობს.
4 Museu Calouste Gulbenkian-ში წასვლა მხოლოდ რემბრანდტის, რუბენსისა და მონეს შედეგებისთვისაც კი ღირს. მუზეუმი სრულიად გამორჩეულ და განუმეორებელი მნიშვნელობის კოლექციასაც ინახავს – რენე ლალიკის მიერ შექმნილ სამკაულებს.
5 Café A Brasileira – ამ კაფეში ლისაბონში ჩასული ყველა მოგზაური ჩერდება ყავის დასალევად პოეტ ფერნანდუ პესოს ქანდაკების „გარემოცვაში“.
6 Camões-ის მოედნიდან თუ გზას გააგრძელებთ, Rua da Bica de Duarte Belo-ს მიადგებით, ეს ულამაზესი, ფერადი ქუჩაა, რომელსაც ისტორიული ფუნიკულიორი მიუყვება.
7 São Roque-ის ტაძრისკენ მიმავალ ქუჩაზე, Nova da Trindade-ის 18 ნომერში ჯადოსნური ადგილია – Bairro do Avillez. აქ ისადილეთ და გზა ტაძრისკენ განაგრძეთ. São Roque-ში მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და ძვირფას სამლოცველოს ნახავთ.
8 São Pedro de Alcântara-ს გადმოსახედი მოედნისკენ პატარა გორაკს აუყვით და ლისაბონის ყველაზე ლამაზ და რომანტიკულ ადგილს იხილავთ. მოედნის ირგვლივ ბევრი კაფეა და აქ ყოველთვის საუკეთესო მუსიკოსები უკრავენ.
9 Rua Dom Pedro V-ისკენ განაგრძეთ გზა. ეს მოდური საშოპინგო ქუჩაა გალერეებითა და კაფეებით, აქედან ფერადი შენობებით გარშემორტყმულ Praça do Príncipe Real-ის ლანდშაფტურ მოედანზე აღმოჩნდებით. Embaixada-ს კონცეპტუალურ მაღაზიაში მოპინგისთვის თუ არა, რომელიმე გამოფენის სანახავად მინც შედით.
10 შთაბეჭდილებებით დატვირთული დღე შეგიძლიათ ქარიზმატულ ბარ Pavilhão Chinês-ში (R. Dom Pedro V 89) დაასრულოთ.



ELÉTRICO 28

ლეგენდარული ხის ტრამვაი ყვითელი ექსტერიერით, გამაყრუებელი ხმითა და გორაკებზე გამავალი მარშრუტით ქალაქის სიმბოლოა – საზოგადოებრივი ტრანსპორტიცაა და ტურისტული ატრაქციონიც. ყურადღებით იყავით, №28 ტამვაიში მაღალი კლასის ჯიბის ქურდები „მუშაობენ“.

ერთი მგზავრობის ფასი: 3€



მგზავრობა აეროპორტიდან

იმის გამო, რომ აეროპორტი ქალაქში მდებარეობს, ლისაბონის ცენტრამდე 20-30 წუთის გზაა, ამიტომ ტაქსის საფასური ბევრად იაფია სხვა ევროპულ დედაქალაქებთან შედარებით. ტაქსის მძღოლს ზუსტი თანხა მიეცით, რადგან ხურდა „არასოდეს აქვთ“. აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე: 7-14 კმ, 15.20€

LISBOA CARD სამგზავრო ბარათია, რომელსაც ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოიყენებთ. ამას გარდა, 26 მუზეუმში ბილეთზე ფასდაკლებაა მიიღებთ და მატარებელი უფასოდ გაემგზავრებთ სინტრასა და კაშკაიში. 24-საათიანი ბარათი 18.50€ ღირს, 48-საათიანი – 31.50€, 72-საათიანი კი – 39€. 12 წლამდე ბავშვებისთვის – 11.50€, 17.50€ და 20.50€.

მეტრო

Red Line აეროპორტსა და ცენტრს აკავშირებს და 30 წუთის გზაა. პიკის საათებში მატარებელი ყოველ 5 წუთში დადის, ხოლო სხვა დროს – 12 წუთში ერთხელ. ლისაბონში მეტრო 06.30-01.00 პერიოდში მუშაობს, სამგზავრო ბარათით Viva Viagem ბილეთი 1.40€ ღირს და მას ერთი საათის განმავლობაში გამოიყენებთ.

VOYAGER კომენტარი

ლისაბონში ტრანსპორტით სარგებლობისთვის ყველაზე იაფი საშუალება სამგზავრო ბარათის, Viva Viagem-ის შექმნაა, რომელიც 0.50€ ღირს და ერთწლიანი გამოყენების ვადა აქვს. შეგიძლიათ ბარათზე ერთჯერადად ჩარიცხვით მგზავრობის საფასური, ან 6€-ად 24-საათიანი ულიმიტო მგზავრობის ტაღონი შეიძინოთ მეტროსა და Carris-ის ქსელებში. ბარათის გამოყენება ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია. მისი ყიდვა შეგიძლიათ სამგზავრო ბილეთების ჯიხურებში ან ავტომატებში.

ტაქსი

ტაქსები პორტუგალიაში ჩალისფრად და შედეებით, თუმცა ჯერ კიდევ შეიძლება შეგვხვდეთ ძველებური მანქანები ტრადიციული ფერთა შეხამებით – შავი ძარა და მწვანე სახურავი. ტაქსიში ჩაჯდომის საფასურია 3,25€ დღის საათებში, ღამის საათებში კი – 3,90€. საფასურს მრიცხველის მიხედვით იხდით. ტელეფონით გამოძახების შემთხვევაში დამატებით 80 ევროცენტამდე გადასახდელია.

TAX-FREE

„ტაქს ფრის“ თანხის დასაბრუნებლად ერთჯერადად შექმნილი საქონლის ღირებულება, დღგ-ის გამოკლებით, 49.88€-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. იმის მიხედვით, რამდენია დღგ-ის პროცენტი, ნავაჭრის მინიმალური თანხა უნდა იყოს: 61,35€ – დღგ 23% (მთლიანობაში, საქონელი); 57,86€ – დღგ 16% (მადეირასა და ამორის კუნძულებზე); 56,36€ – დღგ 13% (ღვინო); 52,87€ – დღგ 6% (წიგნები, ლინზები).



MUSEU NACIONAL DE ARTE ANTIGA

პორტუგალიის ნაციონალური გალერეა XIV-XX საუკუნეების ევროპული ხელოვნების მდიდარ კოლექციას ფლობს. ბოსხის „Temptation Of St. Anthony“ მუზეუმის ვარსკვლავია. აქვე ნახავთ დიურერის და რაფაელის ნამუშევრებსაც.

XV საუკუნის პორტუგალიელი ფერმწერის ნამუშევრის მიხედვით ისტორიკოსები მნიშვნელოვანი ისტორიული პერსონაჟების, მათ შორის, ენრიკ ზღვაოსნის გარეგნობას სწავლობენ. ასევე, უმნიშვნელოვანესია ჩინური ფაიფურის კოლექცია. საერთოდ, ამ მუზეუმის კოლექცია პორტუგალიის სავაჭრო ურთიერთობების სახელოვნებო ანარეკლია.



უალრასად საინტერესოა XVI საუკუნის იაკონოზი შირმატი. ეს შავი ლაქის მოხატული კანოვაი, ფაქტობრივად, ისტორიული დოკუმენტაცია, რომელიც უზუსტად ასახავს პორტუგალიელთა სავაჭრო ურთიერთობას იაკონიასთან.



განუმეორებელია საიუველირო და საეკლესიო ნივთების კოლექცია. ეს ნივთები ვასკო და გამას მოგზაურობის შედეგად მოპოვებული ოქროს პირველი პარტიისგან დაამზადეს.

ღიაა: ოთხშაბათიდან კვირის ჩათვლით – 10.00-18.00; დაკეტულია ორშაბათს და სამშაბათს 14.00 საათამდე.

ბილეთის ფასი: 6€; 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შესვლა უფასოა.

Rua Das Janelas Verdes, Lapa



MUSEU CALOUSTE GULBENKIAN

გალუსტ გულბენკიანი – მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი მენავთობე და კოლექციონერი მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩეოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მან თავის კოლოსალურ ქონებასა და ხელოვნების ნიმუშების უძვირფასეს კოლექციასთან ერთად დატოვა პარიზი და საცხოვრებლად ლისაბონში გადავიდა. მადლიერების ნიშნად მან თავისი კოლექცია პორტუგალიის სახელმწიფოს უანდერძა.

დღეს გულბენკიანის ფონდი არაერთ მნიშვნელოვან პროექტს კურირებს, მაგრამ მთავარი მაინც ულამაზეს ბაღში განთავსებული მუზეუმია. ბაღი თავადაც საპარკო ხელოვნების ნიმუშია.

ეს ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი კერძო კოლექციაა, რომელზეც დღეს დამთვალეობის მიუწვდებია ხელი, XVI საუკუნის ფერწერიდან – XVIII-XIX საუკუნეების დეკორატიულ ხელოვნებამდე. აქ წარმოდგენილია ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების საუკეთესო კერამიკული ნაწარმი და ტექსტილი, უნიკალური ხალიჩები და ჩინური ფაიფური, ეგვიპტური არტეფაქტები და ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი ოქროს მონეტები.

გულბენკიანის მუზეუმში არის ყველაფერი, რაც კი ოდესმე კაცობრიობისთვის ფასეული ყოფილა. მხოლოდ რემბ-



MUSEU COLEÇÃO BERARDO

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ბელეიმში 2007 წელს გაიხსნა. შესანიშნავი კოლექცია ამ ზღვისპირა ქალაქის არქიტექტურულ მონახაზთან ჰარმონიულად შერწყმულ მენობაშია განთავსებული. უორპოლის, მაგრიტის, პიკასოს, მიროს, ბეიკონის, პოლოკის, კუნსის ნამუშევრები მთელი XX საუკუნის სახელოვნებო პროცესზე შეგიქმნით წარმოდგენას. მუზეუმის კოლექცია პორტუგალიელ მაგნატ ჟოე ბერარდუს – Joe Berardo – ეკუთვნის, რომელსაც წლების მანძილზე სურდა თავისი მდიდარი კოლექციისთვის შესაბამისი სივრცე ეპოვა.



გულბენკიანის კოლექციაში ლალიკის შაქონილი 172 სამკაული აღმოჩნდა. ზომიერად მათგანი ისეთ ცნობილ ძალბას აკეთათ, რომორიც სარა ბერნარი იყო.

რანდტის, რუბენსისა და მონეს შედეგებიც საკმარისია აქ მოსასვლელად, მუზეუმის ერთ-ერთი ოთახი კი სრულიად გამორჩეულ და განუმეორებელი მნიშვნელობის კოლექციას ინახავს – რენე ლალიკის მიერ შექმნილ სამკაულებს. რენე ლალიკი, ფრანგული შუშის მწარმოებელი კომპანიის დამაარსებელი, გულბენკიანის თანამედროვე იყო. არტ-ნუვოს ტალღამ ლალიკს ახალი შესაძლებლობების კარი გაუღო: შუშის, როგორც პლასტიკური მასალის, და ლალიკის ნიჭის წყალობით სამკაულების დიზაინში ახალი ეპოქა დაიწყო. გულბენკიანს თავიდანვე მოეწონა ლალიკის ნამუშევრები და მათი შეგროვება და დაკვეთა დაიწყო. მათი თანამშრომლობა ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა. **ღიაა:** ყოველდღე – 10.00-17.00; სამშაბათს დაკეტულია. **ბილეთის ფასი:** 10€

Av. De Berna 45a, 1067-001 Lisboa



პარიზისა და მაიამის დიდი დაინტერესების მიუხედავად პორტუგალიის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კოლექციას ქვეყანა არ დაეტოვებინა.

ქართველ ვიზიტორებს ექსპოზიციის დასაწყისშივე სასიამოვნო სიურპრიზი ელით – დავით კაკაბაძის ნამუშევარი; კაკაბაძესთან ერთად აუცილებლად სანახავ ექსპონატთა შორისაა: ბასკიას „Pater“, ფრენსის ბეიკონის „Oedipus And The Sphinx After Ingres“, ბალტუსის „Portrait De Femme En Robe Bleue“ და მარკ შაგალის „La Fête Du Mariage“.

ღიაა: ყოველდღე 10.00-19.00; **ბილეთის ფასი:** 5€; შაბათს ვიზიტი უფასოა.

Praça Do Império, Belem



MUSEU NACIONAL DOS COCHES

სამეფო ეტლების მუზეუმი ევროპაში ეტლების ყველაზე გამორჩეულ და მდიდარ კოლექციას ფლობს. ენა ვერ მოგიბრუნდება, რომ აქ წარმოდგენილ ექსპონატებს გადაადგილების საშუალება უწოდო. ეს უმაღლესი დონის სკულპტურული კომპოზიციებია, რომელთა გამოჩენაც ხალხში აღფრთოვანებას იწვევდა.

თავდაპირველად მუზეუმმა ბელეიმის სასახლის საცხენოსნო სკოლის შენობაში დაიდო ბინა, თუმცა 110 წლის იუბილეზე ახალ შენობაში გადასახლდა, რომელიც ცნობილმა არქიტექტორმა პაულუ მენდეს და როშამ – Paulo Mendes Da Rocha – დააპროექტა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ეტლს, რომელიც მეფე ლუი XIV-ის დროს საფრანგეთში პორტუგალიის საელჩოსთვის შეიქმნა. ასევე შესანიშნავია პორტუგალიის ელჩის ეტლი, რომელიც 1716 წელს რომის პაპ კლემენტე XI-ის ვიზიტისათვის დამზადდა.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-18.00; ორშაბათს დაკეტულია. **ბილეთის ფასი:** 8€

Praça Afonso De Albuquerque, Belem

MUSEU DE MARINHA

თავისთავად ცხადია, რომ პორტუგალიაში ნაოსნობისადმი მიძღვნილი მუზეუმი უალრესად საინტერესო იქნება, ამ ქვეყნის ისტორიის 90 პროცენტი ხომ შორეულ ზღვაოსნობას უკავშირდება. თუ თქვენს ბავშვებს მეკობრეობას თამაში უყვართ, მაშინ ეს სივრცე მათთვისაა. გარდა იმისა, რომ 17 000 ექსპონატი სრულად გაგაცნობთ პორტუგალიური ფლოტის ისტორიას XX საუკუნის ჩათვლით, ცალკე დარბაზში XVIII საუკუნის მოჩუქურთმებულ სამეფო ხომალდებს იხილავთ. მუზეუმის ყველაზე ძველი ექსპონატი მთავარანგელოზ რაფაელის სკულპტურაა, რომელიც ვასკო და გამას გემს ამშვენებდა ინდოეთში მისი პირველი მოგზაურობის დროს.

აქ წარმოდგენილ გემებს (ბარჟებს) ცნობილი ისტორიული ფიგურები ახსოვთ: მაგალითად, გერმანიის კაიზერი ვილჰელმ მეორე და ინგლისის დედოფალი ელიზაბეთ მეორე. საინტერესოა, აგრეთვე, XVI საუკუნის საზღვაოსნო რუკების რეპლიკები და 1645 წელს გლობუსების ყველაზე ცნობილი მწარმოებლის, ვილემ იანცის – Willem Jansz Blaeu – მიერ დამზადებული გლობუსი.

ღიაა: ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით – 10.00-17.00, აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით – 10.00-18.00; ორშაბათობით დაკეტულია. **ბილეთის ფასი:** 6.50€

Praça Do Império, Belem





MUSEU NACIONAL DO AZULEJO

აზულეჟუს – მოხატული პორტუგალიური ფილების მუზეუმი უნიკალურია ევროპაში და ავთენტური ფილების უმდიდრეს კოლექციას ფლობს, რომელთა შორის უძველესი ექსპონატები XV საუკუნეს განეკუთვნება. მუზეუმის განსაკუთრებული სიახვეა 1300 თეთრ-ლურჯი ფილისგან შედგენილი, 1738 წელს შექმნილი 23 მეტრის სიგრძის ლისაბონის პანო.

მუზეუმი Madre de Deus Convent-ის ეკლესიაშია განთავსებული, რომლის შენობა ძლიერ დაზიანდა ლისაბონში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, მაგრამ აღდგენითი სამუშაოების შემდეგ ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს შენობად იქცა.



ღვთისმშობლის სახელობის XVI საუკუნის ბაროკოს სტილის ულამაზესი ეკლესიაში ამოთავსდა შთაბეჭადველი ნიჟარის კაპელა.

ღიაა: ოთხშაბათიდან კვირის ჩათვლით – 10.00-18.00, სამშაბათობით – 14.00-18.00; ორშაბათს დაკეტილია. **ბილეთის ფასი:** 5€

Rua Madre De Deus 4

MUSEU DO ORIENTE

აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმი პორტის ყოფილ საწყობშია განთავსებული. აქ წარმოდგენილია უმნიშვნელოვანესი ექსპონატები, რომლებიც აზიაში პორტუგალიის გავლენების ილუსტრაციაა: ჩინური, იაპონური, ინდონეზიური კერამიკა, ფერწერა, ტექსტილი და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები, პორტუგალიის კოლონიალისტური წარსულის ამსახველი რუკები.

ღიაა: 10.00-18.00, პარასკეობით – 10.00-22.00; ორშაბათს დაკეტილია. **ბილეთის ფასი:** 6€; 18.00 საათიდან მუზეუმში შესვლა უფასოა.



Avenida Brasilia, Doca De Alcântara



CASA-MUSEU MEDEIROS E ALMEIDA

ანტონიო მედეიროს ე ალმეიდას რემიდეინციის 25 ოთახში გამოფენილი ფერწერის ნიმუშები, ავეჯი და ჭურჭელი გულგრილს არავის დატოვებს. აქ ნახავთ ჯორჯ რომნეის და ტომას გეინსბოროს ნამუშევრებს, XIX საუკუნის ავეჯის ყველაზე ცნობილი დამამზადებლების მიერ შექმნილ ვარდის ხის საათს და ლუი XIV-ის სტილის კაბინეტს; ვერცხლეულის ოთახში ნაპოლენ ბონაპარტის კუთვნილ სადილის სერვისის იხილავთ, ფაიფურის ოთახში კი – კიჰანის დინასტიის ჭურჭელს.

ღიაა: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 13.00-17.30, შაბათს – 10.00-17.30; კვირას დაკეტილია.

ბილეთის ფასი: 7.30€

Rua Rosa Araújo 41



MUDE

დიზაინისა და მოდის მუზეუმის სახელი „მუდე“ პორტუგალიურად ცვლილებას ნიშნავს. მოდისა და დიზაინის სამყაროსთვის ეს სიმბოლური სიტყვაა, ამ მუზეუმისთვის კი – მოქმედების გეგმა. მუზეუმის კოლექციის დიდი ნაწილი პორტუგალიელი ბიზნესმენის კოლექციიდანაა. აქ 230 დიზაინერის ნამუშევრებს ნახავთ, მათ შორის, კრისტინ დიორის ლეგენდარული New Look-ის ნიმუშებს; ასევე, ვივინ ვესტუდის, ჟან პოლ გოტიეს და ივ სენ ლორანის მიერ შექმნილ სამოსს.

დიზაინის განყოფილებას ფილიპ სტარკის, პიერო ფორნაბეტისა და ლე კორბუზიეს ნამუშევრები ამშვენებს. შუშისა და საიუველირო ნაკეთობების 30-იანი წლების კოლექცია განსაკუთრებით საინტერესოა.

ღიაა: 10.00-20.00, პარასკევის და შაბათს – 10.00-22.00; ორშაბათობით დაკეტილია. **ბილეთის ფასი:** 10 €

Rua Augusta 24



ჩვენ გთავაზობთ

თანამედროვე და კომფორტულ გარემოს თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის.

საოფისე, სასაწყობო, კომერციული შიდა და გარე ფართობი.

ექსპოზიციონერი შენი სანდო ბიზნესპარტნიორი!

საკონტაქტო ინფორმაცია:

წერეთლის გამზირი 118
0119 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2341 100
მობ: +995 599 540475

ელ-ფოსტა: expo@expogeorgia.ge
www.expogeorgia.ge
www.facebook.com/expogeorgia



VALVERDE

კლასიკური და ელეგანტური Valverde Hotel-ი ნამდვილი ოაზისია ქალაქის ცენტრში. სივრცის დაგეგმარების წყალობით აქ თავს ისე იგრძნობთ, როგორც კერძო რეზიდენციაში.

ახალი სასტუმრო ქალაქის მთავარ, ისტორიულ და ყველაზე მდიდარ ქუჩაზე, Avenida da Liberdade-ზე მდებარეობს. შენობა რესტავრირებულია და ისეა მოწყობილი, რომ სახლის გარემო შეიქმნას. თითოეული ნომერი განსხ-



ვავებულ ფერთა პალიტრაშია გადაწყვეტილი, იატაკზე ხალიჩები აფენია, ინტერიერი გაწყობილია კომფორტული, თანამედროვე ავეჯით, ხელოვნების ნიმუშებითა და ანტიკვარული ნივთებით. სასტუმროს ულამაზესი ბაღი აქვს, სადაც განტვირთვის დროს სტუმრები ბარში შეკვეთილ სასმელებს ან შუადღის ჩაის შეეძლება.

The Sitio – ბარი და რესტორანია მყუდრო გარემოთი, სადაც სტუმრებს დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლიათ სადილობა თუ წახემსება. მენიუში, ჩვეული კლასიკური კერძების გარდა, შეფ-მზარეულისგან დღის გასტრონომიული შემოთავაზებაა. სასტუმროს ესთეტიკის მსგავსად, რესტორანშიც ვინტაჟური და თანამედროვე ავეჯი შეხამებულია XVIII საუკუნის გრაფიურებსა და ელექტიკურ განათებასთან.

ფერადი ავეჯით მორთულ ბაღში შეგიძლიათ საუკეთესო ლანჩი ან ვახშამი მიირთვათ, ან აუზში ინეჯიროთ. Pateo კი თავისი მუსიკის სალამოებით ლისაბონის შემოქმედებითი ელიტის თავშეყრის პოპულარული ადგილია.

ნომრები: 210€-დან

Avenida da Liberdade 164



PESTANA PALACE

XIX საუკუნის რესტავრირებულ სასახლეში მდებარე Pestana Palace Lisboa, თავისი ექსტრაორდინარული სერვისით, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდაა აღიარებული. ის ახლოსაა ქალაქის ისეთ მთავარ ღირსშესანიშნაობებთან, როგო-

რიცა: Tower of Belém, the Belém Cultural Centre, Jerónimos Monastery. ორი შიდა და გარე საცურაო აუზით, სპატი, ბაღით, რესტორნებითა და შთამბეჭდავი ხედებით, Pestna განუმეორებელი ადგილია.

სასტუმროს რესტორანი Valle Flôr ლისაბონში ერთ-ერთი საუკეთესოა. ის სასახლის ყოფილ სამეჯლისო დარბაზებშია განთავსებული. ზაფხულის თვეებში სასახლის ბაღში აღმოსავლური Casa do Lago იხსნება და სეზონურ მენიუს გთავაზობთ.

Bar Allegro შესანიშნავი ადგილია კოქტეილებისა და სხვა სასმელების დასაგემოვნებლად. არ დაივიწყოთ სპა, აუზებით, ჯაკუზით, თურქული აბანოთი და სხეულის მოვლის სხვადასხვა საშუალებით.

ნომრის ფასი: 170€-დან

Rua Jau 54



VOYAGER კომენტარი

პორტუგალიაში მიღებულია სასტუმროების შემდეგი კლასიფიკაცია:

სასტუმროები (Hotéis) – მდებარეობის, კომფორტის და მომსახურებების ხარისხის მიხედვით 5 კატეგორიად იყოფა, ერთიდან 5 ვარსკვლავამდე.

აპარტოტელები (Hotéis apartamentos) – 2-იდან 5 ვარსკვლავამდეა და იდეალური ვარიანტია მათთვის, ვინც გარკვეული დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვის, თანაც სასტუმროს მომსახურებების მთელ სპექტრზეც არ ამბობს უარს.

ესტაღაგემები (Estalagem) – 4- ან 5-ვარსკვლავიანი, ძალზე მყუდრო და კომფორტული სასტუმროები მოცემული ადგილის თავისებურებების გათვალისწინებით.

პოზადა (Pousadas) – ამ ტიპის სასტუმროები განთავსებულია კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე შენობებში, ან განსაკუთრებულად ფერწერული ადგილებში. არსებობს პოზადების 4 კატეგორია: „ისტორიული“, „ისტორიული დიზაინი“, „ბუნება“ და „შარმი“.



TIVOLI AVENIDA LIBERDADE

Tivoli Avenida Liberdade Lisboa ლისაბონის ცენტრის საუკეთესო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ჩამონათვალშია. აქ ვარსკვლავები, პოლიტიკოსები და სამეფო ოჯახების წარმომადგენლები ბინავდებიან.

სასტუმროში უმაღლესი კლასის კომფორტული ნომრები და სუიტები, საიდანაც ლისაბონის შესანიშნავი ხედები იშლება.

სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ მრავალი სიკეთით, როგორცაა: საუკეთესო თანამედროვე პორტუგალიური კულინარიის ნიმუში – რესტორანი Terraço სახურავზე (მიშლენის ვარსკვლავიანი შეფი რუი პაულა

Rui Paula), სპა, სავარჯიშო დარბაზი, საცურაო აუზი და სხვა.

სპაში ინდივიდუალურ თერაპიასა და განტვირთვის მრავალფეროვან არჩევანს შემოგთავაზებენ.

Cervejaria Liberdade-ს მენიუში ყოველდღიურად ცინცხალი ზღვის პროდუქტების კერძები, ტრადიციული ბრინჯის კერძები და ცვრიანი ხორცია, ამასთანავე, მრავალფეროვანი სუში და საშიმი. აქ მინიატურულ ლობსტერებს, ხამანწყებსა და Mirandesa-ს სტიკსაც გასინჯავთ.

ღვინის დევესტაცია – Tivoli თავის სტუმრებს პორტუგალიური ღვინის ისტორიას აცნობს. სერვისში შედის 5 სახეობის ღვინის დევესტაცია და შეფ-მზარეულის მიერ მომზადებული წასახემსებლები.



Sky Bar – ზაფხულის სიცხეში შენობის სახურავზე მდებარე ბარი, პანორამული ხედი, შესანიშნავი კოქტეილები, მოპიტო, DJ-ის ცოცხალი მუსიკა საუკეთესო სარელაქსაციო საშუალებაა. Sky Bar-იდან ლისაბონის ბორცვებისა და მდინარე ტეჟუს ხედი იშლება.

სხვა კლუბებისაგან განსხვავებით, Sky Bar, თავისი კოქტეილებით, ცხოვრების ახალ სტილს განსახიერებს. მირთვით საფირმო Champagne Cooler, ბრენდი სამშავი ლიქიორით, შამპანურითა და პიტნით და შენობის სახურავიდან გადაშლილი თვალისთვის სასაიამოვნო ხედებით დატკბით.

ნომრის ფასი: 220€-დან

Avenida da Liberdade 185



MEMMO PRÍNCIPE REAL

ვიწრო ქუჩასა და პატარა გვირაბს შორის საიდუმლოდ მიმაღული ამ სასტუმროდან ქალაქის პანორამული ხედები იშლება. 41-ნომრიანი, ხუთვარ-

სკვლავიანი სასტუმრო-ბუტიკი ისტორიულ ადგილასა – აქ ოდესღაც ძველი სამეფო ოჯახი ცხოვრობდა და შენობის არისტოკრატიული ელემენტები დღემდე შემორჩენილია.

თანამედროვე და კლასიკური სტილის ნაზავი, შესანიშნავი მომსახურება და ავთენტიკურობა Príncipe Real-ის დევიზია. სასტუმრო მშვიდ საცხოვრებელ უბანშია, ბაღებით, სკვერებითა და ფერადი შენობებით გარშემორტყმული.

Café Príncipe Real-ი სასტუმროს შუაგულშია. ეს კაფე, ბარი და რესტორანი

აუზისა და ქალაქის ხედებით დღე-ღამის განმავლობაში გთავაზობთ ექსკლუზიურ კერძებსა და საფირმო კოქტეილებს. **ნომრის ფასი:** 110€-დან

Rua D. Pedro V 56 J



BAIXA HOUSE

თუ გსურთ, რომ ხმაურიან ლისაბონში ისე იცხოვროთ, როგორც ადგილობრივმა, ისტორიულ Baixa-ში ამ შესანიშნავ სასტუმროში დაბინავდით. ეს არის ქალაქის ცენტრში მდებარე



მოდური აპარტამენტების ერთობლიობა ბუტიკის სტილის სასტუმროს შტრიხებით. ლისაბონის ძველ, XVIII საუკუნის რესტავრირებულ შენობაში, სადაც ინტერიერის პირვანდელი სახე უმეტესწილად შენარჩუნებულია, 13 მყუდრო, კეთილმოწყობილი აპარ-

ტამენტია. აქ პირადი, სრულად აღჭურვილი სამზარეულოებია, მაცივარში იოგურტი, ფორთოხლის წვენი, ლორი და ყველი დაგხვდებათ, შუადღისას კი – ახლად გამომცხვარი ნამცხვარი. **ნომრის ფასი:** 115€-დან

Rua dos Fanqueiros 81

VOYAGER კომენტარი

კორთუმალაში სპეციალური ტურის-თული მოსაკრებელი არსებობს – 13 ნაღ-ჯი მითი ასაკის ყველა ვიზიორმა სსს-უშროში, კარძო სახლებსა თუ სხვა ლიცენზირებულ ტურისტულ აპარტამენტებში დაბინავებისას ღამეში დამა-თებით უნდა გადაიხადოს, მაგალითად კორთუმი – 2€, ლისაბონში კი – 1€.



LOCO

თანამედროვე სამზარეულო

ეს ოდნავ უცნაური რესტორანია, სადაც სამზარეულო უფრო დიდია, ვიდრე სასადილო დარბაზი და აქ მხოლოდ ორი მენიუა: Loco – სულ მცირე, 18 ნაწილით და Descobrir – ერთგვარი გაცნობა ალექსანდრე სილვას (Alexandre Silva) კულინარიასთან. ეს შეფ-მზარეული რესტორნის კონცეფციის ავტორია. რესტორნის გახსნისთანავე მან მიმდინარე ვარსკვლავი დაიმსახურა.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 130€-დან; ღია: სამშაბათი-შაბათი – 19.00-23.00.

Rua dos Navegantes 53B



ELEVEN

ზღვის პროდუქტები

თუ ზღვის პროდუქტები განსაკუთრებით გიყვართ, მაშინ ეს მინიმალისტური დიზაინის რესტორანი თავისი ექვსკერძიანი ლობსტერის მენიუთი თქვენთვის იდეალური ადგილია.

გამორჩეულად გემრიელია ლობსტერის სევიჩე და შემწვარი ლობსტერი ნიახურით, მარჯნის ძირათი და ფერმენტირებული დაიკონით. რესტორნის თევზის კერძები პორტუგალიური კულინარიული ტრადიციისა და აზიური არომატების ჰარმონიული კომბინაციაა – ლობსტერი ჭარხლით, კაკაოთი და მარაკუიით, Sopa da Pedra ანუ „ქვის წვნიანი“ ლობსტერითა და ისპანახით, მოლუსკები, ხიზილადა და ყველის მრავალფეროვანი არჩევანი.

A La Carte მენიუ 2 პერსონაზე – 150€, ჭიქა ღვინო – 9€-დან. ღია: ორშაბათი-შაბათი – 12.30-15.00, 19.30-23.00; კვირას დაკეტულია.

Rua Marquês de Fronteira, Jardim Amália Rodrigues 107O



PALÁCIO CHIADO

ზღვის პროდუქტების სუში

Palácio Chiado-ში, სადაც მისვლა მხოლოდ მისი უნიკალური შენობის სანახავადაც კი ღირს, ორ სართულზე რვა რესტორანი და ბარია. პირველი სართულის ბარში საუკეთესო სტიკს და სალატებს შემოგთავაზებენ. ზედა სართულზე შამპანურისა და ზღვის პროდუქტების ბარი და დელიკატესების რესტორანია. აქ არის, აგრეთვე, სუშის რესტორანი, სადაც ლისაბონში საუკეთესო სუშის მიერთმევეთ.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 130€-დან; ღია: ყოველდღე – 12.00-24.00; პარასკევს ღიაა 02.00-მდე.

Rua do Alecrim 7O

DE CASTRO

თანამედროვე პორტუგალიური სამზარეულო

ამ რესტორნის საუკეთესო რეპუტაცია მის შეფ-მზარეულს, მიგელ კასტრო ე სილვას (Miguel Castro e Silva) უკავშირდება, რომელიც კერძების ინგრედიენტებს საკუთარი ხელით არჩევს, მათ შორის, ღვინოსაც და ყველსაც.

ის სახელგანთქმული რესტორნის, Praca das Flores-ის შემქმნელია, პორტუგალიური გასტრონომიის განსაკუთრებული ცოდნით გამოირჩევა და ტრადიციულ კერძებს ახლებურად აცოცხლებს. De Castro-ში აუცილებლად გასინჯეთ xerém (სიმინდის ფაფა), ბატის ღვიძლი ნივრის ჯემით და maronesa – ბატკანი ბრინჯითა და სოკოთი. გარე სივრცე ცხელ დღეებში გასაგრილებლად განსაკუთრებით სასიამოვნო ადგილია.

2 პერსონაზე სადილი, ვახშამი ჭიქა ღვინით – 100€-დან; ღია: სამშაბათი-შაბათი – 12.30-23.00; კვირა – 12.30-17.00.

Praca das Flores 46



ALMA

თევზი

Alma შეფ-მზარეულ ენრიკ პესოას (Henrique Sá Pessoa) haute-კულინარიაში დაბრუნების ნიშნად გაიხსნა და პირველივე წელს მიმდინარე ვარსკვლავი მოიპოვა. შეფ-მზარეულის თქმით, მან და მისმა გუნდმა სტუმარ-მასპინძლობის რამდენიმე ძირითადი წესი დაარღვია. მაგალითად, მაგიდებს თეთრი სუფრები არ აფარია.



ინტერიერი თანამედროვე და მინიმალისტურია, ყოველგვარი ისეთი მინიშნებებისგან დაცლილი, რომლებიც კერძების დაგემოვნებიდან ყურადღებას გადაგატანინებდათ.

A La Carte მენიუ 2 პერსონაზე – 100€-დან, ჭიქა ღვინო – 7€-დან.

ღია: სამშაბათი-კვირა – 12.30-15.30; 19.00-23.00.

Rua Anchieta, 15



100 MANEIRAS

გასტრონომიული ლაბორატორია

ეს ადგილი სახელგანთქმულია კონცეფციით „ვირთევა სარეცხის თოკზე“ – ხრამუნა, გამოშრობილი ვირთევა მართლაც ელეგანტურადაა გამოკიდული პატარა სარეცხის თოკზე. ის მიმდინარე ვარსკვლავის მფლობელი შეფ-მზარეულის, სტანისიკის – Ljubomir Stanisic გასტრონომიული ლაბორატორიაა. აქაური ცხრანაწილიანი მენიუ ზღვისადმი მიძღვნილი სასიყვარულო წერილია, რომელშიც შესანიშნავი კერძების უნიკალურ ინტერპრეტაციებს აღმოაჩენთ. 2 პერსონაზე სადილი/ვახშამი ჭიქა ღვინით – 70-110€; ღია: ყოველდღე 19.00-02.00. Rua do Teixeira 35

PEIXOLA

თევზის რესტორანი

Peixola-ში მხოლოდ თევზის კერძებია. ეს პატარა რესტორანი სასიამოვნო გასტრონომიულ გამოცდილებას გპირდებათ. სასადილო სივრცე გრძელ ბარის ტიპის დარბაზშია მოწყობილი, აქ ახლად დაჭერილ უმ თუ მომზადებულ დელიკატესებს მოგართმევენ: ცენტრალური ამერიკის კულინარიით შთაგონებულ სევიჩეებსა და ტაკოებს, ორაგულის ვასაბს.

სადილი/ვახშამი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 60€; ღია: კვირა-ხუთშაბათი – 18.00-00.00; პარასკევი-შაბათი – 18.00-02.00.

Rua do Alecrim 35



CASA DO PEIXE

თევზული

ამ მოკვდავებულ რესტორანს, რომელიც Saldanha Market-ის ტერიტორიაზე მდებარეობს, საუკეთესო სარდინების მზადების ასწლიანი ისტორია აქვს. აქაური ნაკვერჩხლის გრილი კერძების მოსამზადებლად იდეალურია, ამიტომაც Casa do Peixe მუდამ სავსეა ადგილობრივებით, რომელთაც წვნიანი სარდინების დაგემოვნება სურთ. სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 50€-დან ღია: ორშაბათი-შაბათი – 12.00-16.00.

R. Eng. Vieira da Silva 2A

FLORESTA DAS ESCADINHAS

სარდინები

სანაპიროდან რამდენიმე წუთის სავალ მანძილზე მდებარე Floresta Das Escadinhas-ი გამორჩეულად გემრიელ სარდინებს გთავაზობთ. ნაკვერჩხლის გრილზე შემწვარი თევზი, კარტოფილის, კიტრის მწნილისა და პურის გარნირით, უგემრიელესია. ეს პატარა და მყუდრო რესტორანი ვიწრო ქუჩაზეა მიმალებული, იპოვებთ და ჯილდოდ აუცილებლად მიიღებთ

CERVEJARIA ლუდახდელს ნიშნავს, მაგრამ ხშირად გამოიყენება ისეთ ადგილებთან დაკავშირებით, სადაც არაფორმალური სასადილო სივრცეა ბავრი ახალი ჯღვის პროდუქტით, მარტივი ტრადიციული კერძებითა და ცივი ლუდით.



CERVEJARIA TRINDADE

ისტორიული ლუდახა

ეს ლისაბონის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი რესტორანია. მისი სამონასტრო წარსულის ხაზგასმელად თავდაპირველი კედლები 1800-იანი წლების ფერადი მოპირკეთებით კვლავც შემორჩენილია. ინტერიერისა და ტრადიციული პორტუგალიური კულინარიის გამო რესტორანი მუდამ სავსეა ადგილობრივებითა თუ ქალაქის სტუმრებით. 1836 წლიდან ის, ასევე, ლისაბონში პირველი ლუდის სახლიცაა და თავისი სტიკებითა თუ ზღვის პროდუქტებით კვლავც ძველებურად პოპულარულია. სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 60€-დან; ღია: კვირა-ხუთშაბათი – 12.00-00.00; პარასკევი-შაბათი – 12.00-01.00.

R. Nova da Trindade 2O C

RESTAURANTE DOCA PEIXE

თევზის კერძები

ამ რესტორანში შეგიძლიათ სწორედ ის თევზი აირჩიოთ, რომლისგან მომზადებულ კერძსაც ისურვებდით. ის მაშინვე გრილზე ან ღუმელში აღმოჩნდება. შემდეგ კი მრავალფეროვანი სტრატეგიების მენიუდან რაიმე შეუკვეთეთ. რესტორანი პირდაპირ გადაჰყურებს სანაპიროს და 25 აპრილის ხიდს.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 50€-დან; ღია: ყოველდღე – 12.30-15.00; 19.00-00.00.

Doca Santo Amaro, Armazém 14



ქალაქში ერთ-ერთ საუკეთესო სარდინის კერძს მიერთმევეთ.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 40€-დან ღია: ყოველდღე – 12.00-24.00 R. de Santa Justa 3



CERVEJARIA RAMIRO

ზღვის პროდუქტები

უკვე ლეგენდად ქვეული Cervejaria Ramiro ლისაბონელებს 1950 წლიდან საუკეთესო ზღვის პროდუქტების კერძებით ანებივრებს. კერძების ხარისხს, პირველ რიგში, მისი ინგრედიენტები განსაზღვრავს. ახალი ხამანწკები და კრევეტები, მოლუსკები კარაქის სოუსით – იდეალური საკვებია ყინულივით ცივ ლუდთან ერთად.

Cervejaria Ramiro ლისაბონის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ზღვის პროდუქტების რესტორანია და საუკეთესო ხარისხისა და ავთენტიკურობის გამო ის უამრავ ადამიანს იზიდავს.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 60€-დან; ღია: სამშაბათი-კვირა – 12.00-00.30.

Av. Almirante Reis 1



CERVICHERIA

თევზი, ზღვის პროდუქტები

ეს პატარა რესტორანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია ლისაბონში. მისი შეფ-მზარეული კიკო მარტინსი – Kiko Martins სხვა ცნობილ რესტორნებსაც უდგას სათავეში. მენიუში დაგვხვდებათ პერუსული კოქტეილი Pisco sour, უმად მომზადებული თევზი, ახალი სალატები და შესანიშნავი კერძი – გრილზე შემწვარი რვაფეხა ტუბილი კარტოფილით. რესტორნის ერთადერთი ნაკლი მისი პოპულარობაა – აქ ადგილს ვერ დაჯავშნით, ამიტომ რიგში დგომა მოგიწევთ (მაგიდას თვით შეფ-მზარეულის დედაც კი ერთი საათის განმავლობაში ელოდა). შეგიძლიათ დრო იხელთოთ და სანამ იცდით, კოქტეილები დააგემოვნოთ. სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით – 130€-დან; ღია: ყოველდღე – 12.00-24.00.

Avenida Dom Perdo V 129



ZE DA MOURARIA

ტრადიციული პორტუგალიური კერძები

ფადუს მშობლიურ უბან Mouraria-ში მდებარე ეს რესტორანი ტრადიციული პორტუგალიური კერძების გასასინჯად შესანიშნავი ადგილია. კლასიკური პორტუგალიური ტავერნის მსგავსად, კედლები ლურჯადაა მოპირკეთებული. აქ, ძირითადად, ხორცისა და თევზის კერძებია, რომლებსაც დიდი ულუფებით მოგართმევენ. მათ შორის გამორჩეულია კალმარი უგემრიელეს სოუსთან ერთად, ან შემწვარი ტკბილი კარტოფილის გარნირით. რესტორანი მუდამ სავსეა ადგილობრივებით, თუმცა რიგში ჩადგომა ნამდვილად ღირს.

ორი ადამიანის ულუფა – 40€.
ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 12.00-16.00.

R. João do Outeiro 24



RESTAURANTE AS SALGADEIRAS

კლასიკური პორტუგალიური სამზარეულო

საოჯახო სტილის რესტორანში პორტუგალიურ კერძებს და საუკეთესო ღვინოს დააგემოვნებთ. Restaurante As Salgadeiras ყოფილი საცხობის განახლებულ სივრცეშია, სადაც ძველი ქვის თალები და დიდი აგურის ღუმელი ხელუხლებელი დატოვდა. მენიუ, ძირითადად, ალენტეჟუსა და ჩრდილოეთ პორტუგალიის კულინარიისგან შედგება, მთავარი კერძები კი ვირთევზას რამდენიმე ვერსიას.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 70€-დან; **ღიაა:** ყოველდღე – 19.30-00.00.

R. das Salgadeiras 18

VOYAGER კომენტარი
რესტორნები, ჩვეულებრივ, დღისით 12.00-იდან 15.00 საათამდეა ღია, საღამოს კი – 19.00-იდან 22.00 საათამდე, თუმცა ბევრი მათგანი, მანსკუთრებით ღიდ ქალაქებში, მაცივრებით მზიან იკაბება.

TABERNA DA RUA DAS FLORES

ტრადიციული სამზარეულო თანამედროვე შტრიხებით

ვიწრო, ტრადიციული დარბაზი, თაროებზე ჩამწკრივებული არტიზანული პროდუქტებითა და ძველი რეცეპტებით დამზადებული ტაპასებით – ეს ისტორიის თანამედროვე გაგრძელებაა. დეკორი ძველი ტავერნების მსგავსია, მენიუ კი ყველა მაგიდასთან, დიდ დაფებზეა ჩამოწერილი. დღის კერძები პორტუგალიის ყველა რეგიონის ტრადიციულ კულინარიას მოიცავს, ოღონდ თანამედროვე შტრიხებით.



აუცილებლად გასინჯეთ მოლუსკები, ახალი თინუსი სეზამით, შოკოლადის მუდი ალუბლით და ლიქიორის ჩარობი.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 70€-დან; **ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 12.00-23.30; შაბათი – 18.00-23.30.

Rua das Flores 103

BICA DO SAPATO

კლასიკური პორტუგალიური მენიუ / სუში-ბარი

მდინარის პირას მდებარე რესტორნის ფართო ტერასა იდეალური ადგილია ლანჩისთვის. ჯონ მალკოვიჩი რესტორნის თანამესაკუთრეა. ეს ზედგამოჭრილი ადგილია მათთვის, ვისაც ცნობილი ადამიანების ცქერა მოსწონს. აქ კლასიკური პორტუგალიური მენიუ და პირველ სართულზე მდებარე სუში-ბარია.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 80€-დან; **ღიაა:** ორშაბათი – 17.00-00.00; სამშაბათი-შაბათი – 12.00-00.00; კვირა – 12.30-16.00; **სუში-ბარი:** ორშაბათი-შაბათი – 07.30-00.00.

Armazém B, Avenida Infante Dom Henrique, Cais da Pedra

LAURENTINA

Tasca

Bacalhau á Brás, რომელიც მარილიანი თევზის, კვერცხის, წვრილად დაჭრილი შემწვარი კარტოფილის, ქინძისა და ზეთისხილისგან შედგება, ერთ-ერთი ყველაზე გემრიელია bacalhau-ს 50 ვერსიას შორის.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 50€-დან; **ღიაა:** ყოველდღე – 12.00-23.00.

Avenida Conde Valbom 71 A



RESTAURANTE BASTARDO

პორტუგალიური და ამიური სამზარეულოების კომბინაცია

ინტერიერის დიზაინი უცნაურად შემამბებული ვინტაჟური სკამების, ხალიჩებისა და ფერადი პოსტერებისგან შედგება. მენიუში პორტუგალიური და ამიური სამზარეულოების სასიამოვნო კომბინაციაა, მაგალითად, bacalhau ბადრიჯნითა და კომბუთი (წყალმცენარეებით). ყველა კერძისთვის სათითაოდ შერჩეული ღვინოა, რომელიც ჭიქითაც შეგიძლიათ შეუკვეთოთ.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 60€-დან; **ღიაა:** ყოველდღე – 12.00-23.00

Rua da Betesga 3

VOYAGER კომენტარი
TASCAS – საოჯახო რესტორნები, რომლებიც ისეთ შანსსაძლავს აჩვენს, თითოეულ ავსტრიული კაბისის მომხმადებელ კარძებს მისსავე სასადილო ოთახში მიიროთმავთ. აქ ხალხისაწვდომი ფასები, შინაურული საკვები და ფანტასტიკური არომათები.



GAMBRINUS

ტრადიციული პორტუგალიური

სადა ხის კარების უკან ნამდვილი სიმშვიდის ოაზისი იმალება. რესტორანი 1940 წლიდან უმასპინძლებდა სტუმრებს ზღვის პროდუქტებით.

აუცილებლად „გაფლანგეთ“ ფული დესერტზე, crepe suzette-ზე, რომელსაც მაგიდასთან, ცეცხლის ალზე, ეფექტურად მოგიმზადებენ, ამიტომ მასში გადახდილი 34€ საერთოდ არ დაგენანებათ.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 80€-დან; **ღიაა:** ყოველდღე – 12.00-01.30.

Rua das Partas de Santo Antão 23

CONSERVEIRA DE LISBOA

თევზის კონსერვების მალაზიის ძველ ხის კარადაში თავმოყრილი კონსერვის ქილებს ვინტაჟური ეტიკეტი აქვთ – უფრო ძვირ სახეობას ქალი ახატია, შედარებით იაფს – კატა ან ხომალდი.

მალაზიაში წარმოდგენილი კონსერვების ეტიკეტები Conserveira de Lisboa-ს ისტორიულ თუნუქის ქილებზე არსებულ სურათებს იმეორებს. ქილებში, ზეთში ან ტომატის სოუსში მოთავსებული სარდინი, ვირთევზა, თინუსი, სკუმბრია, ანჩოუსები, რვაფეხა, კალმარი ისეთი გემრიელია, რომ 5-6 ცალი კონსერვიც რომ იყიდოთ, სახლში მაინც ინანებთ, რომ ორჯერ მეტი არ აიღეთ.

Rua dos Bacalhoeiros 34



SALA OGIVAL

პორტუგალიური ღვინოების სადეგუსტაციო დარბაზში უნიკალური პორტუგალიური ღვინოების არომატებს აღმოაჩენთ. შეგიძლიათ ბარათი – Enocard შეიძინოთ და სხვადასხვა რეგიონის 3-6 ღვინო დააგემოვნოთ.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 11.00-19.00



MANTEIGARIA SILVA

ეს დელიკატესების მალაზია 100 წელს ითვლის. მის ერთ ნაწილში შემოგთავაზებენ გამომშრალ ვირთევზას – ბაკალიაუ, მეორეში – ფერმერთა ყველს, აგრეთვე, გამოყვანილ ღორის ბარკალს – Presunto-ს, რომელიც პროშუტოსა და ხამონის ანალოგია. ადგილობრივი ყველი პატარა კვერს ჰვავს, გარედან ქერქითაა დაფარული, გული



GARRAFEIRA NACIONAL

1927 წელს დაარსებული, თითქმის ერთსაუკუნოვანი სახლი Garrafeira Nacional (ეროვნული მარანი) ყველა ენოფილისთვის გამორჩეული ღირსშესანიშნაობაა. ლისაბონში სამ ფილიალად დაყოფილი ეს ბრენდი (მისი ფილიალები მდებარეობს Santa Justa-ზე, Conceição-სა და Mercado da Ribeira-ზე) საუკეთესო ღვინოების უდიდეს მრავალფეროვნებას გთავაზობთ. აქ არის პორტუგალიური ღვინის ყველა სახეობა, ასევე, ვისკი, ბრენდი, ჯინი, შამპანური და ღვინოები ბორდოდან და ბურგუნდიიდან.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-21.00

Rua da Conceição 20/26



QUEIJARIA

Queijaria-ში 50 სახეობის ყველის დაგემოვნებას შეძლებთ. ბართან შებოლილ ხორცს, ღვინოსა და ხელით გამოხდილ ლუდსაც შემოგთავაზებენ.

ღიაა: სამშაბათი-ხუთშაბათი – 13.00-22.00; პარასკევი-შაბათი – 13.00-00.00; კვირა – 13.00-20.00.

Rua das Flores, 64

ფინანსი ყავა ესკრასო, რომელსაც ასე აღმართავენ კორთუმალიაობი (სიყვარულით „ბიკას“ ეძახიან), ტრადიციული კაფას დახლთან 60-იდან 70 ევროცენტამდე ღირს. რძიანი ყავა, რომელსაც აქ „მალონს“ უწოდებენ, შეიძლება 70 ცენტოდან 1,20 ევრომდე ღირდეს, ხოლო ფინანსი რიი – 1-1,50 ევრო. ბოკალი ნატურალური ფორთოხლის წვენი დაახლოებით 2,50 ევრო ღირს, ხოლო ლუდი ან კოლა – 1-1,50 ევრო. სანდვიჩი ყველით ან ლორით 1,50-იდან 2,50 ევრომდე აღმზდაბათ, კარაქიანი მაფინცხაული კური ან ღვინო – მასივში 2 ევრო.



LOJA DOS AÇORES

ამორის არქიპელაგი ევროპის მწვანე ტერიტორია და უნიკალური დელიკატესების სამშობლოა. ამ მალაზიაში შეიძენთ 1000-ზე მეტ პროდუქტს არქიპელაგის ცხრა კუნძულიდან: გორეანის ჩაის, ლიქიორებს, ნამცხვრებს, ყველს, ძხვეულებს.

Rua da Madalena 115
Rua Viriato 14C



TIME OUT MARKET

24 რესტორანი და 8 ბარი ლისაბონის ყველაზე დიდი და უძველესი ბაზრის, Mercado Da Ribeira-ს ტერიტორიაზე, 7000 მ²-ზეა განლაგებული.

ერთი კონცეფციის ქვეშ მოქცეულია ყველაფერი საუკეთესო, რისი შემთავაზებაც ლისაბონს შეუძლია.

MARISQUEIRA AZUL

შეფ-მზარეულები ნამდვილი ექსპერტები არიან და პორტუგალიური კულინარიის საუკეთესო ტრადიციებით ხელმძღვანელობენ. აქ ორი მთავარი მიმართულებაა: ახალი მოლუსკები და ყინულივით ცივი ლუდი.

SEA ME

აქ უმაღლესი ხარისხის თევზისა და მოლუსკებისგან დამზადებული კერძები და პორტუგალიის ერთ-ერთი საუკეთესო გასტრონომიული სივრცეა, რომლებიც პორტუგალიურ და იაპონურ კულინარიას აზავებს: შესანიშნავი ნიგირის სუში, ქორჭილის სალათა წყალმცენარეებით და შემწვარი მელანთევზა.



BALCÃO DA ESQUINA

Balcão Da Esquina იდეალური ადგილია ლეგენდარული შეფის ვიტორ სობრალის კონცეფციასთან საზიარებლად. მიერთვით ტრადიციული პორტუგალიური წასახემსებლები ზღვის პროდუქტებზე მთავარი აქცენტით, ასევე, დამარილებული ვირთევზას კერძები.

COZINHA DA FELICIDADE

რესტორნის სახელწოდება „ბედნიერების სამზარეულოს“ ნიშნავს, თუმცა მისი შეფ-მზარეულის, სუზანა ფელიჩიდადეს გვარის გამოა შერჩეული. ოდესღაც იურისტი, ახლა კი მზარეული, რომელსაც სხვა რესტორნების გარდა

Mercado Da Ribeira-შიც აქვს ფერადოვანი კუთხე, პორტუგალიური არომატებით მრავალნაირ კულინარიულ გამოგონებებს გთავაზობთ.

HENRIQUE SÁ PESSOA

ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კლასის შეფ-მზარეულია, მისი კერძები, რომლებიც პორტუგალიური ტრადიციის მიხედვით იქმნება და საერთაშორისო კულინარიის შტრიხები გასდევს, ყველაზე პრეტენზიული კრიტიკოსების მოწონებას იმსახურებს.

O PREGO DA PEIXARIA


რა როლიც Pastel De Nata-ს ენიჭება პორტუგალიურ ცომეულში, იგივე აქვს Prego Da Peixaria-ს – სენდვიჩებში: ის ეროვნული ლეგენდაა. გასინჯეთ მათი კლასიკური სენდვიჩი – სუკის სტეიკი Bolo Do Caco-ს პურში მადერიდან, ან მისი მეორე ვერსია თევზით.

NÓS É MAIS BOLOS

ქალაქის საუკეთესო ნამცხვრები სწორედ აქ იყიდება. ეს ტრადიციული რეცეპტებით დამზადებული ან სულაც, კლასიკური ნამცხვრების ახლებური ვერსიებია და ყველა მათგანი უგემრიელესია. ინგრედიენტები და რეცეპტები იდეალურია – აქ არის ბევრი შოკოლადი, კარამელი, ნალები და კენკრა, ჩიზქეიქები, ბრაზილიური სტილის შოკოლადის Brigadeiros, ლიმონის ტარტები, ბანანის ნამცხვარი და ა. შ.

L' ÉCLAIR

Léclair ზუსტად იმ დროს დაარსდა, როდესაც Mercado Da Ribeira – 2014 წლის მაისში. მას შემდეგ იმ ადგილად იქცა, რომელსაც აუცილებლად უნდა ესტუმროთ მისთვის დამახასიათებელი სტილის, ინგრედიენტების გასაოცარი ხარისხისა და შეფ-მზარეულების ოსტატობის გამო. აუცილებლად გასინჯეთ ეკლერი მარილიანი კარამელით.



ღიაა: კვირა-ოთხშაბათი – 10.00-00.00, ხუთშაბათი-შაბათი – 10.00-02.00.
Mercado Da Ribeira, Avenida 24 De Julho



ლისაბონის ყველაზე ფეშენებელურ თავისუფლების პროსპექტზე Avenida da Liberdade-ზე, ისტორიულ კინოთეატრ Tivoli-ში სამ სართულზე განთავსებული JNCQUOI ყველაზე პრესტიჟული ადგილია. პარიზული განწყობებით შთაგონებული JNCQUOI პორტუგალიაში ამკვიდრებს ახალ კონცეფციას, რომელიც რესტორანს, ბარს, პროდუქტებისა და ტანსაცმლის მაღაზიებს აერთიანებს.

კონცეფციის ავტორი ამერიკო ამორიმის (Americo Amorim) უფროსი ქალიშვილი, პაულაა (Paula Amorim). ამერიკო პორტუგალიაში უმდიდრესი მეწარმეა, Grupo Americo Amorim-ის საქმიანობა კორპის საცობების, ენერჯეტიკის, ფინანსების, სატყეო მეურნეობის, უძრავი ქონებისა და ლუქსბრენდების სფეროებს მოიცავს.



JNCQUOI-ის რასტორანო

ეს გარემო მშვიდი სადილობის, საკვების დაგემოვნებისა და სიამოვნებისთვისაა შექმნილი. მრავალფეროვან მენიუში წარმოდგენილია ტრიუფელის ტორტილია, ბურატა, ალასკის კიბორჩხალები, თხის რაგუ, ახალი ვირთევზა ლობიოთი და წიწაკით, ზღვის ქორჭილას სევიჩე.

აქაური ღვინის მენიუ მთელ პორტუგალიაში ყველაზე გრცელია – ის 500 პუნქტისაგან შედგება. ძველი ფრესკები, შესანიშნავი ხედები რესტორანში წარსულის სამყაროს კოსმოპოლიტურ განწყობას ქმნის. ღია სამზარეუ-

JNCQUOI:

საკვები, სასმელი, მაღაზიები



JNCQUOI-ის ფილოსოფია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოდა შარხაულია მასტრონომიასთან სამ განსხვავებულ, მამრამ ურთიერთ-დაკავშირებულ სივრცეში.

ღიაა:
რესტორანი: ორშაბათი-კვირა – 12.00-24.00.

Delibar: კვირა-ოთხშაბათი: 12.00-24.00, ხუთშაბათ-შაბათი – 12.00-02.00.

Fashion Store: ორშაბათი-შაბათი – 10.00-20.00; კვირა – 12.00-20.00

Av. da Liberdade 182-184, 1250-146 Lisboa, Portugal



ლოში თამამ, ექსპერიმენტულ კერძებს ოსტატურად მოგიმზადებენ.

DELIBAR

აივანზე მოწყობილი ბარი, ძირითადად, მსუბუქ საუზმეს გთავაზობთ. მის ირგვლივ ღვინის ბუტიკი და გასტრონომიული მაღაზიაა, რომელშიც გულდასმით შერჩეული, დახვეწილი პორტუგალიური და ევროპული პროდუქტები იყიდება. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ნაირ-ნაირი ყველი და სხვა დელიკატესები. გირჩევთ, მიირთვათ ასთაკვების ჰოთ-დოგი, ალგარვეს ხამანწკები, ქორჭილა, ტრიუფელის ovos rotos და ვირთევზა.

FASHION CLINIQUE SHOP

JNCQUOI-ის მესამე სართულზე კონცეპტუალური მაღაზია Fashion Clinic Men არის განთავსებული. აქ საერთაშორისო ლუქსბრენდების შთამბეჭდავი პორტფოლიოა წარმოდგენილი: Balenciaga, Balmain, Christian Louboutin, Dior, Dolce & Gabbana, Givenchy, Gucci, Saint Laurent, Tom Ford და Valentino, აქვია, ასევე, Fashion Clinic-ის კერძო ლეიბლების კოლექცია. მამაკაცის სამოსი შეგიძლიათ შევეთითაც შეაკერინოთ.



ცალკე განყოფილება უკავია Laduree-ს (ფრანგული ლეგენდარული საკონდიტრო) დიდებულ საცხობს, ღვინის სადგეუსტაციო ზონას, ხელოვნების კუთხეს და Assouline-ის წიგნებს დიზაინის შესახებ.



CONFEITARIA DOS PASTÉIS DE BELÉM

ლისაბონის ყველაზე ძველი არა, მაგრამ ყველაზე ცნობილი საკონდიტროს მთავარი სიამაყე – Pastéis de Belém-ია, რომლის რეცეპტი, ლეგენდის თანახმად, მის მესაკუთრეებს ახლომდებარე იერონიმიტების მონასტრის ბერებმა გაანდეს. ფენოვანი ცომისგან გამომცხვარი კალათებს კვერცხის კრემით მთელ პორტუგალიაში ამზადებენ, თუმცა ითვლება, რომ Pastéis de Belém-ს კონკურენციას ვერცერთი უწევს.



ღვებელი ერთ ევროზე ოდნავ მეტი ღირს და დღეში საკონდიტრო დაახლოებით 20 ათას ცალს აცხობს.

Rua Belém 84-92



CASA DOS OVOS MOLES

ეს ის ადგილია, სადაც სახელგანთქმულ ავეიროს უგემრიელეს „ტკბილ კვერცხებს“ (ovos moles) გასინჯავთ. კაფე საუკეთესო სამონაზვნო პორტუგალიურ ტკბილეულს ყიდის, რომელსაც ხუთსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აქ იხილავთ Celeste-ს სანტარემიდან, Dom Rodrigo-ს ალგარვედან, Fidalgo-ს ევორიდან, Pastel-ს ტენტუგალიდან, ტრადიციულ ბისკვიტის ნამცხვარ Pão de Ló-ს ოვარიდან, პუდინგ Abade de Priscos-ს ბრაგიდან და ა. შ. **ღიაა:** სამშაბათი-პარასკევი – 11.00-19.00; შაბათი-კვირა – 10.30-19.30

Calçada da Estrela, 142



CONFEITARIA NACIONAL

საკონდიტრო, სპირალური კიბით, ხის საკამებითა და დახლის უკან განლაგებული სარკეებით, 1829 წლიდან მუშაობს. აუცილებლად მიირთვით Bolo Rei – ცუკატებიანი სადღესასწაულო კექსი, რომელსაც ეს საკონდიტრო XIX საუკუნის შუა ხანებიდან აცხობს; საუკეთესო ნივთიან ან დარიჩინიანი ნამცხვარი, Aletria (კვერცხიანი ვერმიშელის ღვეზელი ლიმონითა და დარიჩინით) და შოკოლადის ძეხვი ნივთი – Salame de Chocolate.

Praça da Figueira 18B



A GINJINHA

Praça de São Domingos-ში მდებარე უძველეს ბარში ლიქიორი Ginjinha 1840 წლიდან იყიდება. ვალისიელმა იმიგრანტმა ფრანსიშკუ ესპინეირამ, რომლის პორტრეტიც ბარს ამაყად გადმოჰყურებს, ადგილობრივ ბერებს ურჩია, Ginjinha (ალუბალი) Aguardente-ში (მაგარი პორტუგალიური ბრენდი) შეერიათ, თან შაქარი, წყალი და დარიჩინი დაემატებინათ. უინ-უინის დღეს შოკოლადის კალათებში გისხამენ, რომელიც ლიქიორს უნდა დააყოლოთ. **ღიაა:** 09.00-22.00

Largo de São Domingos 8



A BRASILEIRA

პორტუგალიელები ნოსტალგიით იხსენებენ თავიანთი კოლონიური ძლევა-მოსილების დროებს, როცა მთელი მსოფლიოდან ლისაბონში აბრეშუმით, სანელებლებითა თუ ყავის მარცვლებით დატვირთული კარაველები შემოდოდა. აქაურებს ყავა დიდად არ მოსწონდათ, ამიტომ ბრაზილიელმა ადრიანუ ტელაშმა კაფე-მალაზია A Brasileira გახსნა და ყოველ სტუმარს ყავით უმასპინძლებოდა. მალე ყველა ლისაბონელი ყოველდღიურად პატარა ჭიქით ბრაზილიურ ყავას აქ მიირთმევდა.



ასეა დღესაც, ამ ისტორიულ კაფეში მაგიდას ლეგენდარული მწერლის, ფერნანდუ პესოას ქანდაკების გვერდით შეგიძლიათ მიუჯდეთ.

ჭიქა ყავის ფასი: 2€
Rua Garrett 120

PASTELARIA BENARD

პაშტელარია 1868 წელს დაარსდა და XIX საუკუნეში არისტოკრატების თავშეყრის უსაყვარლესი ადგილი იყო. დღეს აქ მთელ ლისაბონში საუკეთესო კრუასანს დაეგემოვნებთ.

Rua Garrett 104



CAFÉ NICOLA

1794 წლიდან არტ-დეკოს სტილის ულამაზეს შენობაში განთავსებული კაფე ყოველთვის მწერლებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების თავშეყრის ცენტრი იყო. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება ლანჩისტავის საუკეთესო ადგილად აღიარებულ კაფეში.

Praça Dom Pedro IV (Rossio) 24-25



SANTINI

Gelados Santini ყველაზე ცნობილი პორტუგალიური ნაყინია. მისი მფლობელი სანტინების ოჯახი საუკუნეებია ევროპის რამდენიმე სამეფო კარს ამარავებს.

Gelados Santini-ს ნაყინი ბუნებრივ ინგრედიენტებთან მაქსიმალურად მიახლოებული გემოსია.

R. do Carmo 9

AMORINO BAIXA

მთელ მსოფლიოში ცნობილი ნაყინს – Amorino-ს Baixa-ს რაიონში დააგემოვნებთ. Amorino Baixa საუკეთესო ხარისხის, გემოს და კონსისტენციის იდეალურ შეხამებას გთავაზობთ. Amorino-ს ნაყინის ყველა ინგრედიენტი ორგანულია. ნაყინის პოპულარული არომატები ვარირებს სხვადასხვა ხილიდან ეკვადორის შოკოლადამდე.



და სიცილიური ციტრუსებიდან ნამდვილ იტალიურ ესპრესომდე. სანაყინეში საუკეთესო ვაფლი, კრეპი და იტალიური ყავაც შეგიძლიათ მიირთვათ.

R. Augusta 209

ARTISANI

ნაყინის მოყვარულები თავად ადვენებენ თვალს მომზადების პროცესს, ის 100%-ით ადგილობრივი ნატურალური პროდუქტისგან მზადდება. მისი გემოების უზარმაზარი დიაპაზონი, რომელიც ლიმონით, ბაზილიკით, დარიჩინითა და თაფლით იქმნება, ნაყინის მოყვარულთათვის დიდი ცდუნებაა.

Av. Alvares Cabra 65B Lisbon

GELADOS CONCHANATA

1948 წელს ტარლათინის ოჯახის მიერ გახსნილი სანაყინე საუკეთესოს რეპუტაციას დღემდე ინარჩუნებს ლისაბონში.



ყველაზე პოპულარულია ბანანის, მანგოს და ფსტის ნაყინები.

Av. da Igreja 28A

COPENHAGEN COFFEE LAB

ყავა

ულამაზეს Praça das Flores-თან ძალიან ახლოს მდებარე ყავის ლაბორატორია ყავის მრავალფეროვან არჩევანს გთავაზობთ. ყავის მარცვლები, რომლებიც აქ სასმელს ამზადებენ, კოპენჰაგენში მდებარე კომპანიაში იხალება და მზადდება. **ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 08.00-18.00; შაბათი-კვირა – 10.00-18.00

Rua Nova da Piedade 10



HONORATO

ლანჩი

Honorato-ში 14 სახეობის ბურგერს გთავაზობენ კარტოფილ ფრისთან ერთად. აქ ორმოცდაათამდე არტიზანალურ ლუდსაც დააგემოვნებთ.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 12.00-00.00; პარასკევი-შაბათი – 12.00-02.00.

Largo Rafael Bordalo Pinheiro 12

TARTINE

ლანჩი

გარდა საცხობისა, აქ რესტორანიცაა, სადაც ტარტინებს (შემწვარი ძროხის ხორცის ტარტინი გამორჩეულად გემრიელია),

სალათასა და პასტას მოგართმევთ. ბრანჩისტავის Tartine იდეალური არჩევანია.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-20.00
R. Serpa Pinto 15-A



VOYAGER კომენტარი

- შეხვედრისას პორტუგალიელები აუცილებლად გადაკვიანთ თავიანთ ნაცნობებს, თუნდაც ისინი მხოლოდ ერთხელ ენახოთ. მამაკაცი მეგობრები ერთმანეთს თბილი ჩახუტებით ესალმებიან. მეგობარი ქალი ან კაცი და ქალი მეგობრები კი ერთმანეთს ორივე ლოყაზე თითოჯერ კოცნიან.
- პუნქტუალურობა პორტუგალიელებისათვის უცხო რამაა, უბრალოდ, იმიტომ რომ ადამიანები დროის მბრძანებლები არ არიან და იმიტომაც, რომ ამგვარი დამოკიდებულება მათთვის უფრო მოსახერხებელია.
- პორტუგალიურში სიტყვას „obrigado“ („მადლობა“), ან, სიტყვა-სიტყვით, „ვალში ვარ“ – კაცები ამბობენ, ხოლო „obrigada“-ს – ქალები.
- ხუმრობისას არასოდეს მოიშველიოთ დაცინვა ან ირონია. იუმორის თავისი საზღვრები აქვს და აქ მას სხვების ან საკუთარი თავის დაცინვით არ გამოხატავენ. პორტუგალიელები თვით-ირონიას არ მიმართავენ. დაივიწყეთ სარკაზმი და მწარე გონება მახვილობა.

LIBERDADE — უმაღლესი კლასის შოპინგი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განიერ (20 მეტრით განიერია, ვიდრე პარიზის Champs-Élisées) და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ქუჩაზე.



LOJA DAS MEIAS

ეს ლისაბონის ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული სამოპინგო სივრცეა ორი ექსკლუზიური კუთხით, რომლებიც Dior-ისა და Celine-ის ბრენდებს ეთმობა. Loja das Meias-ის ფუფუნების მულტიბრენდული ქსელი პორტუგალიაში საუკეთესოდ მიიჩნევა. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი — 10.30-19.30

Avenida da Liberdade 254



STIVALI

ამ სივრცეში იხილავთ ისეთ ბრენდებს, როგორცაა: Valentino, Saint Laurent და Chloé. ეს არის მალაზიის მალაზიაში, Chanel-ის მსგავსად, ამ ბრენდებს ექსკლუზიური სივრცე ეთმობათ, ფეხსაცმლის, ჩანთებისა და აქსესუარების კოლექციით. აქვეა წარმოდგენილი Dolce & Gabbana, Moncler, Fendi, Brunello Cucinelli, Elli Saab, ალსანონიანი ლევენდარული Roger Vivier-ის კუთხეც, რომლის პორტუგალიური პრემიერაც Stivali-ში შედგა.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 10.00-19.00

Avenida da Liberdade 38B

OTRO PERFUME CONCEPT

„სუნამოს შერჩევა ხელოვნებაა“, — წაიკითხავთ მალაზიის ფასადზე. ამ უნიკალურ სივრცეში სუნამოები ისეა გამოფენილი, როგორც ძვირფასი ნივთები, მუზეუმის ექსპონატები ან იშვიათი სამკაულები. Otro Perfume Concept მაღალი კლასის სუნამოების ბაზარზეა დამკვიდრებული, აქ მხოლოდ საუკეთესო ბრენდებს იხილავთ, როგორცაა: Amuage, Clive Christian, Sospiro, Memo Paris, Nishane და სხვა. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი — 10.00-19.30



Avenida da Liberdade 180D

FASHION CLINIC WOMAN

Gucci, Givenchy, Isabel Marant, Stella McCartney, Balmain, Christian Louboutin, Aquazzura, Manolo Blahnik, Jimmy Choo-ს მუდმივად განახლებად კოლექციებს საუკეთესო ბაიერები არჩევენ. Fashion Clinic-ი შოპინგის მოყვარულებს სრული ბედნიერებისათვის ლევენდარულ ფრანგულ მაკარუნებსაც სთავაზობს პორტუგალიაში გახსნილ Ladurée-ს პირველ საკონდიტროში.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 10.00-19.30

Tivoli Forum (Avenida da Liberdade 180)



ANDRÉ OPTICAS

ეს სათვალეების მოყვარულთათვის ოცნების მალაზიაა. Liberdade-ზე მდებარე წამყვან ფილიალში ძენ-ბაღიცი არის, რომელიც განტვირთვაში დაგეხმარებათ. ექსკლუზიური სათვალეების გარდა აქ შეგიძლიათ შეიძინოთ მოდელი, რომელსაც საკუთარი დიზაინით შეუკვეთთ. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი — 10.00-19.30

Avenida da Liberdade 136-A



PURIFICACIÓN GARCÍA

ეს ესპანელი შემოქმედი თავის სამოსში სიახლეს, ხალისსა და ელევანტურობას უსვამს ხაზს, მასალად თანამედროვე ქსოვილებს იყენებს, თარგები კი გეომეტრიულია. კოლექციებში ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი და აქსესუარებია.

TIVOLI FORUM

შეუძლებელია, თვალი აარიდოთ Gucci-ს კოლექციას, შემდეგ კი აქ განლაგებული ისეთი მალაზიების დათვალიერების სურვილიც შეგიპყრობთ, როგორცაა: Machado Joalheiros, Fashion Clinic, Otro, Philosophie და Adolfo Dominguez. ქვედა სართულზე კი რესტორნებია — იდეალური ადგილი ლანჩისთვის ან წასახმსებლად შოპინგის დროს.



ღიაა: ყოველდღე — 10.00-19.00 (მალაზიები); 10.00-21.00 (რესტორნები)

Avenida da Liberdade 180

COS

ეს შვედური ბრენდის, COS-ის პირველი მალაზია პორტუგალიაში. მისი კონცეფციაა — „სტილი მოდაზე მალა დგას“. ბრენდი ქალისა და მამაკაცის სამოსს გთავაზობთ ფუნქციური დიზაინით, მაღალი ხარისხითა და აქსესუარებს. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი — 10.00-20.00; კვირა — 12.00-20.00

ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 10.00-20.00; კვირა — 12.00-20.00

Avenida da Liberdade 67C



ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 10.00-19.30.

Avenida da Liberdade 150-154



NUDE FASHION STORE

კონცეპტუალური მალაზიის ელევანტურ და მინიმალისტურ გარემოში, ნაცრისფერი, პრიალა ცემენტის კედლებით, ისეთი ბრენდები გამოფენილი, როგორცაა: Mes Demoiselles, Norma Kamali, By Timo, Cecilia Prado და კალიფორნიული Anine Bing. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი — 10.00-19.00

Travessa do Carmo 8



MA&CE

მარტა და სესილი (Ma&Ce) მოდით შეპყრობილი ორი მეგობარია, რომელთაც ლისაბონში ისეთი ბრენდები დაამკვიდრეს, როგორცაა: Claris Viro, Robin's Jeans, Stefan Green, Leonie და D.A.T.E. Sneakers. აქვე იხილავთ Christophe Sauvat-ის, Twin-Set-ის, Intropia-ისა და Reiko Jeans-ის ტანსაცმელსა და აქსესუარებს. **ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი — 10.00-19.00; შაბათი — 11.00-19.00

Rua Paiva da Andrade 1

LUVARIA ULISSES

ლისაბონის ცენტრში მდებარეობს ევროპის ყველაზე პატარა მალაზია Luvaria Ulisses. ამ „სათავსოში“, რომელიც დაახლოებით წიგნის კარადის ზომისაა, შეგიძლიათ შეიძინოთ ან შეკვეთით შეაკერინოთ ტყავის იდეალური ხელთათმანები. მომსახურება ინდივიდუალურია, რადგან 2 კვ. მ ფართობზე მხოლოდ ერთი კლიენტი ეტევა. ტექნოლოგიები და მომსახურება 1925 წლიდან ანუ იმ დღიდან არ შეცვლილა, რაც მალაზია გაიხსნა. **წყვილი ხელთათმანის ფასი:** 40 €.

Rua do Carmo 87

LIVRARIA BERTRAND

1732 წელს დაარსებული Livraria Bertrand მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მოქმედი წიგნის მალაზიაა. აქ უამრავი ოთახია, რომლებშიც სხვადასხვა თემატიკის წიგნები.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 09.00-22.00; კვირა — 11.00-20.00

Rua Garrett 73-75



ISABEL LOPES DA SILVA

მალაზიის მეპატრონე ისაბელ ლოპე ანტიკვარული სამკაულის საუკეთესო კოლექციას სთავაზობს ანტიკვარიანის მოყვარულებს.

Rua da Escola Politécnica 67

21PR CONCEPT STORE

კონცეპტუალური მალაზიები Príncipe Real-ის ცხოვრების სტილია. 21PR-ში მოდური პროდუქციის უნიკალურ კოლექციას აღმოაჩენთ. აქ არის სამკაულები, დეკორატიული ნივთები და სურნელოვანი სანთლები ისეთი ბრენდებისა და დიზაინერებისგან, როგორცაა Fornasetti, MAD et LEN, L'Objet და Tom Dixon.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 10.30-20.00

Praça do Príncipe Real 21



EMBAIXADA

ეს გალერეა სასახლის ტიპის ნეომაგრიტანულ შენობაშია, რომელიც 1800-იან წლებშია აგებული. მის დარბაზებში ათობით ბუტიკია, სადაც ტრადიცია, კრეატიულობა, ინოვაციურობა დიზაინსა და მოდაში ერწყმის ერთმანეთს.

Embaixada-ში, ძირითადად, პორტუგალიელი დიზაინერების ნამუშევრებია წარმოდგენილი. უმშვენიერესი ინტერიერი მაგრიტანული არქიტექტურით შთაგონებული და არტ-ნუვოს დეტალებითაა გაფორმებული.

აქ არის საგამოფენო გალერეები და რამდენიმე რესტორანი ღია ცის ქვეშ ეგოში.

Praça do Príncipe Real 26



CASA PAU-BRASIL

ამ ნათელ მალაზიას ქალაქში ტროპიკული სივრცე შემოატყეს. Casa PauBrasil ცნობილი ბრაზილიელი დიზაინერების პორტუგალიურ და ევროპულ ბაზარზე წარმოდგენი პლატფორმაა.

17 დიზაინერის გარდა, მალაზია პოპულარიზაციას უწევს კოსმეტიკის და გასტრონომიულ ბრენდებსაც.

ღიაა: 12.00-20.00



Rua da Escola Politécnica 42

SKINLIFE BY DENNIS & PATRICK

აქ ნიშურ კოსმეტიკურ პროდუქტებს და მაღალი კლასის პარფიუმერიას დიდი სიფრთხილით არჩევენ (მათ შორისაა Frederic Malle, Eve Lom და Atelier Cologne).

ამ სივრცეში დახვეწილ გარემოს, პერსონალურ კონსულტაციას და სპა-პროცედურებს შემოგთავაზებენ.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 10.30-19.30

Rua Paiva de Andrade 4



FIGARO'S BARBER SHOP

ძველებური სადალაქოები ისევ მოდაშია. სწორედ ასეთია Figaro's Barber Shop, რომელშიც მხოლოდ კაცებსა და ძაღლებს შეუძლიათ თმის შეჭრა.

აქაური ვარცხნილობების სტილი 20-იანიდან იწყება და 50-იან წლებსაც მოიცავს. ამ სადალაქოში წვერს სამართებით გაგპარსავენ და ქაფს ცხელი პირსახოცით მოგამორებენ, Figaro's Barber Shop-ში დევიდ ბექჰემიცი კი ნამყოფია.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი — 11.00-20.00



Rua do Alecrim 39; Rua da Madalena 63



BOUTIQUE DOS RELÓGIOS PLUS AVENIDA

Breguet, Breitling, IWC, Chanel, Blancpain, Piaget, Bulgari, Jaquet Droz, Omega, Greubel Forsey, Longines, Richard Mille, Girard Perregaux, Hublot, Audemars, Piguet... ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

Boutique dos Relógios Plus Avenida საათების მოყვარულთა ტაძარია. მაღაზიაში ღვინის ბარი და „პორტუგალიური კუთხე“ – აზულუეუთი დეკორირებული დარბაზი.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-19.00.

Avenida da Liberdade 129

LEITÃO & IRMÃO

1887 წელს Leitão & Irmão-ს სამეფო გვირგვინის იუველირის საპატიო წოდება მიენიჭა. მათ სახელოსნოებში მეფეებისა და დედოფლებისთვის, რომის პაპებისა და იმპერატორებისთვის განკუთვნილი ძვირფასეულობა მზადდებოდა.

1822 წელს დაარსებული, თითქმის Cartier-ს ასაკის ბრენდი პორტუგალიური სუფრის ვერცხლეულისა და სამკაულების სამყაროში

უცვლელ სახელად რჩება. მისი კოლექციებში ნახავთ ინდივიდუალური დიზაინით დამზადებულ ნიშნობის ბეჭდებს, სამკაულებს, დანაჩანგალსა და სუფრის საგნებს. **ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 10.00-20.00; შაბათი-კვირა – 10.00-19.00

Largo do Chiado 16-17



ELEMENTS

ინოვაცია და შემოქმედებითობა შესანიშნავადაა წარმოჩენილი პორტუგალიური ბრენდის, Dos Santos-ის ნაკეთობებში. Elements-ში შეიძენთ ასევე ბრენდების – Antonio Bernardo, Niessing, Meister და Vanrycke – სამკაულს.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-23.00

Amoreiras Shopping Centre



MARIA AVILLENZ JEWELLERY

იუველირ მარია ავილენის ნამუშევრებს საფუძვლად სხვადასხვა მასალის ძიება, გრაფიკული და მარტივი ფორმები უდევს. მისი სახელოსნო პუბლიკისთვის ღიაა და ავტორი პირადად იღებს შეკვეთებს.

ღიაა: სამშაბათი-პარასკევი – 12.00-19.00

Rua da Lapa 104B



EL CORTE INGLÉS

Burberry, Loewe, Ralph Lauren, Carolina Herrera, Longchamp, La Perla, Escada, Bulgari, Versace, Sergio Rossi და Coach სულ მცირე ნაწილია იმ მაღალი კლასის ბრენდებისა, რომლებიც აქაა წარმოდგენილი. El Corte Inglés-ის შოპინგმოლოები ესპანეთის საზღვრებს გარეთ მხოლოდ პორტუგალიაშია წამოდგენილი. **ღიაა:** ორშაბათი-ხუთშაბათი – 10.00-22.00; პარასკევი-შაბათი – 10.00-23.30.

Avenida António Augusto

KNOT

საბავშვო ტანსაცმლის პორტუგალიური ბრენდის სამოსი კლასიკური სტილისაა და მაღალი ხარისხის მასალით, დახვეწილი დეტალებითა და ფერების ჰარმონიული კომბინაციებით გამოირჩევა. Knot-ის ნაწარმი 10 წლამდე გოგონებისა და ბიჭებისთვისაა განკუთვნილი. მაღაზიაში ასევე არის ჩვილებისთვის განკუთვნილი პროდუქცია, აქსესუარები, საავტორო სუნამო და ფეხსაცმელი.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-23.00.

Centro Colombo (Avenida Lusíada); Amoreiras Shopping Centre (Avenida Eng. Duarte Pacheco)



PÓ DE TALCO

თუ ბავშვის ცხოვრებაში გამორჩეული მოვლენისთვის შესაფერის სამოსს ეძებთ, ამ მაღაზიაში უნიკალურ ტანსაცმელს აღმოაჩენთ. 30-წლიანი გამოცდილების მქონე პორტუგალიური ბრენდი დეტალებსა და ქსოვილების ხარისხს დიდ ყურადღებას უთმობს. აქ ასევე შეიძენთ ჩვილის ტანსაცმელს, შორტებს, მაისურებს, კაბებსა და აქსესუარებს. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი – 10.30-19.30

Rua da Escola Politécnica 82-A

VOYAGER კომანდარი

მაღაზიები საშუალო დღეებში დილის 9 ან 10 საათიდან 19.00 საათამდე ღიაა. ზომიერად მაღაზია სადილის შუაპერიოდში იკაბება 13.00-იდან 15.00 საათამდე. შაბათობით, იანვრიდან ნოემბრამდე კვირიდან მაღაზიების უმეტესობა 13.00 საათზე ამთავრებს მუშაობას, მაგრამ ქალაქის ცენტრში ყოველთვის არის მაღაზიები, რომლებიც დღის მთელი ნახევარშიც ღიაა. დიდი სა-ვაშრო ცენტრები გამოსასვლელი დღეების გარეშე მუშაობს, 10.00-იდან 24.00 საათამდე.

LUX FRAGIL


Doca do Jardim do Tabaco, Alfama

კლუბის ერთ-ერთი მესაკუთრე მსახიობი ჯონ მალკოვიჩია. აქ სამი საცეკვაო მოედანია: თანამედროვე საკლუბო მუსიკის სივრცე, ალტერნატივისა და ჯაზის და სახურავზე – ბარი-ტერასა. ექსტრავაგანტურ ინტერიერში ბროლის ტაბები, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ნეონის განათების ჯოხები და უზარმაზარი მთავარი საცეკვაო მოედანია. გარდა მრავალფეროვანი მუსიკისა, სტუმრებს უამრავ კლასიკურ სასმელსა და კოქტეილს სთავაზობენ.

ლისაბონის ყველაზე ცნობილი კლუბი 1998 წლიდან არსებობს ნავსადგომის ძველი საწყობის შენობაში, სადაც ახლა მსოფლიოში სახელგანთქმული DJ-ები უკრავენ. **ფესიკონტროლი მკაცრია, შესვლის საფასური კი – 12-30€.**

ღიაა: ხუთშაბათი-შაბათი – 23.00-06.00

Av. Infante Dom Henrique



SILK CLUB

Chiado

ეს სივრცე რესტორნის, სახურავის ბარისა და კლუბის კომბინაციაა. ეს ელემენტური და ექსკლუზიური ადგილია, პრემიუმკლასის ლაუნჯის გარემოთი. აქ შეგიძლიათ მიირთვათ სადილი, შემდეგ საღამო კოქტეილების დაგემოვნებაში გაატაროთ, ღამით კი ცეკვით დაიღალეთ. კლუბში კოქტეილების, საუკეთესო სასმელებისა და შამპანურის ფართო არჩევანია. ორშაბათიდან შაბათის იათვლით 19:00-იდან შეგიძლიათ იაპონურ რესტორანში ისადილოთ ან კოქტეილი შეუკვეთოთ, მაგრამ თუ მოგვიანებით მისვლას გეგმავთ, მაგიდა აუცილებლად დაჯავშნეთ.

Silk-ში მხოლოდ 21 წელს გადაცილებული სტუმრები დაიშვებიან.

ღიაა: სამშაბათი-ოთხშაბათი – 19.00-01.00; ხუთშაბათი-შაბათი – 19.00-04.00; კვირას და ორშაბათს დაკეტულია.

Rua da Misericórdia 14 (VI სართული)



BOSQ

LX Factory, Alcântara

სახელგანთქმული LX Factory-ს ორ სართულზე გაშლილი Bosq-ი ხალხმრავალი ღამის კლუბი და ბარია, რომელიც ყველა მუსიკალური ჟანრის მოყვარულს სასიამოვნოდ გააკვირვებს. ერთ სართულზე საინტერესო დარბაზს აღმოაჩენთ, ფოლიაჟით დაფარულ კედელს და ცხოველების იუმორისტულ ილუსტრაციებს. საცეკვაო მოედანი დიდი და 80-იანების, 90-იანების და 2000-იანების ჰიტებზე მოცეკვავე, ლისაბონის ყველაზე მხიარული მაცხოვრებლებითაა სავსე.

მეორე სართულზე სულ სხვა ატმოსფეროა – აქ LED-განათებითანი ჭერი და მისტიკური საცეკვაო მოედანია.

ამ სართულზე მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული DJ-ები უკრავენ. როცა Bosq-ი ცნობილ DJ-ს მასპინძლობს, კლუბი სწრაფად ივსება, ამიტომ რიგში ადრე ჩადექით.

ღიაა: პარასკევი-შაბათი – 23.00-05.00

Rua Rodrigues de Faria 103

INCOGNITO

Bairro Alto

ამ ორსართულიანი კლუბისთვის სახელი სწორად შეურჩევიათ, რადგან მის კარებზე დასახელება არ წერია და შიგნით მოსახვედრად ზარი უნდა დარეკოთ. ეს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ძველი კლუბია და მუსიკა, რომელიც უღერს, მისი დაფუძნების შემდეგ დიდად არ შეცვლილა – აქ ხშირად უკრავენ 80-იანების მელოდიებს, ინდის, ალტ-პოპსა და ტექნოს. ზედა სართულზე ბარია, ხოლო სარდაფში – ხალხით სავსე და ხმაურიანი საცეკვაო მოედანი.

ღიაა: ოთხშაბათი-შაბათი – 23.00-04.00

Rua dos Polais de São Bento 37



DOCK'S CLUB

Alcântara

ეს კლუბი მრავალფეროვან მუსიკას გთავაზობთ, პოპით დაწყებული, ტრანსით დამთავრებული, თუმცა, ანგლო-საქსური გავლენების გამო, აქ ყველაზე ხშირად აფრიკული რიტმები ისმის. უზარმაზარი დივნები და კომფორტული სავარძლები იდეალურია რელაქსაციისთვის და სასმლის დასაგემოვნებლად, მანამ სანამ საცეკვაო მოედანზე გახვალთ.

ღიაა: ხუთშაბათი-შაბათი – 22.00-06.00

Rua da Cintura do Porto de Lisboa 226



UTOPIA

Monte Estoril

ლისაბონთან ახლოს მდებარე საზღვაო კურორტ ეშტორილის ყველაზე ძველ სასტუმროში გახსნილი Utopia Beach Bar ჯაზის ეპოქაში დაგაბრუნებთ.

ის პლაჟის ბარია, სადაც კლასიკური სტილი მეფობს, გარშემო მდებარე ზღვისპირა სივრცე კი სასიამოვნო შეგრძნებებს აღძრავს. ეს ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი სანაპირო ბარია, რომელიც კი ოდესმე გინახავთ.

ფერწერული ტილოები, წიგნების თაროები, ოქროს სარკეები და შანდლები, ყავისფერი ტყავის ავეჯი შესანიშნავ დეკორს ქმნის. აქაური მომგრო ზომის დელიკატესები, მსოფლიო კლასის ღვინისა და კოქტეილების მენიუ იდეალურად ეხამება ზღვის ხედვებს.

ღიაა: ყოველდღე – 16.00-02.00

Avenida de Sabóia 486



PENSÃO AMOR

Bairro Alto, Bica & Cais do Sodre

გახსნის დღიდან ეკლექტური Pensão Amor („სიყვარულის პანსიონი“) სახელოვნებო და ინტელექტუალური წრეების თავშეყრის ადგილია. აქ დასალევად, სასაუბროდ, აზრების გასაზიარებლად იკრიბებიან. ბარში შესვლისას ფერად სამყაროში მოხვდებით, სადაც წითელი ფერების მისტიკა და საუკეთესო კოქტეილებია. კედლები ეროტიკული ნახატებით, სარკეებითა და ბურლესკის მოცეკვავეთა პლაკატებითაა დაფარული.

შენობის ისტორიის პატივსაცემად შექმნილი მყუდრო განათება ორთქლისმაგვარ ზოლებს ქმნის. კრეატიული კოქტეილები, კრავტული ლუდი და ღვინო დაუვიწყარ შთაბეჭდილებას მოახდენს.

ღიაა: ყოველდღე – 14.00-03.00.

Rua do Alecrim 19



PAVILHÃO CHINÊS

Bairro Alto, Bica & Cais do Sodre

უცნარი ბარში სახელწოდებით „ჩინური პავილიონი“ გეგონება, რომ სასმელს მუზეუმში შეექცევი. ამ შენობაში ჯერ სურსათით, მოგვიანებით კი ძველი, უცნაური ნივთებით ვაჭრობდნენ. თანდათან Pavilhão Chines ლისაბონში ყველაზე პოპულარულ ბარად იქცა, რომელიც სხვა დროსა და სივრცეში გადავიწყვანთ – კედლები და ხის კარადები მორთულია წარსული ეპოქების, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დამზადებული ნივთებით – არტეფაქტებით, რუკებითა და მინიატურული თვითმფრინავებით.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 18.00-02.00; კვირა – 21.00-02.00.

R. Dom Pedro V 89



CINCO LOUNGE

Príncipe Real

კოქტეილ-ბარს მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი შეფი ჰყავს. აქ უგემრიელესი კლასიკური კოქტეილების გარდა, იმ შთაბეჭდავი გამოგონებების დაგემოვნებაც შეგიძლიათ, რომელთა დასამზადებლადაც მხოლოდ პრემიუმკლასის სპირტიანი სასმელები და ახალი ხილი გამოიყენება.

დასვენებისათვის საუკეთესო კლუბი ასამდე კოქტეილს გვთავაზობს. ეს შარშან წლის ბარმენად აღიარებული მიქსოლოგის, ჟოზე მარია რობერტსონის შშობლიური ბარია.

ღიაა: 09.00-02.00

Rua Ruben A. Leitão 17-A

ბარებისა და კლუბების უმეტესობა კვირას და ორშაბათს დაკავშირებულია.



RADIO HOTEL

Alcântara

პრემიუმკლასის კლუბი, სოციალური ბარი და ცოცხალი მუსიკა ყველას იზიდავს, განსაკუთრებით თემატური საღამოების (Brown Sugar) დროს (ადრევე დაიჭირეთ თადარიგი, თორემ გრძელ რიგში აღმოჩნდებით).

ინტერიერში ავეჯის ეკლექტური ნაკრები და ნენის დაბინდული შუქია. ორდონიანი საცეკვაო მოედნიდან კოქტეილ-ლაუნჯსა და VIP-ზონაში მოხვდებით. საუკეთესო DJ-ები თანამედროვე მუსიკას ასრულებენ. კლუბის ექსკლუზივია ჯინ-ტონიკი, რომელსაც მარწყვსა და კიტრთან ერთად მოგართმევენ. **ღიაა:** პარასკევი-შაბათი – 23.00-04.00.

Trav. Conde da Ponte 12



LER DEVAGAR

LX Factory , Alcântara

ეს გასაოცარი წიგნის მაღაზია და ბარი LX Factory-ს შემოქმედებითი სივრცის საუკეთესო ქმნილებაა, რომელიც Ponte 25 de Abril-ის ხიდის ქვეშ, Alcântara-ს რაიონში, ყოფილი ფაბრიკის შენობაში მდებარეობს.

ორი უზარმაზარი სართული სავესტაძველი წიგნებით, რომელთა შორისაც შეგიძლიათ ბართან დასალევად ჩამოვდეთ. აქ თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები, პერფორმანსები და საკვირაო ძველმანების ბაზრობები იმართება. რაიონი განთქმულია ყოფილი ფაბრიკების შენობებით, რომლებშიც ოცამდე ბარი და რესტორანია განთავსებული.

ღიაა: ორშაბათი, კვირა – 12.00-21.00, სამშაბათი-ხუთშაბათი – 12.00-00.00, პარასკევი-შაბათი – 12.00-02.00.

R. Rodrigues de Faria 103

RED FROG

Avenida da Liberdade

Speakeasy-ის, ანუ ალკოჰოლით არაღვარად მოვაჭრე ამერიკული ბარის სტილში მოწყობილი სივრცეში ისეთ კოქტეილებს მოგართმევენ, როგორსაც „მშრალი კანონის“ ეპოქაში ოკეანის გაღმა ამზადებდნენ. ბარში შესასვლელად ღილაკს თითი უნდა დააჭიროთ. მოხერხებულად მოწყობილი ბარი და დიდებული საკოქტეილო დარბაზი ელეგანტური სავარძლებით განუმეორებელ ატმოსფეროს ქმნის. ფონად გაისმის წყნარი მუსიკა, ჯაზი, ფანკი, როკი. დეკორი 1920-30-იანი წლებითაა შთაგონებული. **ღიაა:** ყოველდღე – 18:00-02:00; კვირას დაკავშირებულია.

Rua do Salitre 5A



THE INSÓLITO

Bairro Alto

The Insólito-ს ულამაზესი ტერასა აქვს და ქალაქის საუკეთესო ხედებს გადაჭყურებს. აუცილებლად გასინჯეთ აქაური Deer Bloody Mary – საუკეთესო არაყი შინაურული Bloody Mary-ს ნაზავით, ახალი მოცარელათი და ბაზილიკით.



ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 18.00-00.30, კვირას და ორშაბათს დაკავშირებულია.

Rua de São Pedro de Alcântara 83

ROOFTOP BAR

Baixa Pombalina

ამ ფანტასტიკურ ბარს, რომელიც სასტუმრო Mundial-ის სახურავის ტერასაზე მდებარეობს, აუცილებლად მზის ჩასვლისას უნდა ეწვიოთ. პანორამული ლაუნჯიდან ლისაბონის განუმეორებელი ხედი იშლება, უგემრიელესი კოქტეილების გარდა, ზაფხულში აქ სტუმრებს DJ-ის Sunset-წვეულებები იზიდავს. **ღიაა:** 18.30-00.30

Praça Martim Moniz 2



VOYAGER კომენტარი

ლისაბონის ღამის ვართობა მთელ ევროპაში საუკეთესოადაა აღიარებული. პარასკევს საღამოს უამრავი ადგილობრივი თუ სტუმარი Bairro Alto-ს რაიონისაკენ მიდის ანდა Cais do Sodré-ს სანაპიროზე ეშვება. ბარები სამუშაო დღეებში ღამის 2-ზე იხურება, ხოლო დასვენების დღეებში – 3 საათზე. სწორედ ამ დროს ვართობის მოყვარულები კლუბებში გადაინაცვლებენ ხოლმე. ბარებისა და კლუბების უმეტესობა კვირას და ორშაბათს დაკავშირებულია.

O BOM O MAU E O VILÃO

Bairro Alto, Bica & Cais do Sodre

სერჯო ლეონეს ფილმის – „კარგი, ცუდი და ბოროტი“ – სახელი ამ ამბიციური პროექტისთვის ისესხეს.

აქ ყველაფერია თავმოყრილი – ბარი, რესტორანი, კინოკლუბი და მუსიკალური დარბაზი, სადაც ყოველდღიურად კონცერტები ან DJ საღამოები ეწყობა. ლისაბონის სხვა ბარებისგან განსხვავებით, ამ ბარში ჰაუსისა და ელექტრონიკის ნაცვლად, სოული, ფანკი, აფრობითი და ჯაზი უდერს. გარდა უამრავი საინტერესო ფუნქციისა, აქაური ატმოსფერო, ვინტაჟური ინტერიერი და სასმელების ფართო არჩევანიც შთაბეჭდავია.

მეგობრებთან ერთად დროის გასატარებლად ეს იდეალური ადგილია, თანაც, 19.00-21.00 საათებში ბევრი სასმლის ფასი იკლებს.

ღიაა: ორშაბათი-ხუთშაბათი – 19.00-02.00, პარასკევი-შაბათი-19.00-03.00.

Rua Do Alecrim 21



LARGO

Chiado

სავერდით გაწყობილ რესტორანსა და ბარში 80 სხვადასხვა ბრენდის პრემიუმკლასის ჯინ-ტონიკის მენიუს შემოგთავაზებენ. ძველი მონასტრის, Convento da Igreja dos Mártires-ის ყოფილ ნაგებობაში განთავსებული სივრცე ქალაქის ყველაზე პრესტიჟული რაიონში მდებარეობს.

რესტორან Largo-ს შეფ-მზარეული ცნობილი მიველ კასტრო სილვაა, ხოლო ბარში საუკეთესო კოქტეილებს დააგემოვნებთ.

ღიაა: ყოველდღე – 12.30-15.00; 19.30-00.00.

Rua Serpa Pinto 10A



საშუალო ფასები:
კოქტეილი – 7.50€
ლუდი (0.5ლ) – 4.50€
ღვინო – 4.50 €

ღიაა: ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი – 12.30-02.00, სამშაბათი – 18.00-02.00; ორშაბათს დაკავშირებულია.

R. Rodrigues de Faria 103



RIO MARAVILHA

LX Factory , Alcântara

აქ პანორამული ტერასა, რესტორანი და ბარია. დიდ დარბაზში მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ცნობილი მუსიკოსები გამოდიან.

სასმელების მენიუდან გემრიელი კოქტეილები ბარშიც, ტერასაზეც და რესტორანშიც შეგიძლიათ შეუკვეთოთ – Pop Rocks Margarita ტეკილით, უოლოთი და შუშუნა კანფეტით, ასევე ანანასის რომი ლაიმისა და ანანასის წვენიც, თაფლით, რომზარინითა და წიწკაით.



ლისაბონი

ლაშა ბულაძე

2000 წელს სრულიად ორიგინალურ მოგზაურობაში აღმოჩნდი, რომელიც ლისაბონიდან დაიწყო და ბერლინში დასრულდა. ჩემს ორ ქართველ და ას არაქართველ კოლეგასთან ერთად გადავსერე ევროპა და წლების შემდეგ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით დავეწერე რომანი „ლიტერატურული ექსპრესი“, სადაც უცვლელად დავტოვე ქალაქები, მწერლებით სავსე მატარებელი და მოგზაურობის კონცეფცია, ხოლო რეალური ადამიანები, ეთიკისა თუ სხვა დელიკატური მოსაზრებების გამო, შევცვალე ჩემ მიერ გამოგონილი პერსონაჟებით.

არ შემიცვლია პირველადი შთაბეჭდილებები და ნებისმიერი მოგზაურობისთვის დამახასიათებელი მშფოთვარე თუ მხიარულებით გავრეხული ეპიზოდები, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება უაღრესად არამხიარულ კონტექსტს, 2008 წლის ომს დაუკავშირე. ამ ეპიზოდში ქართველი მწერლების ლისაბონში ჩასვლა აღწერილი, საიდანაც მათი ევროპული თავგადასავალი იწყება. როგორც ჩემთვის, ისე რომანის გმირებისთვის პორტუგალია მართლაც აღმოჩნდა ევროპის კარიბჭე. რამდენი დრო გავიდა ამ მოგზაურობიდან, მაგრამ ჩემთვის ჯერაც გაუღეველ და მიმზიდველ შთაბეჭდილებად რჩება უნიკალური ქალაქი ლიშბოა...

ფრაგმენტი რომანიდან „ლიტერატურული ექსპრესი“

ლისაბონი

ვდგავართ მე და პოეტი ზ. მეიფარიანი აეროპორტის გასასვლელში და იმ ერთ ადამიანს ვეძებთ, რომელსაც ჩვენი სახელები უნდა ეწეროს ფურცელზე. ჩვენთან ერთად უამრავი მგზავრი ჩამოდის, მრავლად არიან ფურცელმომარჯვებული დამხვედრებიც, მაგრამ ჩვენი სახელები და გვარები არცერთ მათგანზე არ წერია. სულ უცნობი სახელ-გვარებია.

ჩვენთან ერთად გამოსულებმა უადვილესად მიაგნეს თავიანთ თავებს (თუ გვარებს), მე და ზვიადი კი სოკოებისგან დავერჩეთ გასასვლელში.

უკვე ვიცი, რასაც ვიზამ: ჰაინცის ტელეფონი მიწერია, მიწერია ვინმე ილიკოს ნომერიც (მითხრეს, რომ ეს ილიკო გერმანიაში მცხოვრები ქართველი სტუდენტია და ჩვენი ჯგუფის, ესე იგი, ჩემი და ზვიადის ექსკურსიამძღოლი თუ რაღაც ამდაგვარი იქნება), თუ რამეა, დავრეკავ.

– გადაგვაგდეს? – რიტორიკულ შეკითხვას სვამს ზვიადი, თუმცა ტონზე ეტყობა, რომ ეს ამბავი დიდად არც ალღევებს: ჩემი იმედი აქვს.

– გერმანელები არ გადაგვაგდებდნენ, – ვამბობ, – გამოირიცხულია. ჩვენ ხო არ აგვერია რამე?

– სხვაგან ჩამოვედით, ზაზ? – ხუმრობის ხასიათზე დგება.

მე კი ამ დროს ერთი შეხედვით კომიკურ, მეორე მხრივ (თუკი კარგად დავფიქრდებით), სამწუხარო რეალობას ვაცნობიერებ: ის, რაც ერთ-ერთ სახეგარუჯულ, პრიალაფეხსაცმლიან ახალგაზრდა კაცს უწერია ფურცელზე, ჩვენი, ჩემი და ზვიადის სახელები და გვარებია და არა რომელიღაც საყოფაცხოვრებო ნივთის დასახელება: Mr. Xaxa, Mr. Jviadh, Welcome to Lisboa!

თქვენ ალბათ წარმოდგენა არა გაქვთ, როგორი შეურაცხყოფელია, როცა პრიალაფეხსაცმლიან პორტუგალიელთან მიდიხარ და ეუბნები, რომ ეს ქსაქსა სწორედ შენ ხარ; რომ ასე მხოლოდ იმიტომ დადლილა აქ დგომით, რომ რაღაცებს, ქსაქსასა და ჟვიადს დახვედროდა.

– ზ არა აქვთ ამათ? – შეკითხვა გაოგნებული ზვიადი, მე კი ხელს ვართმევ ჩვენს დამხვედრს და თვალთმაქცური ლიმილით (სინამდვილეში, ზიზლით) ვეუბნები:

– ჰაი, აი ემ ქსაქსა.

– ზდრავსტვიტე, – ეუბნება ზვიადი და აქ ირკვევა, რომ მან ინგლისური არ იცის.

ავტობუსი, რომელშიც შეგვსხეს, სრულად ასახავდა ოთხმოცდაათიანი წლების პოსტსაბჭოურ კონფლიქტებს: წინა სავარძლებზე სომეხი მწერლები ისხდნენ – ქალბატონი ანა-იტი და ბატონი არტურ ზეითუნციანი, სადღაც შუაში აზერბაიჯანელი ელდარ ალიევი (გამიკვირდებოდა კიდევ, სხვა გვარი რომ ჰქონოდა), სულ უკან, ბოლო, შემადგენელი რიგის ცენტრალურ სკამზე – ჩეჩენი პოეტი რაულ აღდამოვი. რუსები ჩვენს მერე ამოვიდნენ ავტობუსში და რუსული აქცენტით მოგვამახეს: „ხელოუ“. ერთი, წვერიანი და სათვალისანი, შედარებით ახალგაზრდა იყო (მას პატარა რუსი ეწოდა), მეორე – წითელსახიანი და ხნიერი (შესაბამისად, დიდ რუსად სახელდებული). ამ მეორეს ხელთ თერმოსივ ეპყრა.



სომეხებს ინტელიგენტურად ეჭირათ თავი, მშობლებივით გვიღიმოდნენ და დინჯად საუბრობდნენ. ბოლომდე ვერ გავარკვიე, ვინ იყვნენ ეს ქალი და კაცი ერთმანეთისთვის: ცოლ-ქმარი, საყვარლები თუ უბრალოდ კოლეგები? ორივე ლირსეული ჯენობისკენ წასულიყო, თუმცა ხანდაზმულები ნამდვილად არ ეთქმოდათ. ქალი, როგორც შევატყვე, ელიტარულ სომეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა – თავზე ჩალმასავით მოხვეული, ვერცხლისფრად მბზინავი შარფით და სქელ ბარძაყებზე მჭიდროდ მოტყეცილი ჯინსებით.



ევროპის სუნი მაშინვე ვიგრძენი, როცა აეროპორტის შენობიდან გავედი. ჩემი ერთი ნაცნობი მეუბნებოდა, პორტუგალია ევროპის ერთ-ერთი ყველაზე წამხდარი ქვეყანააო, და მეც, სულელმა, დავიჯერე – არაფრის მნახველ ზვიადსაც კი იგივე ვუთხარი ბრძნული და მრავლისმნახველი იერით. ამ დროს სამოთხეში აღმოვჩნდი!

პორტუგალია მშვენიერი იყო. ჯანმრთელი და პრიალა გზატკეცილიც კი, რომელსაც ჩვენი ეთნოკონფლიქტური ავტობუსის ფანჯრებიდან ვხედავდით...

VOYAGER კომენტარი

ლისაბონის სტრიტარტი ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც, ძირითადად, ურბანული კურატორული პროექტების დამახაზრებაა – კურატორები მსოფლიოში სახელგანთქმულ არტისტებთან თანამშრომლობენ. ეს ეფემერული ხასიათის ხელოვნების ნიმუშები „გამოფენილია“ ისეთი შენობების კედლებსა და ადგილებში, რომელთა დანგრევასაც ან განახლებასაც აპირებენ.

მათი დათვალეობა კი უნიკალური მომენტის – დროის შეჩერების ტოლფასია. გამონახეთ დრო და ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვან ქუჩაზე აუცილებლად ნახეთ ნამუშევარი „Crono2“, რომლის ავტორებიც Os Gêmeos, Blu და Sam 3 არიან. ლისაბონის ისტორიის ეს პატარა ნაწილი თქვენთან სამუდამოდ დარჩება.



ალარაფერს ვამბობ კლდეზე შეფენილ ძველ ქალაქზე, პატარ-პატარა რესტორნებზე, რალაცნაირ სილაღეზე და ბედნიერების განცდაზე, რომელსაც ადამიანები დაატარებენ. სახლები, მოედნები, პატარა ქუჩები, კერძები, კლიმატი, ისტორიასთან შეხების შესაძლებლობა – ეს ყველაფერი ბედნიერად ყოფნის დამადასტურებელი ნიშნებით იყო აღბეჭდილი.

თავზე ჩამოცვენილი შთაბეჭდილებების მიუხედავად, ინტელიგენტურად მოსაუბრე სომხებს აშკარად არაკომუნიკაბელური და უინტერესო ქართველები შეხვდათ ჩვენი სახით. საშინლად გვეძინებოდა და ენას ვერ ვატრიალებდით. ჩვენი, ჩემი და ზვიადის სულები გუშინდელი თბილისში ჩარჩენილიყვნენ. აზერბაიჯანელი ელდარ ალიევი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, კავკასიელ ლიტერატორებს შორის ყველაზე ცნობილი მწერალი იყო, პოეტ ზვიადსაც კი ჰქონია მისი ერთი დეტექტივი წაკითხული. გამოძიებელი კრაუსი (თუ რაღაც ამის მსგავსი) სწორედ მისი გამოგონილი ყოფილა. ოცდაათი რომანი ჰქონდა ამ კრაუსზე დაწერილი, მე კიდე ვერაფრით ვხვდებოდი, როგორ იგონებდა ეს „ოფიციალურად“ გამოწყობილი კაცი დეტექტივებს. ჩემი ბავშვობის ცეკას მდივნებს ჰგავდა, კობტად იცვამდა და ქალებს ხაზგასმული ელეგანტურობით ეპყრობოდა.

ისე, წესიერი ევროპელი ნამდვილად თავს მოიკლავდა ჩვენს ავტობუსში. ღრმად არაპოლიტიკორექტული ვნებებისგან უკვე ჰაერიც კი ვიბრირებდა. რა სამწუხაროა, ჯერ ადამიანი არ გაგიცნია და უკვე გაღიზიანებს. არ იცი, როგორ წიგნებს წერს, როგორი თვისებები აქვს, კეთილია თუ არც ისე, მაგრამ რახან აზერბაიჯანელია და შენ კი, ვთქვათ, სომეხი, ესე იგი, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაღიზიანებდეს. ან ის რუსები, წარმოდგენაც არ მქონდა, რა სათნოებათა მფლობელები იყვნენ, მაგრამ მაინც მაშფოთებდნენ. ბომბების ხალხი. ესენი არ გვხვავდნენ მე და ელენეს ამ ერთი თვის წინ?! წინასწარი ინფანტილური განწყობები.

მოკლედ, რომ არა ჩვენი ქვეყნები, ჩვენს ავტობუსშიც ისეთივე გამჭვირვალე ჰავა იდგებოდა, როგორც ლიშბოას ოკეანის სურნელით გაუღვნილ ჰაერში იდგა.

ქართველი სტუდენტი ილიკო სასტუმროს ფოიეშივე გავვინო. ასეთი „ილიკოები“ სხვა ქვეყნების მწერლებსაც



დახვდნენ. სტუდენტიო, როცა მითხრეს, ვიფიქრე, ახალგაზრდა სტუდენტი გოგო ან ბიჭი დაგვხვდებოდა, სწავლის პარალელურად დამატებით შემოსავალს რომ ეძებს, თუმცა შევცდი – სტუდენტი ილიკო ერთი დალილი, ზომიერად შებერებული, შუბლზე თმაშეთხელებული ბერბიჭა აღმოჩნდა, რომელიღაც ლეგენდარულ სეილზე ნაშოვნი გაქუცული პიჯაკით – ისეთით, ფანტასტიკური ჟანრის ექსცენტრულ პერსონაჟს რომ მოუხდებოდა.

ილიკოს და ზვიადს თავიდანვე არ მოეწონათ ერთმანეთი. მე კი სიმპათიით განვეწყვე ამ უცნაური, მარტოხელა და ყოვლისმცოდნე ადამიანის მიმართ. მიყვარს, როცა ყოფით საკითხებზე სხვა მძღვეს მითითებებს. ამიტომ მომეწონა



თავის დროზე ელენე. ყველაფერზე ის იღებდა გადაწყვეტილებებს. რატომღაც ასე გამოვიდა. ვერ ვიტყვი, რომ ილიკო ელენეს მაგონებდა, მაგრამ მითითებების მიცემა ამანაც მშვენივრად იცოდა. ზვიადს, პირიქით, რაც მე მომწონდა, სწორედ ის აღიზიანებდა ამ ადამიანში.

– გასაღებებს მოგცემენ ეხლა, – გვიბრძანა მისალმება-გაცნობის შემდეგ, – მანდ აქვთ სარეგისტრაციო პუნქტი. დარეგისტრირდებითა და თქვენ-თქვენ ნომრებში ახვალთ. სიგარეტი არ მოწიოთ ოთახებში, თორემ სიგნალიზაცია ჩაირთვება და ჭიტლავს ამოგვკრავენ. ძველ უბანში ვართ. ქუჩებს მიმოედეთ. აქაურებს უყვართ, თუკი ფრანგულად ელაპარაკები და არა ინგლისურად. პორტოგალლო... გალები იცით, ვინ იყვნენ? – ფრანგები... ქართული არ იციან. თევზეულობა რესტორნებში – იცოცხლე, დიდებულია... პედრუ მეოთხეს მოედანზე გადიოთ – აი, მასშტაბი იქაა თუ არის... ევროპა თქვენთვის ამ ქვეყნიდან იწყება. სამზე პურის ჭამაა აქ. დილას რაღაც ნეხვი გვაჭამეს, მაგრამ ჩამოდით მაინც, დაგვინახონ. თან მოძლებით ცოტას.

გაღიზიანებულიც იყო და თან ხუმრობდა კიდევ. ასეთი საუბრის მანერა ჰქონდა.

– პორტუგალიაში თუ ასე გვაჭმევენ, პოლონეთში რაღას გვიბამენ! – გაიცინა ბოლოს და ლიფტებთან მიდგმული მაგიდებისკენ გაგვიძღვა.

სასტუმროს ფოიეს ერთ-ერთ კუთხეში ლიტერატურული ექსპრესის სარეგისტრაციო პუნქტი იყო გახსნილი. ღიმი-



ლიანმა და მკაცრმა გოგონამ ორი მცირე ზომის ჩანთა მოგვაჩენა და კეთილგანწყობილი სიხისტით მოგვაყარა ინფორმაცია (გერმანელი იყო, თუმცა ბრაზიანი ინგლისურით ლაპარაკობდა): – ჩანთაში ჩვენი მოგზაურობის რუკა დაგვდებათ, მონაწილეთა ფოტო-კატალოგი, ფული და ნომრების გასაღებები. ხუთ საათზე ყველანი ფოიეში უნდა ვიყოთ, კოლეგებს ვახშამზე გავცნობით. გოგონას ერქვა ირმელი, ჰქონდა ქერა თმა და მრგვალ-შუშინანი სათვალე ეკეთა.

ილიკო მკვიცხლად, ავთენტური გერმანულით გაესაუბრა და რაღაცაზე გააცინა კიდევ. უკვე ლიფტში კი ასე დაახასიათა: – გულკეთილი გოგოა, მაგრამ ფსიქოპათი. ბერლინიდან ვიცნობ მაგას. ერთ თურქ მეჩაიზე იყო გადაკიდებული, – მერე კი დარდიანად ამოიოხრა, – ეეჰ, რვა თვეა, სექსი არ მქონია. კი გაეთამაშებოდა ისე ამას კაცი...

მე და ზვიადი მეორე სართულზე დავბინავდით, ილიკო – მესამეზე. ზვიადის ნომრის ფანჯრები ძველ ლისაბონს გადაჰყურებდა, ჩემი – შიდა ეზოს. ცოტა ხანში ილიკო ჩამომადგა.

– ჩუსტები დაგიხვდათ თქვენა? – მკითხა. მივიხედ-მოვიხედე, საკიდის ქვეშ მართლაც იდო ერთჯერადი, ურბილესი ჩუსტები.

– აჰაი, არამზადები, ჩემთან კი არ დაუდიათ! ხალათიც გექნებათ მანდა, – თქვა და სააბაზანოში შეიხედა, თუმცა მისთვის საინტერესო ვერაფერი იპოვა.

– დავიჯერო, მარტო მწერლებს დაახვედრეს? – განაწყენებულმა დახედა ჩემს ჩუსტებს.

– წაილე, კაცო, ეს, – ვუთხარი, – მე ჩემები მაქ წამოღებული.

– ხოო? – თვალები აენთო სიხარულისგან. – უჩუსტებოდ ფეხს არ ვადგამ თბილისიდან.

– ჰო... კარგებია ესენი, – თქვა, ჩუსტები კი თავისი კუბოკრული პიჯაკის ჯიბეში ჩაიტენა, – მართლა ერთჯერადები კი არ არი, – ამისხნა, – მერეც შეიძლება გამოყენება, რატომ უნდა დავუტოვოთ აქა?! – ისა, – მომადახა გასვლის წინ, – ცოტა დაისვენეთ, ორ საათში პურისჭამაა! ლიშბოა გველის!

ღისაზონი ქვ. წ. 1200 წელს დაფუძნდა და დღემდე ევროპის ერთ-ერთ უძველეს დადასტურებულ ნაწარმად აღიარებულია.


ღისაზონი არცერთ ოფიციალურ საბუთში არასოდეს მოუხსენებიათ ქვეყნის დედაქალაქად. 1255 წელს აფონსუ III-ს მოსწყინდა მაშინდელი სატახტო ქალაქი კოიმბრა და სამეფო კარი ღისაზონში გადაიტანა, რომელიც სწრაფადვე იქცა პორტუგალიის უმნიშვნელოვანეს ქალაქად და დე-ფაქტო დედაქალაქად.

1808 წელს პორტუგალიის სამეფო ოჯახი ნაპოლეონის არმიას რიო დე ჟანეიროში გაექცა და ის პორტუგალიის სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა. ასე იყო 1822 წლამდე, სანამ ბრაზილიამ დამოუკიდებლობა არ მოიპოვა.

1755 წლის ნოვემბერი უკიდურესი უკიდურესი მიწისძვრა მოხდა, რომელსაც არანაკლებ საშიშვლო იცხადებდნენ. შედეგად ღისაზონი ამდენად დაზარალდა, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს აღადგინეს.

ტეჟუ იბერიის ნახევარკუნძულის უდიდესი მდინარეა და, შესაბამისად, შეუძლია ამქვეყნად არსებული ყველა სამხედრო ხომალდი დაიტოვოს.

ღისაზონი არა ოკეანის სანაპიროზე, არამედ მდინარე ტეჟუს შესართავთანაა გაშენებული, სადაც Mar da Palha (ითარგმნება, როგორც „ჩაღის ზღვა“) წარმოიქმნება. ღისაზონიდან უახლოეს პლაჟამდე 20 წუთის გზაა. ქალაქში პლაჟის როლს მდინარე ტეჟუს ქვის სანაპირო (Ribeira das Naus) ასრულებს, სადაც შეგიძლიათ გარუჯვა, მაგრამ არა ბანაობა.




2017 წელს ღისაზონში 236 დღე/ 2799 საათი არ უვლიდა. ევროპაში ყველაზე ახლოს ქალაქის საშუალო წლიური ტემპერატურაა 18.1°C.

ღისაზონში ექვსჯერადი დაქვილული ხილი „ვასკო და გამა“ ყველაზე გრძელია ევროპაში (17,2 კმ).

235 წლის ქაფი MARTINIO DA ARCADEA ქალაქში უკიდურესი; ასოფლიოში ყველაზე ძველი ნიჭის მაღაზია LIVRARIA BERTRAND-ი 285 წლისაა.

ღისაზონი „7 ზონების ქალაქად“ იხსენიება, სინამდვილეში აქ ზონების რაოდენობა უფრო მეტია. 7 იმპორტ მაგაზინის, რომ ნიჭდა ქალაქ რომთან ასაგვსავსისთვის გავსათ ხაზი.



numbeo.com

პორტუგალია ევროპის უკიდურეს სახრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ის ასევე ატლანტის ოკეანის ადრიატიკისა და აზოროსი არქიპელაგებს მოიცავს. ქვეყნის კოტინენტი-ტური ფართობი 88 889 კვ. კმ-ს შეადგენს.

1373 წელს პორტუგალიის მეფე ფერდინანდო I-მა ინგლისთან კავშირი შეკრა. შეთანხმება იმ ორ სახელმწიფოს შორის დადგინდა შენაჩვენებელი და ასოფლიოში უკიდურეს დაზარალებულ ხელშეკრულებად მიიჩნევა.

ქოქოსების მფლობელი სახელმწიფოთა შორის პორტუგალია იყო პირველი, რომელსაც ამოწმება გაუშვა.

პორტუგალია ქოქოსებს საკოლოდ მხოლოდ 1975 წელს დაეშვიღობა.

პორტუგალიის დღევანდელი საზღვრები 1249 წლის შემდეგ არ შეცვლილა.

პორტუგალია

როგანდაც ვნებს შორის, ესპანეთის შემდეგ, პორტუგალიური ამოწმება ყველაზე უკიდურესი ენაა ასოფლიოში. სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებები 250 ალექსანდრი პორტუგალიურად საუბრობს. ეს ენა, გავრცელებულია მისი მფლობელი, ასოფლიოში ან-6, ხოლო ევროპაში ან-3 ალგორია.

პორტუგალიური 9 სახელმწიფოს ოფიციალური ენაა: პორტუგალიის, ბრაზილიის, ანგოლის, მოზამბიკის, კაბო-ვერდის, გვინეა-ბისაუს, სან-ტომე და პრინსიპის, აღმოსავლეთ ტიმორის, აკანოს (Rინეთთან ერთად).

პორტუგალიურად მოლაპარაკე ალექსანდრის საერთო ტერმინით - **ლუზოფონები** - მოიხსენიება, რომის იმპერიის იმ პროვინციის (ლუზიტანიის) სახელმწიფოს გამო, რომლის საზღვრებშიც თანამედროვე პორტუგალია მდებარეობს. პორტუგალიურენოვან ტერიტორიათა ერთობლიობას კი **ლუზოფონიის** უწოდებენ.

ტემპერა - შებრაწული ბოსტნეულისა და თევზის/ხორცის კერძი - პორტუგალიელებმა შეიტანეს აზიაში. სიტყვა „temperar“ - პორტუგალიურად „ცხობას“ ნიშნავს.

ჩაის ევროპაში გავრცელება პორტუგალიელების დამსახურებაა. ჩინურ „ჩა“-ს „Tea“ პირველმა პორტუგალიელმა მისიონერმა გასპარ და კრუმბა უწოდა 1560 წელს.

მოსახლეობის რაოდენობა 10,36 მლნ

სივრცის საშუალო ხანგრძლივობა ქვეყნი 78 წელი; ქალები 84 წელი

პორტუგალიის მოსახლეობის 81% კათოლიკეა. ქრისტიანობა ქვეყანაში I საუკუნეში იქნა მიღებული, როცა ეს ტერიტორია რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

პორტუგალიის აგვ-ის მოსახლეობა 2016 წელს - **218 087 მილიონი ევრო** შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე - **20 575€** დაეშვიღობა - **9,9%**

პორტუგალიის სახელმწიფო გერბსა და ღირსეულობა ერთი და იგივე დეტალი გამოხატულია - უკიდურესი ასტრონომიული ხელსაწყო, რომელიც ქვ. წ. III საუკუნეში შეიქმნა. ანს ზღვარსებები კოორდინატების განსაზღვრისათვის იქნა შექმნილი.

პორტუგალია ევროპაში ერთ-ერთი უძველესი და ამ კონტინენტზე ყველაზე დასავლეთით მდებარე ქვეყანაა.

ჩრდილ კონტინტი, წელიწადში 3000 აზონი საათი და ატლანტის ოკეანის გასწვრივ 850 კილომეტრის სიგრძის სანაპიროები - პორტუგალია წლის ნებისმიერ დროს დასვენებისთვის იდეალური ადგილია.

საცხოვრებელი სახლების შენობისთვის ცენტრალური გათვრება არა აქვს.

პორტუგალიელები ქალაქს უფროსად იყენებენ ქვეყნის ეკონომიკაში. ელექტროენერჯის კონტრაქტზე აღნიშნულია, რა ამოწმებითაა ის მიღებული.

2011 წლის ნოემბერში სერფინგისტ გარეთ მაკანამ-რას სახელი სამუდამოდ შევიდა გინესის რეკორდების წიგნში, რადგან სწორედ ის აღმოჩნდა პირველი ადამიანი, რომელიც პორტუგალიის სანაპიროსთან გამოჩენილ ყველაზე დიდ, 78 ფუტის სიმაღლის ტალღას მოექცა ზედ.

უკიდურესად ასოფლიო გარემოში პორტუგალიელები ამოგზავნა ფერდინანდო ალგარესი იმპერატორს. სანოსო ექსპედიციის მიხედვით პორტუგალიური 1519 წლის 20 სექტემბერს აღიწყო და 1522 წლის 6 სექტემბერს დასრულდა.

PLUS

ურთიერთობას
მოაქვს კლუსი

დააგროვეთ PLUS ქულები
SOLO ბარათით გადახდისას
და გადაცვალეთ PLUS
კატალოგის განსაკუთრებულ
საჩუქრებზე

www.plus.ge

ყოველ გადახდილ
1 ლარზე მიიღებთ
2.5 PLUS-ს



ყოველ გადახდილ
1 ლარზე მიიღებთ
2 PLUS-ს



499 000

ღვინის
მანქანა
HISENSE



ქიშინიძე

239 000


ქალის
საათი
CALVIN KLEIN



Roniko

177 000

RAY-BAN
ROUND DOUBLE
BRIDGE



Radisson BLU

141 000

1 ოთახი
2 ადაშიანი სთუპის
საუზმით



captain plus

1 165 500

სმელთაშუა-
წლვის კრუიზი



TRUSSARDI

188 000

სანსაჩუქრა
ბარათი
500 ლარი



სანსაჩუქრა
ALCORIUM

58 000

კონიაკი
HENNESSY VSOP
მოცულობა: 0,7 ლ





აზრის სათვალის გარეგანი

აკა მორჩილაძე

პორტუგალიაში წამსვლელმა კაცმა ალბათ უნდა იცოდეს, რომ ეს ოკეანისპირა ქვეყანა არ ჰგავს არცერთ სხვა ევროპულ ქვეყანას, მათ შორის, თავის ერთადერთ სახმელეთო მეზობელს და მარად მტერ-მოყვარეს, ესპანეთსაც კი. არის სრულიად სხვა, სხვა და ალბათ ყოველთვის იყო სხვა.

ეს სხვად ყოფნა კი იმგვარი გემრიელი, ტკბილი და შეურყეველია, რომ თუ ერთხელ ჩაგივარდა გულში, იქიდან ველარასდროს ამოიგდებ და ყოველთვის გენდომება, დაბრუნდე იქ.

რა შეგიძლია ჩამოთვალო და – სურათები. მარტო სურათები, რომლებიც არასდროს გამოილევა. არც ბელიმის სასახლეები და აპოლონიის სადგურის ყავა სათითისხელა ფინჯანში დილის ექვს საათზე, არც ხშირულაგა ტანდაბალი გლეხკაცები, შავ თვალებში რომ ხალისი და სევდა ერთდროულად გაურბენთ ხოლმე; არც წმინდანთა ქანდაკებების უთვალავი მალაზია, არც ბრმა მთხოვნელნი, გულზე ჩამოკიდებული ყულაბებით, არცა თუნუქის თეფშზე

მიფენილი თევზი, რომ ვერ გაიგებ, მზეზე შემწვარა თუ ქურაზე და არც კამაკაიშის კლდე.

არც ოქრომჭედელთა ქუჩა, რომელზეც სიყვარულით გაატარა ლამის მთელი სიცოცხლე ფერნანდუ პესოამ, არცა მსოფლიოში პირველი ყავახანა და არც თხელკედლიანი პენსაოები, სადაც ახალჩაძინებულს ბრაზილიელი მეზობლების მოულოდნელი სიმღერა გამოგაფხიზლებს; არც კიდევ თეთრი ღვინო, იქაურულად მწვანე და არც მარკიშ დი პომბალის ქანდაკება და, საერთოდაც, ქანდაკებები, მეფეები, ზღვაოსნები, ვაჭრობის მოედნები ლისაბონში, არცა კიდევ იდუმალი, ჯადოსნური ჩამოლაშვება ამ ქალაქის მთებს შეფენილ უბნებში, იქაური ლამპიონები და ოკრობოკრო ქვაფენილები ალფამასა და მის აქეთ, ბაირუ ალტუში, იქავე, შიადუში.

ტურისტული ადგილებია? ალბათ, მაგრამ თან არც არის. იქ არ გამოდის ასე, რომ რაღაც ადგილს ყოველგვარი შიგანი გამოსცლოდეს და ცარიელ ტურიზმად ქცეულიყოს, არაა ასეთი ადგილი.

„ლიზოა, სილადა პიო – ღისაზონო, ჩამო ქალაქო“, ღაახლოებით ისა, როგორც „თხილისო, აზის და ვარღვარის ახარაო“, ოლონდ სხვა ჰანგაჲ, ია ჰანგაჲ, როგორც ახლოოდ აა ქალაქისაა და თუ სხვაგანაც პოიისის, პინის აქაღან დაქრანა. ფაღუ, იქაური სიღარა, იქაური ჯიანთი, ერთგვარად გუნის გჰვინის არის, გუნის ჯაგანგრიღვინის, გუნის ღაღდნოგის და ადამრავის.

მასშიც გამოკრთება კვალი იმ პორტუგალიური განცდისა, რომელსაც მსოფლიო უფრო იცნობს პორტუგალიური ენის მწვანე კონცხური დიალექტის წარმოთქმით – „სოდად“, ისე კი შეიძლება საუდადიც ერქვას.

სოდად – ესაა უცნაური განცდა, ალბათ გრძელი და ეგებ სამუდამოდ ხოლმე, რომელიც გამოხატავს ერთი ვინმე ადამიანის მაინც ნათელ, რბილ სევდას, მონატრებას თითქოს სამუდამოდ დაკარგულისადმი, განუხორციელებლისადმი და საყვარლისადმი. ჩახლართულია, მაგრამ პორტუგალიური განცდაა და, სხვათა შორის, მძიმედ და უარყოფითად არ ითვლება. რასაკვირველია, სოდადი ბევრს ამბობს აქაურობის სულზეც.

გახედე ოკეანეს და სოდად. მგონი, იქ სხვანაირად შეუძლებელიც კია. ეს ასეთი გარემოა.

პორტუგალია ოკეანეს აკრული ქვეყანაა, ორ დიდ ქალაქს შუა გაჭრილ რკინიგზაზე მატარებელი მიგაქროლებს ლისაბონიდან პორტუსკენ და ერთი ფანჯრიდან ოკეანე ჩანს, მეორე ფანჯრიდან – მთებს შეფენილი ვენახები. ასეა მთელ გზაზე.

ეს ძველი, დიდი წარსულის ქვეყანაა. ოდესღაც ეგებ მსოფლიო იმპერიადაც კი შექმნილიყო, მაგრამ არ გამოვიდა. საამისოდ ხალხი არ ეყო, თუ სხვა რამ მიზეზებიც მოგროვდა, არ ვიცი, მაგრამ ეგებ ეს კარგიცაა, რადგან მაშინ ისტორია სხვანაირი იქნებოდა. თუმცა დაბადებით ზღვაოსანთა, ძველ ლუზიტანთა შთამომავლები მივიდნენ ყველგან და ბევრგან პირველნი, სადამდეც კი მათი სახელმწიფოს ძალა და საზღვაო ჟინი გაწვდა.

იყო დრო, ყველაფერი პირველი ამ ქვეყნის ნავსადგურებში ჩამოიტვირთებოდა ხოლმე და პირდაპირ სავაჭრო მოედნებზე, სადაც, აბა, რას აღარ ნახავდი. ზღვის სული აქ, მგონი, არქიტექტურაშიც იგრძნობა. ის არსად წასულა. თუნდაც ზღვას მოშორებულ პატარა ქალაქებშიც, ან ზღვას მიდგმულ საერთაშორისო კურორტებზეც, ჩრდილოელებით გადაჭედილ განთქმულ პორტუგალიურ ქვიშებზე – ის კვლავაც ყველგანაა.

სურათები კი, მოგეხსენებათ, უთვალავია. თუ ჩავთვლით, რომ მოგზაურობა სურათებია, პორტუგალია, ამ მხრივ, ჩემპიონიც კი იქნება. ამბობენ ხოლმე, რომ ეშმაკი დეტალებშიაო, მაგრამ შეგვიძლია გადავაკეთოთ და ვთქვათ, რომ პორტუგალია დეტალებშია.

მომეტებულად მეღანქოლიური, იტყვის ზოგიერთი, ზედმეტად ცხელი, აღნიშნავს მეორე, ეგებ ერთფეროვანიც, დაუმატებენ სხვები, მაგრამ არცერთი არ გამოდგება მართალი. თუ მიხვდები, რომ სიმშვიდე მეღანქოლიად მოგჩვენებია, ჩრდილის მხარეს სიარული უკვე გისწავლია და ერთფეროვნების გასაფანტად მზის სათვალე მოგიხსნია.

მაგალითად, სინტრაში მზის სათვალით სეირნობა არ შეიძლება. უბრალოდ, ბევრს კარგავ. საერთოდ, პორტუგალია ასეთია: მზეა, მაგრამ უცებ მიხვდები, რომ მზის სათვალით სიარული დაგენანება. ფარუშიც კი, სადაც თითქოს სწორედ მზისთვის და წყლისთვის მისულხარ, ამ დროს კი ათი იმდენი ნაპირიდან მოშორებით გელოდება.

რამდენი რამეა. ვთქვათ, პორტუ და გაია, შუაში გამავალი მდინარით, რომელსაც, მგონი, დორუ ჰქვია. სწორედ ამ მდინარის წყლებს მიუყვებოდნენ ის განთქმული რაბელები, პორტის, ჩვენებურად უფრო პორტუგინის კასრებით დატვირთული ნავები. ვენეცია და გონდოლები და აქაა პორტუ და რაბელები. პორტუგინის ძველი, აგურით ნაშენი ქარხნები ცოტათი ციხესიმაგრეებს ჰგავს. ციხესიმაგრეებიც პორტუგალია და პორტუა და ოკეანეც პორტუა და ასოლოლაკებული ძველი ქუჩებიც, ვია სანტა კატარინას ლამის ცივაბო აღმართებში.

ქალაქს პირდაპირ ნავსადგური ჰქვია და მეტი რაღა გინდა?! კარგი ქალაქია, კარგი დიდი ქალაქი, ზურგს უკან ეიფელის მიერ გადებული ხიდებით და ათასი ტკბილი წვრილმანი. საჭმელი ყველგან გემრიელია, ოკეანის შენახები ყველაფერი ცინცხალია, იაფი და იოლი. ასეთ ქვეყნებში – თუკი ასეთი ქვეყნები არსებობს და ეს მარტო ერთი, პორტუგალია არაა – კოიმბრაში მოხვდები თუ ბრაგაში, რაღაცნაირად ტკბილად, დიდხანს და უშფოთველად ღამდება. და თენდება ასეთ ადგილებში ფართოდ, რბილად, შემლილი მეტროების ხრიგინის გარეშე.

ეს წასასვლელი, დასამახსოვრებელი, შესაყვარებელი ადგილებია. ასეთი ადგილები ბევრი არ არის, ნამდვილად. დღევანდელ მსოფლიოში ალბათ ძალიან საჭირო, თორემ განა პორტუგალიას აქვს უტკივილო და იოლი წარსული? ჯერ მარტო ის სალაზარი რამდენ ხანს იყო. მაგრამ ეგ სხვა ამბავია.

ეს ქველი, დიდი ნარსლის ქვეყანა. ოღანდაც ეგუა მსოფლიო იგაქრინდაც კი აქაგინიყო, აგგრაჲ არ გამოვიდა. საამისოდ ხალხი არ ეყო, თუ სხვა რამ მიზეზებიც მოგროვდა, არ ვიცი, მაგრამ ეგებ ეს კარგიცაა, რადგან მაშინ ისტორია სხვანაირი იქნებოდა. თუმცა დაბადებით ზღვაოსანთა, ძველ ლუზიტანთა შთამომავლები მივიდნენ ყველგან და ბევრგან პირველნი, სადამდეც კი მათი სახელმწიფოს ძალა და საზღვაო ჟინი გაწვდა.



პორტუგალიური დიდი აღმოჩენების რუკა მოედანზე, ლისაბონი

დიდი აღმოჩენების ჰვეყანა

ირინა ბაბაური

მე-15 საუკუნეში – იმ დროში, რომელიც ისტორიულად დიდი აღმოჩენების ეპოქის დასაწყისად მიიჩნევა, პორტუგალიის სამეფო დედამიწის განაპირას და იმ წყლების შესართავთან მდებარე ერთი პატარა მხარე იყო, რომელთა სიღრმეშიც ჯერაც არავის ეცურა და სადაც, ადამიანთა რწმენით, წყვილი-ადი, უფსკრულთა ნაპრალი და ურჩხულთა სამფლობელო იწყებოდა.

ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ დედამიწა შუასაუკუნეებში სწავლულების უდიდეს ნაწილს ბრტყელი ეგონა, ამ ეპოქის მეცნიერების ნაშრომებს თუ დავეყრდნობით, მცდარია. თუმცა საპირისპიროს დასამტკიცებლად არაერთი წინაღობა არსებობდა, მათ შორის, ჯერაც უცნობი მიწები და, შესაბამისად, არასრული რუკები, ნავიგაციისთვის საჭირო ცოდნისა და ხელსაწყოების არარსებობა, სათანადო გემები და, რაც მთავარია, შეუცნობლის შიში – ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ადამიანებს ახალი სამყაროს აღმოჩენის გზაზე აბრკოლებდა.

დედამიწის სხვადასხვა მხარეში მოგზაურებს უკვე მოეშინაურებინათ ახლო ზღვები და გაეკავლათ სახმელეთო მარშრუტები. ევროპაში აღმოსავლეთის კარიბჭეს ვენეცია



დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები პორტუგალიაში მანუელ I-ის მეფობის (1495-1521) პერიოდს უკავშირდება: ვასკო და გამამ 1498 წელს ინდოეთის ნაპირს მიაღწია, პედრო ალვარეს კაბრალმა ბრაზილია აღმოაჩინა, აფონსუ დე ალბუკერკემ კი სპარსეთის ყურეში პირველი კოლონიები დააარსა.



აფონსუ დე ალბუკერკეს ექსპედიციებმა პორტუგალია წითელი ზღვიდან და აღმოსავლეთ აფრიკიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და ხანძრულელების (მოლუკის) კუნძულებამდე გადაჭიმულ იმპერიად აქცია. 1510 წელს მან დაიპყრო გოა და ამით უფრო გაამყარა პორტუგალიის ექსპანსიონისტური მისწრაფებანი.

წარმოადგენდა და მასვე ჰქონდა მონოპოლია აზიურ საქონელზე. აბრეშუმის გზის დიდ ნაწილს ოსმალები აკონტროლებდნენ. ინდოეთის ოკეანის წყლებს არაბები სერავდნენ, წყნარ ოკეანეში ჩინელები დაცურავდნენ, თუმცა ვერავინ ბედავდა კიდევ უფრო შორს წასვლას იმ დროში, როდესაც მეცნიერება და ზღაპრული ლეგენდები ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე თანაარსებობდა.

შუასაუკუნეების ევროპელი სწავლულები და კარტოგრაფები, რომლებიც, ერთი მხრივ, ეკვატორის სიგრძეს ითვლიდნენ და გეოგრაფიულად თითქმის უნაკლო რუკებს ადგენდნენ, იქვე სრული სერიოზულობით აღწერდნენ და პორტულანებს ატანდნენ დედამიწის ამა თუ იმ შორეულ კუთხეში მოხინაძრე იმ შემზარავ არსებათა და ურჩხულთა გამოსახულებებს, რომლებსაც დღეს როულინგის „ფანტასტიკურ ცხოველებში“ თუ შევხვდებით.

მაგალითად, მე-15 საუკუნემდე სამყაროს სასიცოცხლო ზოლი ბუჟადორის კონცხთან გადიოდა: ამ ხაზს იქით კი ზღვა დუღდა და თუკი მასში შესული გამბედავი მეზღვაური როგორმე წყლის მხურვალეებს გადაურჩებოდა, ვერაფრით ასცდებოდა ზღვის ურჩხულებს, რომელთა რისხვასაც ცოცხლად ვერ გადარჩენოდა ჯერაც ვერცერთი ადამიანი.

შემზარავი საზღვრის გადალახვა და სამყაროს ევროპისთვის ჯერაც უცნობი ნაწილის აღმოჩენა პირველად პორტუგალიელმა უფლისწულმა ენრიკ ზღვაოსანმა ითავა. პორტუგალიის მეფის რიგით მეხუთე შთამომავალი, მისივე თანამედროვეთა გადმოცემით, იდუმალებით მოცული კაცი და ღრმადმორწმუნე ქრისტიანი იყო. უგვირგვინო უფლისწულს, რომელსაც მეტსახელად „ზღვაოსანი“ შერქვეს, ზღვაში შესვლა სულაც არ უყვარდა. სამაგიეროდ, მასში დიდი იყო ცოდნის მიღებისა და დიდების მოხვეჭის წყურვილი. ინფანტს გარშემო ათასი ჯურისა და მრწამსის ხალხი შემოეკრია (რაც იმ დროში დიდ უცნაურობას წარმოადგენდა) და მათგან იღებდა ცნობებს უდაბნოების გადაღმა გაშლილი შორეული ოქრომრავალი სამეფოებისა და აღმოსავლეთის ქვეყნების სამეცნიერო გამოკვლევების შესახებ.

ენრიკ ზღვაოსანის ამბები, ისევე როგორც თითქმის ყველა იმდროინდელი ისტორია, ლეგენდებითაა მოცული. გადმოცემების თანახმად, უფლისწულის მიზანი იყო წმინდა გრაალის თასის, ბიბლიური აღთქმის კიდობნის და ლეგენდარული მეფე-პრესვიტერის – იოანეს (რომელსაც ხშირად დავით აღმაშენებელთან აიგივებენ) მიწების

1994 წელს, ტორდენიასის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, ორმა ქვეყანამ - ესპანეთმა და პორტუგალიამ აღმოაჩინეს ახალი საზღვაო საზღვარი ჩრდილოეთ ატლანტიკის ზღვაში. აღმოჩენის შედეგად, 1415 წელს სავანის კოლონიზაციის 1999 წელს ჩინეთის მიერ დაკავშირების დასრულებამდე.



1. ენრიკ ზღვაოსანი და საგრიშის აკადემია, მე-15 საუკუნე
2. ასტროლაბი – უძველესი ასტრონომიული ხელსაწყო (ძვ. წ. III საუკუნე), მას ზღვაოსნები კოორდინატების განსაზღვრისათვის იყენებდნენ.
3. გლობუსი – ლისაბონის სამღვალო მუზეუმი
4. ევროპა, პორტუგალია, ესპანეთი, 1657



მიკვლევა, რომელიც ეთიოპიის მხარეში ეგულებოდა, და უცხო მიწებზე დასახლებული ურჯულოების ქრისტეს მრწამსზე მოქცევა. ბუნებრივია, ზუსტად არავინ იცის, რომელი ვნებით უფრო იყო შეპყრობილი ტამპლიერული „ქრისტეს ორდენის“ დიდი მავისტრი, უფლისწული ენრიკი: ჯვაროსნული ლაშქრობების ნოსტალგიით, ახალი მიწების დაპყრობის სურვილით, განძზე ნადირობით, დიდების მოხვეჭით თუ, უბრალოდ, ყველაფერთან ერთად, იზოლირებული ქვეყნის გადარჩენისთვის გამოსავალს – ოკეანეში ახალ გასასვლელს ეძებდა.

ფაქტია, რომ მას, ვენეციისა და ტრადიციული მარშრუტის გვერდის ავლით, აფრიკის კონტინენტის შემოვლის გზით ჰქონდა მიზნად დასახული აღმოსავლეთის იმ მიწებზე გასვლა, საიდანაც ევროპა ძვირადღირებული საქონლით – ფაიფურით, ძვირფასი ქვებით, სუნელებით, სპილოს ძვლითა თუ აბრეშუმით მარაგდებოდა. გემის განხორციელებას კი ენრიკ ზღვაოსანი სრულებით პრაგმატული, რაციონალური და სამეცნიერო გზებით შეუდგა.





მილარის ატლასი (ATLAS LOPO HOMEM-REINEIS) – 1519 წლის კოტაბალიური გეოგრაფიული ატლასი, რომელიც 12 რუკისაგან შედგება. მისი ავტორია კოტაბალიელი კოსმოგრაფი ლოპო ხომეი, – LOPO HOMEM, რომელსაც მამა-შვილი პედრო და ჟორჟ რაინელები – PEDRO REINEL, JORGE REINEL ეხმარებოდნენ. რუკაზე წარმოდგენილი ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთ ევროპა, აზორის კუნძულები, მადაგასკარი, ინდონეზია, ჩინეთის ზღვა, ბრაზილია და ჩრდილოეთის ზღვა.



განსაკუთრებით საინტერესო ბრაზილიის დეტალური აღწერა კაბრალის მიერ მისი დაპყრობის 20 წლისთავზე.

მა-16 საუკუნეში ატლასი საფრანგეთში მოხვდა, 1897 წელს ის საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ემანუელ მილარმა – BÉNIGNE EMMANUEL CLÉMENT MILLER შეისყიდა და სახელიც მის კაბივსაცვამად ეწოდა. ატლასი დღემდე საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.

ისტორიაში პირველი საზღვაო სასწავლებელი უფლისწულმა 1416 წელს ააშენა მეფის მიერ ნაბოძებ მიწაზე – პორტუგალიის უკიდურეს სამხრეთ დასავლეთით მდებარე კონცხ საგრიშზე, რომელიც მე-15 საუკუნემდე ქვეყნის დასალიერად მიიჩნეოდა. უფლისწულმა მის კეთილმოწყობას ტამპლიერების ქონება მოახმარა.

აკადემიის მთავარი მიმართულებები იყო: პროფესიონალი მეზღვაურების მომზადება, გემთმშენებლობა და სანაოსნო რუკებისა და ხელსაწყოების სრულყოფა, რასაც უფლისწული სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული მეცნიერების, ასტროლოგებისა და გემთმშენებლების დახმარებით ახორციელებდა.

ნაცნობ მიწებამდე ახალი გზებით მისვლა დიდ საფრთხეებს მოიცავდა: თუკი ქარავნებით მოგზაურები ხმელეთზე ყაჩაღებს უფრთხოდნენ, გემებისთვის ზღვის მეკობრეებს მოჰქონდათ უბედურება. გარდა ამისა, ევროპული გემები, რომლებიც დახურულ ზღვებში კარგად ევრაყვდა, ოკეანის ღია წყლების შტორმებს ვერ უძლებდა.

ამ პრობლემის გადასაჭრელად აკადემიაში ინოვაციური გემი – კარაველა შექმნეს, მოქნილი, სწრაფი და მყარი კონსტრუქცია, რომელიც წინა სანაოსნო საშუალებებთან შედარებით მომგრო ზომის იყო და სამკუთხა მოძრავი იალქნების წყალობით არა მხოლოდ ზურგის, არამედ გვერდითა ქარის პირობებშიც შეეძლო ცურვა.

პირველი ექსპედიციები კრახით დასრულდა. მეზღვაურებს შიშის ზარს სცემდა იმაზე ფიქრი, რომ სიცოცხლის ხაზს უნდა გასცდნოდნენ. 1434 წელს პორტუგალიელმა ჟილ ეანემმა პირველად გადალახა ბუჟადორის კონცხი და პირველი მითებიც ზღვების ურჩხულების და მდუღარე წყლების შესახებ ამგვარად დაიმსხვრა. ურჩხულები ქარები აღმოჩნდნენ, რომელთა „მოთვინიერებაც“ პორტუგალიელებმა დროსთან ერთად ისწავლეს.

ენრიკ ზღვაოსანი 1460 წელს გარდაიცვალა. იგი არ მოსწრებია იმ უმთავრეს გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რომლებისკენაც ასე იწრაფვოდა, თუმცა ყველა მათგანს ისტორია სწორედ მის სახელს უკავშირებს და მის მიერვე დაარსებულ საზღვაო აკადემიას უმაღლის:

1487-1488 წლებში პორტუგალიელმა ბარტულუმეუ დი-აშმა სამხრეთიდან პირველად შემოუარა აფრიკის კონტინენტს.

1492 წელს გენუელი კოლუმბი, რომელიც სანაოსნო ცოდნას პორტუგალიაში დაეუფლა, ამერიკის ნაპირებს მიაღწა.

1498 წელს იმ მარშრუტის გავლა, რომელიც სინამდვილეში კოლუმბს ჰქონდა მიზნად დასახული და, უბედური თუ ბედნიერი შემთხვევის გამო, არ გამოვიდა, პორტუგალიელმა ვასკო და გამამ შეძლო. მეზღვაურმა აფრიკის კონტინენტს შემოუარა და ნამდვილი ინდოეთის ნაპირებს მიაღწა.

1500 წელს პედრო ალვარეშ კაბრალმა ბრაზილია აღმოაჩინა და სამხრეთ ამერიკის მიწები პორტუგალიის საკუთრებად გამოაცხადა.

1503 წელს აფონსუ დე ალბუკერკემ ინდოეთისკენ გაცურა და კოჩინში სიმაგრე ააგებინა; 1506-09 წლებში დაიპყრო აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე არაბული ნავსადგურები და არაბეთის ნახევარკუნძული; 1510 წელს დაიპყრო გოა, 1511 წელს მალაკის სრუტე და სპარსეთის ყურის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე ჰორმუზის სრუტე.

1519 წელს პორტუგალიელმა ფერნანდუ მაგელანმა (ესპანეთის სამეფოს დროშის ქვეშ) პირველმა იმოგზაურა გემით დედამიწის გარშემო.

პორტუგალიელები გახდნენ პირველები, რომლებმაც ატლანტის ოკეანე ინდოეთისას დაუკავშირეს, ევროპიდან ზღვით გავიდნენ აფრიკაში, ინდოეთში, აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ არქიპელაგებში, ჩინეთსა თუ იაპონიაში. აღმოჩენების წყალობით ეს ქვეყანა ევროპის ერთ-ერთ მდიდარ და ძლიერადად სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ის ადგილი კი, სადაც, შუასაუკუნეების ადამიანების წარ-



გამგზავრება ლისაბონიდან, თეოდორ დე ბრაი, 1592



პორტუგალია დამკვიდრდა, როგორ საზღვაო სახელმწიფო. ვაჭრობის, მისიონერული მოღვაწეობის, ადამიანთა ახალ ადგილებზე გადასახლებების წყალობით იზრდებოდა ცივილიზაციათა კონტაქტები და მდიდრდებოდა კულტურები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე. ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, საგნები და იდეები კვეთდნენ მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

ნელ-ნელა, თუმცა შეუქცევადად ყველგან დაიწყეს იმის გამოყენება, რაც მხოლოდ გარკვეულ რეგიონებში იყო გავრცელებული – იქნება ეს შაქარი, წიწკა თუ დარიჩინი, კოჭა თუ მიხაკი, თამბაქო, ყავა, შოკოლადი, ჩაი, ბამბა და ფაიფური ან ცეცხლსასროლი იარაღი.

აღმოსავლეთის ბაზრები ორიენტირებას იწყებენ იმ პროდუქციაზე, რომელსაც ევროპაში აქვს დიდი გასაყვანი. ფაქტობრივად, საქსპორტო წარმოებები იქმნება. ამას უკავშირდება, მაგალითად, სახლგანთქმული მინის დანახსტიის ჩინური ფაიფურის სახეცვლილება, რომელიც პირველად ევროპაში პორტუგალიელებმა ჩაიტანეს.

ჩინელი ხელოსნები თანდათანობით იწყებენ ისეთი ნაკეთობების შექმნას, რომლებზეც ევროპული საგარეულოების გერბები, ევროპული სიუჟეტებია გამოხატული. შემდგომში კი ჩინური ფაიფურის ნიმუშის მიხედვით პორტუგალიაშიც დაიწყეს ფაიფურის წარმოება, რომელიც მთელ ევროპაში იყო ცნობილი და რომელსაც არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის ჰოლანდიელთა ინტერესის გაღვივებაში კერამიკის მიმართ. აქედან წამოვიდა ცნობილი დელატური ფაიფური.

მოდგენით, დედამიწა სრულდებოდა, ახალი სამყაროსკენ გამავალ დერეფნად იქცა.

დიდი აღმოჩენების ამბავი არაერთხელ გადაიწერა. კოლონიზაციის ისტორიებთან კავშირის არაერთი უხერხული ფურცელია დაკავშირებული და ქრისტეს სახელით არაერთი ბოროტებაა ჩადენილი. ექსპედიციის დროს არაერთი გემი ჩაძირულა და ზღვაში გასულ ცოტა მეზღვაურს თუ რგებია სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება.

თუმცა ყველა ამ ადამიანის ძალისხმევამ და გამბედაობამ, საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაეცურათ წყლები, რომლებიც არავის გადაუცურავს, აღეწერათ და რუკებზე დაეტანათ ახალი მიწები, გაეზომათ მანძილები, გამოეგონათ საგზაო და ასტროლოგიული ხელსაწყოები, შეესწავლათ წყლები, ქარები და ვარსკვლავები – სრულიად შეცვალა ადამიანების ცნობიერება, რომელთა გონებაშიც, ახალი აღმოჩენების წყალობით, დედამიწა კიდევ უფრო დიდი და საიმედო, სამყარო კი უფრო მრავალფეროვანი გახდა.



ვასკო და გამა



ფერნანდუ მაგელანი



კარაველა – საზღვაო ერთეგემბანიანი იალქნიანი გემი მაღალი ბორტებითა და ზედნაშენებით ცხვირსა და კიჩოზე, გავრცელებული იყო XIII-XVII საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.





აზუღეჟუ

აკა მორჩილაძე

აზულეჟუ მოჭიქული თიხის ფილებია კედლების და გარემოს გასაწყობად. ჩვენში ამ ფილებს, უბრალოდ, კაფელს ეძახიან და სველ წერტილთა გარემოში მოიხმარენ, მაგრამ პორტუგალიაში აზულეჟუ დიდი სამკაული და ქვეყნის იერია, იმიტომ რომ ის მხოლოდ კაფელი კი არა, მასზე ფუნჯით დატანილი უამრავი ისტორიაა.

აზულეჟუს ძირები არაბულია, იმ დროის, როცა პირენეებზე სარკინოზები ბატონობდნენ და ესპანეთსა და პორტუგალიაში თავიანთი ხელოვნების მძლე კვალი დატოვეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არაბობის დროიდან აზულეჟუ სრულიად პორტუგალიური რამ შეიქნა და ამ ქვეყანაში მოხვედრილი კაცი მრავალთაგან რასაც დაიმახსოვრებს, სწორედ აზულეჟუა.

აზულეჟუთა გაწყობილი უამრავი სასახლის, საზოგადოებრივი ნაგებობის, საცხოვრებელი სახლის, ეკლესიისა და გალავანების შიდა და გარე კედლები და, რომ ითქვას, პორტუგალია წარმოუდგენელია მის გარეშე. აქ აზულეჟუებით სამუდამოდ ხილული გამხდარა დიდი ბიბლიური სიუჟეტები, დაუვიწყარი შექნილა ქვეყნის ისტორიის ღირს-შესანიშნავი სურათები, უამრავი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ამბავი. კაცი იფიქრებს, რომ ეს ხელოვნება სწორედ პორტუგალიისთვის გაჩენილა ქვეყანაზე, რადგან აზულეჟუ ქვეყანას თანმზერდილი, ბუნებრივი, თავისებურად განუმეორებელი რამაა.

აზულეჟუს პორტუგალიური იერი თეთრზე ცისფრითა და ლურჯით მოხატვაა, რაც ასევე გადასარეგად ეხამება ქვეყნის ხასიათს, ოკეანის ნაპირს მიდგმულ სიმშვიდეს და მზით გარუჯულ მელანქოლიას, ზღვის პეიზაჟის მნიშვნელობას, მის ძალას და კულტურას, რომელიც რამდენი საუკუნეა ამ პატარა ქვეყნის სუნთქვისა და სრულიად თავისებური ხასიათის ერთ-ერთი განმსაზღვრელია.

აზულეჟუ პორტუგალიის ხილული წარსული და მისი სულის გამოხატულებაა და დღეს ეგებ აღმოსაჩენიც აღარაა; ერთი თავისი სიუჟეტით ის საქართველოსთანაც არის დაკავშირებული.

ლისაბონში, გრასაში, გრასას დედათა მონასტრის კედლის აზულეჟუზე აღბეჭდილია წმინდა ქეთევან დედოფლის წამების სცენა, რომელიც მეფერამეტე საუკუნის დასაწყისში, კახთა დედოფლის შირაზში წამებიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ დაუხატავთ და ბოლო დრომდე სანახევროდ დაფარული იყო გვიანდელი საოთხე ტიხრებით, რახან იქ ბაგა-ბაღი იყო გამართული.

პორტუგალიაში ქართული დედოფლის წამების აგზავი ქარგად იცოდნენ და ჩანს, დღემდე მონასტრის კედლებზე ეს შეხარავი სიუჟეტი იხილვამოხანდა, რომ აონაბა დედოფლის ფიგურა სარკმლად აკვამ კაღინა იხვიანთი და გამორჩეული შთაბეჭდულობის რაბ იყო იმ დროის ივროპაში და განსაკუთრებულ მორალურ მახარებლად აღიქმავოდა.

მეტეც, ავგუსტინელი ბერი ამბროზიუ დუმ ანჟუში დიდხანს ცდილობდა, რომ რომის პაპს წმინდანად შეერაცხა ქეთევანი. საბოლოოდ ასე არ მოხდა, მაგრამ ამბროზიუ სწორედ იმათგანი იყო, ვინც თავად იხილა დედოფლის წამება, აღწერა ის და მანამდეც კარგად იცნობდა ქეთევანს.

დუმ ანჟუში, ასევე, იყო ის ადამიანი, რომელიც სპარსეთის შაჰს ეჯავბოდა, დედოფლის ცხედარი გადაეცათ მისთვის, მერე კი თავად იპოვნა, საიდუმლოდ ამოთხარა და, იმ დროის მისიონერთა დარად, დედოფლის წმინდა

ნაწილებით ჯერ ინდოეთს მივიდა, მერე კი საქართველოშიც ჩამოაღწია, სადაც ქეთევანის ვაჟს, კახთა ნატანჯ მეფე თეიმურაზს შეხვდა, ყოველივე უამბო და ნაწილებიც გადასცა.

ამბროზიუ დუმ ანჟუში პაპს რომ მიმართავდა, წერდა, რომ დედოფალი კათოლიკე წამებულად გარდაიცვალა, თუმცა მერე თავად უარყო ეს ცნობა. მისიონერი იყო და, რა თქმა უნდა, თავისასაც ცდილობდა – ავგუსტინელთა ორდენისათვის ამგვარი მიღწევის აღიარება, რომ დედოფალი კათოლიკედ ეწამა, ბევრის მომტანი იყო აღმოსავლეთშიც და ოცდაათწლიან ომში გახვეულ ევროპაშიც.

თუმცა ამის მიღმაც იყო რაღაც, რაც ალბათ განაპირობებდა ავგუსტინელი ბერის მოქმედებას. ეს რაღაც სცდებოდა მისიონერის მიზნებს და იყო ქრისტიანის მიერ ქრისტიანთა აღფრთოვანების ამბავი. ამბროზიუ ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად შეიქნა შემსწრე რწმენისათვის ადამიანის წამებისა, მით უმეტეს, იმ ადამიანისა, რომელსაც კარგად იცნობდა და რომლის ხასიათით აღფრთოვანებასაც ვერ მალავდა: აღტაცებული იყო მისი უბრალოებით, სიმტკიცით, ღვთისმოსაობით, გარეგნული იერითაც კი. რა ერთი პატარა სამეფო, ის მთელი იმპერიის გაძლიერების ღირსი იყო.

ჩანს, ბერის მონათხრობმა და ნაწერმა ღრმა კვალი დატოვა ამბროზიუს და მისი შემდგომი დროის ავგუსტინელებზე. რომის პაპისაგან ქეთევანის წმინდანობის კი არა, კათოლიკობის აღიარება ვერ მიიღეს, მაგრამ დედოფლის ისტორია მათთვის სამაგალითო ისტორია იყო და გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო ავგუსტინელთა მაღლიერებაც, რომ ღმერთმა ისინი ამ დიდი დედოფლის გვერდით ამყოფა მისი მარტვილობის საათს.

გრასას მონასტარი სწორედ ავგუსტინელთა ერთ-ერთი აგზავი სანაბა ილსაბონში. გრასა ღვთის ხალხს ნიხნავს და განსაკვირი სიღაც არაა, რომ ათეღ იმ უხანსაც გრასა ღარქმავინა. თვითონ მონასტარს სანაბნეთა და სტილთა გეჭადი აღავს, ილსაბონის დიდ მინისქვრასაც შეარქმავინა თავის ღროცა და გვირი სხვაც ხალხსაღვინა.



ეს კი მართლა საოცარია, რომ საუკუნეთა განმავლობაში მივიწყებულ, რაღაც ვიწრო ლეგენდებით, უფრო კი ლეგენდების ნაგლეჯებით ცნობილ საქართველოს აქვს ჩვენი ისტორიის მტკიცეული და ძლიერი დღის ამსახველი მართლა თავისი აზულეჟუ ერთ შორეულ, ჯადოსნურ ქალაქში და ისე ჰქონდა ის, რომ რამდენ ხანს არაფერი იცოდა.



ლისაბონის ერთ-ერთი უძველესი გრასას ეკლესია, მონასტერთან ერთად, XIII საუკუნეში დააარსეს ავგუსტინელმა ბერებმა. მონასტერი იმ დროისათვის ყველაზე დიდი და მდიდარი იყო და მასში 1500 ადამიანი ეტეოდა. დღეს ის სამხედრო ყაზარმებად გამოიყენება, ამიტომ მხოლოდ ეკლესიის ნახვას შეძლებთ. ეკლესიის ფსაადი და სამრეკლო ბაროკოს სტილშია შესრულებული, შიგნით უამრავი სურათი და სკულპტურაა; შემონახულია, აგრეთვე, XV-XVII საუკუნეების აზულეჟუ.



MIRADOURO DA GRAÇA-დან (გაღმოსახედი მოედანი; მირადორუ კორონაბალიურიდან სიყვანისიყვით ითარგმნება, რომლის „ოქროს ხელი“ ლისაბონის ერთ-ერთი საუკეთესო ხელი მოჩანს.

გრასას მონასტრის კაპიტულუმის დარბაზის მთავარ ნაწილში წმ. ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი 1080-ფილიანი აზულეჟუს პანოა. ის პორტუგალიური ხელოვნების ტრადიციული სტილით, მოჭიქულ თიხის ფილებზე ლურჯი საღებავითაა შესრულებული. პანოზე გამოსახულია ქეთევან დედოფლის ირანში ჩასვლა, წამება და შემდეგ ავგუსტინელი ბერების მიერ წმინდანის ნაწილების გადაცემა მეფე თეიმურაზისთვის. პორტუგალიაში კარგად იყო ცნობილი ქეთევან დედოფლის მოწამებორივი სიკვდილის ისტორია, სწორედ ამის დასტურია პანოს არსებობაც, რომელიც დედოფლის წამებიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ შეიქმნა.

წმ. ქეთევანის შირაზში „საპატიო“ ტყვეობაში ცხოვრების და მისი მოწამებორივი სიკვდილის (1624 წლის 26 სექტემბერი, ახ. სტ.) უშუალო მოწმე იყო პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი, მამა ამბროზიუ დუმ ანჟუში, რომელმაც 3 თვისა და 13 დღის ძებნის შემდეგ იპოვა მისი ნეშტი. იგი თავის ჩანაწერებში დაწვრილებით აღწერს დედოფლის უსასტიკესი წამების სცენას, რომელიც ქეთევანმა გაუგონარი სიმტკიცით გადაიტანა: „მოკვდა დიდებული დედოფალი და წამებული ქეთევანი, რომელიც მიწიერი დედოფლიდან ციური დედოფალი გახდა“.

ავგუსტინელმა ბერებმა სიცოცხლის რისკის ფასად შეინახეს და შემდეგ სხვადასხვა მონასტერში ჩაიტანეს დედოფლის წმინდა ნაწილები.



TORRE DE BELEM
ბელემის კოშკი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში მანუელ I-ის ბრძანებით, ლისაბონის მფარველი წმინდანის პატივსაცემად (S. Vicente de Belém) აშენდა.

ლისაბონის არქიტექტურული მემკვიდრეობა

ნიკა ჩხაიძე

ლისაბონში ზღვა არ არის, თუმცა იშვიათად ნახავთ ისეთ „საზღვაო“ ქალაქს, როგორც პორტუგალიის დედაქალაქია. ზღვა და ოკეანის სივრცეები აქ ყოველმხრივ იგრძნობა – ცაში, ჰაერში, ქარში... ყველაზე მძაფრად ზღვის სიახლოვის შეგრძნება ცენტრიდან მოშორებით, ბელემშია შესაძლებელი.

სწორედ ბელემში მდებარეობს ლისაბონის ოთხი ყველაზე საინტერესო შენობა – ორი ახალი და ორიც ძველი. ძველებიდან ერთს რელიგიური დანიშნულება აქვს, მეორეს კი – სამხედრო, თუმცა ისინი სტილისტურად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ორივე XVI საუკუნეშია აშენებული.

იერონიმეტების მონასტერი, თავისი უზარმაზარი ნავით და ორსართულიანი სენაკების ფლიგელით, ე. წ. მანუელინუს სტილის საუკეთესო მაგალითია. ეს გარდამავალი სტილი გოტიკურ შენობებზე რენესანსის დეტალების „მიწებებით“ გამოირჩევა. ოკეანის სიახლოვე მის ორნამენტებშიც იგრძნობა – წყალმცენარეები, ეგზოტიკური ხილი, პორტუგალიელი მოგზაურების მიერ აღმოჩენილი შორეული სანაპიროები...

მანუელინუს სტილშია შესრულებული ბელემის კოშკიც. ის თავისი ორიგინალური ესთეტიკით გამოირჩევა და არცერთ ამ ტიპის შენობას არ ჰგავს. დიდი ხნის განმავლობაში კოშკი ციხესიმაგრეს, ხოლო შემდეგ ციხეს წარმოადგენდა. დღეს უჩვეულო სიმარტოვეში მდგომი, ის ადრე ქალაქის კარიბჭე იყო. 1755 წლის ცუნამიმ კოშკი მდინარის კალაპოტში მოახვედრა. შენობა 1521 წელს ააგო ფრანსისკუ დი არუდამ. ჰექსაგონის მსგავსი ფორმა ხაზს უსვამს მის „საზღვაო“ ხასიათს. კოშკს კარაველასაც ამსგავსებენ.

ბელემშივე, კოშკის სიახლოვეს მდებარეობს ე. წ. „აღმოჩენათა მონუმენტი“. ის 1960 წელს დაიდგა მეფე ენრიკ

ზღვაოსნის საპატივცემულოდ. მართალია, მეფე არასდროს ყოფილა მოგზაური, მაგრამ იგი დიდი ექსპედიციების სულისჩამდგმელად და ორგანიზატორად ითვლება. მონუმენტის სალაზარის დიქტატურის პერიოდისათვის დამახასიათებელი გრანდიოზული იერსახე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ლისაბონელს არ მოსწონს, მონუმენტი მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენს სწორედ თავისი ექსპრესიითა და „საზღვაო“ ხასიათით.

ბელემის არქიტექტურულ პეიზაჟში გამორჩეული კიდევ ერთი შენობაა კულტურის ცენტრი. მისი ავტორები არიან არქიტექტორები – იტალიელი ვიტორიო გრეგოტი და პორტუგალიელი მანუელ სალგადუ. ამ ცენტრშია ბერარდოს მუზეუმიც, თანამედროვე ხელოვნების მდიდარი კოლექციით. კულტურის ცენტრის შენობა, მისი მინიმალისტური არქიტექტურის მიუხედავად, მასალების ვირტუოზული გამოყენების გამო გარემოში საკმაოდ ჰარმონიულად ჩაეწერა. ლისაბონის ცენტრი მთავორიანია. შვიდ გორაკთაგან, რომლებზეც ცენტრია განფენილი, ზოგი ისეთი ციცაბოა, რომ ფუნიკულიორის აშენება გახდა საჭირო.



MOSTEIRO DOS JERÓNIMOS

ტაძარი ვასკო და გამას გრანდიოზული მოგზაურობის უკვდავსაყოფად ააგეს, ამიტომ შენობის გოტიკურ დეკორში მარინისტული ელემენტები ჭარბობს – ღუმები, მარჯნის რიფები, ოკეანის ბინადრები, თოკები, სანაოსნო კვანძები... გოტიკისა და ზღვის თემების სინთეზს მოგვიანებით არქიტექტურაში მანუელინუს სტილი (estilo manuelino) უწოდეს.

1496 წელს მეფე მანუელ I-მა რომის პაპს ნებართვა სთხოვა, მონასტერი აეგო ვასკო და გამას მომავალი წარმატების უკვდავსაყოფად, რომე-



ლიც ის-ის იყო თავის დიდ მოგზაურობას იწყებდა ევროპიდან ინდოეთამდე საზღვაო გზის აღმოსაჩენად. შერონიმუსის მონასტრის აშენება მდინარე ტეჟუს მახლობლად, იმ ადგილას გადაწყდა, სადაც ქრისტეს ორდენის ძველი ეკლესია მდებარეობდა.

1600 წელს, მშენებლობის დასრულების შემდეგ მონასტერი წმ. იერონიმეს (პორტუგალ. შერონიმუსის) ორდენს (Ordem de São Jerónimo) გადაეცა. შესაბამისად, სახელიც ორდენის გამო ეწოდა. არსებობს მისი ალტერნატიული სახელწოდებაც – სანტა მარია დე ბელენი. ტაძარი იმ თანხებით იგებო-

MONUMENTO AOS DESCOBRIMENTOS

მონუმენტი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის ზღვაოსნებსა და მწერლებს ეძღვნება. მოედანზე, ძველის წინ გამოსახულია 50 მ დიამეტრის „ქარების ვარდი“, რომლის ცენტრში 14 მ-ის დიამეტრის პლანისფეროზე პორტუგალიური კარაველეებისა და კარაკების მარშრუტები გამოსახული.



PALACE OF AJUDA

1755 წლის 1-ელ ნოემბერს ლისაბონი მიწისძვრამ შეაზანზარა, ფაქტობრივად, მთლიანად დაინგრა, ისევე როგორც სამეფო სასახლე. მონარქის ოჯახი გადარჩა, რადგან ქალაქგარეთ იმყოფებოდა. შობე I იმდენად შეშინდა, რომ უარი განაცხადა ქვისგან აგებულ შენობაში ეცხოვრა და ახალი, ხის სასახლის აშენება



ბრძანა. მას ხალხმა „სამეფო ბარაკი“ უწოდა. 40 წლის შემდეგ (1794) ეს ნაგებობა ხანძარმა გაანადგურა.

მხოლოდ ამის მერე აშენდა სამეფო სასახლე აჟუდა, სადაც პორტუგალიის სამეფო ფუფუნების ხილვას შეძლებთ.

ბილეთის ფასი: 10€
Largo Ajuda



და, რომლებიც პორტუგალიამ ახალი სავაჭრო გზების აღმოჩენის შედეგად მოიპოვა.

მანუელ I-ის დროს მშენებლობას ორი არქიტექტორი აწარმოებდა. პირველის – დიოგუ დე ბოტაიკას ხელმძღვანელობით მონასტრის კონტურები ჩამოყალიბდა. 1513 წელს მეფემ მშენებლობისთვის კიდევ დიდი მიწა შეიძინა, ამიტომ გეგმა გადაკეთდა და სამუშაოების მასშტაბიც გაიზარდა. მეორე არქიტექტორი – ჟუაუ დე კაშტილუ მშენებლობას 1517 წელს ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით აშენდა სამხრეთის პორტალი, ორდენის წევრთა დარბაზი, კლასტრო (დახურული ეზო), სატრაპეზო და ეგვტერები. შემდეგ სამუშაოები დიოგუ დე ტორალვამ გააგრძელა (1540-1551), ხოლო მშენებლობა შერონიმუ დე რუაუმ დაასრულა. მისი პროექტით აშენდა პრესვიტერია (სივრცე საკუროხვევლასა და ნავს შორის), რომელიც მანიერისმის ერთიან სტილთან კონტრასტს ქმნის.

მონასტრის დასათვლიერებელი ბილეთის ფასი: 10€. ეკლესიაში შესვლა უფასო. შეგიძლიათ ბილეთები ინტერნეტით შეიძინოთ და რიგში დგომა თავიდან აიცილოთ. **ღიაა:** ოქტომბერი-მაისი, ყოველდღე – 10.00-17.30 (ბოლო შესვლა 17.00); მაისი-სექტემბერი, ყოველდღე – 10.00-18.30 (ბოლო შესვლა 18.00)

Praça do Império



ვასკო და გამა სახელგანთქმული პორტუგალიელია, მან ინდოეთისკენ სანაოსნო გზა აღმოაჩინა, რომელიც შემდგომში მსოფლიო ფინანსურ არტერიად იქცა. მოგზაურმა მთელი ცხოვრება სახლიდან შორს გაატარა და სამშობლოში მხოლოდ სიკვდილის შემდეგ პოვა სამუდამო განსასვენებელი – ასევე შერონიმუსის მონასტრშია დაკრძალული მეფე მანუელ I, პოეტი ლუიშ კამოენსი და მწერალი ფერნანდუ პესოა.

თანამედროვე მსოფლიო ომებს გადარჩენილი ღისა-ბონი რამდენიმე დიდი კატაკლიზმის მსხვერპლი გახდა. 1755 წლის მიწისძვრასა და ცუნამის 60 000 ადამიანის სიცოცხლე ანუ ქალაქის თითქმის მეთხუთხედი ემსხვერპლა. როსიუს მოედნის სახელოვეს მდებარე კარმესის მოედნის ნანგრევები ამ კატასტროფის ერთგვარ მემორიალს წარმოადგენს.

მიწისძვრამ ისე შეაშინა პორტუგალიელები, რომ თვით მეფემ და მთელმა სამეფო კარმა მთელი სიცოცხლე კარვებში გაატარეს. საბედნიეროდ, მეფის პირველმა მინისტრმა და მომავალმა მარკიზ დი პომბალმა შიში დაძლია და ქალაქის ცენტრალური, მიწისპირა ნაწილი აღადგინა. მას დღემდე ბაიშა პომბალინა ეწოდება.


მარკიზმა ახალი უბანი რაციონალური გეგმარების სისტემით გააშენებინა: რეგულარული ქუჩების ქსელი, დიდი მართკუთხა მოედნები პრასა და ფიგეირადან პრასა და



შიაღუს რაკონსტრუქცია


კიდევ ერთი, ნაკლებად მასშტაბური, მაგრამ საკმაოდ ტრაგიკული მოვლენა ლისაბონის ისტორიაში 1988 წლის ხანძარი იყო, რომელმაც ე. წ. ზედა ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბანი – შიაღუ გაანადგურა. ამ კატასტროფამ დაასრულა შიაღუს უბნის დეგრადაციის გრძელი პროცესი და მისი რეკონსტრუქციის და აღდგენის ეტაპი დაიწყო. მრავალწლიანი რეკონსტრუქცია, რომელიც ცნობილი პორტუგალიელი არქიტექტორის, ალვარუ სიზას ხელმძღვანელობით ჩატარდა, ისტორიული ცენტრის რეკონსტრუქციის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია მსოფლიოში.

პირველი პრიორიტეტი იყო ინტეგრირებული განვითარების პროგრამის შექმნა უბნის იმიჯის და საცხოვრებლის იერსახის გასაუმჯობესებლად. პირველი, რაც გაკეთდა, იყო ლითონის საფენიანო ქუჩების სისტემის მშენებლობა.



კომერსიომდე (რომელიც ოთხივე მხარეს მდინარეზე გადის). სახანძრო უსაფრთხოების მიზნით მან ტრადიციული პორტუგალიური კერამიკის – აზულუჟუს გამოყენება დაიწყო. ერთი საუკუნის შემდგომ მარკიზ დი პომბალის ძალისხმევით აგენიდა დე ლიბერდადის მშენებლობით დაგვირგვინდა. დღეს ეს ქუჩა ლისაბონის „ელისეს მინდვრებს“ წარმოადგენს.

ლისაბონი ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მდებარე ყოფილი საპორტო და ინდუსტრიული ზონების კონვერსიის ხარჯზე ვითარდება. ლისაბონელებმა სწორი გზა აირჩიეს და ეს ტერიტორიები დეველოპერებს არ გადასცეს უსულო უბნების ასაშენებლად. სამაგიეროდ, მრავალმა არქიტექტორმა და დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტში. შედეგად, ბევრი უმოქმედო თევზის დარხანა, საწყობი, საამქრო სასტუმროდ, კაფედ, რესტორნად, კულტურის ცენტრად გადაკეთდა და ეს ყველაფერი ერთად ლისაბონის შარმის განუყოფელი ნაწილი გახდა.



„რეაბილიტაციის პროექტი მშალი, დაუსრულავალი პროექტი. არადა, ის უნდა იყოს სრულიად ბახსნილი, რათა მოხდეს კოორდინაცია დროში, კონტაქტში და ხელი შეუწყოს სხვადასხვა სტრუქტურის სიცოცხლისუნარიანობას“. ალვარუ სიზა

ამან უზრუნველყო ის, რომ უბანი იქ მცხოვრები მოსახლეობისაგან კი არ დაიგალა, პირიქით, ისინი მთლიანად ჩაერთვნენ რეაბილიტაციაში.

რეკონსტრუქციის პროექტს ალვარუ სიზა ერთი დეკადის განმავლობაში ამუშავებდა. 1990 წელს პროექტი მზად იყო. მის ძირითად კონცეფციას XVIII საუკუნის „პომბალინური“ სტილის თავისებური რეინტერპრეტაცია წარმოადგენდა. ახალი უბანი, ქვის ბლოკების და მასალების თუ ფერების გამოყენებით, გარშემო მდებარე უბნების არქიტექტურაში ჰარმონიულად ჩაეწერა.

სიზას გენგეგმა უშუალოდ დამწვარ ტერიტორიასთან ერთად ახლომდებარე უბნებსაც მოიცავდა, რის მიზანიც იყო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ცენტრის სრული გაჯანსაღება. სიზამ შექმნა სამოგადოებრივი სივრცის ერთიანი ქარგა – მოედნების, ქუჩების, პატიობების, ტერასების, ეკლესიების, მიწისქვეშა პარკინგებისა და სავაჭრო ცენტრების სახით. ამ ქარგაზე აეგო კერძო სივრცეების ჯაჭვი როგორც სიბრტყეზე, ისე რელიეფზე. პროექტმა ორი მთავარი ამოცანა შეასრულა: არ დაირღვა ისტორიული გარემო და უბანმა ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია.



ალვარუ სიზას ზილდოები: 1988 – ვან დარ როუს კრამია; 1992 – კრიცკარის კრამია; 1998 – იაკონიის საიმპაკტორო კრამია; 2001 – ვოლფის კრამია; 2009 – ბრიტანეთის არქიტექტურა საბეფო ინსტიტუტის ოქროს მედალი; 2012 – ვენეციის ბიენალის „ოქროს ლომი“.

ალვარუ სიზას ღირიქული მოღარინიანი

ალვარუ სიზა მოდერნიზმის ცოცხალი „დინოზავრია“. მისი, როგორც არქიტექტორის და პედაგოგის, ღვაწლი შეუფასებელია როგორც პორტუგალიის, ისე მთელი მსოფლიოსათვის, თუმცა, ვფიქრობ, სიზა პორტუგალიაში კიდევ იმდენ უყვართ ასე, რომ ის, უბრალოდ, კარგი ადამიანია. უამრავი პრემიის ლაურეატი და მსოფლიო არქიტექტურის პედაგოგი – ალვარუ სიზა ძალზე მოკრძალებული ადამიანია. ამავე დროს, იგი არის სახელგანთქმული მუსიკოსი, მომღერალი და პოეტი – შეიძლება ითქვას, რომ სიზა პორტუგალიის ცოცხალი კულტურული მემკვიდრეობაა.

სიზას მიერ თანამედროვე მოდერნიზმის ტრადიციით შექმნილი ნაგებობები სავსეა ლირიზმით, პოეზიითა და პორტუგალიური ხასიათისთვის დამახასიათებელი ექსპრესიონიზმით. მისი შენობების ყოველი რაკურსი სრულიად განსხვავებულ კომპოზიციას ქმნის და ყველა ეს კომპოზიცია უშეცდომოა.



სერალვემის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი პორტუ, 2007

მთავარი ნაგებობა საგამოფენო სივრცის, ოფისებისა და ტერასიანი რესტორნისგან შედგება. უზარმაზარი კარი დარბაზების გამყოფ-გამაერთიანებელ ფუნქციას ასრულებს. ჭერში დატანილი ლიობებიდან შენობაში შუქი იღვრება. კედლების ჭრილების სისტემით კი ვენტილაცია ხორციელდება. ქვის ან შელესილი ფასადები, მარმარილოს იატაკი, აბსტრაქტული მინიმალისტური კედლები, რომლის ფანჯრებიდანაც ბაღის მოულოდნელი ხედები შენობაში იჭრება – ეს ყველაფერი ლანდშაფტთან მშვიდ დიალოგს მართავს.



Iberê Camargo Foundation ბრაზილია, პორტუ – ალვერი, 2008

ცნობილი ბრაზილიელი მხატვრის, იბერე კამარგუს ექსპოზიციისთვის შენობა ალვარუ სიზამ მთასა და გბატკეილს შორის, ვიწრო მონაკვეთზე ააგო. ფართობის სიმცირის გამო გალერეები მან სხვადასხვა დონეებზე განალაგა. სკულპტურული პანდუსებით ერთმანეთთან დაკავშირებული ფრაგმენტები შენობიდან გამოდის და ისევ უკან ბრუნდება. იქვე დიდებული მდინარე გუაბა მიედინება: მუზეუმის ფანჯრებიდან მასზე გამავალი მშვენიერი ხედები იშლება. ფასადის მასალა და ფერი ნაგებობის სკულპტურულ ფორმას გამოკვეთს. ღია ფერის ხემასალით გამშვენებული ინტერიერის გასანათებლად სიზამ მინის კონსტრუქციები გამოიყენა.



Vidago Palace Spa პორტუგალია, ვიდაგუ, 2012

XX ს-ის დასაწყისის სასტუმრო Vidago Palace-ის ანსამბლს, რომელიც სამეფო სასახლედ აშენდა, ალვარუ სიზას სპაცენტრი ახალ არქიტექტურულ შტრიხს სძენს. სიზამ მოდერნისტულ-მინიმალისტური ცენტრი ააშენა – ძველისა და ახლის დასაკავშირებლად ტერაკოტის ფაქტურა გამოიყენა. ფერად ფასადთან ინტერიერის თეთრად შელესილი კედლები და ბაცი ქვა ჩინებულ კონტრასტს ქმნის. ახალ-აგებული ფრთა მოკრძალებულად ჩაფლულია მიწაში, ლანდშაფტური პარკის ხედი რომ არ დაფაროს.



ფადუ – ბედანქორიერი ბედნიერების ზღუდრება



ამალია როდრიგეში, 19 მაისი, 1959

კახა თოლორდავა

სიტყვა „ფადუ“ პორტუგალიურად ბედისწერას ნიშნავს და პორტუგალიელების აზრით, იმ სასიძღერო ფორმის გარეშე, რომელიც ამავე სახელს ატარებს, მათი ქვეყნის გაგება შეუძლებელია.

ფადუ პორტუგალიის სულია, მის სიღრმეში გაჩენილი ბლუზი და, როგორც ბლუზი, ისიც ადამიანების გულებში ჩამომდგარი ქაოლის შედეგია. სწორედ ამიტომაცაა ის უნივერსალური. მისი საყრდენი ენაა, მაგრამ ის სემანტიკის მიღმაც ეფექტურია, რადგანაც მისი მეორე, ძირითადი საყრდენი ადამიანის ემოციებით გაჯერებული ხმაა.

როდესაც ფადისტა (ფადუს მომღერალი) სიმღერას ამთავრებს, ყველაზე ტრაგიკულად ემოციურსაც კი, იღიმება და ელის იმას, რომ მსმენელსაც გაელიმება, იმითომ რომ ერთადერთი, რაც ტკივილის შემდეგ რჩება, შვების ღიმილია.

იყო ფადისტა – ნიშნავს ხანისაღმავრობა იარო სიყვარულის თუ მონატრების ტკივილით გამოწვეულ გრძნობებთან ერთად. ყველა ფადისტას თავისი საკუთარი ფადუ აქვს, როგორც ყველა ბლუზმენს – თავისი ბლუზი. სხვანაირად ფადუში ვერ იცხოვრებ, შესაბამისად, ვერც იმღერებ მას.

ფადუს (და პორტუგალიელების) გასაგებად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა იცოდეს კაცმა – „საუდად“ (saudade). ეს სიტყვა პორტუგალიელების ემოციური მდგომარეობის მანიფესტაციაა და ნათელი სევდის, ნოსტალგიის, სწრაფად წარმავალი ბედნიერების, მიუწვდომლისადმი სევდის აღმნიშვნელია; მაგრამ „საუდადი“ არასდროს არაა ბნელი და ნეგატიური – პირიქით, ის კეთილშობილურ რომანტიკულ ნათებაშია გახვეული და ხშირად უბედური სიყვარულის მეშვეობით გაწმენდილ სულში ჩაბუდებული გრძნობაა. პორტუგალიელებს მიაჩნიათ, რომ „საუდადის“ მდგომარეობაა ის, რაც მათ სხვა ერებისგან განასხვავებს.

თუ გაქვს „საუდადი“, მაშინ ჭეშმარიტი პორტუგალიელი ხარ, იცი, რაა ფადუ და როდესაც ფადისტა მღერის – „მიშველი სიტყვები, რომელთაც კოცნი, მაშინ როდესაც ღამე ილევა, სიტყვები შენი თავად ქრებიან, როდესაც შენს დარდს ეხეთქებიან“ – შენ და ფადისტა ერთნი ხართ.

ამ განუყრელ დაწყვილებებს: ფადუ და პორტუგალია, პორტუგალია და „საუდადი“, ფადუ და „საუდადი“ – კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყვილიც ემატება – ფადუ და ლისაბონი, განსაკუთრებით კი ლისაბონის ორი ყველაზე მულტიკულტურული რაიონი – ალფამა და მორარია. წარმოდგენილია მოხვედრისაბონში და ამ აკუსტიკურ სტოიციზმთან შეუხებლად დაბრუნდე უკან.

„ალფამის ხეივანები, ძველი ლისაბონი ქუჩები... ყველა ფადუ შენივე წარსულზე ჰყვება, „აჰ, მთვარენაკოცნი ალფამას ხეივანები! მინდა იქ ვიცხოვრო, ფადუსთან ახლოს!“ – არა აქვს მნიშვნელობა, გაიგებ თუ არა ამ სიტყვებს, თუ ფადისტა კარგია, ის აუცილებლად დაგანახევებს ლისაბონის ხეივანებს თუ ქუჩებს და იმ ადამიანების ბედსაც გაგრძნობინებს, რომლებიც იქ ცხოვრობენ.

ფადუს პირველი ოფიციალური ჩანაწერი გრამფირფიტაზე 1902 წლით თარიღდება, მაგრამ მუსიკა ბევრად უფრო ასაკოვანია. დღეს ფადუს ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპერტებიც კი ვერ იტყვიან დადასტურებით, თუ როდის გაჩნდა ის პორტუგალიაში, მაგრამ ერთი რამ უდავოა: მისი ოფიციალური ისტორიის დაწყების ანუ ლისაბონში ფადუს პირველად შესრულების თარიღი 1830 წელია.

ბევრს მიაჩნია, რომ ყველაფერი ნაპოლეონის და ე. წ. პირენეს ნახევარკუნძულის ომების პერიოდში დაიწყო. იმის შიშით, რომ ფრანგები და ესპანელები ლისაბონში შეიჭრებოდნენ, ინგლისელებმა პორტუგალიის სამეფო ოჯახი ბრაზილიაში გადაიყვანეს. სამეფო ოჯახის ამალი 15 000 კაცისგან შედგებოდა და ეს გახიზვნა ერთი ქვეყნიდან მეორეში კოლონიალური ინვერსიის უნიკალური ისტორიული შემთხვევაა. ის ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო აღმოჩნდა ყველა თვალსაზრისით, კულტურულის ჩათვლით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ ამ მოვლენამ შეუწყო ხელი ბრაზილიის დამოუკიდებლობას. პორტუგალიის სამეფო ოჯახმა იქ 14 წელი დაყო (1807 – 1821) და, სავარაუდოდ,

ფადუ სწორედ სამეფო ოჯახს ჩამოჰყვა თან, ოღონდ არა მის „ელიტარულ“ არამედ „მდაბიო“ ნაწილს: მოსამსახურეებს, მეჯინებებს, მზარეულებს, სეფეებს.

საბოლოო ჯამში, ეს ვერსიაც ვარაუდია, რომელიც კიდევ უფრო ართულებს ფადუს ფესვების წვდომას. თუ ფადუ ბრაზილიური ფენომენია, შესაბამისად, ამ მოვლენის პირველწყარო აფრიკა და იქიდან ამერიკის კონტინენტზე ჩამოყვანილი მონები უნდა იყვნენ, რადგანაც ცნობილია, რომ თავდაპირველად ის, რაც ფადუს საფუძვლად დაედო, ძალიან პოპულარული აფრო-ბრაზილიური სინკოპირებული ნელი ცეკვა იყო.

პორტუგალიაში „გადმობარგების“ შემდეგ ამ ცეკვამ დაკარგა სხეული, სინკოპირებული რიტმი, შეიმოსა სიტყვით და ნელ-ნელა ლირიკულ სიმღერად იქცა – აფრო-ბრაზილიურ-ბლუზურ მოვლენად, რომელიც ლისაბონში მოხვედრისას ურბანულ ფოლკად ჩამოყალიბდა. სამეფო ოჯახის დედაქალაქში დაბრუნებიდან სულ ცოტა ხანში ფადუ ქალაქის ყველა ტავერნაში თუ საროსკიპოში ისმოდა. ასე გახდა ფადუ ლისაბონის საკუთრება და მისივე საუნდორეტი, თუმცა ეს ისტორია მისი წარმოშობის ერთადერთი ვერსია ნამდვილად არაა და მასზე საუბრისას ფადუს ექსპერტები ხშირად მავრების და ტრუბადურების გავლენებზეც საუბრობენ ხოლმე; არც მემღვაურების ხსენება ავიწყდებათ.



გიტარა და GUITARRA PORTUGUESA – ოვადური, მომცრო ზომის პორტუგალიური გიტარა - ფადუს აკომპანიერებისათვის აუცილებელი ძირითადი ინსტრუმენტებია, მაგრამ ასეთი მდიდარი ემოციურად. ფადუ უბრალო ადამიანების მუსიკაა და ის მათი პრობლემების და შეგრძნებების ენაზე ესაუბრება მსმენელს. ის საკმარისად ელასტიკური სასიძღერო ფორმაა იმისთვის, რომ იოლად მოერგოს მრავალფეროვან შეგრძნებებსა თუ სიტუაციებს და ფადისტას მეშვეობით ეს გრძნობები და სიტუაციები სხვა განზომილებაში ხვდება – განზომილებებში, სადაც სიმღერის ნებისმიერი პერსონაჟი, ურთიერთობის ხარისხი და წივით იმდენად რელიეფურად მისაწვდომი ხდება მსმენელისათვის, რომ სრულიად შეუძლებელია თანამგრძობარსებად



ცვლილებების შესაძლებლობებზე. უფრო მეტიც, როდესაც 1933 წელს პორტუგალიაში „შტადუ ნოვოს“ – „ახალი სახელმწიფოს“ ავტორიტარული რეჟიმი ჩამოდგა, მან, ისევე როგორც მოგვიანებით ბრაზილიურმა ხუნტამ – სამხას და ბოსა ნოვას შემთხვევაში, ფადუს საკუთარ ინტერესებზე მორგება დაიწყო.

„შტადუ ნოვოს“ ხანგრძლივი მმართველობის განმავლობაში (1933-1974) ცნობილი ფადისტები მარგინალურ თემებზე ველარ მღეროდნენ თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერი ფადისტა ვალდებული იყო, სახელმწიფო გამოცდა ჩაებარებინა და საკონცერტო მოღვაწეობის უფლებაც მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუ სერტიფიკატს აიღებდა...



ფადუს პირველი ოფიციალური ჩანაწერი 1902 წლით თარიღდება, მაგრამ აპლიკა გავრავლდა უფრო ახალგაზრდა ფადუს პირველი ოფიციალური ჩანაწერი 1830 წლით.



არ აქციოს ის. ამ დროს ემოციების შეკავება ბევრისთვის ძნელია ხოლმე და ალბათ ამიტომაცაა, რომ casas de fado – ადგილები, სადაც ფადუ სრულდება (არა საკონცერტო ფადუ!), როგორც წესი, ნახევრად ჩაბნელებული ოთახებია და იქ სირცხვილად არ ითვლება ემოციური გაშიშვლება არც ფადისტასათვის და არც მსმენელისათვის. სიბნელე ფადუს კრისტალიზაციაში ეხმარება და, ამავდროულად, ის სიბნელის გადალახვისთვის მოხერხებული მუსიკალური ფორმაა. ფადუ სიბნელიდან სინათლეში მოძრაობს, რომლისკენაც ბიძგი შეიძლება თუნდაც ასეთი გამხსნელი ფრაზა იყოს: „თქვენ მდინარეში რომ რეცხავთ ტანსაცმელს და ნაჯახებით ჩეხთ შემას ჩემი კუბოსთვის...“

ფადუ იმდენად მოქნილი სასიმღერო ფორმაა, რომ თავის დროზე პორტუგალიაში გაჩენილ ანარქისტულ იდეებსაც კი დიდებულად მოერგო. ეს ფადუს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უცნობი ფაზაა და ამის შესახებ ბევრმა არც კი იცის. ფადუს შემოქმედებით მღეროდნენ მუშათა კლასის გაჭირვებულ ცხოვრებაზე, მარქსის და ლენინის იდეებზე, რევოლუციური

მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმი ბოლომდე არასდროს ენდობოდა მის მარგინალურ მდგომარეობას, ფადუ მაინც ლამის სახელმწიფო მუსიკად იქცა და ამ დროს ის ოჯახურ ღირებულებებსა და სამშობლოს პლაკატურ სიყვარულზე ამღერდა. ყველაფრის მიუხედავად ფადუმ ეს დარტყმაც ღირსეულად გადაიტანა და კიდევ უფრო გამდიდრებული დაუბრუნდა პორტუგალიელებს.

ფადუს მუსიკალურ სასწავლებლებში არ ასწავლიდნენ და დღესაც არ ასწავლიან. ის ლისაბონის, კოიმბრის თუ სხვა რომელიმე ქალაქის ქუჩებში აკრეფილი სიმღერების ერთიანობაა. აქაც თვალშისაცემია ფადუს ბლუზთან სიახლოვე. კარგი ფადუ ფადისტადან შეგირდისათვის გადაცემული ცოდნაა, ამ ცოდნას კი, ძირითადად, ტავერნებში, საროსკიპობებსა და პორტებში იძენდნენ. ყველა ფადისტა თავისას უმატებს ნასწავლს. ამ მხრივ ფადუ ერთგვარი ჯამ-სტანდარტივითაა. ესა თუ ის ფადუ, ისევე როგორც ჯამ-სტანდარტი, ყოველი მომღვწილი ფადისტას მიერ იხვეწება და ასე უსასრულოდ.

სავარაუდოდ, ფადუს სიმღერა ჯერ კაცებმა დაიწყეს, მაგრამ თავისი ემოციური მუხტის გამო ის მუდამ ქალების მიმართულებით იწვედა და ერთ დღეს ასეც მოხდა – ფადუს სიმღერა ქალებმაც დაიწყეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდებულად მოირგეს ეს მეღანქოლიური სიმღერები.

პირველი ქალი, რომელიც ფადუს მღეროდა და გიტარაზეც უკრავდა, მარია სევერა იყო – ძალიან ლამაზი მეძავი, გრაფ ფრანსიშკუ დი პაულას საყვარელი და ფადუს პირველი გრანდ დამა. დღეს ნებისმიერი, ვინც ფადუზე წერს, როგორც წესი, პირველად მას იხსენებს ხოლმე. იგი 1846 წელს გარდაიცვალა და იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე ფადუმ იმდენ დიდებულ ფადისტაში გამოიარა, იმდენ ლექსსა თუ ტრადიციულ და კროს-კულტურულ მუსიკალურ ფორმაში, იმდენი პორტუგალიელის გულში, რომ როდესაც 2009 წელს ლისაბონის ყოფილმა მერმა პედრუ სანტანამ ოფიციალურად მოითხოვა ფადუს კულტურულ მემკვიდრეობად აღიარება, „იუნესკოს“ სულ ორი წელი დასჭირდა ამ წინადადების მისაღებად. 2011 წელს ფადუ „იუნესკოს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს.

ფადუმ შებიჯება მათთვის, ვინც პირველად უახლოვდება მას, ბევრი კართაა შესაძლებელი. მარია ტერეზა დი ნორონია, ფერნანდუ ფარინია, კარლუშ დუ კარმო, კრისტინა ბრანკუ, მარია ანა მოურა, ანა სოფია ვარელა, ერმინია სილვა, მარია დე ფე, ჟოანა ამენდოეირა, დულშე პონტესი ან თუნდაც პორტუგალიური ბენდი „მადრედუესი“ – ნამდვილად კარგი სტარტი იქნება ნებისმიერი დაწყებისათვის, მაგრამ რა გზითაც არ უნდა მოხვდეს ადამიანი ამ მეღანქოლიურ აკუსტიკურ გარემოში, არის ერთი კარი, რომელშიც შებიჯებაც ნებისმიერისათვის აუცილებელია: ესაა ამალია როდრიგეში, „ფადუს დედოფალი“, „საუკუნის ხმა“, ვინც ფადუ მსოფლიოს შეაყვარა და მეინსტრიმის ნაწილად აქცია.

დღეს ფადუ და როდრიგეში სინონიმად აღიქმება პორტუგალიელებისათვის და ორივე ქვეყნის იდენტურობის განმსაზღვრელია. ამიტომაცაა, რომ 1999 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ პორტუგალიის იმდროინდელმა მთავრობამ სამი დღე ეროვნულ გლოვად გამოაცხადა და იმ დღეებში ყველა პორტუგალიელი „ამალიანო“ – ამალიას ფანი იყო.

„ფადუ ჩვენ, პორტუგალიელებმა შევქმენით, – თქვა ერთ-ხელ როდრიგეშმა, – რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ სევდის უამრავი მიზეზი გვაქვს. ღმერთმა ისეთ ადგილას მოგვიჩინა სახლი, რომ აქ არავინ ჩამოვიდოდა, თუ ეს აუცილებელი არ



„ფადუ ჩვენ, პორტუგალიელებმა შევქმენით. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ სევდის უამრავი მიზეზი გვაქვს. ღმერთმა ისეთ ადგილას მოგვიჩინა სახლი, რომ აქ არავინ ჩამოვიდოდა, თუ ეს აუცილებელი არ იყო. ერთი მხრიდან ესპანეთი გვესაზღვრებოდა, რომელიც სულ ხმლით ხელში მოიწვედა ჩვენკენ, მეორე მხრიდან კი – შემამინებელი ოკეანე. ასე რომ, საკმარისი დრო გვექონდა სევდისა და ტანჯვისთვის და სწორედ ესაა ფადუ.“
ამალია როდრიგეში



იყო. ერთი მხრიდან ესპანეთი გვესაზღვრებოდა, რომელიც სულ ხმლით ხელში მოიწვედა ჩვენკენ, მეორე მხრიდან კი – შემამინებელი ოკეანე. ასე რომ, საკმარისი დრო გვექონდა სევდისა და ტანჯვისთვის და სწორედ ესაა ფადუ“.

დღეს ფადუს სამყაროში ყველას და ყველაფერს მისი დალი ასვია, ასე რომ, ვისაც პორტუგალიაში მოგზაურობისას ფადუსთან შეხვედრა უნდა, როდრიგეში და მისი სახლ-მუზეუმი ლისაბონში, ისევე როგორც ფადუს მუზეუმი ალფამის უბანში, ნამდვილად კარგი დასაწყისი იქნება; ხოლო ვისთვისაც მუზეუმებში ბორიალი დამღლეია, ამ შემთხვევაშიც როდრიგეში კვლავაც აუცილებელ საწყის წერტილად რჩება. მის შემდეგ კი ლისაბონის ქუჩებში ხეტილია რჩება, რადგანაც ეს ქუჩები ყველაზე კარგად ინახავენ ფადუს საიდუმლოს და ყველაზე კარგადაც გიყვებიან მის შესახებ.


VOYAGER ჩაქოვანდაცია

CLUBE DE FADO

ეს ფადუს სახლი გიტარისტმა მარიო პაჩეკომ დააარსა სამ საუკუნეზე მეტი ხნის ნაგებობაში, რომელიც ლისაბონის ტაძრის უკან მდებარეობს. აქაურ აკუსტიკას გოთიკური, ელიფსისებური ჭერი და ქვის სვეტები უზრუნველყოფს. ყოველდღიურად აქ ოთხი სხვადასხვა „ფადისტა“ მღერის, მათ შორის, მარია ანა ბობონე და როდრიგო კოშტა ფელიქსი. **ღიაა: 20.00-02.00.**

Rua São João da praça 86

განმთავრებულია ერთად წარმოდგენაზე დასწრების ფასი საშუალოდ 50 ევროა.



აპოკრიფური სარამაგო

© Fundação José Saramago

ლაშა ბულაძე

ეს კაცი, ვისზეც ახლა უნდა გიაბოთ, ზუსტად თვრამეტი წლის წინ უნდა მენახა ლისაბონში, თუმცა, რაკი სატრანსპორტო გაფიცვის მსხვერპლი შევიქენი, დროულად ვერ მივაღწიე დანიშნულების ადგილამდე და ისეთ დროს მივედი შთაბეჭდილების ეპიცენტრში, როცა მხოლოდ ოდეკოლონის სურნელების ნარჩენები და დარჩენილი ცნობილი მომხსენებლისგან.

ვინც იქ დამხვდა, ყველა მასზე, მის მოსვლასა და წასვლაზე ჰყვებოდა და ჩემთვის არცთუ ადვილი გამოდგა ერთიანი ხატის შექმნა ამ მრავალფეროვანი მოზაიკიდან. აპოკრიფები მერგო მის შესახებ და არა კანონიკური ვერსია, და სწორედ იმ პრინციპით გადმოცემული, როგორც ეს კაცი წერდა თავის ყველაზე ცნობილ მხატვრულ აპოკრიფს – რომანს „იესოს სახარება“.

მისი მნახველები იმდენაირ დანაწევრებულ დეტალად ახასიათებდნენ ამ კაცს, რომ ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს აქ არა ერთ, არამედ ათ ჟოზე სარამაგუს დაეტოვებინა ეს მძაფრ-ტკბილი არომატი...

ერთმა მითხრა, რომ პორტუგალიის ყველაზე სახელმძოხვეტილი მწერალი პოლიციელთა ესკორტით მოსულიყო ჩვენთან შესახვედრად (რაც ტყუილი აღმოჩნდა); მეორემ თქვა, რომ პორტუგალიის ყველაზე სახელმძოხვეტილი მწერალს თან ხლებია ამაყი და ლამაზი ქალი – მისი მეუღლე, ხოლო მესამემ მაუწყა, რომ პორტუგალიის ყველაზე სახელმძოხვეტილი მწერალი პათეტიკურად, რიხიანად და, პრინციპში, სასაცილოდ მისალმებია სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ კოლეგა-მწერლებს – ისე, როგორც ეს კომუნისტ ფიდელებს კასტროს სჩვეიაო.

ჟოზე სარამაგუს და ხსენებულ კასტროს მართლაც მხოლოდ ის აკავშირებდათ ერთმანეთთან, რომ ორივენი კომუნისტები იყვნენ, თუმცა კომუნისტობითაც საკმარისად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. პორტუგალიის ყველაზე სახელმძოხვეტილი მწერალი ინტელექტუალ ევროპელ კომუნისტთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რის გამოც, ბუნებრივია, ერთმნიშვნელოვნად არ ჰგავდა ავადსახსენებელ პრაქტიკოს კომუნისტებს, რომელთაც უხვად ვიცნობთ ჩვენი მრავალჭირნახული ისტორიიდან.

გაჭირვებაგამოვიღე, ბავშვობაში თითქმის მთელი ცხოვრებით გაჰყოლოდა მიზლი მუშათა და გლეხთა ექსპლუატატორ კაპიტალისტთა მიმართ, მაგრამ იქამდე არასდროს დავცემულა, რომ ლენინისთვის, სტალინისთვის და მათთვის აღევლინა ხობტა. კომუნისტების ისტორიულ ექსპერიმენტს – საბჭოთა კავშირის ყველაზე ანტიკომუნისტურ ავანტიურად მიიჩნევა და სულ იმას ცდილობდა, როგორმე „აპოკრიფული“ კომუნისტები გაემიჯნა კომუნისტებისაგან „კანონიკური“ იდეისაგან. ყოველ შემთხვევაში, ჟან-პოლ სარტრით არ წამოსცდენია, ახლა საკმარისად ბებერი ვარ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირზე აზრი შევიცვალო და არც რომელიმე პიკასოსავით შეუქა სსრკ, საიდანაც უხვად და უფასოდ უგზავნიდნენ სალებავს იმ ცნობილი მშვიდობის მტრების დახატვისათვის.

რალაცნაირად ისე გამოუვიდა, რომ თავის მწერლურ მიზნად დაისახა ისტორიული ან, გნებავთ, მეისტორიული სინამდვილის ალტერნატივების შექმნა: აპოკრიფების, რომლებსაც ბევრისთვის მაშოკირებელი სიახლეები შეაქვს კანონიკურ მოდელებში. თუმცა არა იმ პრეტენზიით, რომ აპოკრიფმა ჩანაცვლოს არსებული ვერსია, არამედ თითქოსდა ეპოქის პრეტენზიულობით – სადაც შესაძლებელია, რომ მეოცე საუკუნის საკუთარი სახარება ან შესაქმის ვერსია ჰქონდეს. მაგალითად, „იესოს სახარება“ მეოცე საუკუნის „იესო“ (ყოველ შემთხვევაში, მარქსის კომუნისტური მანიფესტის შემდგომი), ხოლო კაენი მისივე ბოლო რომანიდან – კიდევ უფრო ნაწყენი და მეტად სკეპტიკური, ვიდრე ბიბლიური ან, მით უფრო, ბაირონის ხელით თუ ფანტაზიით შექმნილი.


სარამაგუს „იესოს სახარებაზე“ თითქმის ისევე გაბრაზებულან, როგორც ნიკოს კაზანძაკისის „ქრისტეს უკანასკნელ ცდუნებაზე“, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, იმაზე ნაკლებად, ვიდრე ათი წლით გადამალულ საღმან რუმდებე, რომლის მოჭრილ თავზე ირანში ჯილდო დაუწესებიათ 1989 წელს. თუმცა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ასეთ დროს, მინცდამინც ის ბრაზობდა ყველაზე მეტად, ვისაც არცკი წაეკითხა არცერთი ჩამოთვლილი მწერლის ერთი ფრაზაც კი, ანკი რა უნდა გავგოთ ამ ბრაზიანებს ან ერთის, ან მეორის, ან მესამის სტილისტურად თუ კონცეპტუალურად ჩახლართულ წიგნებში, როცა არათუ მხატვრული ტექსტის, არამედ საგანზე სტატისის სათაურის წაკითხვის უნარიც კი არ ჰქონდათ.

მაგრამ ვინც „იესოს სახარება“ წაკითხა, ისინი კი უდავოდ განცვიფრებულან იმის აღმოჩენით, რომ ეს კომუნისტი კაცი თურმე დიდად მორწმუნე ადამიანი ყოფილა. ანუ ტერტულიანესი არ იყოს, თურმე მასაც ის სწამდა, რაც თითქოს თავისთავად აბსურდულია. ხოლო ლისაბონის კარდინალს, საერთოდ, ამბიონიდან უთქვამს, რომ შეუძლებელი იქნებოდა, გონიერ მორწმუნეს სარამაგუს ახალი აპოკრიფული „სახარება“ არ მოსწონებოდა.

აბსურდულის სინამდვილედ ქცევა სარამაგუსთვის ისეთივე გამოწვევაა, როგორც ეს მისი ლიტერატურულ-გეოგრაფიული მეზობლისთვის, ესპანელი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელისთვის იყო; როგორც სერვანტესის გმირისთვის არსებობდა სინამდვილეზე უფრო ნამდვილი „არარსებულობა“, ისევე შეუძლებელი აღმოჩნდა სარამაგუს პერსონაჟებისთვის სიკვდილი... და არა იმიტომ, რომ მის ლიტერატურას გაცხადებული პრეტენზია აქვს უკვდავებაზე, არამედ იმის გამო, რომ მწერალმა სიკვდილი აკრძალა თავის ერთ-ერთ ყველაზე აბსურდულად დამაჯერებელ რომანში – „სიკვდილი ისვენებს“, რითაც არა სიკვდილს, არამედ სწორედ უკვდავებას დასცინა...

თვრამეტი წლის წინ, როცა სარამაგუ უნდა მენახა და, მიზეზთა გამო, მხოლოდ მისგან ნარჩენი ოდეკოლონის სუნითა მერგო ლისაბონში, მეორე (ან შეიძლება უპირველესი) პორტუგალიელი მწერლის, ფერნანდუ პესოას ქანდაკება იდგა, უფრო სწორად კი, იჭდა ქალაქის ძველებურ მოედანზე – ისე, თითქოს პოეტი კაფეს შეჭვარებოდა და ესესაა ჩაცვალა თავისი ყავა (და არა შიშვლად და ზეწერებში გახვეული, როგორც კლასიკოსებს აქანდაკებდნენ ჩვენთან). ჰოდა, ახლა ყური მოვკარი სადაც, რომ სარამაგუს ქანდაკება ჩამოუსვამთ პესოას მახლობლად, მაგრამ მის ამაყ და ლამაზ ცოლს ტაქტიანად დაუჩვილია, ნამდვილი ჟოზე მაინც სხვანაირი იყო...

მართალია, სარამაგუ მართლაც ყველასგან განსხვავებულია.



ახსარაღლის სინამდვილედ ქცევა სარამაგუსთვის ისეთივე გამოწვევაა, როგორც ეს მისი ლიტერატურულ-გეოგრაფიული მეზობლისთვის, ესპანელი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელისთვის იყო; როგორც სერვანტესის გმირისთვის არსებობდა სინამდვილეზე უფრო ნამდვილი „არარსებულობა“, ისევე შეუძლებელი აღმოჩნდა სარამაგუს პერსონაჟებისთვის სიკვდილი... და არა იმიტომ, რომ მის ლიტერატურას გაცხადებული პრეტენზია აქვს უკვდავებაზე, არამედ იმის გამო, რომ მწერალმა სიკვდილი აკრძალა თავის ერთ-ერთ ყველაზე აბსურდულად დამაჯერებელ რომანში – „სიკვდილი ისვენებს“, რითაც არა სიკვდილს, არამედ სწორედ უკვდავებას დასცინა...

© Fundação José Saramago



ტორადა

მარინა ყიფშიძე

პორტუგალიურ ტორადას (Tourada) ესპანური კორიდი-საგან პრინციპულად განასხვავებს ჰუმანურობა. ტორადა ნაკლებად სასტიკია. ხარი ვერ კლავს მოწინააღმდეგეს, რადგან რქებს უქლიბავენ და სპეციალურ ტყავის საცვამებს უმაგრებენ.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში პორტუგალიის ყველაზე გაღვინიანმა მინისტრმა მარკიშ დი პომბალმა აკრძალა ხარებისადმი დაუნდობელი მოპყრობა; მეფე მიგელ I-მა (1828-1834) და დედოფალმა მარია II-მ საბოლოოდ დააკანონეს ტორადის წესები, რათა ხარების ბრძოლა სისხლიან სანახაობად აღარასოდეს ქვეულიყო – ტორადის წესები განმანათლებლობის ხანის პორტუგალიელი პოლიტიკოსის, მარკიშ დი პომბალის (1699-1782) ეპოქის შემდეგ არ შეცვლილა.

სანახაობის დაწყებამდე არენაზე კლოუნები გამოდიან, რომლებმაც ხარს ყურადღება უნდა გაუფანტონ, თუ ბრძოლა განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდება. შემდეგ ჩნდება ლუმბიტანური ჯიშის ცხენზე ამხედრებული, მდიდრულად ჩაცმული, ხართან მებრძოლი კავალერუ. ეს ცხენები ტორადისთვის ყველაზე გამოსადეგად მიიჩნევიან, რადგან ხარების არ ეშინიათ, ამტანები, მოძრავნი, მამაცები და აზარტულები არიან. ისტორიულად, კავალერუები დიდგვაროვნები იყვნენ და მათი სამოსი ძვირფასი და შთამბეჭდავია. პორტუგალიაში ამ ხელობის მიმდევართა მრავალი დინასტია არსებობს, რომელთა სადღესასწაულო ტანსაცმელი მამიდან შვილს გადაეცემა.

კავალერუს შემდეგ არენაზე გამოდიან და ხარს იმორჩილებენ ფურკადუშები. ისტორიულად, ისინი თავიანთი კეთილშობილი წარმოშობით ვერ დაიკვებინდნენ. ხარებთან მებრძოლთა უმეტესობა მხოლოდ ტორადის ხელოვნების

სიყვარულის გამო ასპარეზობს და სახიფათო სამუშაოს სანაცვლოდ გასამრჯელოს არ იღებს.

კავალერუს, ჩვეულებისამებრ, ხელში უჭირავს ფარპა – პატარა შუბი, რომელსაც ბოლოში ორღესული კაუჭი აქვს. მისი სიგრძე სულ 2 სმ-ია. როცა კაუჭი ხარს ნიდაოში (კისრი-სა და ბეჭების გასაყართან) ჩაერჭობა, კანქვეშ ცხიმში მაგრდება და ცხოველს მძიმედ არ აზიანებს. მას შემდეგ, რაც კავალერუ ხარს რამდენიმე ფარპას შეასობს, არენაზე რვა ფურკადუში გამოდის, რომლებიც ხარს უიარაღოდ ებრძვიან. მათი როლები მკაცრად განსაზღვრულია. გუნდში არიან როგორც დამცველები, ისე თავდაშსხმელები. მაგ., ერთი მათგანი ხარს წინიდან უტევს, აღაგზნებს და საკუთარ თავზე პირველ დარტყმას იღებს.

ყველაზე ძლიერი ფურკადუში ცხოველს კულში სტაცებს ხელს, იჭერს და მასთან ერთად „ცეკვავს“; დანარჩენები ხარს უტევენ; ესპანელი ტორეადორებისგან განსხვავ-



ვებით, ფურკადუშები არ ხმარობენ წითელ ქსოვილსა და მანტიას, მხოლოდ სისწრაფესა და მოქნილობას ავლენენ. მათი ამოცანაა, ხარი შეიპყრონ და ისეთ მდგომარეობაში გააჩერონ, რომ განძრევაც ვერ შეძლოს; ტრიბუნები გამამხნეველად ქუსს და ფურკადუშებს მეტი ოსტატობისკენ მოუწოდებს. როცა ხარს შეიპყრობენ, მოედანზე მშვიდი ხარების პატარა ჯოჯი გამოდის, რომელსაც სადგომისკენ მიდენიან. ჯოჯურ ინსტინქტს აყოლილი მებრძოლი ხარიც მათთან ერთად ტოვებს არენას. არანაირი ცხოველის კვლა და სისხლისღვრა – ცხოველს დასვენება, ჭრილობების მოშუშება და მომდევნო ტორადისთვის მომზადება სჭირდება.

პორტუგალიაში არასდროს გამოიყენოთ სიტყვა „ტორეადორი“, აქ მას ფურკადუში ცვლის.



მონაწილეები და აქსესუარები:

- Cavaleiros** – XVII საუკუნის კოსტიუმში გამოწყობილი მხედრები;
- Toiro** – ხარი;
- Bandarilheiros** – ლაბადა, რომელიც ერთი მხრიდან ყვითელია, მეორიდან კი – წითელი ან მუქი ვარდისფერი;
- Forcados** – რვა მამაკაცი, რომლებიც ხარს იჭერენ და აკავებენ;
- Ganadeiro** – ვინც არჩევს ხარებს ყოველი კავალერუსთვის;
- Campinos** – გლეხურ სამოსში გამოწყობილი მამაკაცები, რომლებიც სანახაობის ბოლოს ხარს სადგომისკენ მიდენიან;
- Embalador** – ადამიანი, რომელიც ხარის რქებზე დამცავებს ამაგრებს;
- Banda** – მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც ტორადისთვის ტრადიციულ მელოდიებს ასრულებს;
- Corneteiro** – ადამიანი, რომელიც ხარის რქაში საყვირით ჩაბერავს ყოველი ლიდეს (lide) დასრულებისას.



სად ვნახოთ ტორადა

ყველაზე საინტერესო და სანახაობრივი ტორადა ლისაბონში, Campo Pequeno-ს არენაზე იმართება. ჯობს, ბილეთები ინტერნეტით შეუკვეთოთ ან სტადიონის სალაროებში წინასწარ შეიძინოთ, თორემ გრძელ რიგში დგომა მოგიწევთ და შესაძლოა ამ შთამბეჭდავ სანახაობაზე ვერც მოხვდეთ.

ჩვეულებრივ, ტორადა 22.00 სთ-ზე იწყება. გასოვლეთ, წინა რიგები საუკეთესო ადგილი არ არის – ყველაზე ხელსაყრელად მესამე სექტორის მეშვიდე რიგი მიიჩნევა. ის იმ კარიბჭის მოპირდაპირედ მდებარეობს, რომლიდანაც ხარებს მოედანზე უშვებენ. აქედან სანახაობა შესანიშნავი საყურებელია, თანაც შეგიძლიათ დააკვირდეთ გაბრაზებულ ხარს, სანამ ის არენაზე გამოვარდება.

ბილეთების ფასი ლისაბონის Campo Pequeno-ზე:

I-II სექტორების პირველ რიგებში – 75€, III და VII სექტორებში – 70€, IV-VI-ში – 65€.

ყოველი მომდევნო რიგი 5€-თი იაფია. ტორადის ყველაზე იაფფასიანი ბილეთი 22,5€ ღირს.

პატარა ქალაქებში ფასები დაახლოებით 10€-თი ნაკლებია.

CAMPO PEQUENO

Campo Pequeno-ს მოედანზე ხარებთან გამართული ბრძოლის შესახებ 1741 წლით დათარიღებული პირველი ისტორიული დოკუმენტი მფრის სასახლის სამეფო ბიბლიოთეკაშია დაცული. ის არა მხოლოდ ტორადის, არამედ მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრეა. რეკონსტრუირებულ არენაზე აქ ტორადის გარდა ცნობილი მუსიკოსების კონცერტები და სხვა ღონისძიებები ტარდება.



რონალდუ, ეუსებიო და გუტუანის წყევლა



კრიშტიანუ რონალდუ

ბიძინა ბარათაშვილი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ევროპული და, თუ გნებავთ, მთლიანად მსოფლიო ფეხბურთი კი, „პორტუგალიური აქცენტით საუბრობს“ და აქ ნამდვილად არ ვგულისხმობთ ბრაზილიის ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებებს...

თავად განსაჯეთ: დეკემბერ-იანვარში კრიშტიანუ რონალდუმ შარშანდელივით კვლავ „მოიმაკა“ ათასგვარი პრიზების წლიური მოსავალი, მათ შორის, ზედიზედ მეორე, სულ კი რიგით მე-5 „ოქროს ბურთით“ შეივსო მდიდარი პირადი

კოლექცია. ახლა ის ისევ გაუტოლდა შეუდარებელ არგენტინელ ლეო მესის და რეკორდის თანამფლობელი გახდა – ამდენი „ოქროს“ კი არა, მგონი, ტყავის ბურთიც არავის მოუპოვებია! ასევე თანაბარია ამ ორი გენიოსის მიერ ევროპული სეზონის ბომბარდირობისთვის დაწესებული „ოქროს ბუცების“ რაოდენობაც (4-4)!

რეკორდის ხსენებაზე არ შეიძლება არ გაგახსენდეთ რონალდუს სრულიად არანორმალური შედეგიანობა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში, სადაც იგი უპირობოდ ლიდერობს

ნაკრები იგავს, რონალდუ „აეზოვს“ და გულშემატკივარის გულწიფროს!



გატანილი ბურთების რაოდენობით, მადრიდის „რეალს“ ზედიზედ ამარჯვებინებს ამ უპრესტიჟულეს ტურნირში და ყოველი ზუსტი დარტმით თავისივე ფენომენალურ შედეგს აუმჯობესებს – წელს 120-გოლიან ზღვარსაც გადააბიჯა! თანაც გოლსაც ხომ გააჩნია – აგერ, ტურინში ადგილობრივ „იუვენტუსს“ ისეთი „მაკრატელა“ შეუგდო, ვან ბასტენსა და ფიშერს რომ შემურდებოდათ. შემთხვევითი არაა, რომ ყოველის მნახველი იტალიური პუბლიკა ფეხზე წამოუდგა მეტოქეს და ოვაციით დააჯილდოვა!

ახლა ნაკრებზეც ვთქვათ: აქამდე პორტუგალია თავის ლიდერებზე დამოკიდებულ გუნდად მიჩნეოდა. 2004 წლის საშინაო ევროფორუმზე ბერძენთაგან ორგზის შერცხვენილმა კი სკეპტიკოსებისგან „გადამწყვეტი მატჩების შიშით შეპყრობილის“ იარლიყი დაიმსახურა. მაშინ უპირობო ფავორიტად მიჩნეულმა მასპინძლებმა, რომელთა ძირითად ბირთვს 2 ახალგაზრდული მუნდიალისა და კონტინენტური პირველობების ზედიზედ მომგები ლუიშ ფიგუსა და რუი კოშტას „ოქროს თაობა“ წარმოადგენდა (ზედაც, „ვარსკვლავიჭუნა“ რონალდუ), ჯერ ტურნირის გახსნის მატჩი წააგო „დრაგაუზე“ უსახურ საბერძნეთთან (1-2), მერე კი ელინებს, მოგებული ფინალის ალსანიშნავად (0-1), „და ლუშმეც“ ააუღერებინა ნიკოლაოს მანძაროსის მიერ დაწერილი საბერძნეთის ეროვნული ჰიმნი!

სამაგიეროდ, შარშანწინდელ ევრო 2016-ზე პორტუგალიელებმა სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილება დატოვეს და თავად გადაწერეს კონტინენტური ფეხბურთის ისტორია... საფრანგეთში ჩასულებმა, მათ ჯერ ტაქტიკური გამჭრიახობა გამოავლინეს და ჯგუფიდან ძალების დაზოგ-



მოუხამიკალმა მარიო აშტავიშ კოლუნაშ და ეუსებიო და სილვა ფარაირაშ ჯარ ლისაბონის „აეფიკას“ მოაკოვებინეს ევროპის ჯადიჯად ორი ჩამოიროსთა თასი, 1966 წელს კი უკვე ნაკრები ალაზავეს მსოფლიო ელიტაში და ინგლისიდან ბრინჯაოს მედალით დაბრუნდნენ.

მარიო ეშტევიშ კოლუნა



„შავ კანთარად“ წოდებული ეუსებიოს ყულაბას ევროპის ბომბარდირის 2 „ოქროს ბუცი“ 1965 წელს მოგებული „ოქროს ბურთი“ და 1966 წლის მუნდიალის სანიკარობა (9 გოლი) ამხვენიებს.



ეუსებიო და სილვა ფერეირა



ვით გავიდნენ – 3 ფრე ბევრმა გუნდის სისუსტედ მიჩნია, კარგი მეხსიერების მქონეებს კი 1982 წლის ფორმაციის იტალია გაახსენდებოდათ, რომელმაც ანალოგიური დასაწყისის მერე ესპანეთის მინდვრებზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა; მეორე ეტაპზე ფერანდუ სანტუშის შეგირდებმა უკვე ხასიათის სიმტკიცე აჩვენეს, როცა ხორვატებს და უელსელებს კარში არ დაარტყმევინეს, პოლონელებთან პლეიოფურ პენალტების სერიაში კი ფეხი არ აუკანკალდათ (5-4); ბოლოს, დამატებითამდე უსასრულოდ გაწევილ ფინალში მასპინძელ ფრანგებს აჯობეს ედერის გოლით, თანაც 25-ე წუთზე დაშავებული კრიშტიანუს გარეშე – მეტამორფოზაც ამას ჰქვია!

მოკლედ, ნაკრები იგებს, რონალდუ „მეფობს“ და გულშემატკივარიც ბედნიერია!

პირველი საერთაშორისო შეხვედრა პორტუგალიამ 1921 წლის 18 დეკემბერს ჩაატარა მადრიდში და მეზობელ ესპანეთთან 1-3 წააგო. იმ მატჩიდან გასახსენებლად მხოლოდ 75-ე წუთზე ალბერტუ აუგუსტუს მიერ გატანილი პენალტი თუ გამოდგება – ნაკრების პირველი გოლი, თითქმის ათასიდან...

50-იანი წლების ბოლომდე პორტუგალიას რაიმე ხელშესახები წარმატება არ ჰქონია: 30-იან წლებში ესპანეთთან წააგო 0-9, 40-იან წლებში – ინგლისთან 0-10! თუმცა ერთი-ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი მაშინაც მოიძებნებოდა. მათგან საუკეთესონი მანუელ ვასკეში, ჯობე ანტონიო ტრავასუმი და „მატატეუ“ იყვნენ. 1955 წლის აგვისტოში ტრავასუმი ევროპის ნაკრებშიც კი მიიწვიეს დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ თამაშში საასპარეზოდ (ევროპის ნაკრებმა გაიმარჯვა 4-1); ხოლო „მატატეუს“ გოლმა 1955 წელს პორტუგალიას ინგლისთან პირველი ისტორიული გამარჯვება აბიმა (3-1)...



ეუსებიო და სილვა ფერეირა, ბელა გუტმანი და მარიო ეშტევიშ კოლუნა, 1962

სწორედ სებაშტიანუ ლუკაშ ფონსეკას ან, უბრალოდ, „მატატუს“ წარმატებებმა მიაქცევინა პორტუგალიელ ფუნქციონერებს ყურადღება აფრიკულ კოლონიებში დაბადებული ტალანტებისთვის. მომამბიკელი ყმაწვილი, რომელიც „ბელენენსეშის“ რიგებში ბრწყინავდა, ორჯერ გახდა ჩემპიონატის ბომბარდირი, 289 თამაშში 218 ბურთის გატანითა და 13 სანაკრებო გოლით კი „მსოფლიოს მერვე საოცრების“ მეტსახელი დაიმსახურა.

სამწუხაროდ, მას არასოდეს უთამაშია შემდეგი თაობის ვარსკვლავების, კიდევ ორი მომამბიკელის – მარიო ეშტევიშ კოლუნასა და ეუსებიო და სილვა ფერეირას გვერდით, რომლებმაც ჯერ ლისაბონის „ბენფიკას“ მოაპოვებინეს ევროპის ზედიზედ ორი ჩემპიონთა თასი, 1966 წელს კი უკვე ნაკრები ალაზევეს მსოფლიო ელიტაში და ინგლისიდან ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ.

კოლუნასა და ეუსებიოზე ბევრი დაწერილა. გეტყვით მხოლოდ, რომ პირველმა პორტუგალიაში 16 ტიტული მოიპოვა (10 ჩემპიონატი, 6 თასი), „შავ პანტერად“ წოდებული ეუსებიოს ყულაბაში კი იმავე რაოდენობის პრიზებს (11 ჩემპიონატი, 5 თასი) ევროპის ბომბარდირის 2 „ოქროს ბუცი“ და 1965 წელს მოგებული „ოქროს ბურთიც“ ამშვენებს!

სხვათა შორის, ამ პრიზზე ეუსებიო 11-ჯერ იქნა ნომინირებული და გამარჯვების გარდა 2 „ვერცხლის ბურთიც“ ერგო. დაუმატეთ ამას 1966 წლის მუნდიალის სნაიპერობა (9 გოლი) და ჩრდილოეთ კორეასთან ისტორიულად შემობრუნებული 5-3 – 25-ე წუთზე აზიელები 3-0 იგებდნენ და პორტუგალიამ ეუსებიოს 4 გოლით გადაარჩინა უიმედოდ წაგებული მატჩი – და თავად მიხვდებით, რატომ ადარებდნენ მას პელეს და როგორ მოუგო პირადი დუელი „მეფეს“ ბრაზილიის დამარცხებით (3-1) დასრულებულ იმავე სამუნდიალო მატჩში!

წლების შემდეგ ეუსებიოს მიღწევებს ნაწილობრივ გაიმეორებენ ლუიშ ფიგუ („ოქროს ბურთი“) და ფერნანდუ გომეში („ოქროს ბუცი“), მერე კი რონალდუს ეპოქა დადგება...

პორტუგალიელთა საკლუბო მიღწევებიდან „პორტუს“ ორ-ორი ჩემპიონთა, უეფასა და საკონტინენტთაშორისო თასი უნდა ვახსენოთ; „სპორტინგს“ მხოლოდ თასების თასი აქვს მოპოვებული.

თქვენს ყურადღებას ერთ უცნაურ ამბავს მივაპყრობ: 1962 წელს ჩემპიონთა თასის მოპოვების შემდეგ „ბენფიკა“ კიდევ 8-ჯერ გავიდა სხვადასხვა ევროთასის ფინალში (5 ჩემპიონთა თასი/ლიგა + 3 ევროპა ლიგა) და რვაჯერვე დამარცხდა!

ლეგენდა ამ წარუმატებლობებს ლისაბონელთა უნგრელი მწვრთნელის, ბელა გუტმანის წყევლას უკავშირებს. თურმე 1962 წლის ტრიუმფის შემდეგ გუტმანს კლუბის მესვეურთათვის ხელფასის მომატება უთხოვია, უარის მიღებით გაბრაზებულს კი, თანამდებობის პროტესტის ნიშნად დატოვებისას უთქვამს, უჩემოდ თქვენ ასი წლის მანძილზე ვერ ეღირსებით ევროპულ წარმატებასო! მას მერე გუტმანის წყევლა „ბენფიკას“ მართლაც არ ასვენებს.

1963 წელი, ჩემპიონთა თასის ფინალი: „ბენფიკა“ უგებდა „მილანს“, მაგრამ დამარცხდა 1-2;

1965 წელი, ჩემპიონთა თასის ფინალი: მინიმალური წაგება მილანის „ინტერთან“ 0-1;

1968 წელი, ჩემპიონთა თასის ფინალი: ფრე ძირითად დროში „მანჩესტერთან“ და მარცხი დამატებითი 1-4;

1983 წელი, უეფას თასის ფინალი: წაგება 2-მატჩიან დუელში „ანდერლეჰტთან“ 0-1, 1-1;

1988 წელი, ჩემპიონთა თასის ფინალი: დამარცხება მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში „ეინდჰოვენთან“ 5-6;

1990 წელი, ჩემპიონთა თასის ფინალი: მინიმალური მარცხი „მილანთან“ 0-1;

2013 წელი, ევროპის ლიგის ფინალი: მინიმალური სხვაობით მარცხი „ჩელსისთან“ მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გაშვებული გოლით 1-2;
2014 წელი, ევროპის ლიგის ფინალი: დამარცხება მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში „სევილიასთან“ 2-4.



ბელა გუტმანი



2013 და 2014 წლის ევროპის ლიგის ფინალებს (ამსტერდამსა და ტურიზში) თავად ვესწრებოდი. 2014 წლის 14 მაისს, „იუვენტუს სტედიუმზე“ მატჩის დაწყებამდე ეუსებიოსთან შეხვედრის საშუალება მომეცა.

გუტმანის წყევლის თაობაზე დასმულ ტრივიალურ შეკითხვაზე მან სევდანარევი ლიმილით მიპასუხა: „ჩელსისთან“ და „მილანთან“ ფინალებამდე ორჯერ ვიყავი ვენაში ბელას საფლაგზე და უშედეგოდ ვთხოვე წყევლის მოხსნაო. იმ საღამოსაც უთუოდ ამის იმედი ჰქონდა...



პორტუგალიური ფეხბურთი 3 „ვეშაპზე“ დგას და სამივე გამორჩეულად ლამაზი, თანამედროვე სტილში აგებული სტადიონით იწონებს თავს.

საინტერესოა, რომ ყველა ეს არენა 2003 წელს გაიხსნა – ქვეყანა ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ემზადებოდა და ერთიმეორის მიყოლებით გადაახალისა წამყვანი გუნდების საშინაო სტადიონები. რაღაც ბელა გუტმანის წყევლის მსგავსი სჭირთ აქაურ სტადიონებსაც: სამივე მათგანზე პორტუგალიურმა ფეხბურთმა თავმოყვარეობის შემლაშავი დამარცხებები იგემა!

ლისაბონის „სპორტინგის“ კუთვნილი „შტადიუ ჟოზე ალვალადი“ (Estádio José Alvalade) განახლდა, რომელიც ამავე სახელწოდების ძველი ნაგებობის დემონტაჟის შემდეგ აიგო. 1956-2000 წლების პერიოდი „სპორტინგმა“ სწორედ იქ გაატარა, ახლა კი სპორტკომპლექსი „ალვალად XXI-ის“ (Alvalade XXI) მფლობელია.

ტევადობა / მინდვრის ზომა: 50 095 / 105 x 68 მ
ავტორი: ტომაშ ტავეირა
მშენებლობის ხარჯი: 105 მლნ ევრო



Estádio da Luz



Estádio José Alvalade



Estádio do Dragão

იმ წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრას უკვე ეუსებიოს მშობლიური „ბენფიკას“ სტადიონმა – „შტადიუ და ლუშმა“ უმასპინძლა და მეც ტურიზიდან პირდაპირ ლისაბონში გავფრინდი. 24 მაისს ამ ფანტასტიკურ არენაზე მადრიდული დერბის („რეალი“ – „ატლეტიკო“) სანახავად მისული, ჯერ გენიალური ფორვარდის ძველთან შეჩერდი და, ათასობით გულშემატკივრის მსგავსად, ამ საკრალურ ადგილას ფოტოები გადავიღე. მერე ბილეთს დავხვედ და, იქვე მდგომი ვოლონტიორის მითითებით, VIP სტუმართათვის განკუთვნილ მე-18 შესასვლელს მივაშურე.

წარმოიღვინათ, რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც ჰორდი პესელს, სხვა სტუმარებთან ერთად, უნებარი მოქანდაკის, რასლო შატჰარი იუხოვის შიარ ახლად შაქჰინი სპლავტურის (2014 წლის 28 თებერვალს გაიხსნა) წინ პოზირება შემოგვთავაზეს – პოლიუილან ხაღვში რაზღუჭანი 2 ჩაპიონთა თასით ზადა გატანის ზრინჯაოს ფიგურა მიღიროდა!

მაღე თანაქლაქელებს „ბენფიკამაც“ მიბაძა, 2002 წელს მიწასთან გაასწორა ძველი „შტადიუ და ლუში“ (Estádio da Luz) და 2 წელიწადში ახალი ააშენა. „სინათლის სტადიონის“ გარდა მას „კათედრალადაც“ მოიხსენიებენ.

ტევადობა / მინდვრის ზომა: 64 642 / 105x68 მ
გაიხსნა 2003 წლის 25 ოქტომბერს.
ავტორი: დეიმონ ლავალი
მშენებლობის ხარჯი: 118.7 მლნ ევრო

სხვებზე უკეთესად დაიწყო „პორტოს“ განახლებული არენის – „შტადიუ დრაგაუს“ (Estádio do Dragão) თანამედროვე ისტორია, სადაც კლუბი ძველი „დაშ ანტაშიდან“ გადმობარგდა. გახსნის ცერემონიალი დაამშვენა „ბარსელონასთან“ მოგებულმა ამხანაგურმა, რომელიც კატალონიელთა რიგებში სადებიუტო იყო ლეო მესისთვის.

ტევადობა / მინდვრის ზომა: 50 033 / 105x68 მ
გაიხსნა 2003 წლის 16 ნოემბერს.
ავტორი: მანუელ სალგადუ
მშენებლობის ხარჯი: 125 მლნ ევრო



José Avillez

©Paulo Barata

რა ირავლება ჟოზე ავილესის სარკაში

სალონი დადუნაშვილი

ლისაბონის ერთ-ერთ ყველაზე გამოცოცხლებულ უბანში, **შიადუში** Rua Nova da Trindade მიიკლაკნება. ეს უცნაური ქუჩა თითქოს სულ აღმართში მიიწევს, **ახულებუთი** მოპირკეთებულ ტანს მოხერხებულად მიარხევს და ლისაბონის ცელქ ქარებს ასობით საოცარ **არომატს** ატანს. საოცარი **სურნელით** გაბრუებულ გამგლელებს **ფაიფურის კიბორჩხალებით** სავსე რესტორნის ფანჯრების დანახვისას უცებ ახსენდებათ, რომ ძალიან მოშიებიათ და **მონუსხულებივით** უერთდებიან გარეთ მომლოდინე ადამიანების რიგს.

ეს პორტუგალიის ყველაზე ახალგაზრდა და პოპულარული შეფის, **ჟოზე ავილესის (José Avillez)** ერთ-ერთი **რესტორნის**, „ბაირუ დუ ავილესის“ რიგია.

ამ გამოცოცხლებულ სივრცეში, სადაც მიშლენის 2 ვარსკვლავის მფლობელი შეფი ჯადოქრობს, ლანჩსა და ვახშამზე მხოლოდ წინასწარი ჯავშნით ან რიგში მოთმინებით დგომით თუ შეაღწევთ.

ყოფილი მონასტრის მაღალი თალებით შეკრულ კედლებს დახვეწილი არომატებითა და ვანილის სურნელით ვერ გააკვირვებ. პორტუგალიური სამზარეულოს შემოქმედებითი პროცესი უმეტესწილად სწორედ მსგავს კედლებში მიმდინარეობდა – ბერები და მონაზვნები, ნამდვილი ალქიმიკოსებივით, იმდენად დახვეწილი კერძების

რეცეპტებს ქმნიდნენ, რომ ზოგიერთი ინგრედიენტი დღემდე გაცივებს იწვევს. პორტუგალიელმა ნაოსნებმა და ვაჭრებმა მსოფლიო სამზარეულოს ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გაუგეს გემო. ახლო და შორეული აღმოსავლეთის ეგზოტიკურმა არომატებმა ადვილად მოიკიდა ფეხი ლისაბონში.

პორტუგალიელებმა ტაილანდში ისწავლეს კვერცხის გულიდან დამზადებული დესერტი, რომელიც დღეს მათი ტრადიციული ტკბილეულია, სამაგიეროდ მათ იაპონიას ტემპურა აჩუქეს.

ჟოზე ავილესმა აიღო პორტუგალიური სამზარეულოს გახსნილობა, საინტერესო არქიტექტურული სივრცე, თავისი ფანტაზიით შეაზავა და უნიკალური პროდუქტი შექმნა. „ბაირუ ავილესის“ პათეოს ტიპის ნათელ სივრცეში ღია სამზარეულოდან ორთქლისა და ათობით სურნელის ტალღები იღვრება. დესერტების განყოფილებაში თხევადი აზოტი ნისლივით ეფინება იატაკს. ამ კულინარიული პერფორმანსის შემხედვარე კლიენტები მოუთმენლობისგან სკამებზე ცმუკავენ.

სალამობით რესტორნის სიღრმეში მიმალული საიდუმლო კარი რჩეულთათვის იღება. აქ კულინარიულ სიამოვნებას კაბარეს შოუ ემატება. რბილ სავარძლებში მოკალათებული ბილეთების ბედნიერი მფლობელები „ბეკო კაბარე გურმეს“ ყველა შეგრძნებას ანდობენ.

შეფი ავილესი ყველაფერში ერევა. მას აინტერესებს კედლის ფერიც, სკამების ფორმაც, ნაჭრის ტექსტურაც. ის მეგობარ არქიტექტორებთან ერთად მუშაობს და კარიერის დასაწყისიდანვე რესტორნის სივრცის მოწყობა ისეთივე მნიშვნელოვანია მისთვის, როგორც მენიუ.

ჟოზე ავილესს ცოცხალი თვალები, თინეჯერივით გაბურძნული თმა და მფეთქავი ენერჯია აქვს. მისთვის გაჩერება სიკვდილის ტოლფასია, საუკეთესო რესტორანი კი – ის, რომელსაც მომავალში გახსნის.



©Paulo Barata

ჩვენ ქაღინა გვიყვარს საქადავის სუფრასთან მოგვარება. მთელი ჩვენი სოციალური ცხოვრება ახალი გარემო ტრიადას. ჩვენ გვიყვარს კარგი საჭაი, გვიყვარს ჭაპა, ამიტომაც ვაფასებთ კარგ პროდუქტებს და ვითხოვთ, რომ საქადავი უაღაღისი ხარისხის იყოს.

კულინარიული ხელოვნება მსოფლიო ტრენდია, მაგრამ პოპულარობა და ვარსკვლავური სტატუსი მზარეულებს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წნეხშიც აქცევს. ყველა შეფი ცდილობს, ახალი რამ გამოიგონოს და შესძინოს კულინარიას. რას სთავაზობს პორტუგალიური სამზარეულო მსოფლიოს?

პორტუგალიური სამზარეულო თავისი ტრადიციებით, გემოებითა და გავლენებით ყოველთვის ჩემი ინსპირაციის წყაროა. ვამაყობ ჩვენი სამზარეულოთი, რადგან ის ძალიან მდიდარი, მრავალფეროვანი და თვითმყოფადია, ამავე დროს კი, ხმელთაშუაზღვისპირეთის კვების სისტემის ნაწილია.

BAIRRO DO AVILLEZ
 ღია: ყოველდღე – 12.00-24.00

CANTINA PERUANA
 ღია: **ორშაბათი-პარასკევი** – 19.00-24.00;
შაბათი, კვირა – 12.30-15.00, 21.00-24.00

R. NOVA DA TRINDADE 18



©Paulo Barata

პორტუგალიური სამზარეულოს განსხვავებულობა იმ კულტურული გაცვლების და ურთიერთობების დამსახურებაა, რომლებიც აღმოჩენების ეპოქაში მოხდა. ამ ინგრედიენტებმა და საკვების მომზადების სხვადასხვა ტექნიკამ უცხო ქვეყნებიდან გავლენა მოახდინა და გაამდიდრა ჩვენი სამზარეულო.

ყველა რეგიონს აქვს განსხვავებული, განსაკუთრებული პროდუქტები: ღვინო, ყველი, პური, ზეთის ზეთი, სანელებლები, მწვანელი, ხორცი, თევზი და ზღვის პროდუქტები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო თევზი და ზღვის პროდუქტები გვაქვს.



©Paulo Barata

ის სივრცეები, თქვენ რომ ქმნით, ძალზე ჰარმონიულად ერწყმის საკვებს, რომელსაც ამზადებთ. როგორია შემოქმედებითი პროცესი, როგორ იგონებთ ახალ კონცეფციას? რა მოდის უფრო ადრე: ახალი კერძის იდეა, თუ სივრცე, სადაც მორიგი რესტორანი იქნება? რა არის შთაგონების წყარო: ახალი პროდუქტი, ადგილი ქალაქში, ადამიანები?

ჩემთვის უდიდესი შთაგონების წყაროა თავად ტრადიციული პორტუგალიური სამზარეულო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩემი რესტორანი განსხვავებული კონცეფციისაა, ნახავთ, რომ პორტუგალიური გავლენა მეტ-ნაკლებად ყველგან იგრძნობა. შემოქმედებითი პროცესი რთულია, რადგან თავის დროზე უამრავმა რამემ მოახდინა ჩემზე გავლენა – წარსულმა, დღევანდელიობამ, ჩემმა მოგზაურობებმა, ადამიანებმა, ლანდშაფტებმა ჩემს შინაგან სამყაროზე დატოვა კვალი. მთელ პროექტს ვერ საკუთარ წარმოსახვაში დეტალურად ვამუშავებ და მხოლოდ შემდეგ ვახორციელებ.



© José Avillez

პორტუგალიური სამზარეულო ძლიერი და მრავალფეროვანია. ქაღალდის მარაგის და მრავალფეროვნების გამო, ის უფრო მეტად ადაპტირებულია სხვადასხვა კონტექსტსა და ადგილებს. როგორია თქვენი მიზნობრივი საზოგადოება და როგორ უნდა იყოს მათი გამოცდილება?

ეს ეხება რესტორნის კონცეფციასაც და კერძებსაც. პროცესი, ძირითადად, მენტალურია. როცა, მაგალითად, ახალი კერძის მომზადებას ვიწყებ, ის 90 პროცენტით უკვე დასრულებულია, შემდეგ მხოლოდ მცირე დეტალებს ვხვეწ. ახლის შექმნის შინაგანი მოთხოვნილება, დრავი – საჭმლისადმი ჩემი უნებმიანი დასახვის გაოცების სურვილიდან მოდის.

შეგიძლიათ მოგვიყვით, როგორ დაიწყეთ საჭმლის მომზადება და როდის გადაწყვიტეთ ამ საქმისთვის მიგეძღვნათ ცხოვრება?

წარსულში რომ ვიხედები, ვხვდები, რომ საჭმლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ბავშვობიდანვე მქონდა. სიმართლე გითხრათ, ეს უფრო ჭამის სიყვარული იყო (იგი-ნის). საჭმლის მომზადება სახლში დავიწყე, მაშინ 7 წლის ვიყავი. ჩემს დასთან ერთად ვაცხობდი და ვყიდდი ნამცხვრებს. ჩვენი „მსხვერპლი“, ძირითადად, ოჯახის წევრები, მათი მეგობრები და მეზობლები იყვნენ. კოლეჯში ბიზნეს-კომუნიკაციას ვსწავლობდი, მაგრამ სწავლის ბოლო წელს საჭმლის მომზადებისადმი ჩემი ლტოლვა უფრო და უფრო იზრდებოდა. ერთხელაც შემთხვევით პროფესიონალურ სამზარეულოში მოვხვდი და ვიგრძენი, როგორ ამიჩქარდა

გული. სწორედ ამ დროს, როცა ესოდენ ძლიერი ემოციები დამეუფლა, მივხვდი, რომ ჩემს გზას მივაგენი.

პორტუგალია ნამდვილად უნიკალური ქვეყანაა, რომელმაც მცირე ზომის მიუხედავად მოახერხა უდიდესი იმპერიის შექმნა და მართვა. მან შეძლო ყოფილიყო თანასწორუფლებიანი მოთამაშე მსოფლიო მასშტაბით. ქვეყნის ისტორია ბევრს ამბობს ხალხის მენტალობის შესახებ. ახდენს თუ არა ნაციონალური ხასიათი გავლენას ტრადიციულ საკვებზე?

პორტუგალიური სამზარეულო მდიდარი და მრავალმხრივია. ძალიან მადლიერი ვარ ყველა იმ მოგზაურისა და მენაოსნისა, რომლებმაც ჩვენი კერძები ასეთი მრავალფეროვანი გახადეს. ჩვენი სამზარეულო, ფაქტობრივად, შეერწყა აფრიკისა და აზიის გასტრონომიულ სამყაროს. პორტუგალიას ასევე ძალიან მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კლიმატური პირობები და მიწის შემადგენლობა აქვს. ჩვენი ქვეყანა საინტერესოა გეოგრაფიული კუთხით, ის არ არის ერთგვაროვანი. ჩრდილოეთ პორტუგალია მთიანია, ცენტრალური და სანაპირო სივრცე დიუნებისა და ფიჭვის ტყეების ნაზავია, სამხრეთ პორტუგალია კი, რომელიც ალენტეუსს სახელითაა ცნობილი, სამოთხეა მცენარეებისათვის. ასე რომ, ყველა რეგიონს თავისი პროდუქტი აქვს (ყველი, შაშხი, ხორცი, ხილი, ბოსტნეული, მწვანილი) და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული სამზარეულო. ამიტომაცაა, რომ ასეთი მრავალფეროვნება გვაქვს. ეს ძალიან მომწონს, რადგან ჩვენს სამზარეულოში აისახება ჩვენი ლიაობა მთელი მსოფლიოსადმი. ასევე ისიც, თუ როგორ შეგვიძლია მივიღოთ უცხო ინგრედიენტები და მოვახდინოთ მათი ადაპტაცია, ანდა მოვამზადოთ სრულიად განსხვავებული კერძები ერთი და იმავე პროდუქტებით.

მოგზაურობა, აღმოჩენები და მხნეობა – პორტუგალიელ ხალხს ამ სამი სიტყვით აღვწერდი. რა სიტყვებს გამოიყენებდით თქვენ პორტუგალიელებისა და ადგილობრივი სამზარეულოს დასახასიათებლად?

ტრადიცია, ხარისხი, გემო.

საჭმელი ტრადიციის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია და ყველა კულტურაში მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რა როლს თამაშობს საკვები პორტუგალიაში, როგორ ესმით მისი მნიშვნელობა ადამიანებს და თქვენ?

ჩვენ ძალიან გვიყვარს საჭმელების სუფრასთან მოგვარება. მთელი ჩვენი სოციალური ცხოვრება მაგდის გარშემო ტრიალებს. ჩვენ გვიყვარს კარგი საჭმელი, გვიყვარს ჭამა, ამიტომაც ვაფასებთ კარგ პროდუქტებს და ვითხოვთ, რომ საკვები უმაღლესი ხარისხის იყოს.



© José Avillez



© José Avillez

თქვენ საკუთარი კულინარიული იმპერია შექმენით და უკვე ისეთ დიდ წარმატებას მიაღწიეთ, რომ თქვენს ასაკში ალბათ მეტის გაკეთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. არის რამე დარჩენილი საოცნებო? ახლა რა მიზნებს ისახავთ?

ბუნებით მეოცნებე ვარ, სულ ახალ პროექტებზე ვფიქრობ. სწორედ ეს ახალი იდეები მაძლევს კიდევ უფრო მეტ ენერჯის იმისთვის, რომ მიღებული ჩარჩოები გავარღვიო, ნორმალური შესაძლებლობების საზღვრებს გავცდე. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი თავად პროცესი, გამოცდილებაა და არა საბოლოო შედეგი.

თუ შეიძლება, დასახელებთ ტრადიციული სამზარეულოს 3 კერძი, რომლის გასინჯვასაც აუცილებლად ურჩევდით ადამიანს, რომელიც პორტუგალიაში მოგზაურობს და ცდილობს, გემო გაუგოს თქვენს სამზარეულოს.

ტრადიციულ პორტუგალიურ სამზარეულოში იმდენი განსხვავებული პროდუქტი და არომატი, რომ ძალიან რთულს ხდის არჩევანს. ჩემი საყვარელი კერძების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1 - Bulhão Pato clams – მიყვარს, როცა უახლესი მოლუსკები იდეალურადაა შეზავებული უმაღლესი ხარისხის ზეთუნის ზეთით, ნივრით, ქინძითა და ლიმონის წვენი. სრულიად განუმეორებელი გემოა.

2 - Brás style codfish – თხელ ფენებად დათლილი და ხახვით შეზავებული ვირთევზა, შეწვარი კარტოფილი, კვერცი, ქინძი და ზეთისხილი. ეს კერძი განსაკუთრებულად მიყვარს იმიტომ, რომ მას ჩემთვის მოგონებების კომფორტი მოაქვს, ბავშვობაში გადავყავარ. სწორედ ამიტომ, ჩემი რეცეპტით მომზადებულ ამ კერძს აუცილებლად ვრთავ მენიუში, მაგალითად, Café Lisboa-ში.

3 - Pastel de Nata – ამ დესერტს ყველა სინჯავს პორტუგალიაში მოგზაურობისას. ის თითქოსდა მარტივია: ფენოვანი ცომის ტარტალეტი და ვანილის კრემი. პაშტელ დე ნატა საუკეთესოა, როცა ჯერ კიდევ თბილს მიირთმევთ ზედ მოყრილი დარიჩინით. ისე მიყვარს ეს დესერტი, რომ ჩემი

საკუთარი ვერსია შევქმენი და მას Café Lisboa-სა და Bairro do Avillez-ში აღმოაჩენთ.

არ არსებობს სუფთა, გარე გემოქმედებებისგან დაცული კულინარიული ტრადიცია. როგორ ფიქრობთ, რამ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა პორტუგალიურ სამზარეულოზე?

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი სამზარეულოს განმასხვავებელი ასპექტი კულტურული გავლენისა და პორტუგალიელების აღმოჩენების ეპოქაში აქტიური როლის დამსახურებაა. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენს სამზარეულოში აფრიკული და აზიური გასტრონომიისთვის დამახასიათებელ ბევრ ელემენტს აღმოაჩენთ. რაც არ უნდა იყოს, ყველა ეს გავლენა ვერ გვექნებოდა, რომ არა სამყაროსადმი ჩვენი გახსნილობის სული. პორტუგალიელებმა შექმნეს გლობალიზაციის პირველი ფენომენი. ჩვენი სამზარეულო კი სარკეა, სადაც ჩვენი ინდივიდუალიზმი ირეკლება.



© José Avillez

ბუნებით მოცხდები ვარ, სულ ახალ პროექტებზე ვფიქრობ. როგორია თქვენი მიზნობრივი საზოგადოება და როგორ უნდა იყოს მათი გამოცდილება?



©Paulo Barata

BELCANTO

„ბელკანტო“ მიშლენის 2 ვარსკვლავის მფლობელი პირველი და ერთადერთი რესტორანია პორტუგალიაში და ჟოზე ავილეშის კულინარიული იმპერიის გვირგვინს წარმოადგენს. ლისაბონის გამოცხვლებულ და პრესტიჟულ უბანში, შიადუში მდებარე ამ რესტორანს დიდი ისტორია აქვს.

ნაციონალური თეატრისა და ერის უდიდესი პოეტის, ფერნანდუ პესოსას სახლის გვერდით რესტორანი ჯერ კიდევ



©Paulo Barata

1958 წელს გაიხსნა, თუმცა 2012 წელს „ბელკანტოს“ ახალი ცხოვრება ჟოზე ავილეშთან ერთად დაიწყო. აქ შეფის ყველა იდეა დახვეწილობის უმაღლეს დონეზეა აყვანილი. პირველი მიშლენის ვარსკვლავი რესტორანმა არსებობის პირველივე წელს მოიპოვა, მეორე კი – 2014 წელს.

ღიაა: სადილი – 12.30-15.00, ვახშამი – 19.00-23.00; კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Largo de São Carlos 10

CAFÉ LISBOA

„კაფე ლიშბოა“ პირდაპირ ლისაბონის ნაციონალური ოპერის თეატრში მდებარეობს. ეს შესანიშნავი ადგილია, რადგან ლისაბონში ყოფნისას აქ ერთხელ მაინც აუცილებლად მოხვდებით.

„კაფე ლიშბოას“ ლანჩისა და ვახშმის სრული მენიუ აქვს და საუცხოო დესერტების არჩევანსაც შემოგთავაზებთ – მათ შორის, ტრადიციულ პორტუგალიურ ტკბილეულსაც, რომელიც ჟოზე ავილეშმა სრულყოფილებამდე მიიყვანა. კარგ ამინდში არაფერი სჯობს „კაფე ლიშბოას“ ღია ტერასაზე ჩამოჯდომას.



©Paulo Barata

თეატრალურ სემონზე აქ ლისაბონის ნაღები საზოგადოების ცქერით შეგიძლიათ დატკბეთ, ჭიქა შამპანურით ხელში.

ღიაა: ყოველდღე – 12.00-24.00

Largo de São Carlos 23

PIZZARIA LISBOA

მიუხედავად იმისა, რომ ეს იტალიური რესტორანია და შესაძლოა პორტუგალიაში მოგზაურობისას მისი მონახულება ზედმეტად ჩათვალოთ, ეს თქვენი დიდი შეცდომა იქნება.

უნაზღვრად ბურატა და კრატუნა პიცაზე დამდარი პარმეზანი, დახვეწილი რიზოტოები და სახლში დამზადებული პასტის დიდი არჩევანი არომატების ისეთ ფეიერვერკს გპირდებათ, რომლის მსგავსსაც იტალიაშიც რთულად იპოვით. ჟოზე ავილეშის მამა პორტუგალიაში ერთ-ერთი პირველი პიცერიის მფლობელი იყო და ამიტომ

ჟოზე საკუთარი პიცერიის ქონაზე ბავშვობაშივე ოცნებობდა. დღეს შეფის ახდენილი ოცნება თქვენი კულინარიული სამოთხე გახდება.

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 12.30-15.00, 19.00-24.00; შაბათი – 12.30-24.00; კვირა – 12.30-23.00

R. Duques de Bragança 5H



©Paulo Barata

BECO CABARET GOURMET

კაბარე „ბეკო“ ჟოზე ავილეშის ყველაზე ამაღლელებელი ქმნილებაა. ამერიკის „შირალი კანონის“ პერიოდის სტილში გადაწყვეტილი ეს კაბარე „ბაირუ ავილეშის“ სარკით დაფარული კედლის მიღმა იმალება. შეფის ყველაზე დახვეწილ კულინარიულ ქმნილებებთან ერთად, რომლებიც თავისთავად უკვე პერფორმანსია, თქვენს შერეობებს კაბარე



©José Avillez

რეს შოუც გამოაცხვლებს. კაბარეში მოსახვედრად აუცილებლად ბილეთი უნდა შეიძინოთ. ვახშმისა და შოუს ფასი 95 ევროა პერსონაზე. ვახშამში სასმელის ღირებულება არ შედის.

ვახშამი და შოუ: ოთხშაბათი-შაბათი – 20.30-22.45, **ღამის შოუ:** პარასკევი-შაბათი – 24.00-00.50; **კვირას, ორშაბათს და საშაბათს დაკეტილია.** **წინასწარ დაავაშა აუცილებელია.**

R. Nova da Trindade 18



პორტუგალიური საზაზაღაღოს „ვასკორტი“

ხმელთაშუა ზღვის დიეტა ანუ რაციონი, რომელიც იუნესკომ კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლთა ნუსხაში შეიტანა, პორტუგალიური სამზარეულოს „ვასკორტის“ უმთავრესი მახასიათებელია.

ამ რაციონის საფუძველს შეადგენს ხილი და ბოსტნეული; ნაკლებად დამუშავებული (დაღერლილი) მარცვლეულისგან გამომცხვარი მალაღხარისხოვანი პური; ხმელი თუ ნორჩი პარკოსნები (ლობიო, თურქული ბარდა ანუ მუხუდო და სხვ.); ჩირები, ქიშმიში და ზეთოვანი კულტურები (კაკალი, ნუში, წაბლი, თხილეული); ზეთუნის ზეთი, როგორც ცხიმის ძირითადი სახეობა; მრავალფეროვანი თევზეული; წითელი ხორცეული, რომელსაც მეორეხარისხოვანი როლი აკისრია.

პორტუგალიურ სამზარეულოში სხვადასხვა სახის ახალ პროდუქტს უპირატესობას სხვადასხვა სემონზე ანიჭებენ. ისინი მალაღიებსა თუ ტრადიციულ ბაზრებში იყიდება. სოფლის მეურნეობის პროდუქტები თავადვე გამოხატავენ მოსავლის მოყვანა-აღების რიტმს და ქმნიან სადა და მარტივ სამზარეულოს, რომელშიც კერძების მომზადების წესები მასში შემავალი სურსათის კვებითი ღირებულების შენარჩუნებას ემყარება.

პორტუგალიურ სამზარეულოში არის სხვადასხვაგვარი წვნიანები; ხორციანი კერძები – ბულიონები (cozidos), ნელ ცეცხლზე ჩაშუშული ხორცეული (guisados) და ბოსტნეულთან ერთად ჩაშუშული ხორცი (caldeiradas), რომლებიც ინარჩუნებენ მათში შემავალი პროდუქტებისთვის დამახას-

VOYAGER კომანდარი

ჩვეულებრივ, პორტუგალიელები დღეში სამჯერ ჭამენ: 07.00-იდან 10.00 საათამდე მონაკვეთში საუზმობენ, ხშირად სახლთან ყველაზე ახლოს მდებარე კაფეში. ტრადიციულად, ეს არის მსუბუქი საუზმე, რომელიც სასმლისა (ყავა ან წვენი) და ტოსტის ან სენდვიჩისგან შედგება.

უფრო საფუძვლიანად პორტუგალიელები შუადღით და საღამოს იკვებებიან. ისინი 12.00-იდან 14.30 სთ-მდე სადილობენ სამსახურთან ახლოს მდებარე კაფეში ან პატარა რესტორანში. ვახშმის დრო 19.30-იდან 22.30 საათამდეა.

პორტუგალიელებისათვის სრულფასოვანი კვება მოიცავს წვნიანს, ძირითად კერძს და დესერტს (ტკბილეული ან ხილი). სადილსა და ვახშამს შორის შუალედში (დაახლოებით 17.00 საათზე) ბევრი ხშირად მიირთმევს სამზარეულოს – ღვებელს და წვეწვს ან სხვა სასმელს.

სიათბელო დაჟანგვის საწინააღმდეგო თვისებებს და სიცოცხლის ხანგრძლივობას განაპირობებენ.

ხმელთაშუა ზღვის დიეტას რძის პროდუქტების ზომიერად მოხმარება, არომატული მწვანილეულის გამოყენება და ნაკლები მარილიანობა გამოარჩევს. ამ რაციონის მიხედვით, ღვინოსაც თავშეკავებით მიირთმევენ, მას მხოლოდ ჭამის დროს სვამენ, ხოლო დღის განმავლობაში ძირითად სასმელად წყალი მიირჩევა.

სუფრასთან მსხდომ ადამიანთა შორის ურთიერთობა და საუბარი ხმელთაშუა ზღვის სამზარეულოს მთავარი მახასიათებელია – ეს არის რიტუალი, რომელიც ერთად კრებს ნათესავ-მეგობრებს და სტუმართმოყვარეობის უმთავრეს გამოვლინებადაა აღიარებული.

პორტუგალიურ სამზარეულოში ხმელთაშუა ზღვის რაციონის საუკეთესო თვისებებს აღმოაჩენთ: ზღვასა თუ ხმელეთზე მოპოვებული სურსათის მრავალფეროვნებას – მათ შორისაა როგორც ადგილობრივი, ენდემური, ისე შორეული ქვეყნებიდან დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში შემოტანილი პროდუქტები. პორტუგალიურ რაციონში ნათლად აისახა გასტრონომიული ცოდნის შეკრება-გავრცელების პროცესი, სხვადასხვა კულტურათა და თაობათა შორის წარმატებული კულინარიული ურთიერთობა.

კლიმატის, ლანდშაფტის, კულტურისა და ცხოვრების განსხვავებულ სტილთა ჰარმონიულმა ურთიერთკავშირმა პორტუგალია, თავისი ფართოდ გადაჭიმული ატლანტიკური სანაპიროთი, ხმელთაშუა ზღვის რაციონის ჭეშმარიტ სამშობლოდ აქცია.



სარდინიებითა და კვავინის სიბოლოდ ქცადი დაზარალებული ვირთივხათი დაწყვადი, რბილი ლოხტარაფითა და კრავატაფით დაძინავრავადი, პორტუგალიური ზღვის პროდუქტები და თივფი უნაქლოა.

ვირთივხას კარკავის ათაღლორით რავავტი, AÇORDA (პურის წვნიანი), MIGAS (ჭაბი, ნიორსა და ავანარაფი ვაწვარი დაქვავავადი პური), გარინადი, პრინჰი, პოპოპული ლოპიო, კვარსხის გულის ვაქარაქინადის რავავტავი – ტრადიციული პორტუგალიური კვინარიუ საოცრად ძლიდარიუ და თვით ყვადაუა გაოცდლი გარავანავასუ კი აოცავს.

SARDINHA

პორტუგალიაში სარდინები განსაკუთრებით უყვართ. დაკონსერვებული სახით ისინი საყოველთაოდ ცნობილი სუვენირია, რომელიც ტრადიციულ მაღაზიებში იყიდება. შემწვარ სარდინებს თითქმის ყველა რესტორნის ანტრეს მენიუში აღმოაჩენთ. სარდინებს გრილზე, ან ტვაფზე კარაქში წვავენ და კარაქიან პურთან ერთად მიირთმევენ. ზეთში შემწვარი წვრილი სარდინები კი ვახშმის წინ შესანიშნავი თავშესაქცევია, მწვანე ღვინოსთან ერთად.



BACALHAU

ბაკალიაუსგან (გამომშრალი დამარილებული ვირთევზა) მომზადებული კერძები პორტუგალიური სამზარეულოს ფუნდამენტია. ამ თევზს შეხვდებით ყველგან და ყველა სახით მომზადებულს. მხოლოდ პორტუგალიაში ამ თევზის 1000-მდე რეცეპტია ცნობილი. პორტუგალიის ბევრ რეგიონში ბაკალიაუს ტრადიციულ სამობაო კერძადაც ამზადებენ.



უცნაურია, რომ ეს ერთადერთი თევზია, რომელსაც პორტუგალიაში არა ცოცხლად, არამედ დამარილებულს იყენებენ. ამ ტრადიციას დიდი წარსული აქვს, რომელიც პორტუგალიის სამღვაოსნო ისტორიას უკავშირდება. თავად ვირთევზას დამარილების ეს მეთოდი კი სკანდინავიურია და ნორვეგიელებმა გამოიგონეს.

დამარილებული ვირთევზა შესანიშნავად უძლებდა შორეულ მოგზაურობებს, ამიტომ მისგან მომზადებულ კერძებს ევროპის ყველა საპორტო ქალაქში გადააწყდებოდა. ბაკალიაუ, ტრადიციულად, კარტოფილთან, ხახვთან და მწვანე ღვინოსთან ერთად მოგართმევენ.

ვირთევზა განსაკუთრებით კარგად ემორჩილება დამარილებას, რადგან ნაკლებ ცხიმიანი თევზია, ცხიმი კი ხელს უშლის მარილწყალს თევზში შეღწევაში. ვირთევზა იაფი იყო და მას მეზღვაურები განსაკუთრებით ეტანებოდნენ. 500-წლოვანმა ტრადიციამ არა მხოლოდ პორტუგალიის, არამედ ნორმანდიელების, ბრეტონელებისა და ინგლისელი მეზღვაურების საკვებ სისტემას დაატყო თავისი კვალი.



მომზადებამდე დამარილებულ თევზს 24 საათით ცივ წყალში ათავსებენ, რომ ზედმეტი მარილი გამოდევნონ და თევზს ელასტიკურობა დაუბრუნონ. ბაკალიაუს პოპულარობას კათოლიკურმა ეკლესიამაც შეუწყო ხელი, რადგან მარხვის დროს ხორცის ნაცვლად თევზს მოიხმარდნენ. პორტუგალიაში ბაკალიაუ ათობით სახეობას შეხვდებით. მისი შერჩევა რიტუალია. მომხმარებელს უფლება აქვს, ხელით გასინჯოს, დასუნოს და გემოც კი გაუსინჯოს თევზს.

TRIPAS À MODA DO PORTO

ამ კერძს – ღორის ნაწლავები პორტოურად, რომელიც დღეს პორტუს კულინარიული სიმბოლოა, დიდი ისტორია აქვს. როცა პორტუგალიის მეფე ენრიკი დიდი ნაოსნობისთვის ემზადებოდა, მან პორტუს მოსახლეობას სთხოვა, ფლოტს საკვები პროდუქტებით დახმარებოდნენ. პორტუგლებმა მთელი ხორცი მეფეს დაუთმეს, თავად კი ღორის ნაწლავებილა დარჩათ. ამ პერიოდიდან იწყება კერძის ისტორია, რომელსაც დღეს სოსისი, ბოსტნეული და ლობიოც დაემატა, მაგრამ მთავარი შემადგენელი მაინც შიგნეულია. დროთა განმავლობაში კერძი იმდენად პოპულარული გახდა პორტუში, რომ ქალაქელებს მეტსახელად „ტრიპეიროებიც“ კი შეარქვეს.



CALDEIRADA

მრავალი სახეობის თევზითა და კარტოფილით მომზადებულ ამ კერძს მეთევზის შეჭამანდაც უწოდებენ. თევზის სახეობა 2-იდან ზემოთ განუსაზღვრელი რაოდენობით მერყეობს. ეს იმით აიხსნება, რომ მეთევზეები საჭმელს იმისგან ამზადებდნენ, რაც იმ დღეს მათ ბადეში მოხვდებოდა. ეს კერძი ფრანგულ ბუიბესსაც (bouillabaisse) მოგვაგონებს. თევზს სხვადასხვა ზღვის პროდუქტიც ემატება: მოლუსკები, კრევეტები და რვაფეხა. თევზეულის მიქსს ხარშავენ და კარტოფილს, მწვანე წიწაკას, პომიდორს, ქინძს, დაფნის ფოთოლსა და შვკ პილპილს უმატებენ. ასევე გამოიყენებენ პორტევის, თეთრ ღვინოს ან ბრენდის. ამ სუშს მარილს არ აყრიან, რადგან ზღვის პროდუქტები ისედაც საკმაოდ შეიცავს მარილს.



FRANCESINHA

თუ პორტუსთვის ტიპური კერძის – ფრანსეზინიას გასინჯვა განიზრახეთ, გირჩევთ, დილიდან არაფერი მიირთვათ. ეს კერძი იმდენად ნოყიერია, რომ ყველა ვერც დაძლევეს. წარმოიდგინეთ თეთრი პურის მოზრდილი ნაჭრები და მათ შორის ფენა-ფენა მოთავსებული შემწვარი ღორის ხორცი, სხვადასხვა სახის სოსისი, როსტბიფი, ყველაფერი ეს კი გამდნარი ყველის სქელი ფენითაა დაფარული და შემწვარი კვერცხით გვირგვინდება. ის ტომატისა და ლუდის სოუსშია მოთავსებული და შემწვარ კარტოფილთან ერთად მოგართმევენ. ფრანსეზინია 1960 წელს გამოიგონეს ფრანგული კროკ-მესიეს (croque-monsieur) მიბაძვით ქალაქ პორტუში. დღემდე ეს კერძი ამ ქალაქის სავიზიტო ბარათია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან პოპულარულია მთელ პორტუგალიაში.



LINGUIÇA

ეს კერძი პორტუგალიასა და ბრაზილიაში გავრცელებული ღორის შებოლილი სოსისის სახეობაა. ტრადიციულად, ამ ქვეყნებში ძეხვეულსა და შებოლილ სოსისებს სხვა კერძების თანმხლებ ნაწილად იყენებენ. ლინგუისას ბრინჯსა და ლობიოსთან ერთად მიირთმევენ, ან ღორის ხორცისგან დამზადებულ სხვა კერძებში იყენებენ. პორტუგალიელებმა ეს ძეხვი ბრაზილიასა და ანგოლაშიც შეიტანეს, სადაც ის დღემდე პოპულარულია. პორტუგალიაში ლინგუისას სახეობა – კალაბრეზა ყველაზე პოპულარულია. ის წითელი წიწაკის გამოყენებით მზადდება და ლინგუისა პორტუგეზსგან ამით განსხვავდება.



CALDO VERDE

მწვანე კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობისგან დამზადებული წვნიანია, რომელიც პორტუგალიაში, ტრადიციულად, წვეულებებისთვის მზადდება. ქორწილებსა და ნათლობებში, ასევე, წმინდა იოანეს დღესასწაულზე ბრაგაში. ძირითადი ინგრედიენტი მწვანელი და კარტოფილია, ნიორსა და ხახვთან ერთად. სუშს, როგორც წესი, სხვადასხვა ძეხვეულის თანხლებით მოგართმევენ. შებოლილ სოსისს წვნიანში სულ ბოლოს ამატებენ. ასევე, ტრადიციულად, კალდო ვერდეს პორტუგალიური მარცვლეული პურის – ბროას კრუტონებთან ერთად ჭამენ. კალდო ვერდე მინიოს Minho პროვინციაში გამოიგონეს. შემდეგ ამ წვნიანმა არა მხოლოდ პორტუგალია, არამედ პორტუგალიურენოვანი ქვეყნებიც დაიპყრო.



CARNE DE PORCO À ALENTEJANA

პორტუგალიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ტრადიციული ღორის ხორცისგან მომზადებული ეს კერძი ხორცისა და მოლუსკების უცნაური კომბინაციაა, რომელიც კარტოფილსა და ქინძთან ერთად მზადდება. ხორცს თეთრი ღვინის მარინაჟში ათავსებენ პაპრიკასთან, ნიორთან, ქინძსა და დაფნის ფოთოლთან ერთად. მოხრაკულ ხორცს მოლუსკებს ამატებენ და მალევე გადმოდგამენ ცეცხლიდან. ორსაგდულიანების ნაზი ტექსტურა და ღორის ხორცი უცნაურ და დახვეწილ კომბინაციას ქმნის. კერძს შემწვარ ან გამომცხვარ კარტოფილთან ერთად მიირთმევენ. კერძს სახელი მისი წარმოშობის რეგიონმა – ალენტეჟუმ აჩუქა. სწორედ აქ აშენებენ შავ იბერიულ ღორს.



FEIJOADA

ტრადიციული კერძია, რომელსაც წითელი ლობიოსგან, ძროხისა და ღორის ხორცისგან ამზადებენ. ამ კერძსაც ყველაგან შეხვდებით, სადაც კი პორტუგალიელ მეზღვაურს ფეხი დაუდგამს – მაგალითად, გოაზე ან ინდოეთში, მაკაოსა და ანგოლაში. მისი მომზადების წესები ოდნავ განხვავდება, მაგრამ პრინციპი ერთია. კერძის სახელწოდება feijão-დან მოდის, რაც პორტუგალიურად ლობიოს ნიშნავს. ლობიოს თიხის ქოთანში ხარშავენ ნელ ცეცხლზე და შემდეგ ღორისა და საქონლის ხორცს უმატებენ. ამ კერძის ისტორია რომის იმპერიაში იწყება. სწორედ რომაელებმა გაავრცელეს პარკოსნების ხორცთან ერთად მომზადების ტრადიცია მთელ ევროპაში. კერძს ბრინჯსა და შებოლილ ძეხვთან ან სოსისებთან ერთად მიირთმევენ.



AMÉIJOAS À BULHÃO PATO

ეს პორტუგალიური კერძი მე-19 საუკუნეში მოღვაწე მწერლის, Bulhão Pato-ს სახელს ატარებს. ბულიაუ პატუ ცნობილი გურმანი იყო და მოლუსკები თეთრ ღვინოში მის საყვარელ კერძს წარმოადგენდა. მსგავსი კერძი ესპანეთშიც პოპულარულია და მას მოლუსკები მეთევზის სტილში ჰქვია. ამ კერძის არაერთი ვარიანტია არსებობს, მაგალითად, ხახვითა და ტომატის პასტის დამატებით. ხანდახან მოლუსკებს ბულგარულ წიწაკასა და სტაფილოსაც კი უმატებენ, თუმცა თეთრი ღვინით და ნივრით ყველაზე ტრადიციული ვერსიაა. ხანდახან სოუსში პურის ნაფხვენებსაც ამატებენ გასასქელებლად.



AÇORDA

ასორდა ტიპური პორტუგალიური კერძია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა თხლად დაჭრილი პური ნივრის, ქინძის, ზეითუნის ზეთისა და ძმრის პასტით, რომელსაც პომირებული კვერცხი ამშვენებს. ცხელ კვერცხს ასორდას სერვირებამდე მისი პომირებისთვის გამოყენებულ წყალს გადაავლებენ, რომ პური დაღებს. პურის ამ შეჭამანდის სამშობლო ალენტეჟუს რეგიონია. ასორდას ხანდახან კრევეტებითა და ბაკალიაუთიც ამზადებენ.



AZEITÃO

აზეიტაუ კრემოვანი ყველია, რომელიც ლისაბონთან ახლოს მდებარე ქალაქ აზეიტაუში მზადდება. მის ამოსაყვანად არაპასტერიზებულ ცხვრის რძეს იყენებენ. საინტერესოა, რომ ყველის სხვა სახეობებისგან განსხვავებით რძის ასატრელად არა ცხოველური წარმოშობის ფერმენტს, არამედ ყვავილს იყენებენ, ამიტომაც ვეგეტარიანელებს შორის აზეიტაუ განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. სანამ დაძველდება, ეს ყველი გარედან მაგარია, შიგნით კი კრემოვანი სტრუქტურა აქვს.



CABRA TRANSMONTANO

ეს ძალიან მაგარი სტრუქტურის ყველია, რომელსაც თხის რძისგან ამზადებენ ჩრდილოეთ პორტუგალიაში. ამ ყველის ამოსაყვანად ყველა თხის რძე არ გამოდგება – კაბრის, სერანა ნეგრის Serrana Negra ჯიშის თხის რძე სჭირდება. ამ ყველს, სულ მცირე, 60 დღეს აძველებენ და ხშირად იყენებენ გახეხილს, კერძებზე მოსაყრელად.

EVORA DE L'ALENTEJO

ეს ყველი ნახევრად რბილი ან მაგარი სახეობის გვხვდება და არაპასტერიზებული ცხვრის რძისგან მზადდება. მას კრემოვანი გემო აქვს, ამოსაყვანად ყველა თხის დაძველებასთან ერთად ცხვრის სპეციფიკური გემო ძლიერდება. არსებობს ევორის ზეითუნის ზეთში დღეს აძველებენ და ხშირად, რომელიც ალენტეჟუსში გავრცელებულია.



NISA

მაგარი ტექსტურის ყველია, რომელიც ასევე არაპასტერიზებული სალიოუს ჯიშის ცხვრის რძისგან მზადდება. მის ამოსაყვანად ასევე მცენარეულ ფერმენტს იყენებენ. სალიოუს ჯიშის ცხვრის რძე კი მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ყველს ბალახებისა და ციტრუსის არომატი დაჰკრავს.

PICO

ამ ყველს მთლიანად ძროხის რძისგან, ან თხის რძის დამატებით აწარმოებენ კუნძულ პიკუზე, რომელიც ამორის კუნძულებიდან ერთ-ერთია. ეს ყვითელი ყველი გარედან მაგარია, შიგნით კი – მარბლი და კრემოვანი. პიკუ საკმაოდ ძლიერი სუნით არომატი დაჰკრავს.



პორტუგალიელებს ძალიან უყვართ ტკბილეული, ასობით საკონდიტროს ვიტრინები სავსეა შაქარმოყრილი დესერტების მწყობრი რიგებით. თითქმის ყველა დესერტი უხვადაა გაჯერებული კრემით, რომელიც კვერცხის გულის გამო ყვითელი ფერისაა.

ტკბილეულის ასეთი მრავალფეროვნება გასაგებია, რადგან პორტუგალიის კოლონიები უხვად აწარმოებდნენ ამ უძვირფასეს პროდუქტს, სავაჭრო გზაგასაყარზე ყოფნის წყალობით კი ადგილობრივი მზარეულები უბრუნველყოფილნი იყვნენ მიხაკ-დარიჩინით, ვანილითა და სხვა სახეობებებით.

კვერცხისადმი საოცარ სიყვარულსაც ლოგიკური ახსნა აქვს: ტკბილეულის ძირითადი მწარმოებლები ბერ-მონაზვნები იყვნენ, რომლებიც მონასტრებში ადგილობრივი და იმპორტული პროდუქტების შერწყმით ამზადებდნენ დელიკატესებს. მონასტრებში კვერცხის ცილა სხვადასხვა მიზნით სჭირდებოდათ და მორჩენილი კვერცხის გულის შენახვისა და გამოყენების უამრავი გზა უნდა მოეძებნათ. კონსერვაციისთვის შაქრის ფხვნილს იყენებდნენ, შემდეგ კი კვერცხის გულს დესერტების დასამზადებლად ხმარობდნენ.

PASTEL DE NATA

ყველაზე ცნობილი ნამცხვარი პორტუგალიაში ფენოვანი ცომის ტარტალეტში მოთავსებული ვანილის მსუყე კრემი კარამელიზებული თავით. პაშტელ დი ნატა ძალიან ჰგავს პაშტელ დი ბელეიმს და მისი გასინჯვა ბევრ ადგილას შეიძლება ლისაბონში. ცომი ძალიან ხრამუნა უნდა იყოს, შიგთავსი კი – კრემოვანი.



TRAVESSEIRO DE SINTRA

ტრავესეირუ დე სინტრა თარგმანში „სინტრას ბალოის“ ნიშნავს, რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიგვითითებს, რომ ამ დესერტზე სიმარშივ კი უნდა იოცნებოთ. ნამცხვარი მართლაც ბალიშის ფორმისაა და ნუშისა და კვერცხის კრემით კეთდება. ის პირველად ქალაქ სინტრაში საცხობ Casa Piriquita-ში შეიქმნა 1862 წელს. ლევენდის თანახმად, რეცეპტი ძველ კულინარიულ წიგნში აღმოაჩინეს, დახვეწეს და საიდუმლო ინგრედიენტც დაუმატეს.

PUDIM ABADE DE PRISCOS

Manuel Joaquim Machado Rebelo – პრიშკუმის საბატონოს აბატი XIX საუკუნის უდიდეს პორტუგალიელ მზარეულად ითვლება.

ცნობილია, რომ აბატი სამეფო ოჯახს განუმეორებელი ბანკეტებით ანებიერებდა. მისი პუდინგი, რომელიც ვანტიქული იყო თავისი ხავერდოვანი სტრუქტურით, ღორის ღორის გადამდნარ ქონს შეიცავდა.

SERICAIA

სერიკაია ტრადიციული პორტუგალიური კვერცხის პუდინგია. მისი გამოკონებაც მონასტრის უკავშირდება. კვერცხი ძირითადი ინგრედიენტია, თუმცა ამ შემთხვევაში გულთან ერთად ცილასაც იყენებენ, რაც ამ დესერტს მეტ ჰაეროვნებას სძენს. პუდინგს Alentejo-ს რეგიონის ცნობილი ქლიავით რთავენ.



TOUCINHO DO CÉU

პორტუგალიური ტკბილეულობის დასამზადებლად გადამდნარი ღორის ქონსის გამოყენება უცხო არ არის. Toucinho do Céu სწორედ ასეთი დესერტია, რომელიც თარგმანში სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ღორის სამოთხიდან“.

სანტა კლარას მონასტრის მონაზვნებმა ის XVIII საუკუნეში შექმნეს. ნამცხვარში დამატებული დაფქული ნუში მას განსაკუთრებულ სტრუქტურას სძენს.



გაუგებარია, როგორ მოახერხა მან ღორის გემოს მიჩქმალვა ამ ტკბილეულში. თუ რეცეპტის შესახებ არაფერი გავიგიათ, ამ კრემოვანი დესერტის გასინჯვისას მხოლოდ პორტუს ღვინის, დარიჩინის, ციტრუსისა და კვერცხის გულის გემოს იგრძნობთ.



LICOR BEIRÃO

Licor Beirão პორტუგალიური ლიქორია და მისი რეცეპტი მწარმოებლის საიდუმლოა.

მეპატრონე კარანკა რედონდო მხოლოდ იმას ამჟღავნებს, რომ ლიქორი მცენარეებისა და მათი თესლის ორმაგი

დისტილაციით მზადდება. მცენარეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანაა, მათ შორის, მალაიზიიდან, ბრაზილიიდან და ტაილანდიდან.

ეს უგემრიელესი და სახელგანთქმული პორტუგალიური სასმელი ლოზანის მთებში მზადდება სამკურნალო თვისებების მქონე და ძლიერი არომატით გამოირჩეული 12 სხვადასხვა მცენარისგან, მათ შორისაა: ევკალიპტი, დარიჩინი და როზმარინი.

ლიქორი მეცხრამეტე საუკუნეში სწორედ სამკურნალო მიზნით შეიქმნა ლოზანის ფარმაცევტულ კომპანიაში და ის მუცლის ტკივილისთვის გამოიყენებოდა, დღეს კი ერთ-ერთი საუკეთესო ალკოჰოლური სასმელია.

AGUARDENTE PORTUGUESA

ამ სასმელებში Aguardente ყველაზე ძლიერია, 35-56% ალკოჰოლის შემცველობით. ეს ერთგვარი პორტუგალიური ბრენდი ან შნაპსია. საუკეთესო აგუარდენტეებს გამოირჩეულად დახვეწილი გემო აქვს და კონიაკსაც კი მოგაგონებთ. თუ მაგარი სასმელების მოყვარული ხართ, აგუარდენტე აუცილებლად გასინჯეთ. ამ სასმლის სხვადასხვა სახეობა არსებობს, მაგალითად, Aguardente vinica კარგი ხარისხის ან გამოუსადეგარი ღვინის დისტილაციით მიიღება. დაძველების შემდეგ კი aguardente velha-ს (ძველი, მწველი წყალი)



AZORES

ასორიმ – სახელგანთქმული მრავალფეროვანი არომატული პალიტრით. ყველაზე გემრიელი ასორიმები მარაჯის (maracujá) არომატითაა, თუმცა ანანასის, ბანანისა და რძისავე ძალიან პოპულარულია (რძის ლიქორი შესაძლოა მადისაღმძვრელად არ ჟღერდეს, მაგრამ საოცრად გემრიელია). კონტინენტურ პორტუგალიაში ფორთოხლის ლიქორის ძალიან ხშირად შეექვევან და ის ჭეშმარიტად საზაფხულო სასმელია.



VINHO VERDE

„მწვანე ღვინო“ – ეს სახელწოდება მინიუს რეგიონისთვის დამახასიათებელ ფერს უკავშირდება, სადაც ხსენებული ღვინო იწარმოება; ასევე – მის მუავიანობას, რომელიც უმწიფარი, მწვანე ყურძნის თვისებაა. წითელი იქნება თუ თეთრი, ასეთი ღვინო საოცარი სიმსუბუქით, სიხალასით გამოირჩევა და ძალიან უხდება თევზსა და ზღვის პროდუქტებს, რომლებიც პორტუგალიის სანაპიროზე მრავლად მოიპოვება.

უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს თეთრი ღვინო – საუცხოო არომატის მქონე, ცინცხალი ტექსტურის სასმელი, რომელიც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ, თუ მას ზაფხულის ცხელ შუადღეს სალათასა თუ მსუბუქ საკვებთან ერთად აპერიტივად მიირთმევთ.

Vinho Verde-ს ვენახები უმეტესად თავმოყრილია მდინარეთა ხეობებში და ატლანტის ოკეანის ჰავის გავლენას განიცდის. მზის სხივების ძებნაში ვაზები იზრდება ხეებზე, ადის ლობებზე, მიცოცავს ხორბლის მინდვრებისაკენ.

Vinho Verde პორტუგალიაში ჯერ კიდევ XIII საუკუნეში მზადდებოდა; დღეს ეს ღვინო ქვეყნის საერთო ნაწარმის 25 პროცენტს შეადგენს.

ქვეყანაში მწვანე ღვინოების მწარმოებელი მინიუს რეგიონი ერთ-ერთი უძველესია.



ROASTED CHESTNUT LIQUEUR

Clarinha პორტუგალიური წაბლის ნაირსახეობაა, რომელიც ალენტეუს მალაშითიან რეგიონში იზრდება. ეს წაბლი მცირე ზომისაა და ძალიან ტკბილია.

ბრენდის, შაქრისა და წაბლისგან დამზადებულ ლიქორში თვით კლარინის ფერფლის ნაწილაკებიცაა.



GINJA DE ÓBIDOS

მას მოფერებით ginjinha-ს უწოდებენ და ძალიან პოპულარული ალკოჰოლური სასმელია, რომელიც თავისივე წვენიდანარბილებული მჟავე ალუბლით მზადდება. წმ. ანტონის ღამეს ginja ულევად „მოედინება“. ზოგიერთ მომცრო ისტორიულ ბარში სხვა სასმელი არც აქვთ. მისი დაღვევა პატარა ჭიქით ჯიხურშიც შეგიძლიათ.

Ginja de Óbidos-ს, რომელსაც ხშირად ჟინჟინისა უწოდებენ, ყველა ტრადიციული პორტუგალიური საკვებისა და სასმლის მაღაზიაში იპოვით. მას პატარა ბარებშიც მოგართმევენ. ეს წითელი სასმელი შესანიშნავ ფერს მუავე ალუბლისგან იძენს და მას ხშირად შოკოლადისგან დამზადებულ მომცრო ჭიქებში ასხამენ. ტკბილი და უგემრიელესი ჟინჟინია იდეალური ღამის სასმელია.



BOLO DE MEL DA MADEIRA

ბოლუ დი მელ დი მადეირა მუქი ფერის ნამცხვარია თავლის, თხილის, ანისის, მიხაკის და დარიჩინის არომატით. ის კუნძულ მადეირაზე შექმნილი ყველაზე ძველ დესერტად ითვლება და არსებობის 600 წელს ითვლის. ტრადიციის მიხედვით, ეს კექსი ხელით უნდა მოიტეხოთ და დანით არ უნდა ჩამოჭრათ.

TORTA DE AZEITÃO

ტორტა დი აზეიტაუ კვერცხის გულისგან დამზადებული კრემიანი რულეტია. მის გამოკონებას მანუელ როდრიგესს მიაწერენ. ამ უსინათლო კაცმა დიდ წარმატებას მიაღწია და სახელი გაითქვა

PASTEL DE FEIJOÃO

პაშტელ დი ფეიჟაუ ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უცნაური პორტუგალიური დესერტია. ის ცნობილია, როგორც ლობიოს ნამცხვარი და მართლაც თეთრი მოხარშული ლობიოსა და ნუშისგან მზადდება. გაუგებარია, რაზე ფიქრობდა XIX საუკუნის მიწურულს ჟოაკინა როდრიგესი ქალაქ ტორესიდან, როცა ეს დესერტი გამოიგონა.



ნაზი კრემოვანი რულეტის წყალობით. ლიმონისა და დარიჩინის გემო დესერტის სიტკბოს აბალანსებს.

ვაჟკაცური ღვინო, რომელსაც მოგზაურობა არ უყვარდა



კახა თოლორდავა

ჩემს ახალგაზრდობაში პორტვინის მხოლოდ რუსები სვამდნენ. სვამდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში წარმოებული ეს ღვინო ყველაზე იაფი იყო და სწრაფად ათრობდა. იმ დროს პორტვინის საბჭოთა ვერსიის ყველაზე პოპულარული ბრენდი ე. წ. „სამი შვიდიანი“ იყო, რომელსაც ხალხში „სამ ნაჯახად“ (ციფრი 7-ის ნაჯახის ფორმასთან მსგავსების გამო) მოიხსენიებდნენ. ერთი ჩემი რუსი ნაცნობი კი, ამ ბრენდის ხშირი მომხმარებელი, მას „სამ ექვსიანი“ ეძახდა.

„ეს ღვინო კი არა, ბოროტი ცხოველია, რომელიც შიგნიდან გზრავს!“ – ამბობდა ხოლმე იგი და შეშინებული მგერით დაჰყურებდა „გრანიონი“ ტიქაში ჩამოსხმულ მუქ ქარვისფერ სითხეს. მერე კი გადაკრავდა, სახე ებადრებოდა და უკვე ვიცოდი, რომ შემდეგ დილაზე ბედნიერი იქნებოდა.

„გასინჯე, – მაძალებდა ხოლმე დროდადრო, – იმ შეუხედავი ქალივითაა, რატომღაც რომ შეგიყვარდა!“ მხოლოდ ერთხელ მოახერხა ჩემი და-

თანხმება, გავსინჯე და მერე გრძელი ლექცია წავუკითხე ქართული ღვინოზე.

„აჰ, ქართული ღვინო! – ამოიხრა მან, – სადაა ამდენი ქართული ღვინო, რუსებს რომ გვეყოს?! ჩვენი ხვედრი არაყი და სამი ნაჯახია, მეგობარო!“ მერე კი ეჭვის თვალით შემომხედა და მკითხა: „ერთი ქართველი მაინც თუ იცი, პორტვინის რომ სვამდეს?“ „არა!“ – ვუპასუხე. არ ვტყუოდი.



თუ საზაღვანო მოგვცათ, თქვენი პირველი ჭიკა სწორედ პორტვინიანი მოგზაურობისა, იქნა რა თქონა ერთად ასწიოთ, რათა ვაღიან გახივართათ, რაღაწაც პორტი სვამართოყვარა და ვაჟკაცური ღვინო და მიუხედავად იმისა, რომ პორტი ყვავიან პორტია, საკუთარ ტარიტორიან ის ხაინც მუღარაგანი.

მოკლედ, ჩვენ, ქართველები პორტვინის იმიტომ არ ვსვამდით, რომ ის „ალკაშების“ სასმელად ითვლებოდა, „ალკაშები“ კი სვამდნენ იმიტომ, რომ საბჭოთა პორტვინი მათთვის კარგად შემავრებული იაფი ღვინო იყო, მაგრამ ორივე მხარეს ერთი რამ გვაერთიანებდა – სრული უცოდინრობა პორტვინის შესახებ. ამიტომაც იყო ვიღაც-ვიღაცები პორტვინის „რუსულ საზიზღრობას“ რომ უწოდებდნენ.

ალბათ ამავე პერიოდში გაჩნდა ცნობილი რუსული გამოთქმა: „ყველას ვეტყვი, არაყს პორტვინიში რომ ურევ!“ – ფრაზა, რომელიც, როგორც ამას ქვემოთ გაიგებთ, პორტვინთან მიმართებაში სრულიად აზრს მოკლებული არ იყო, მაგრამ მისი სალაპარაკო ენაში მოხმარება მოარულ უცოდინრობას ეყრდნობოდა და კარგა ხნით არყის შეურაცხყოფელთა გასაქილიკებლად მოიხმარებოდა.

ვინმე იცნობთ ისეთ ქართველს, რომელიც პორტვინის მიირთმევს?

პორტვინი – პორტუგალიაში, მდინარე დორუს ხეობის ფერდობებზე მოწეული ყურძნის ღვინო – ორ ქვეყანას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შედეგად გაჩენილი სრულიად უნიკალური მოვლენაა. 1667 წელს ლუი XVI-ის ფინანსთა მინისტრის, ჟან-ბატისტ კოლბერის განკარგულებით, საფრანგეთში ინგლისური პროდუქციის საფრანგეთში იმპორტი აკრძალა. ამის პასუხად ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის იმდროინდელმა მონარქმა

ჩარლზ მეორე სტიუარტმა ფრანგული ღვინოების ინგლისში შეტანას დააბოკებარგო. ინგლისი ფრანგული ღვინის გარეშე დარჩა, მიიხედა-მოიხედა და – ერთი პროდუქტის მეორით ჩანაცვლების მიზნით თავის ერთ-ერთ ყველაზე სანდო პარტნიორს, პორტუგალიას მიადგა.

იმ დროისათვის აქ უკვე ბევრი ინგლისელი ვაჭარი ცხოვრობდა და, საერთოდ, ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის, 1386 წლის უინძორის ხელშეკრულებიდან დაწყებული, ძალიან სტაბილური იყო და არის.



მოკლედ, აი, ასეთი იყო ძალიან ღირსეული, სინამდვილეში არა რუსული, არამედ პორტუგალიური ღვინის რეპუტაცია, რომელსაც პორტვინი თურმე ნამდვილად არ იმსახურებდა; თუმცა, მეორე მხრივ, ფაქტია ისიც, რომ იმ დროს უხარისხო ამ დიდებული სასმლის ხანგრძლივი გამოყენების შედეგად რუსეთმა უფრო სწრაფად გადაინაცვლა ხარისხიან პორტზე იმ დროს, როდესაც ბევრი ჩვენგანისთვის ის დღემდე უცნობ მოვლენად რჩება.



ფრანგული ღვინოების პორტუგალიურით ჩანაცვლების პროცესი ვიანა დუ კაშტელში მცხოვრებმა ინგლისელმა და პორტუგალიელმა ვაჭრებმა დაიწყეს, თუმცა, მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში ეს პროცესი უკვე დიდი ხნის დაწყებული იყო – „ღვინის გზა“ პორტუგალიიდან ინგლისში ჯერ კიდევ უინძორის ხელშეკრულებიდან მოყოლებული ფუნქციონირებდა, მაგრამ მარტივი პორტუგალიური ღვინოები სათანადო კონკურენციას ვერ უწევდნენ ძვირადღირებულ, რთულ და მდიდარ ფრანგულ ღვინოებს.

სწორედ ამის გამო, და იმის გამოც, რომ მათ კარგად იცოდნენ ინგლისელების გემოვნება, ვიანა დუ კაშტელში მცხოვრებმა ვაჭრებმა გადაწყვიტეს, მდინარე დორუს ხეობაში

გადაენაცვლათ და იქაური უფრო სხეულიანი ღვინოები მიეწოდებინათ ინგლისელებისათვის. ეს ადვილი საქმე არ აღმოჩნდა, რადგანაც დორუს ხეობიდან ღვინო ჯერ ვიანა დუ კაშტელში უნდა ჩაეტანათ, იქიდან კი – ინგლისში გაეგზავნათ.

დორუს ხეობის ღვინო საკმაოდ ჭირვეული აღმოჩნდა, ცუდად იტანდა მგზავრობას. შედეგად, ვაჭრებმა „ღვინის გზა“ ოდნავ სამხრეთის მიმართულებით „გალუნეს“ და დორუს ერთ-ერთ სანაპიროზე, ატლანტის ოკეანის შესართავთან მდებარე ქალაქს – ოპორტუს, იგივე პორტუს მიაშურეს. ასე გახდა ეს ქალაქი ღვინის ექსპორტის და ვაჭრობის ცენტრი და სწორედ ამ ქალაქმა შეარქვა დორუს ხეობის ღვინოს სახელი „პორტვინი“ – პორტის ღვინო.

მოგზაურობას მოძულე ღვინოს მორჯულება ესაჭიროებოდა. დღეს უკვე უცნობია, ვის მოუვიდა თავში სამოგზაუროდ გამზადებული ღვინისთვის ღვინის სპირტის დამატება. სხვადასხვა წყარო ერთმანეთისგან განსხვავებულ ისტორიებს ჰყვება, მაგრამ ფაქტია ის, რომ ეს ასე მოხდა და ამ ღვინის ბუნებრივი ფერმენტაციის პროცესში ასეთმა მოულოდნელმა ჩარევამ არათუ მხოლოდ მოგზაურობისათვის აუცილებელი სიმტკიცე შემატა დორუს ხეობის სპირტიანი ღვინოებს, არამედ გაუმდიდრა ბუკეტი, გააბლანტა, აუმაღლა გრადუსი, უფრო დაატკბო და ასე აქცია ის სრულიად უნიკალურ პროდუქტად.

ისტორიას არც იმ ინგლისელების სახელები და გვარები შემორჩა, რომლებმაც პირველად გასინჯეს დორუს ხეობის სპირტით შემაგრებული ღვინოები, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჯერ მათ, მერე კი სრულიად ინგლისის იმდენად მოეწონათ ეს პროდუქტი, რომ ინგლისის არმია და ფლოტი დღემდე სწორედ პორტვინით ადღეგრძელებს დედოფალს. ყველაფერთან ერთად, ამ ხელოვნურმა ჩარევამ კიდევ ერთი თვისება შემატა პორტს – დავარგების საკმაოდ შთამბეჭდავი პოტენცია.

პორტვინის რეპუტაციის გასამაგრებლად საჭირო დრო საკმაოდ წელა, თუმცა კი მის სასარგებლოდ მიედინებოდა. 1756 წლამდე პორტვინი ძველი ტექნოლოგიით კეთდებოდა, მაგრამ იმ ხარისხის მისაღწევად, დღეს რომ აქვს, კიდევ 100-მა წელიწადმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში პორტ-

ვინის „თვალთახედვის არეში“ ბევრმა მნიშვნელოვანმა, განსწავლულმა და მის განსაკუთრებულობაში დარწმუნებულმა ადამიანმა „შეირბინა“.

თავად პორტუგალიელების აზრით, ჯობიერ ჯიშს ფორესტერი, ინგლისელი ვაჭარი და ღვინის ექსპორტიორი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო პორტვინის დახვეწის თვალსაზრისით. ის 1831 წელს ჩავიდა პორტუგალიაში და იქ ყოფნის მხოლოდ პირველითორმეტიწლის განმავლობაში მოახერხა დორუს ხეობის დეტალური რუკის შექმნა, დაწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტექსტი პორტვინის ნავიგაციის გასაუმჯობესებელ პირობებზე, ანონიმურად გამოაქვეყნა პამფლეტი მისი უხეიროდ მკეთებლების წინააღმდეგ და ყველაფერი ეს ისე ლაზათიანად გააკეთა, რომ ფერნანდუ მეორემ, პორტუგალიის მეფემ, მას ბარონის ტიტული მიანიჭა.

პორტვინის მეორე მნიშვნელოვანი ქომაგი დონა ანტონია ადელიდე ფერიერა (1811-1896) იყო – ქალი, რომელიც დორუს ხეობაში მოყვანილი ჯიშების გადარჩენის, შენარჩუნების და დახვეწის მიზნით ინგლისში გაემგზავრა და იქ შექმნილი ცოდნა სრულადვე დაუბრუნა დორუს ხეობას. ადგილობრივები მას, უბრალოდ, აღმერთებდნენ და ისე ერთგულად ემსახურებოდნენ, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ პორტვინის ოცდაათი დიდებულად მოვლილი ვენახები დარჩა. იგი დღესაც არა მხოლოდ ამ ღვინის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოპულარიზატორად რჩება პორტვინის ისტორიაში,



არამედ ამ ისტორიის ყველაზე გავლენიან ფიგურადაც.

ასეთი ერთგული ქომაგები ამ ღვინოს კიდევ ბევრი ჰყავდა, პროფესიონალები და ენთუზიასტები, რომლებიც მის ზრდასა და ხარისხზე ზრუნავდნენ და საუკუნეების განმავლობაში მათი მემკვიდრეობით პორტვინმა ჯერ ჰაერგამტარხის კასრებში გადაინაცვლა, მერე კი – შუშის ჭურჭლებსა თუ ცისტერნებში და ყველა ამ შემთხვევაში ის განსხვავებული სახით ევლინებოდა და ევლინება მომხმარებლებს. პორტვინის შექმნის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე მკაცრად კონტროლირებადი პროცესია ღვინის ისტორიაში და მისი მრავალფეროვნება და მრავალსახოვნება ძალიან შთამბეჭდავია. „პორტვინლენდი“ უზარმაზარი და მდიდარი ტერიტორია!

პორტი შეიძლება იყოს თეთრი (Branco), წითელი (Rubi), ტონი, იგივე ოქროსფერი (Tawny), ვარდისფერი (Rose); მშრალი, მსუბუქად მშრალი, ექსტრამშრალი; ტკბილი, ძალიან ტკბილი, ნალექიანი და კიდევ ათასნაირი: დავარგებული ბოთლში, კასრში, ცისტერნაში და ამ ჭურჭლებში გამოწყვდიული 10, 20, 30, 40 და მეტი წლის განმავლობაში. ყველა ეს ღვინო სხვადასხვა ამბავს უყვება დამემოვნებლებს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ამ ყველაფრის გვირგვინი ვინტაჟური პორტვინებია. ეს ცალკე სამყაროა.

ასეთი მრავალფეროვნების საფუძვლიანად შესწავლა ამ ღვინოზე სხვადასხვა ტექსტის კითხვით შეუძლებელია. პორტვინის, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ღვინოს, უყვარს, როდესაც მას პირისპირ ესაუბრებიან – სწორედ მაშინ აჩვენებს ის თავის ნამდვილ იერს და ხასიათს და მისი თვისებების შესაგრძობად „პორტვინლენდში“ შესეირნებას არაფერი სჯობს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მისი გრძელი და მიხვეულ-მოხვეული „ამბები“ იცი.

პორტუგალია პორტვინის გარეშე წარმოდგენელია – ასე მიაჩნიათ პორტუგალიელებს. თუ საშუალება მოგვცათ, თქვენი პირველი ტყა სწორედ პორტუგალიაში მოგზაურობისას, იქაურებთან ერთად ასწიოთ, ჩათვალეთ, რომ ძალიან გაგიმართლათ, რადგანაც პორტი სტუმართმოყვარე და ვაჟკაცური ღვინოა და მიუხედავად იმისა, რომ პორტი ყველგან პორტია, საკუთარ ტერიტორიაზე ის მაინც შეუდარებელია.





PORTO

პორტუგალიის სუბვანო კარიბჭა

თქა სხიარელი

რომაელთა მიერ დაარსებული და იმ ღვინოებით ცნობილი ქალაქი პორტუ, რომლებიც 1703 წლის მეთუენის საბავო ხელშეკრულების შემდეგ ინგლისში საუკეთესო საქესპორტო საქონლად იქცა, შემდგომშიც დიდად ხეირობდა, როგორც საუკუნოვანი იმპერიის მთავარი ნავსადგური. ამაში დასარწმუნებლად თუნდაც ბაროკოს სტილით ნაგები წმ. ფრანსიშკუს ტაძრის ოქროთი მბზინავი შიდა სივრცის ხილვაც იკმარებდა. სტრატეგიული მდებარეობის წყალობით XVIII-XIX საუკუნეებში ქალაქი მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად იქცა.

დღეს პორტუ, ერთ დროს პორტუგალიის უმდიდრესი ქალაქი, უწინდელ მნიშვნელობას იბრუნებს. ქალაქი, რომელმაც ქვეყანას თავისი სახელი აჩუქა, მეღვინეობის დედაქალაქის ტიტულსაც ატარებს, თუმცა ლისაბონის ამბიციურ კონკურენტს ეს აღარ აკმაყოფილებს – უკანასკნელ წლებში ის გასტრონომიის და დიზაინის არა მხოლოდ ნაციონალურ, ევროპულ ცენტრადაც კი იქცა. ამიტომაც სიძველეების, პორტუგალიისა და ფადუს მოყვარულებს ისევე დაბეჭვით შეგვიძლია ვურჩიოთ პორტუს მონახულება, როგორც მათ, ვისაც თანამედროვე არქიტექტურა და დიზაინი ხიბლავს.

მდინარე დორუს ნისლიან ხეობაში გაშენებულ ფერწერულ დასახლებას ბოლო წლებამდე მხოლოდ ერთი-ორი დლით, კარგი ღვინის გასასიჩქად, სერალვეშის მუზეუმის დასათვალიერებლად, საფეხბურთო მატჩებზე დასასწრებად თუ სტუმრობდნენ. მოგზაურებს უფრო მეტად ალგავრეს სანაპიროები, ლისაბონის ბორცვები და პეშინის ქაფიანი ტალღები იზიდავდა. თუმცა რამდენიმე წლის წინ ქალაქი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, საკუთარ თავში ახალი,

შემოქმედებითი პოტენციალი აღმოაჩინა და წარმატებით დაძლია მძიმე წლები (დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის პორტუგალიამ, ისევე როგორც იტალიამ, ირლანდიამ, საბერძნეთმა და ესპანეთმა, განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა ეკონომიკის გლობალური რეცესიის შედეგად). უცნაურია, მაგრამ სწორედ ამ მკაცრმა გამოწვევებმა შეუწყო ხელი პორტუს ფერადოვანი ვიწრო ქუჩების უწინდელი სახით შენარჩუნებას.

დღეს სრული რელაქსაციისათვის ზედგამოჭრილ ამ ქალაქში, შუასაუკუნეების დროინდელ შენობებში უამრავი ახალი კომფორტული სასტუმრო გაიხსნა, მსოფლიოს საუკეთესო გასტრონომიის რუკაზე კი მან უკვე დაიმაკვიდრა თავი უგემრიელესი სამზარეულოთი, საუკეთესო კლუბებით, ბარებით და დემოკრატიული ფასებით.

„ლისაბონში მხოლოდ აბოლებენ, პორტუში კი – მუშაობენ“ – ეს გამოთქმა ზუსტად ასახავს უსიტყვო მეტოქეობას ორ „დედაქალაქს“, მდინარე ტეჟუს ნაპირის მზიან დედაქალაქს და დორუსპირა კომერსანტებისა და მრეწველების ნისლიან ქალაქს შორის. პორტუს მცხოვრებლები დარწმუნებულნი არიან: პორტუ პორტუგალიის ინტელექტუალური და შემოქმედებითი ცენტრი და თავისუფლების აკვანია. ამ უზარმაზარი ამბიციის საფუძველი პორტუელებს ნამდვილად აქვთ, ამაში თავად დარწმუნდებით.

DR. FRANCISCO SÁ CARNEIRO-ს პერსონალიზებული ქალაქის ცენტრალური 11 კმ-ია. ტაქსით მგზავრობა სუბვანოლ 15 ევრო ღირსდება.




SÉ CATEDRAL DO PORTO

პორტუს უმთავრესი ტაძარი Sé do Porto ქალაქის ყველაზე მაღალ წერტილშია აღმართული, ამიტომაც ნაგებობის გვერდით არსებული გადმოსახედი მოედანი პორტუს ხედების დასათვალიერებლად ერთ-ერთი საუკეთესოა.

რომანული სტილის კათედრალის შენობა XII საუკუნეშია აგებული. გამორჩეულ ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა XVII საუკუნის საკურთხეველი, რომელიც პორტუგალიელი ოსტატების შექმნილია. აქვია ულამაზესი შიდა ეზო, რომელიც ტრადიციული აზულეჟუს ფილებითაა შემკული.

ტაძრის დათვალიერება და გადმოსახედ მოედანზე ასვლა უფასოა, ხოლო შიდა ეზოსა და მუზეუმის მონახულება 3€ ღირს. **ღიაა:** 09.00-12.30, 14.30-19.00.

Terreiro da Sé



ქალაქის 260 ათასი მოსახლე BAIXA-ს, BOAVISTA-ს, RIBEIRINHA-ს რაიონებში და ქალაქის ისტორიულ ცენტრში ცხოვრობს.



RIBEIRA


პორტუს ყველაზე ფერადი უბანი მდ. დორუს სანაპიროზეა გაშენებული. ის იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. რიბეირაში მდებარე მრავალი სახლი 300 წლისაა და ისინი დღემდე საცხოვრებლად გამოიყენება. აქ უამრავი ძველი დამრეცი კიბე და ვიწრო ქუჩა, ტავერნა, პატარა რესტორანი და ბარა, სადაც პორტუგალიელი მეტეველები ტრადიციული კერძებით გაგიმასპინძლებიან.

PONTE MARIA PIA

ქალაქი პორტუ მდინარე დორუს პირასაა გაშენებული. 1870-იან წლებში გადაწყდა, ორი მაღლივი ნაპირი ერთმანეთთან სარკინიგზო ხიდით დაეკავშირებინათ. კონკურსში გუსტავ ეიფელის პროექტმა გაიმარჯვა.

ბადისებრი ხიდი, რომელსაც მეფე ლუიშ I-ის მეუღლის, მარია სავოიელის სახელი ეწოდა, იმდროინდელი საინჟინრო-არქიტექტურული რეკორდი იყო – მისი სიგრძე 160 მ-ია, ხოლო სიმაღლე – 60 მ.

პორტუ ევროპის რაკორდსმენია ხიდების რაოდენობით – მდინარე დორუსზე 6 ხილია.



PONTE LUIS I

პორტუს გამორჩეული სიმბოლოა მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი, დონ ლუიშის ხიდი – Ponte Luís I, რომელიც პორტუგალიის ცნობილი მეფის სახელს ატარებს. ხიდი ერთდროულად საფეხმავლო, საავტომობილო და სარკინიგზოცაა.

კონსტრუქციის პროექტი გუსტავ ეიფელის მოწაფეს, ბელგიელ ინჟინერს, თეოფილ სევიესს ეკუთვნის. ის რიბეირის რაიონს ქალაქ ვილა ნოვა დი გაისთან (Vila Nova de Gaia) აკავშირებს, რომელიც მდინარე დორუს მოპირდაპირე ნაპირზე მდებარეობს. ხიდი 1886 წელს გაიხსნა და ორი დონისაგან შედგება; პირველი – 392მ სიგრძისაა, ხოლო მეორე – 174მ. ამ უკანასკნელს დიდი რკინის თალი ამშვენებს. ხიდის მშენებლობაზე დაახლოებით 3000 ტონა რკინა დაიხარჯა.



IGREJA DO CARMO და IGREJA DOS CARMELITAS – ეს ორი ძველი ეკლესია ერთ შენობაშია განთავსებული და 1 მატრი სიბინის სახელით არის გაყოფილი, რადგანაც კანონით 81-18 საუკუნეში ტაძრებს არ შეიძლება საერთო კედელი ჰქონოდა.



IGREJA E TORRE DOS CLÉRIGOS

კლერიგუმის კოშკი პორტუს სახელგანთქმულ სიმბოლოთაგან ერთ-ერთია. როგორც კათედრალური ტაძარი, ისიც ქალაქის ნებისმიერი წერტილიდან მოჩანს. მრავალი ას-წლეულის განმავლობაში ეს ნაგებობა ორიენტის წარმოადგენდა იმ საზღვაო ხომალდებისთვის, რომლებიც პორტუს ნავსადგურში ატლანტის ოკეანიდან შემოდინდნენ.

R. de São Filipe de Nery



IGREJA DE SAO FRANCISCO

ფრანცისკ ასიზელის ორდენის წევრები პორტუში ჯერ კიდევ XIII საუკუნეში გა-მოჩნდნენ. მათ მაშინვე საკუთარი ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. სამუშაოები XV სა-უკუნეში დასრულდა და მას შემდეგ ნაგებო-ბის გარეგნული მხარე, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ეს ტაძარი პორტუგალიური გო-თიკის თვალსაჩინო ნიმუშია.

Rua do Infante D. Henrique

PALÁCIO DA BOLSA

ბირჟის სასახლის შენობა XIII საუკუნის ეკლე-სიის ნაწილი იყო. პორტუგალიის სამოქალა-ქო ომის დროს, 1832 წელს ხანძარმა მონასტ-რის გალერეები გაანადგურა, თუმცა ეკლესია უვნებლად გადარჩა. 1841 წელს დედოფალმა მარია II-მ სამოქალაქო ომის დროს დაზარა-რი მონასტრის ნანგრევები პორტუელ ვაჭრებს კომერციული ასოციაციისთვის აჩუქა.

ცენტრალური, ე. წ. ერების ეზო რვაკუთხო-ვანი მინის გუმბათითაა გადახურული. მისი ქვედა ნაწილი იმ ქვეყნების გერბებითაა მორ-თული, რომლებთანაც პორტუგალიას XIX სა-უკუნეში სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. არაბული დარბაზი სასახლეში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ადგილია. ის ეგზო-ტიკური ნეომაგრიტანული სტილის დიზაინ-თაა გაფორმებული. აქვეა გუსტავ ეიფელის სამუშაო კაბინეტი.

ღიაა: ყოველდღე – 09.00-18.30

R. de Ferreira Borges

PAÇO EPISCOPAL

პორტუს ეპისკოპოსთა ყოფილი რეზიდენცია ამდღეულ ადგილას, კათედრალის მახ-ლობლად მდებარეობს. შენობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ გამოიყენე-ბოდა ქალაქის არქიტექტურაში გვიანდელი ბაროკოსა და როკოკოს სტილი.

ეპისკოპოსის სასახლე დაახლოებით XII- XIII საუკუნეებში აუგიათ. 1387 წელს მეფე ჟუაუ I-ისა და ფილიპა ლანკასტერელის ქორწილი ამ სასახლეში გაიმართა.

ღიაა: 09.00-13.99, 14.00-18.00; ოთხშაბათს და კვირას დაკეტილია.

Terreiro da Sé, 4050-573 Porto



ღისაბონისგან განსხ-ვაპაბით, 1755 წლის მიწისძვრის შედეგად პორტუ არ დაზარალა-ბულა, ამიტომ ძველი არქიტექტურა ამ უკე-თისადაა შემონახული. ორატორიანული სტილის (IGREJA SANTO ANTONIO DOS CONGREGADOS, RUA SÁ DA BANDEIRA, 11) და კარბოლიტების (IGREJA DO CARMO, RUA CARMO) ბაროკოს სტილის ტაძრები მარადეან კოპალით მოხატული შორენაკაცის ფილაის (აზულუს) არქიტექტ-პანოებითაა დაშვან-ებული, შიგნიდან კი – მოთხრობილი რუბრი-კებით. მიჩნეულია, რომ შორენაკაცის ფი-ლაის ტაძროლოიის სიდიდით XVI საუკუ-ნეში ესაა ნათელია მათე მანუალ I-მა ჩამოიტანა.

A CAPELA DAS ALMAS

XVIII საუკუნის პატარა ეკლესია, რომელიც გარე-მოს პეიზაჟში არაფრით გამოირჩეოდა, 1929 წელს ტრადიციული შორენ-კეციტ – აზულუს ფილე-ბით მოაპირკეთეს. ამის შემდეგ ნაგებობამ პორ-ტუს ღირსშესანიშნაობათა შორის გამოირჩეული ადგილი დაიმკვიდრა. ულამაზესი ლურჯ-თეთრი ფილებით ქალაქში არც-ერთი ნაგებობა არ არის ასე გულუხვად შემკული. მასზე სხვადასხვა ისტო-რიული თუ მითოსური სიუჟეტი გამოსახული.

Rua de Santa Catarina 428



PRAÇA DA LIBERDADE

ძველ ქალაქთან, შუასაუკუნეების მიხე-ულ-მოხვეული ქუჩების სიახლოვეს, XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენდა ახალი ბურჟუაზიული რაიონები ბანკებითა და გრანდოტელებით. ამ უბნების ცენტრი, რომ-ლებიც ქალაქმშენებლობისათვის დამახა-სიათებელი სისწრაფით აშენდა, თავისუფ-ლების მოედანი (Praça da Liberdade). აქ ქალაქის ადმინისტრაციის ულამაზესი, ნეობა-როკოს სტილის შენობა დგას, რომელსაც 70-მეტრიანი კოშკი ამშვენებს.



SÃO BENTO

ათასწლეულების განმავლობაში პორტუ, რო-გორც ქალაქის სახელწოდება გვეუბნება, უპირველეს ყოვლისა, ნავსადგური იყო. თუმცა ასი წლის წინ აქ სახმელეთო ტრანსპორტის ახალი ცენტრი – სენ ბენტუს რკინიგზის სად-გური გაჩნდა. არქიტექტორმა ჟოზე-მარკემ და სილვამ ფრანგულ ბომ-არტემ (Beaux-Arts) შეაჩერა არჩევანი, თუმცა მთავარი დარბაზი აზულუს პანოებზე გამოსახული პორტუგა-ლიის ისტორიის სცენებით გააფორმა.

Praça de Almeida Garrett



FUNDAÇÃO DE SERRALVES

სერალვეშის ფონდი დამთავლიერებლებს უმშენიერეს საზოგადოებრივ პარკსა და არტ-დეკოს სტილის ვილაში ეპატიუება, რო-მელიც ჟოზე-მარკემ და სილვას ქმნილებათ.

აქვეა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელიც პორტუს ცოცხალმა სიმბოლომ, პრიცკერის პრემიის ლაურეატმა, სახელ-განთქმულმა არქიტექტორმა ალვარუ სიზა ვიერიამ დააპროექტა.

Rua Dom João de Castro 210

CASA DA MÚSICA

პორტუს სიმფონიურ ორკესტრს ულამაზესი რეზიდენცია აქვს – მუსიკის სახლი (2005), რომელიც ჰოლანდიელი არქიტექტორის, რემ კოოლჰაასის ერთ-ერთი წარმატებული პრო-ექტია. ასიმეტრიულ ნაგებობაში, რომლის კუთხეც თითქოს მიწაშია ჩაფლული, ორი დარბაზი – კამერული და დიდი. მთავარ დარბაზში 1300 მაყურებელი ეტევა. მას ორი უზარმაზარი ვიტრაჟი აქვს, რომელთა ტალ-ლოვანი მინები აკუსტიკურ ეფექტს აუშ-ვობესებს.

Avenida da Boavista 604-610



MERCADO DO BOLHÃO

ბოლიაუს ბაზრობა – ქალაქის უდიდესი სავაჭ-რო ადგილია, რომელსაც 2014 წელს ერთი საუკუნე შეუსრულდა. ისტორიული ნეოკლასი-კური სტილის ნაგებობა ორი დონისაგან შედ-გება. აქ ცინცხალი თევზი, მღვის პროდუქტები, ფერმერული მოსავალი და კვების მზა პრო-დუქტები იყიდება. საუკეთესო თევზის დასა-გემოვნებად ბოლიაუს ბაზარში მისვლა ძა-ლიან გონივრული გადაწყვეტილებაა.

R. Formosa 214

ტრამვაი

პირველი ტრამვაი პორტუში 1872 წელს, „კონკას“ ეპოქაში გამოჩნდა. ცხენების მაგივრად ვაგონებს ჯორები ეწეოდნენ, რომლებიც 1904 წლამდე ამ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ერთგულად ემსახურებოდნენ, სანამ ტრამვაი ჯერ ორთქლის ძრავაზე, ხოლო შემდეგ ელექტროდენზე ამუშავდებოდა. შემდგომში ამ ჯივრად ღირებული ტრანსპორტის ბევრი მარშრუტი გაუქმდა.



XXI საუკუნეში ტრამ-ვაი ქალაქის ქუჩებს დაუბრუნდა. პორტუში ავტობუსებიც მუშაობს და ახლად ამწებული მეტროც, მაგრამ ტრამ-ვაის მაინც გამორჩეულ პატივს მიაგებენ. ის სულ სამ მარშრუტზე მოძრაობს, მაგრამ ტრამვითი გასეირნება ქალაქის ცენტრში ან დორუს სანაპიროზე სიამოვნებაცაა და ყვე-ლაზე სწრაფი მგზავ-რობის საშუალებაც.

იშვიათი ტურისტული ატრაქციონი – ქალაქში მოძრაობი ყველა ვაგონი ძველია, მასული საუ-კუნის 20-იან და 30-იან წლებში დაზადაბული. მათი მთავარი დანიშ-ნუის, მსურველებს შეაქლიათ ტრამვაის მუშაობის მიაშრომ – MUSEU DO CARRO ELÉCTRICO (ALAMEDA BASÍLIO TELES, 51).

VILA NOVA DE GAIA

ქალაქი ვილა ნოვა და გაია პორტუს მოკირდაპირი მხარეს, მდინარე დორუს მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. სწორედ აქაა განთავსებული (და არა პორტოში, რომორც ხშირად გვადომით აღნიშნავენ), ცნობილი პორტუგალიური პორტვინის სახეობები.

MOSTEIRO DA SERRA DO PILAR

მონასტერი, რომელიც წმინდა ავგუსტინის ორდენს ეკუთვნოდა, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შედის. მონასტრის შიგნით არის საინტერესო ნაგებობა – მრგვალი ეკლესია, რომელიც რომის წმინდა მარიაშის ეკლესიის მუსტი ასლია. ის 1538 წელს, მეფე იოანე III-ის დროს ააგეს. იმ დროისათვის პორტუგალიის სამეფო მემობელ ესპანეთს ჰქონდა დაპყრობილი და ესპანელებმა მას უწოდეს „ღვთისმშობელი პილარში“. 1832 წელს, პორტუს ალყის დროს მონასტერი იმპროვიზებულ ციხესიმაგრედ გადაკეთდა. XX საუკუნის



დასაწყისში აქ არმიის ყაზარმები იყო, დღეს კი სერა დუ პილარის საარტილერიო პოლკია განთავსებული. ეკლესიის გვერდით არის შესანიშნავი მირადორუ, საიდანაც პორტუს და მდინარე დორუს არაჩვეულებრივი ხედები იშლება.

Largo de Avis – Santa Marinha



პორტვინი

პორტუ პორტვინის სამშობლო და იმ კომპანიების დოლოკაციის ადგილია, რომლებიც ამ ჩინებულ სასმელს ამზადებენ. ძირითადი მწარმოებლების – Calem, Sandeman, Cockburn, W.&J. Graham და სხვათა მარნები თავმოყრილია სანაპიროს ჩაყოლებზე. პორტვინი

RABELO

რაბელუ ტრადიციული სატვირთო ნავია, რომელსაც ვილა ნოვა დე გაიდან პორტუში პორტვინის გადასაზიდად იყენებდნენ. დღეს რაბელუებით მდინარის კრუიზები ტარდება, რომლის დროსაც მდინარე დორუს გასწვრივ ექვსივე ხიდს და პორტვინის საწყობებს საუკეთესო ხედით



ნახავთ. კრუიზი რიბეირიდან იწყება და დორუს და ატლანტის ოკეანის შესართავთან მთავრდება. **ექვსი ხიდის ტურის ღირებულებაა 12-15€.**



მდინარე დორუს ჩრდილოეთით და სამხრეთით მრავალი, ევროპული სანაპიროები. ზაფხულში შავიქლიათ ქალაქი დაბინავდით, კლაუზა კი მანქანით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით გაემგზავროთ.



Praia de Lavadores – ვილა ნოვა დე გაია ცნობილია საუკეთესო ქვიშიანი პლაჟებით, რომელთაგანაც ზოგიერთზე ქვიშის დიუნებიცაა. პორტუგალიაში ყველაზე მეტი Blue Flag, რაც უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის და ხარისხის მაჩვენებელია, სწორედ აქ არის განლაგებული. ეს ერთი-ლომეტრიანი ქვიშიანი სანაპიროა, რომელზეც ხის ესპლანადაა. აქ უამრავი კაფე და რესტორანია; რესტორნებიდან ატლანტის ოკეანის ულამაზესი ხედებით დატკობას შეძლებთ.

მანძილი პორტუდან: 6 კმ

Praia Da Luz, Praia Do Molhe და Praia De Gondarém – იმ პლაჟების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც Foz-ში, Avenida Brasil-ის

გოლფი

პორტუგალიაში გოლფის დამკვიდრება მჭიდრო კავშირშია პორტუში არსებულ ინგლისურ კომუნასთან, რომელმაც ესპინიოში XIX საუკუნის ბოლოს პირველი გოლფის კლუბი დააარსა. დღეისათვის პორტუსა და ჩრდილოეთ პორტუგალიაში სახელგანთქმული, მრავალი სხვადასხვა სირთულის გოლფის მოედანია.

Estela Golf Club – კლუბი 1989 წელს დაარსდა. ეს არის 72-ქულიანი მოედანი, ათდარტყმიანი 4 ფოსოთი და ოთხდარტყმიანი 5 ფოსოთი. სპეციფიკურად გაკრეცილი ბალახი კი აქ სწრაფ და სასიამოვნო თამაშს უზრუნველყოფს.

Lugar Rio Alto, Estela მანძილი პორტუდან: 54 კმ



Oporto Golf Club

პორტვინების ინგლისელი მწარმოებლების მიერ 1890 წელს დაარსებული პორტუგალიის ყველაზე ძველი გოლფის კლუბია. მას აქვს 71-ქულიანი მოედანი, ოთხდარტყმიანი 3 ფოსოთი, თერთმეტდარტყმიანი 4 ფოსოთი და სამდარტყმიანი 5 ფოსოთი.

დრესკოდი: ტრადიციული გოლფის კოსტიუმი. ჰანდიკაპის სერტიფიკატი სავალდებულოა.

Paramos, Espinho მანძილი პორტუდან: 21 კმ



ამ სასტუმროს ღვინის მოყვარულები მთელი მსოფლიოდან კარგად იცნობენ, რადგან მის მარანში საუკეთესო პორტუგალიური ღვინოების შთამბეჭდავი კოლექცია ინახება. აქ ხშირად ეწყობა დეგუსტაციები და მასტერკლასები.

ინდივიდუალური დეკორის მქონე 82-ივე ნომერს და სუიტს საკუთარი ტერასა აქვს რიბეირაზე ხედით. ტრადიციული პორტუგალიური კერამიკული მოპირკეთება, ღვინის თემატიკის წიგნები – ეს ყველაფერი The Yeatman hotel-ს განუმეორებელს ხდის. აქვეა მიშლენის ორჯარსკვლავიანი რესტორანი, სადაც შეგი რიკარდო კოსტა (Ricardo Costa), რეგიონულ



PORTO A.S. 1829 HOTEL

ბუტიკის ტიპის სასტუმრო

ეს სასტუმრო ევროპის ერთ-ერთი უძველესი საკანცელარო ნივთების მაღაზიის, **Araujo & Sobrinho**-ს ნაგებობაშია განთავსებული, რომელიც 1829 წელს აშენდა.

სასტუმროს ფოიეში მაღაზია დღესაცაა. შენობის ისტორიის პატივისცემის ნიშნად, ბეჭდური ინდუსტრიის თემატიკა სასტუმროს ინტერიერში უხვადაა, მათ შორის, ძველი საბეჭდო მანქანები, მაღაზიის ფოტოები და ხის დაზღვევის კიბეებზე წითელი ხალიჩა და-

1872 RIVER HOUSE

რიბეირის პოპულარულ უბანში, მდინარე დორუს სანაპიროზე მდებარე მყუდრო სასტუმრო 1872 River House ძალიან ახლოსაა უამრავ ღირსშესანიშნაობასთან. შეგიძლიათ სასტუმროდან ფეხით გაისეირნოთ Palácio da Bolsa-მდე და Igreja Monumento de São Francisco-მდე.



და ზღვის პროდუქტების კერძებს შემოთავაზებთ. სასტუმროში შიდა და გარე აუზებიცაა. აქ შინაური ცხოველებით დაბინავებაცაა ნებადართული. **სტანდარტული ნომრის ფასი:** 250€-დან **Rua do Choupelo, 4400-088 Vila Nova de Gaia**

ფენილი და ზოგ ნომერში რეტროს სტილის აბაზანებია. ინტერიერში ტრადიციული პორტუგალიური დიზაინის ელემენტებიცაა. 41 ნომერი სხვადასხვანაირი სტილისა და ზომისაა, თუმცა ყველა მათგანი კომფორტული და მოზრდილია.

სასტუმროს რესტორანი Galeria do Largo პირველ სართულზეა და საკუთარი ტერასაც აქვს. აქ შეგიძლიათ პორტუს სახელგანთქმული კერძი Tripas à Moda do Porto დააგემოვნოთ.

სტანდარტული ნომრის ფასი: 88€-დან; სეზონზე – 108€-დან.

Largo de São Domingos 50



PESTANA PALÁCIO DO FREIXO – Pousada

ცენტრიდან 3 კილომეტრში მდებარე Pestana Palácio do Freixo 1910 წელს ეროვნულ მონუმენტად აღიარეს. ის ბაროკოს სტილის არქიტექტურის უნიკალური ნიმუშია 10 000 კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული ბაღებითა და გამწვანებით. სასტუმროში 87 კომფორტული ნომერი და სუიტია მდინარე დორუზე გამავალი ხედებით.



სასტუმროს რესტორანში Palatium ექსკლუზიური გასტრონომიული თავგადასავალი გელით ზღვის პროდუქტების კერძებით, **Bar Nasoni**-ში კი – კომფორტული სივრცე რეგიონული ღვინოებით, უნიკალური კოქტილებით და ულამაზესი ხედებით.



Magic Spa-ში სახისა და სხეულის გამაჯანსაღებელ პროცედურებს, საცურაო აუზს, საუნასა და თურქულ აბაზონს შემოგთავაზებენ. როგორც ბაღში, ისე სახურავზე მდებარე აუზები იდეალური ადგილია რელაქსაციისთვის. სასტუმროში არის სარკეებიანი ჰოლი, სადაც ჯამის საღამოები ეწყობა, ხოლო ერთ-ერთ დარბაზში უძველესი ფრესკებია შემორჩენილი.

პორტუში თუ ბავშვებთან ერთად მიემგზავრებით, იდეალური ადგილია დასაბინავებლად.

სტანდარტული ნომრის ფასი: 150€-დან **Rua da Estrada Nacional 108**

1872 River House-ი განსაკუთრებული კომფორტულობით გამოირჩევა და სწორედ ამ კრიტერიუმს უცვლელად ინარჩუნებს. რვა ოთახიდან თითოეული მყუდროებს, სიმშვიდესა და ერთმანეთისგან განსხვავებულ დეკორს გთავაზობთ.

სტანდარტული ნომრის ფასი: 108€-დან **Rua do Infante D. Henrique 133**



MAJESTIC CAFÉ

სავაჭრო ქუჩა სანტა კატარინა ერთ-ერთი ყველაზე გამოცოცხლებული ადგილია პორტუში. ფეხით მოსიარულეთა ნაკადი აქ არასოდეს წყდება, მაგრამ კაფე „მაუსტიკაში“ ისეთი სამეფო სიმშვიდე სუფევს, თითქოს 21-ე საუკუნემ მოწიწებით გარეთ გადაწყვიტა დაცდა. პორტუში ყველაზე მდიდრულად დეკორირებული კაფე ვანილის და ახლად გამომცხვარი ფუნთუშების სურნელით 1921 წლიდან აბრუებს გამგლელებს. თავიდან კაფეს „ელიტა“ ერქვა, მოგვიანებით მისი სახელი „ელიტ მაუსტიკად“ გადაკეთდა. პარიზში პოპულარული არტ-ნუვოს სტილში გაფორმებულმა კაფემ თავიდანვე დაამკვიდრა აქაური ელიტის თავშესაფრის ადგილის სახელი.



სწორედ ამ კაფეში გაათარა მრავალი საათი ჟანს როულინგმა „ჰარი პოტერის“ პირველ ნომრზე მუშაობისას.

სხვადასხვა დროს კაფეს ხშირი სტუმრები იყვნენ პოეტები – ჟოზე რეუიო, ანტონიო ნობრე, ფილოსოფოსი ლეონარდო კოიმბრა, სკულპტორი ჟოზე როდრიგეში და მხატვრები – ალვეს არმანდო, ანჯელო დე სუზა, ჟორჟ პინეირო.

კაფე „მაუსტიკაში“ დღესაც შეგიძლიათ მიირთვათ ტრადიციული ან კონტინენტური საუზმე და ბრიტანულ-პორტუგალიურ 5 საათის ჩაის ტრადიციას ეზიაროთ.

Rua Santa Catarina 112

A PÉROLA DO BOLHÃO

საუკუნოვან მალაზიაში პორტუგალიური კულინარიის ნებისმიერ ღირსშესანიშნაობას იხილავთ – დაკონსერვებული სარდინებიდან დაწყებული, ადგილობრივი ყველით დამზადებული. ორნამენტებიანი, არტ-ნუვოს სტილის ფასადის მიღმა პორტუგალიური პროდუქტების ერთგვარი ენციკლოპედიაა. აქ დაგვდებათ ღვინოები ხილის არომატით, მარილიანი ყველი, შებოლილი ძეხვები და ბაკალიაუ.



აუცილებლად შეიძინეთ კორტუს საუკეთესო სუპენიერი: ლამაზად შეფუთული ადგილობრივი სარდინის კონსერვები.

ღიაა: ყოველდღე 09.30-19.30, შაბათს მხოლოდ 13.00-მდე მუშაობს, კვირას დაკეტულია.

R. Formosa 279



LIVRARIA LELLO

პორტუგალიელები ამტკიცებენ, რომ პორტუში არსებული წიგნების მალაზია სიმღერის მსგავსი სახელწოდებით Livraria Lello ყველაზე ლამაზი წიგნის მალაზია მთელ მსოფლიოში.

„ლივრარია ლელუში“, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების ყურადღებას იპყრობს მისი დახვეწილი, ხით მოპირკეთებული ინტერიერი, ულამაზესი კიბე და წიგნების დისტრიბუციისთვის განკუთვნილი რელსებისანი ურიკა, თუმცა წიგნების არჩევანიც შესანიშნავია.



მალაზია 1869 წელს გაიხსნა და ერთ-ერთი უძველესია პორტუგალიაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს „ლივრარია ლელუში“ შენასვლელად ბილეთის ყიდვა საჭირო, მალაზიიდან ცოტა ვინმე თუ გამოდის წიგნის გარეშე. ბილეთის ფასი 4€, პრაქტიკულად, ვაუჩერია, რომელიც შეძენილი წიგნის საფასურს აკლდება.

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი 10.00-19.30; შაბათი-კვირა 10.00 – 9.00.

R. das Carmelitas 144



TRAÇA

პორტუგალიური კერძები

ლანჩისთვის შესანიშნავი ადგილი, ხალხისაწვდომი, ავთენტიკური კორტუგალიური კარავატი და არა-ნუვოს სტილის დაკორით.



Largo São Domingos-ს მოედანი პორტუს კულინარიული მექაა, ხოლო Traça მისი ერთ-ერთი მოციქულია, თანაც პირველი. მან ქალაქში საკუთარი კონცეფცია შექმნა – იბერიული წასახელებლებისა და ძროხის ხორცის მოზრდილი ნაჭრების იდეალური კომბინაცია. აუცილებლად შეუკვეთეთ Foie gras კარამელიზებული ვაშლით, ირმის დუნდულის კარპაჩო ან რვაფხა. 2 ადამიანის ვახშამი ღვინით 50€ დაგიჯდებათ. ღიაა: ორშაბათი-ხუთშაბათი – 12.00-15.00 და 17.00-23.00, პარასკევი-შაბათი – 19.30-01.00.

Largo São Domingos 88

BARÃO FLADGATE

თევზის კერძები

Taylor-ის პორტში, ღვინის მარნებს შორის მდებარე Barão Fladgate ამ ადგილებში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რესტორანია. ზაფხულის თბილ დღეებსა და ღამეებში აქ შეგიძლიათ უგემრიელესი სადილი მიირთვათ გარე ტერასაზე, დატკბეთ მდინარე დორუსა და პორტუს ულამაზესი ხედებით და სურნელოვან ბაღშიც გაიხიროთ. მენიუში პორტუგალიური კულინარიის ტიპური დელიკატესებია, როგორცაა: შემწვარი ციკანი, ბატკანი, იხვი, დამარილებული ვირთევზა, რვაფხა და ზღვის კარჩხანა (კარასი). შიდა სასადილო სივრცე ტრადიციული ელეგანტური დიზაინისაა, გრანიტის კედლებითა და დიდი ფანჯრებით. რესტორანში ჩინებული ღვინოების მენიუა.

2 ადამიანის ვახშამი ღვინით 60€ დაგიჯდებათ.

ღიაა: ყოველდღე – 12.30-15.00; 19.30-22.30.

Rua do Choupelo 250, Vila Nova de Gaia



CANTINA 32


ბისტრო

Cantina 32-ში ორი მთავარი წესი მოქმედებს: არ თქვათ უარი პურზე და შეუკვეთეთ ჩიხტიქი. დაიწყეთ თეთრი, ცხელი პურით, რომელსაც ბანანის კარაქში ჩააწებთ.

შაბდა აუცილებლად დაამოვხეთ რვაფხა; ასევე, მიირთვით კორტუგალიური სოკო კომბოვითა და ყველით.



ამ ბისტროში ღვინის დიდი არჩევანია. აქაურ თევზულსა და ზღვის პროდუქტების კერძებს განსაკუთრებით უხდება თეთრი მშრალი ღვინო Quinta de Santiago Alvarinho, Vinho Verde. ბისტროს ინდუსტრიული ინტერიერი, შუშის ჭერი და ედისონის ნათურები განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის. წინასწარი დაჯავშნა აუცილებელია.



„კანტინა 32-ის“ სახელმანათი დასერტი ჩიხტიქია, რომელსაც არაბრადიციულად, თინის ქოთანში მოგართმევენ. ფხვიარი და ხრახუნა ორცხოობილად დაფარულ ზაღვირს კიბნის ფოთოლი ამოვანებს და ამითომ ეს დასერტი ქოთნის ყვავილს წააგვს. ორცხოობილას ფანის ქვაპუნაუსი ჩიხტიქიისა და გამდარი კარაქის ფანავი ხალხი. ჩიხტიქის ნახი სტრატეგია ბანანის არომატით, კარაქის სიტაქო და ორცხოობლას ხრახუნა ფანა იდალურ დასერტს ქმნის.

ვახშამი 2 პერსონაზე ჭიხე ღვინით 50 € დაგიჯდებათ.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 12.30-15.00, 18.30-23.00. R. das Flores, 32



MERCADOR CAFÉ

საუზმე და ბრანჩი

შესანიშნავი ადგილია საუზმისთვის და წასახელებლად. ის პორტუს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქუჩაზე, Rua das Flores-ზე მდებარეობს. ვიტრინებში გამოფენილი შინაურული ნამცხვრები და ცომეული, მარტივად დაშვადებული ტოსტები და ტრადიციული რეცეპტით მომზადებული ლანჩი დღის მენიუში უგემრიელესია.

გრძელი ინტერიერი ვიტრინებში ჩამწკრივებული ღვინის ბოთლებით, დეკორატიული საგნები სხვადასხვა ქვეყნიდან, ვინტაჟური გლამური, პარიზული ატმოსფერო და ფერადი მინის მიღმა მდებარე სამზარეულო განსაკუთრებულ სიმყუდროვეს ქმნის.

ტოსტები – 4.80€-დან; ღიაა: ყოველდღე – 08.30-20.00.

R. das Flores 180



CHOCOLATARIA EQUADOR

პორტუგალიისა და შოკოლადის ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ქრისტეფორე კოლუმბმა 1502 წელს კაკოს მარცვლები იხილა. ხელით დამზადებული, მრავალფეროვანი არომატისა და ვინტაჟურ შეფუთვაში წარმოდგენილი არტიზანული ტრიუფლებისა და შოკოლადის ფილების გასინჯვა Chocolataria Equador-ში შეგიძლიათ. გირჩევთ, დააგემოვნოთ შოკოლადი პორტუგალიურად, წითელი წიწკრით, ჯინჯერითა და გოჯის კენკრით.



ღიაა: ორშაბათი-შაბათი 11.00-19.30; ფასი: 3€-დან R. das Flores 298



CASA DE CHÁ DA BOA NOVA

თანამედროვე პორტუგალიური სამზარეულო

პორტუს განაპირას, ატლანტის ოკეანესთან 1963 წელს აგებული ეს პატარა საჩაიე არქიტექტორ ალვარუ სიზას პირველი საყოველთაოდ ცნობილი ნამუშევარია. ორი წლის წინ, მასშტაბური რესტავრაციის შემდეგ Casa de Chá უკვე ძვირადღირებული რესტორნის რანგში გაიხსნა. აქ ძველი პორტუგალიური სამზარეულოს თანამედროვე ვერსიას შემოგთავაზებენ. ინტერიერი სათუთადაა შემონახული. ელევანტური უბრალოება, რომლისთვისაც 1960-იან წლებში ღარიბი ქვეყნის არქიტექტორს იძულებით უნდა მიემართა, დღეს ფუფუნების განსაკუთრებულ ისახეობასავით გამოიყურება. ეს შეფ-მზარეულ რუი პაულას (Rui Paula) მორიგი გასტრონომიული სამყაროა.



მენიუში თევზისა და სხვა ზღვის პროდუქტების უამრავი კერძია, რომლებიც უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებით მზადდება. ცის, ზღვისა და კლდეების ხედები, შესანიშნავი მომსახურება ამ ადგილს კიდევ უფრო შთაბეჭდავს ხდის.



ვახში 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 50-100 €;

ღია: ორშაბათი – 19.30-23.00, სამშაბათი-შაბათი – 12.30-15.00; 19.30-23.00.

Avenida da Liberdade (junto ao Farol), Leça da Palmeira



DOP

Haute cuisine

რუი პაულას (Rui Paula) DOP პორტუს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიშლენის ვარსკვლავიანი რესტორანია.

შეგი კომუნიკაბელურობით გამოირჩევა, სტუმრებს ხშირად ესაუბრება, სადილისთვის კერძს ურჩევს, ან მის საჩვენებელ მზადებას აწყობს. მენიუ ხშირად იცვლება, მაგრამ ზოგიერთი კერძი მუდმივად მზადდება, მაგალითად, ზღვის ანგელოზი მონდევოს ბრინჯითა და ზღვის პროდუქტებით, ან გოჭის ხორცი კარტოფილითა და სიდრის სოუსით.



ღია: ორშაბათი – 19.30-23.00, სამშაბათი-შაბათი – 12.30-15.00; 19.30-23.00.

ვახში 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 80€

Largo São Domingos 18

PEDRO LEMOS

თანამედროვე პორტუგალიური სამზარეულო

შეფის პედრუ ლემოსის – Pedro Lemos სახელობის რესტორანი ტრადიციული პორტუგალიური კულინარიის მიმდევარია, თუმცა ახალ და შთაბეჭდავ გემოებს არ უფრთხის. მენიუში ისეთ კერძებს შეხვდებით, როგორცაა: ლურჯი ლობსტერი, John Dory, რვაფეხა, კრევეტი Algarve, შავი ღორის ხორცი და ბატკანი.



აქ თანამედროვე ადგილობრივი გასტრონომიის არომატებსაც დააგემოვნებთ და საუკეთესო პორტუგალიურ ღვინოებსაც გასინჯავთ. Pedro Lemos 2015 წელს მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოვდა.

ვახში 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით 60€; ღია: სამშაბათი-შაბათი – 12.30-15.00, 19.30-23.00.

Rua do Padre Luís Cabral 974



CANTINHO DO AVILLEZ

საავტორო სამზარეულო

პორტუს ძველი ქალაქის შუაგულში, Mouzinho da Silveira-ში მდებარე რესტორანი თავისი ფერადი დეკორაციებით ხალისიან და მსუბუქ ატმოსფეროს ქმნის. აქ რამდენიმე პორტუგალიური რეტროს სტილის დეტალია, როგორცაა ხის ვინტაჟური სკამები, მარილისა და წიწაკის ტრადიციული საფეხავები, რომლებიც ძალიან უხდება პორტუს ძველი ქუჩების ხიბლს. რაც შეეხება სამზარეულოს, ლეგენდარული ავილეშის შექმნილი კერძები საუკეთესოა.

სადილი 2 პერსონაზე 35€;

ღია: ორშაბათი-პარასკევი – 12.30-15.00; 19.00-00.00; შაბათი-კვირა – 12.30-00.00.

Rua Mouzinho da Silveira 166



MATOSINHOS

PRAIA DE MATOSINHOS

Matosinhos-ის პლაჟზე თეთრი ქვიშა და კამკამა წყალი, თანაც აქედან სულ რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე ზღვის პროდუქტების რესტორნებია, რომელთაც დასახლებას სახელი მთელ მსოფლიოში გაუთქვეს. ეს ზაფხულში განსაკუთრებულად პოპულარული, პორტუგალიური ადვილად მისასვლელი და მაშველების მიერ დაცული პლაჟია. აქ შეგიძლიათ სერფინგის გაკვეთილებს დაესწროთ და პირადად მწვრთნელიც კი აიყვანოთ, ასევე, ველოსიპედი იქირაოთ.



CRUISE TERMINAL OF THE PORT OF LEIXÕES

Leixões Porto Cruise Terminal, მისი სპირალური ფორმისა და პრილა თეთრი ექსტერიერის გამო, ფოტოს გადასაღებად იდეალური ადგილია. ეს ტერმინალი ასევე პორტუს უნივერსიტეტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკის ზღვის ცენტრიცაა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საზღვაო კვლევებში. შენობა არქიტექტურულ ფირმა Luís Pedro Silva-ს ეკუთვნის.

Rua do Godinho, Portaria junto do monumento Senhor do Padrão, Matosinhos

თუ პორტუს სტუმრობთ, გიყვართ ზღვის პროდუქტები და გემრიელად სადილობა გსურთ, აუცილებლად უნდა გაემგზავროთ მეთევზეთა დასახლებაში, მატუსინიოში, პორტუს ჩრდილოეთით. ქალაქის ცენტრიდან მატუსინიოში მტროთიგ მოხვდებით, Brito Capelo-ს გაჩერებაზე ჩამოხვალთ და ბარბექიუს კვამლის სუნს თუ გაჰყვებით, Rua Heróis de França-ზე გვერდიგვერდ ჩამწკრივებულ რესტორნებსაც აღმოაჩენთ.

ორშაბათის გარდა, ნებისმიერ დღეს აქ სულ ახალ და უგემრიელესად მომზადებულ ზღვის პროდუქტებს გასინჯავთ.

TITO 2

ზღვის პროდუქტები

არსებობს ცხოვრება „ტიტო II“-მდე და „ტიტო II“-ის შემდეგ – ასე იტყვის ყველა გურმანი, რომელიც ატლანტის ოკეანის სანაპიროზე განთავსებულ ამ რესტორანს ეწვევა. გარეთ მოთავსებული გრილიდან მომავალი შემწვარი თევზის განუმეორებელი სუნი ქუჩის ბოლოდან იგრძნობა. სწორედ აქ ამზადებენ დილას ჯერ კიდევ ღალად მოცურავე ანჩოუსებსა და სარდინებს, რვაფეხებსა და კალმარებს.



კრევეტების მოტკბო გემო, რომელიც ფორთოხლის ცედრისა და კარაქის ნაზ არომატს ერწყმის, გრილზე შებრაწული რვაფეხას სალათა და ფოლგამი გამომცხვარი შესანიშნავი თევზი არასდროს დაგავიწყდებათ.

თუ ნამდვილი გურმანი ხართ, სახლში მომზადებული კრემბრიულეც უნდა გასინჯოთ.

პორტუგალიაში მაღალი ხარისხის ზღვის პროდუქტებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ „ტიტო II“-ის კულინარიული თავგადასავალი დაუვიწყარ გამოცდილებად იქცევა თქვენთვის. 2 ადამიანზე სადილი 1 ბოთლი ღვინით – €60.

ღია: 10.00-15.00, 19.00-23.00

R. Heróis de França, 321, Matosinhos

კორტუს ცენტრიდან მანქანით 10 წუთის მზაა, მეტროში – 20 წუთი დაშინრდაბათ.

MARISQUEIRA ANTIGA

თევზი და ზღვის პროდუქტები

ეს რესტორანი 1957 წელს გაიხსნა მატუსინიოში. მენიუში ზღვის პროდუქტებისა და თევზის კერძების გრძელი ჩამონათვალა და აქ სტუმრობა ნამდვილად ღირს. რესტორნის ერთ-ერთი დელიკატესია açorda, რომელიც ლობსტერის მსგავსი სახეობით, lavagante-თი მზადდება.

აქ უამრავი სხვა დელიკატესი გელით – კრევეტები, მოლუსკები, კრაბი, კიბო, ზღვის ქორჭილა და სალამურა ამ გასტრონომიული აისბერგის მწვერვალია.

2 ადამიანზე სადილი 1 ბოთლი ღვინით – 60€.

ღია: ყოველდღე – 12.00-01.00.

628 R. Roberto Ivens, Matosinhos





THE WALL BAR & LOUNGE

ბაიშის ძველ უბანში მდებარე ბარის სტუმრებს აქ გამართული მრავალფეროვანი მუსიკის საღამოები იზიდავთ. ბარის უკან არსებული კედელი დაბაზის მთავარი შტრიხია. ეს გეომეტრიული 3D კედელი არა მხოლოდ დიზაინის ახლებური ელემენტია, არამედ აქაური სასმელების ფართო არჩევანსაც უნიკალურად წარმოაჩენს.

კედლის მოზაიკა ერთგვარი ატლასია – მსოფლიოს ყველა ქვეყნის დასახელებით. აქაური DJ-ები თითქმის ყველა ჟანრის მუსიკას უკრავენ.

ღია: ყოველდღე - 15.00-04.00

Rua Cândido dos Reis 90, Baixa



BONAPARTE

ეს ლეგენდარული პაბი 1977 წელს გერმანელმა ჯენტლმენმა დააარსა მდინარის პირას და მას შემდეგ ადგილობრივებისა და ტურისტების თავშესაფარად აღვიდა იქცა.

აქ ტრადიციული აზულიუუ და მუქი ხის ელემენტებია, ნაპოლეონის ეპოქის კიჩური აქსესუარები იდეალურ გარემოს ქმნის. პაბში ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო ლუდი და ვისკი, შესანიშნავი მოპიტო, ჯინი და ტონიკია.

ღია: პარასკევი-შაბათი – 17.00-03.00, კვირა-ხუთშაბათი – 17.00-02.00

Av. do Brasil 130



BOTEQUIM NOSTALGIC

მდინარისპირა ტაპასის რესტორანი და კოქტეილების ბარია. ნათელი ინტერიერი, ხის სკამები და დიდი თეთრი ქოლგები პლაჟის კლუბის ატმოსფეროს ქმნის. სასადილო სივრცის უმეტესი ნაწილი გარეთაა და ცივ დღეებში იქაც გათბობით შეგიქმნინ კომფორტს. ტაპასის მენიუში ახლად დამზადებული დელიკატესებია – მეთისხილით, შესუნელებული ყველით, შემწვარი ძეხვით, ვირთევზით. აქ შარწყვის, პიტნის, ვაშლისა და კენკრის არომატით გაჯერებულ ჯინებს გასინჯავთ. ღია: ყოველდღე – 12.00-02.00

Praça Ribeira



FABRIK

ბარი და კლუბი, თავისი პრიალა ინდუსტრიული დიზაინით, ნამდვილად ამართლებს ყოფილი ქარხნით შთაგონებულ სახელწოდებას და კოქტეილების დასაგემოვნებლად პორტუში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია.

კარებში ლოგოზე კვამლიანი ქარხანაა გამოსახული, შიგნით კი – მყუდრო ნეონის განათება, მუქი კედლები და იატაკი. აქაური კოქტეილები ქალაქში საუკეთესოა, ახლად დამზადებული კაიპირინა და მოპიტო განსაკუთრებული „რეპუტაციით“ სარგებლობს. მარწყვის, ჟოლოს, მაცვლის, ველური და ტროპიკული ხილის არომატები გამორჩეულად პოპულარულია.

ღია: სამშაბათი-შაბათი – 18.00-02.00.

Rua Galeria de Paris 109



ERA UMA VEZ EM PARIS

ბარის სახელწოდების თარგმანია „ერთხელ პარიზში“, რაც მისი მდებარეობითაა შთაგონებული. ის პორტუს Rua Galeria de Paris-ის ქუჩაზე მდებარეობს და ბოჰემური სივრცის, კაფეს და ბარის შესანიშნავი კომბინაციაა და ამ სამივე კრიტერიუმს იდეალურად აკმაყოფილებს. მიმზიდველი დეკორი წითელი ფერის დახვეწილ ტონებს, უამრავ ვინტაჟურ შტრისს შეიცავს და ჯამის ეპოქის პარიზში გამოგზავრებთ.

კედლებზე შავ-თეთრი ფოტოებია. ანტიკვარული სანათურები, ელეგანტური ფარდები, მარმარილოს ზედაპირიანი მაგიდები, ხავერდისა და ტყავის სკამები გამორჩეულ განწყობას შეგიქმნით. ღია: ორშაბათი-შაბათი – 19.00-04.00

R. Galeria de Paris 106-108



CASA DO LIVRO

აქ ადრე წიგნის მაღაზია იყო და ინტერიერი ახლაც ინახავს წიგნებით სავსე თაროებს, ძველ შპალერს, მინიატურულ სანათურებსა და შავ პიანინოს. საღამოობით აქაურობა ხალხითაა სავსე, ჟღერს ჯამი, მოგჯერ პიანისტებიც უკრავენ. Casa do Livro-ში კლასიკურ კოქტეილებს, ასევე საუკეთესო შამპანურებს შემოგთავაზებენ.

ღია: სამშაბათი-ხუთშაბათი – 21.30-03.00, პარასკევი-შაბათი – 21.30-04.00

Rua Galerias Paris 85



წარმატებული შუალედური ვერსიაა კაფესა და ბარს შორის. აქ პორტუში ერთ-ერთ ყველაზე გემრიელ ყავას მოგართმევენ, ასევე, ხარისხიანი ჩაის უდიდესი არჩევანით. დღისით აქ მსუბუქი ლანჩისთვის დადიან, ხოლო ღამით მუსიკისა და სასმელების დრო დგება. ჯამს და ბლუზს საშუალო დღეებში მოისმენთ, ხოლო უქმეებზე DJ შუალედის წვეულებებს მართავს. ღია: სამშაბათი-შაბათი – 22.00-04.00

Rua Galeria de Paris 46

CONCEIÇÃO 35

Baixa-ს შუაგულში მდებარე ეს ღამის კლუბი გახსნისთანავე პოპულარული გახდა მოდური დიზაინით, უგემრიელესი კერძებით, სასმელით და ატმოსფეროთი. ინტერიერი მრავალფეროვანია, ვინტაჟური და არტ-დეკოს ელემენტები იდეალურად ერწყმის წითელ კედლებს, გახუხუხებულ ხეს,

ინდუსტრიულ ფასადებსა და დღის განათებას. დღისით მსუბუქად წაიხემათ სენდვიჩებით. DJ უქმეებზე ღამის ოთხ საათამდეც კი უკრავს, ბარმენები საუკეთესო კი კოქტეილებს ამზადებენ.

ღია: ორშაბათი-ხუთშაბათი – 21.00-02.00, პარასკევი-შაბათი – 21.00-04.00

Rua da Conceição 35



WRONG WEATHER

პორტუს შოპინგის ფლაგმანი, კონცეპტ-მაღაზია Wrong Weather ფესხაცმლის შესანიშნავ კოლექციებს გვთავაზობს, მათ შორის, Adidas-ის თამამ კონცეფციებსა და Golden Goose-ის ჩინებულ „სნიკერსებს“, Comme des Garçons-ის აქსესუარებს. მაღაზიის ასორტიმენტი მოიცავს როგორც საერთაშორისო ბრენდებს (JUUN J, Marni და Kenzo), ისე ადგილობრივ დიზაინერთა ნამუშევრებს, მაგ., Nair Xavier-ს, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცებისთვის მუშაობს.

Av. da Boavista 754



THE FEETING ROOM

ეს მაღაზია ინტელექტუალური კონსიუმერის ნამდვილი „საგუშაგოა“. The Feeting Room-ის ასორტიმენტში მამაკაცებისათვის ბამბის პერანგები, საკლუბო პიჯაკები და ფესხაცმელია; ასევე ქალებისთვის კი – მოხერხებული კარდიგანები, ბამბის მაისურები და ვერცხლის სამკაულები. ბუტიკში აღმოაჩენთ სახლის დეკორისთვის საჭირო საოცარ ნივთებსა და სასიამოვნო წვრილმანებს, კრეატიულ ბრელოკებსა და ქინძისთავებს.

Largo dos Lóios 86

A VIDA PORTUGUESA

მაღაზიაში ტკბილეული, სამკაულები, კერამიკა, პარფიუმერია, ტანსაცმელი და ფესხაცმელი იყიდება. აქვეა თევზის კონსერვები, ტრადიციული პორტუგალიური პროდუქტი. ხოლო ხელით დამზადებული საპნის შეხებისას გაგახსენდებათ, რომ კეთილსურნელება და საკმაზე იოდესლავ პორტუგალიის საგარეო ვაჭრობის მთავარი პროდუქტები იყო.

Galeria de Paris 20



CLERIGOS IN

Clerigos In ოპტიკური კონცეპტმაღაზიაა, გონივრულად გააზრებული, სელექციური კონცეფციით გამორჩეული, სადაც ოპტიკას, პარფიუმერიასა და აქსესუარებს ყიდიან და შოპინგს დაუვიწყარ გამოცდილებად გიქცევენ. აქ აღმოაჩენთ Super-ის დემოკრატიული დიზაინის მზის სათვალეებს, საკულტო Mykita-ს ნაწარმს. მეზობელ თაროზე აუცილებლად იპოვით პორტუგალიურ ბრენდებს, რომლებიც ახალგაზრდებში პოპულარულია, Hugo Costa-ს ფესხაცმელს და ასევე Chiara Ferragni-ს ლოვერებს. ღია: 10.00-20.00.

R. das Carmelitas 151

EARLYMADE

ეს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მოდური მაღაზიაა. Earlymade მოდისა და ცხოვრების სტილის ბრენდის სახელწოდებაა, ამასთან, მაღაზიისა და არტ-პლატფორმისაც, რომელიც აერთიანებს კონცეპტმაღაზიას, არტ-რობოტებისა და საგამოფენო სივრცეებს Bombarda Art District-ის ცენტრში. აქ ექსკლუზიური, თანამედროვე და უნიკალური სტილის ნივთები იყიდება, აქცენტი დეტალებზე კეთდება. რაც მთავარია, აქ გამოფენილი ბრენდები და ნივთები პორტუგალიისთან მჭიდრო კავშირშია. ღია: ყოველდღე – 12.00-20.00.

Rua do Rosário 235



LUIS ONOFRE

Luis Onofre 1990 წელს გამოჩნდა, როცა ბებიის მიერ 1939 წელს დაარსებული ფესხაცმლის კომპანია ჩაიხარა. 1999 წელს მან თავისი პირველი კოლექცია გამოუშვა, შემდეგ კი Kenzo-სა და Cacharel-ისთვისაც ქმნიდა ფესხაცმელებს. მისი ნაწარმი ესპანეთის დედოფალს, მსახიობ ნაომი უოტსს და სხვა ცნობილ ადამიანებს აცვიათ.

ღია: ორშაბათი-შაბათი – 10.00-19.30.

Avenida da Boavista 3483

TOINO ABEL

Toino Abel-ის ჩანთები ხელით მზადდება და კომპანიის უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობაა. ეს საოჯახო ბიზნესი პორტუგალიური არტიზანული წარმოების სიმბოლო გახდა.



ბრენდის ტრადიცია ბუნებრივი მასალებით მუშაობაა, ჩანთები მცენარეული მეთოდით დამუშავებული ტყავით მზადდება.



ALMA VIVA

ამ მაღაზიაში უამრავი ბავშვის სათამაშო, ჩაის სერვისი და წიგნია, მაგრამ ვინტაჟური რობოტები, ავტომობილები და ცხოველები მაინც ყველაზე შთაბეჭდავია.

Praça Dona Filipa de Lencastre 49

CLAUS PORTO

ეს ბრენდი უკვე 130 წლია. აქ ხელით დამზადებული საპნებია, რომლებსაც პორტუგალიის სოფლებში დაკრეფილი მცენარეების არომატი აქვთ. აქაური პროდუქტების ფერადოვანი შეფუთვაც კი ერთგვარი ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ვინტაჟური გრაფიკული დიზაინით გამოირჩევა. ღია: ყოველდღე – 10.00-20.00.

Rua das Flores 22





BRAGA

მაგხოვრის წმინდა ჯვრის სამლოცველო

სალომე დაუნაჰვილი

ბრაგაში წასვლა ერთ ქარიან დღეს გადავწყვიტე. ცას ნაცრისფერი ღრუბლების სქელი ფენა გადაჰკვროდა, ჰორიზონტზე ავისმომასწავებლად ჩამოწოლილიყო და შავი მოსასხამივით ეტმასნებოდა პორტუს კრამიტის სახურავებს. სან ბიენტუს ულაამბესი აზულეჟუს პანოთი დაფარულ კედლებში ქარი ზუზუნებდა. წვიმაში გალუმპვის პერსპექტივა გრიბის საწყის სტადიაზე მაინცდამაინც სახარბიელოდ არ ჩანდა, მაგრამ პორტუგალიური სიწმინდეების მოსანახულებლად წასულს ღმერთი არ გამოირავს-მეთქი, გავიფიქრე და ბაქანზე ჩამომდგარ მატარებელში ავედი.

საქალაქთაშორისო ელექტრომატარებლის სუფთა ვაგონის ჭრელი ხავერდის სტანდარტული სავარძლები საწვიმარ მანქანებსა და კომფორტულ ფეხსაცმელებში გამოწყობილ სტანდარტულ პორტუგალიულ ბებიებს დაეკავებინათ. სტანდარტის მიხედვითვე, ჩემგან განსხვავებით, ყველა დიდი ქოლგით იყო შეიარაღებული. თავისუფალ სავარძელზე ფანჯარასთან მოგკალათდი და ის-ის იყო სტანდარტული თვლემის გამოცხობას ვაპირებდი, რომ წინ სრულიად არასტანდარტული ახალგაზრდა წყვილი დამიჯდა.

ბიჭი თვრამეტიოდე წლის იქნებოდა. ქერა აბურძნული თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა. ჯერ კიდევ ბავშვურ სხეულზე „მიმაგრებულ“ უკვე მამაკაცურ ხელებს ვერ იმორჩილებდა. გოგო შავგვრემანი იყო, თეთრკბილა ღიმილით და ისეთი სიყვარულით სავსე თვალებით, რომ თავი მექსიკურ სერიალში მეგონა. ერთმანეთს მიტმასნილები, ფანჯარასთან დასხდნენ და სასწრაფოდ ბრაგის გზამკვლევი ამოიღეს. იმას არჩევდნენ, სად წასულიყვნენ, ჯერ კათედრალში, ბომ ჟეზუსში თუ, უბრალოდ, ქალაქში ეხეტიალათ. ისეთი გულის ამაჩუყებელი იყო მათი გრძობა, რომ ერთი პირობა გავიფიქრე, ცოტა ხომ არ წავუტეო-მეთქი, მაგრამ ნამდვილი პორტუგალიელი ბებიების მომერიდა.

ამ წუთიდან ბრაგა ჩემთვის შეყვარებული წყვილების ქალაქად იქცა. მთელი გზა სიყვარულის ღრუბელში გახვეულმა გვატარე. მატარებელი თითქმის ყველა სადგურზე ჩერდებოდა, თუმცა ეს საინტერესოც კი იყო. ტურისტული პორტუგალია სადღაც გაქრა. გარეთ ნამდვილი მინდვრები, ეზოები და ნამდვილად პორტუგალიური ამინდი ციმციმებდა.



გამოქვაბული მაგხოვრის წმინდა ჯვრის სამლოცველოს მთაზე

გზაში 10-ჯერ მაინც გაწვიმდა, ათჯერ გამოვიდა მზე და 10-ჯერ მოიღრუბლა ცა.

ბრაგის სადგური თითქმის ცარიელი იყო მიუხედავად ვნების კვირეულისა, რომელიც სააღდგომო სამზადისის პიკია. ბრაგა და განსაკუთრებით ეკლესია ბომ ჟეზუსი მორწმუნეთათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პილიგრიმობის ადგილია ევროპაში, სანტიაგო დი კომპოსტელასთან ერთად ესპანეთში, რომელიც რამდენიმე საათის სავალზეა ბრაგიდან.

ახალწვიმარ ქუჩაზე გავედი, ქარბორბალამ მახრობელა გველივით შემომახვია საკუთარი შარფი. ერთხანს ორიენტაცია დაგვარგე და როცა მოფარფატე ნატრისგან გათავისუფლდი, ავტობუსის წინ ვიდექი, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა: Bom Jesus. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ქალაქში გასეირნება მქონდა დაგეგმილი, მივხვდი, რომ ეს ბედი იყო. ქარმა თავად ამაგდო ცარიელ ავტობუსში, ბილეთიც ამიღო და სკამზე დამანარცხა. ავტობუსი ტაატით გაუყვა გზას და 15 წუთში მშვენიერი, აყვავებული ხეებით დაფარული მთის ფერდობს შეუდგა. სადღაც შორს, ზემოთ აკიაფდა თეთრი კიბე, დიდებული ბაროკოს 116-მეტრიანი კასკადი, რომლის თავზეც სამეფო სიმშვიდეში, ცაში გამოკიდებული ფრიალებდა ბომ ჟეზუსის ეკლესია.

პირველი სამლოცველო მთაზე 1373 წელს აშენდა. წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესია XV-XVI საუკუნეებში განვითარდა და 1629 წელს პილიგრიმობის ადგილად ჩამოყალიბდა. კეთილი ქრისტეს, ბომ ჟეზუსის ეკლესიის მშენებლობა არქიტექტორ მანუელ პინტო ვილალობოსის პროექტით 1722 წელს დაიწყო და, 6 სამლოცველოსთან ერთად, ქრისტეს ვნებებს მიეძღვნა. მოგვიანებით არქიტექტორმა კარლოს ამარანტემ ძველი ეკლესიის ნაცვლად ახალი, ნეოკლასიკური სტილის ტაძარი ააგო, რომლის მშენებლობაც 1834 წელს დასრულდა.

ავტობუსი მთის ძირში გაჩერდა თუ არა, ღრუბლები გაიხსნა და მზემ გამოანათა. მისი სხივები კამელიის ყვავილებს გულში დაგუბებულ ათასობით წვიმის წვეთში აციმციმდა. ჰაერის სისუფთავისგან თავბრუდახვეული, საბაგიროსკენ გავემართე.

1882 წელს აშენებული ეს საბაგირო გზა პირველი იყო იბერიის ნახევარკუნძულზე და დღემდე მუშაობს. საბაგიროს შესასვლელი საიმედოდ დაკეტილი დამხვდა. განცხადება მამცნობდა, რომ საბაგირო ზამთარში 8.55-იდან 12.55 სთ-მდე და 13.55-იდან 17.55 სთ-მდე მუშაობს, ზაფხულში კი – 8.55-იდან 19.55 სთ-მდე. ერთ საათს ლოდინში ვერაფრით დაგვარგავდი. რა გაეწყობოდა?! სევდიანად ავხედე მთის წვერს, იმედის თვალით – ცას და მოჯადოებულ ტყეში შევაბიჯე.

არასოდეს მიმიღია უფრო სწორი გადაწყვეტილება. საბაგიროს რომ ემუშავა, ხომ ვერასოდეს ვნახავდი ხავსმოდებულ კიბეებზე მიმოფანტულ ვარდისფერი კამელიების ფურცლებს, ვერ ვიგრძნობდი ნოტიო ჰაერში გაფანტულ სველი მიწისა და ბალახის სუნს, ვერ დავინახავდი ამალიების ურცხვად, ვარდისფრად მოელუვარე ხეებს, ვერ გავიგებდი იჩეტების თავდავიწყებულ ჭიკტიკას...

ყოველ წელს ათასობით მორწმუნე ჩოქვით მიუყვება ამ კიბეებს. შავ-თეთრი ქვებით მოკირწყლულ გზაზე პილიგრიმებს სამლოცველოების ჩრდილში განთავსებული სკულპტურული კომპოზიციები იერუსალიმის ვია დოლოროსას გაჩერებებს ასხენებს.

დაბურული ტყიდან მოელვარე, დიდებულ თეთრ კიბესთან რომ გახვალ, გამოვლილი გზის გამო გამახვილებული ყველა შეგრძნებით, მიხვდები, თუ რატომ ეძღვნება კიბის



ყველა სეგმენტზე განთავსებული შადრევანი სხვადასხვა გრძობას: მხედველობას, ყნოსვას, სმენას შეხებას, გემოს – ყველაფერ ადამიანურს, რაც უნდა დაძლიო, რომ ჭეშმარიტება შეიგნო.

ადიხარ დაუსრულებელ, თითქოს ცაში გამოკიდებულ ამ კიბეზე და ბოლოს ნამდვილ სამოთხის ბაღში ხვდები, რომლის ცენტრშიც დიდებული ეკლესია დგას. სამოთხის ბაღშივეა პატარა სასტუმროც, რომლის ტერასაზეც შეიძლება ყავის დაღევა ან ტაქსის გამოძახება, თუ უკან, ბრაგაში ავტობუსით გამგზავრება არ გსურთ.

გადავწყვიტე, ახლა მაინც მესარგებლა მანუელ ხოაკინ გომესის მიერ დამონტაჟებული საბაგიროთი და ვაგონებში მოვკლათდი. ჯადოსნური მთიდან დაშვება იმდენად სწრაფი იყო, რომ გამოფხიბლება ვერც კი მოვასწარი, უკვე ისევ 2 ნომერ ავტობუსში ვიჯექი, რომელმაც ბრაგის ცენტრამდე მიიყვანა.

ბრაგას უმდიდრესი ისტორია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ რომის იმპერიის ხანაში იწყება. რეკონკისტას დროს ბრაგა იბერიის ნახევარკუნძულზე ქრისტიანობის ცენტრად ითვლებოდა, სანტიაგო დე კომპოსტელას აყვავებამდე.

ძველი ქალაქის ცენტრი წინასააღდგომოდ პალმის რტოე-ბით მოერთოთ. კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლები ათასფრად ბრწყინავდა. მხიარული ადამიანები ჯგუფებად დასეირნობდნენ ქუჩებში, ხმამალა იცნოდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

ბრაგის დიდებული საკათედრო ტაძარი, რომელში შესვლაც ფასიანია, ყვავილებსა და პალმის რტოებში ჩაფლულიყო, მის გარშემო კი ანტიკვარიატის ბაზრობა გაემართათ, რომელიც ყოველ კვირას ეწყობა. ქალაქის ცენტრი ძალიან პატარაა. ნახევარ საათში, ჯიბეში მოთავსებული სათუთად გამოხვეული ძველისძველი სარკით გამდიდრებულს, უკვე ყველაფერი ნანახი მქონდა. სწორედ ამ დროს კიდევ ერთხელ დაიწყო წვიმა და მეც სასწრაფოდ კაფეს შევაფარე თავი.

შუშის ვიტრინებში შექარმოვრელი ტკბილეული ჩაემწკრივებინათ. ყველაზე მიმზიდველად ტრადიციული ტიბია გამოიყურებოდა. ეს ფრანგული შუს მავარი ნამცხვარი ბრაგის ღირსშესანიშნაობად გამაგნეს და ქათქათა თევზზე მომართვეს. Café A Brasileira (Largo do Barão de São Martinho 17) ერთ-ერთი უძველესი აღმოჩნდა ბრაგაში, მარმარილოს მაგიდებითა და უაღრესად თავზაიანი ოფიცინტებით.

წვიმამ გადაილო და სადგურისკენ დავიძარი. ერთ პატარა ქუჩაზე უცნაურ ხალხმრავლობას გადავეყარე: გახარებულ ადამიანებს ერთ ხელში სააღდგომო ნამცხვრის ნაჭერი, მეორეში კი პორტუს პატარა ბოთლები ეჭირათ. მოულოდნელად სათნო ადამიანებმა ხელში მეც იგივე ძღვენი შემომანჩერეს. როგორც გაირკვა, ბრაგის ეკლესია ასე აღნიშნავდა მოახლოებულ აღდგომას – გამვლელებს აპურებდა. სულიერი და ფიზიკური საზრდოთი უზრუნველყოფილი და პორტუს ტკბილი ღვინით შეგარხოშებული, ზურგის ქარმა ამიტაცა და სულ სირბილით მიმიყვანა სადგურამდე.



კონგრეგაციონის ბაზილიკა

ტრელხავერდგადაკრულ სავარძლებიანი მატარებელი ბაქანზე მელოდა. პორტუგალიელი ბებიებიც ადგილზე დაამხვდნენ. მატარებელი დაიძრა და ისევ გაწვიმდა.

პორტუდან ბრაგაში და უკან მგზავრობა სულ 7€ დავიდეგბათ. მატარებელი სადგურ სან ბიენტუდან 30 წუთში ერთხელ გადის და საკმაოდ ადრე ჩამოდგება ბაქანზე, ასე რომ, შეგიძლიათ მშვიდად დაიკავოთ თქვენი ადგილი, თუმცა მანამდე პლატფორმის დასაწყისში განთავსებულ სპეციალურ ყვითელ ყუთში ბილეთის დაკომპოსტირება არ დაგავიწყდეთ. ბრაგაში ჩასასვლელად დაპირებულ 50 წუთზე მეტი დავგვირდებათ, მატარებელი ბევრგან ჩერდება, ამიტომ მგზავრობაზე საათ-ნახევარი გათვალეთ. ბრაგაში ჩასვლისას ტაბლოზე უკან, პორტუში გამგზავრების გრაფიკი გადაამოწმეთ, რომ სადგურში ტყუილად არ მოგიხდეთ ლოდინი.

სადგურიდან ბრაგის ცენტრამდე ფეხით მაქსიმუმ 10 წუთია საჭირო, მაგრამ თუ ჯერ ბომ ჟეზუსის სანახავად გამგზავრებას გადაწყვეტთ, სადგურის გამოსასვლელშივე 2 ნომერ ავტობუსს დაელოდეთ (ფასი 1,65€). ბომ ჟეზუსში ავტობუსები 30 წუთში ერთხელ დადიან.

TESOURO - MUSEU DA SÉ

საკათედრო ტაძრის მუზეუმი ქალაქში ყველაზე მნიშვნელოვან საგანძურს ფლობს. აქ დაცულია საეკლესიო შესამოსელის, ჭურჭლისა და საიუველირო ნაკეთობების უძვირფასესი კოლექცია. მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია სახელწოდებით „მარადისობის ფესვები: იესო ქრისტე – ეკლესია“ სამ ოთახშია განთავსებული. აქ დაცულ ნივთებს განუმეორებელი მნიშვნელობა აქვს პორტუგალიის ისტორიაში. ამის ნათელი მაგალითია ჯვარი, რომელიც პედრუ ალვარეს კაბრალმა ბრაზილიაში წაიღო და რომლითაც ახალ მიწაზე პირველი მესა შესრულდა.

მუზეუმი ღიაა: სამშაბათიდან – შაბათის ჩათვლით
09.30-12.30 და 14.30-17.30
ზაფხულში – 09.30-18.00

R. Dom Paio Mendes





ბრაგის საკათედრო ტაძარი

SÉ DE BRAGA

ბრაგის საკათედრო ტაძარი ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ეკლესიაა პორტუგალიაში. მისი მშენებლობა მე-12 საუკუნეში დაიწყო. ის პორტუგალიის პირველი მეფის, აფონსუ ენრიკის მშობლების, ტერეზასა და ენრიკის შეკვეთით აიგო. საუკუნეების განმავლობაში ტაძარი ვითარდებოდა. პორტიკო მთავარ შესასვლელს მე-15 საუკუნეში დაემატა, ბაროკოს ხანას კი ორ სამრეკლოს უნდა ვუმადლოდეთ. ბაროკოსვე სტილშია შესრულებული საკათედრო ტაძრის ორგანიკი.

Rua Dom Paio Mendes – Rossio da Sé
4700-424 Braga



ასევე 30 წუთში ერთხელ მოძრაობს მთაზე ასასვლელი საბაგირო, თუმცა დაბეჯითებით გირჩევთ, კიბზე ფეხით ახვიდეთ. ბომ ჟეზუსის გარდა მთაზე კიდევ ერთი საინტერესო ეკლესიაა, თუმცა ფეხით იქ მისასვლელად 40 წუთი დავგვირდებათ. ტაქსის გამოძახება ეკლესიასთან მდებარე სასტუმროდან შეიძლება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ უკან დასაბრუნებლად ტაქსის მძღოლს წინასწარ უნდა მოელაპარაკოთ, რადგან მთაზე ტრანსპორტი არ მოძრაობს.

საბაგიროთი მგზავრობა 2 ევრომდე ღირს და სულ 5 წუთს გრძელდება. ბრაგაში გასამგზავრებლად ისევ 2 ნომერი ავტობუსით შეგიძლიათ ისარგებლოთ. თუ მოგზაურობას დილით ადრე დავგეგმავთ, შესაძლებელია ბრაგიდან 30-იოდე წუთის სავალზე მდებარე გიმარაიშიც მოასწროთ გასეირნება, თუმცა ამ შემთხვევაში კაფეში დასაჯდომად ვერ მოიხვით. ბილეთი პორტუდან ბრაგამდე გიმარაიში მგზავრობასაც მოიცავს.



მთავარეპისკოპოსის სასახლე და წმინდა ბარბარეს ბაღები.

GUIMARÃES

გიმარაიშის ისტორია მჭიდროდაა გადაჯაჭვული პორტუგალიის სახელწიფოებრიობასთან. ეს შუასაუკუნეების ქალაქი, იშვიათი ავთენტურობით შემონახული ისტორიული ცენტრის გამო, იუნესკომ მსოფლიო არქიტექტურის ძეგლთა სიაში შეიყვანა. 1128 წელს „დაირწა პორტუგალიის აკვანი“. სწორედ ამ ქალაქში განვითარებულმა მოვლენებმა მიიყვანა პორტუგალია დამოუკიდებლობამდე.



2000 წლის ისტორიის მემკვიდრეობის ძეგლია დაარსებული პორტუგალიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ბრაზა დღეს ყველაზე ახალგაზრდული მოსახლეობის ასაკის მინიჭდა.

უძველესია ბრაგის ეკატეხიას, რომელიც ძველად იბერიის ნახევარკუნძულზე გავლენითა და მნიშვნელოვანი საინტერესო და კომპოსტალასაც კი უნდა ვაძიოთ.

თანამედროვე ბრაგის სიმბოლოდ იქცა სტადიონი, რომელიც კლიტავარის კრამის ლაურაბის, სოუბო მოურას (EDUARDO SCOUTO DE MOURA) პროექტით აშენდა.



„აქ დაიბადა პორტუგალია“ – გვამცნობს წარწერა ძველი ქალაქის კედლის ერთ-ერთ კოშკში. მა-19 საუკუნეში ძველი ქალაქის კედლები დაინგრა და გიმარაიშმა მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია განიცადა, თუმცა ძველი ქალაქი არ დაზარალდა.

ბრაგანცის ჰერცოგის სასახლე სახელგანთქმული საკვამურებით, გიმარაიშის ციხესიმაგრე და ქალაქის ისტორიული ცენტრი აუცილებელ სანახაობათა რიცხვშია.



ÉVORA

ალენტეუს რეგიონის ქალაქები – ევორა (Évora) და ელვასი (Elvas) კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ნუსხაშია. გარდასულ საუკუნეთა სხოვნას ინახავენ ისეთი ქალაქებიც, როგორცაა: სანტარემი (Santarém), პორტაღერე (Portalegre) და ბეჟა (Beja), ასევე, ძველი ებრაული კვარტლები, განსაკუთრებით კაშტელუ დე ვიდე (Castelo de Vide).

ევორის ისტორიის ფასკაბი რომაულ ეპოქამდე აღწავს. ქალაქის ოქროს ხანა XV საუკუნის ამთხვავა, როცა ევორა პორტუგალიურ მადრიასში და არისტოკრატიაში თავიანთ საცხოვრებლად აირჩია. ქალაქის ისტორიული მნიშვნელობა არაერთხელ მამაკვიდრეობის აისახა. XVI საუკუნეში ევორაში უნივერსიტეტი გაიხსნა და ქალაქი მაცნობიერებისა და მანათლავის ცენტრად იქცა. ამიტომაცაა, რომ ევორა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია.

ERMIDA DE SÃO BRÁS

Rossio-ს მოედანზე XV ს-ის სან ბრასის სამლოცველო ალენტეუს რეგიონში გავრცელებული მანუელინუსა და მუდეჟარის სტილის უძველესი ნიმუშია. მასში არაბული კულტურის გავლენა ნათლად იგრძნობა.



SÉ DE ÉvORA

კათედრალი პორტუგალიაში ყველაზე დიდი გოტიკური ტაძარია, რომელიც ფორტიფიკაციულ ელემენტებსაც შეიცავს. პორტუგალიურ ხელოვნებაში იშვიათი ფორმის ცენტრალური გუმბათი XIII საუკუნისაა.

პორტიკის მოციქულთა რომანულ-გოტიკური ფიგურები ეკლესიაში გვიწვენ. 1718 წელს ბაროკოს სტილში გადაკეთებული, მარმარილოთი მოპირკეთებული მთავარი სამლოცველო ტაძრის ასკეტურ სტილთან კონტრასტს ქმნის. ცენტრალურ ნავში ღვთისმშობლის ერთიანი ქვის ფიგურა მთავარანგელოზ გაბრიელის მოქრული ხის ქანდაკების პირდაპირ დგას. ზედა ნაწილში XVIII ს-ის უბარმაზარი ორგანია.

კათედრალის ორი მაღალი სიმეტრიული კოშკი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. ჩრდილოეთის კოშკში საეკლესიო ხელოვნების მუზეუმის კოლექციის უმნიშვნელოვანესი ექსპონატებია.

IGREJA DA GRAÇA

ჟირალდუს მოედნიდან რესპუბლიკის ქუჩის გავლით (Rua da República) Igreja da Graça-ს მიადგებით. უფლის წყალობის ტაძარი XVI საუკუნეში, მეფე ჟუაუ III-ის მმართველობისას მიგელ დე არუდას პროექტით არის აგებული.




მანიერიზმის სტილის ტაძარი თავისი ეპოქის არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია. უნიკალური ძველი პალადიანურ გავლენებს ასახავს. ფასადზე მძიმე პორტიკია ანგელოზთა ორი ფრონტონით, ხოლო ზედა კუთხეებში ოთხი მდინარის სიმბოლო – ოთხი ატლანტია გამოსახული, რომლებსაც ადგილობრივები „ღმერთის საყვარელ ბიჭებს“ უწოდებენ.

PRAÇA DO GIRALDO

ეს მოედანი ევორის გულია. ქალაქის დათვალეირება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. მოედანზე მდებარე XVI საუკუნის მარმარილოს შადრევნის რვა წყალსადინარი ქალაქის იმ რვა ქუჩის სიმბოლოა, რომელიც აქ თავს იყრის.



ერთ კუთხეში XVI ს-ის წმ. ანტაუს ტაძარი დგას (Igreja de Santo Antão). შესასვლელი კიბის ავლის შემდეგ ეკლესიის ინტერიერში მოხვდებით, სადაც საკურთხეველისა და კაპელების საკრალური ხელოვნების ნიმუშები გაგაოცებთ.



IGREJA DE SÃO FRANCISCO/ CAPELA DOS OSSOS

წმ. ფრანცისკის გოტიკური ტაძრის (1475-1550) მთავარი ფასადი ყურადღებას იპყრობს პორტიკის სხვადასხვა სტილის თაღებით, რაც გოტიკისა და მავრიტანული გავლენის შერწყმის ნიმუშია. მანუელინუს სტილის პორტიკოსი ზემო ტაძრის მშენებელი მეფეების სიმბოლოებია გამოსახული: ვარხვი – ჟუაუ II-ის და არმილარული სფერო – მანუელ I-ის. ტაძრის ერთადერთი ნაგის გუმბათი პორტუგალიურ გოტიკაში უფართოესია. ბაროკოს ჩუქურთმებისანი 12 სამლოცველოდან მთავარი XVI საუკუნისაა (რენესანსის ელემენტებით). წმ. ფრანცისკის მესამე ორდენის სამლოცველო კი ქვის, ჩუქურთმისა და შორენკეცის ჰარმონიულობით გაგაოცებთ. **აუცილებლად დაათვალიერეთ ჰაბსბურგების იმპერიის ეპოქის, XVII საუკუნის უნიკალური კაპელა (Capela dos Ossos), რომლის დიასტრებიცა და კედლებიც ძვლებითა და თავის ქალებითაა დაფარული.**

Praça 1ª de Maio



TEMPLO ROMANO DE ÉvORA

ძველი რომაული ტაძარი (მისგან დიდებული სვეტების დარჩენილი) ქალღმერთ დიანას სახელზე აუგიათ ძვ. წ. I საუკუნეში. ის ოქტაგონი აგუსტუსს ეძღვნებოდა. რომაული ეპოქის შემდეგ, სხვადასხვა წლებში ტაძარი ხან იარაღის საწყობი იყო, ხან თეატრი, ხანაც სასაკლაო. ცოტა ხნის წინანდელმა გათხრებმა გამოავლინა, რომ რომაულ ტაძარს გარს პორტიკი და აუზი ერტყა.



CROMELEQUE DOS ALMENDRES

მეგალითური კომპლექსი ნეოლითის ეპოქის მენგირების (ვერტიკალურად მდგარი ქვა) ყველაზე ძველი და მრავალრიცხოვანი წყება ევროპაში. ზეთისხილის და კორპის ხეების ჩრდილში 96 ქვა გეომეტრიულად მოწესრიგებულადაა განლაგებული. ზოგიერთ ქვაზე გრავირების ნაკვალევსაც აღმოაჩენთ. კომპლექსი ევორიდან 15 კმ-ში მდებარეობს.



ELVAS

ქალაქი სტუმრებს 843-თლიანი გრანდიოზული აკვედუკით (Aqueduto) ეგებება, რომელიც 7 კილომეტრზე გაწოლია. მისი არქიტექტურია ფრანსისკუ დი არუდა, ლი-საბონის Torre de Belém-ის ავტორი.

ელვასში მსოფლიოში უდიდესი საფორტიფიკაციო, ბასტიონის ტიპის ნაგებობის თავდაცვითი სტრუქტურები 10 კმ-ის ფართობზე ვარსკვლავის ფორმას ქმნის, რაც უძველესი დროიდან XIX ს-მდე საომარი სტრატეგიული არქიტექტურის განვითარების სურათს გვიჩვენებს. ეს თავდაცვითი ნაგებობა კაცობრიობის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია.



რამდენიმე სხვადასხვა დასახელების ბურჯისაგან შემდგარ თავდაცვით ანსამბლს ქმნის ისლამური ეპოქისა და შუასაუკუნეების ციხესიმაგრეთა კედლები, ასევე, XVII საუკუნის სარტყელი, რომელშიც ჰოლანდიური ვოზანის სტილის გავლენა იგრძნობა.

Castelo-ს რაიონში, ელვასის შუაგულში ქალაქის ყველაზე ძველი ნაწილი მდებარეობს. აქედან თუ Praça da República-სკენ გაემართებით, ყოფილ კათედრალს, ამჟამად Igreja de Nossa senhora da Assunção-ს მიადგებით. გზად დომინიკელთა ტაძარია (Igreja das Dominicás), რომელიც რვა-კუთხა ფორმისაა და ორიგინალური არქიტექტურით მოგზიბლავთ. ამავე გზაზე მდებარეობს მანუელინუს სტილის „სირცხვილის ბოძი“ და ფერნანდის კოშკები (Torre Fernandina). ამ ქუჩებზე უთუოდ შენიშნავთ თაღებსაც, რომლებიც ძველად ციხესიმაგრეების კარიბჭეების არსებობაზე მიუთითებს.

ელვასში ყოფნისას გირჩევთ, სხვა ღირსშესანიშნაობებიც დაათვალიეროთ: სან დომინგუშისა და სან ფრანსისკუს ტაძრები, სამხედრო მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (Museu de Arte Contemporânea) და ჟუაუ კარპინტიერუს ფოტოგრაფიის მუზეუმი (Museu de Fotografia João Carpinheiro), სადაც ფოტოხელოვნების ისტორიის შესანიშნავი ექსპოზიცია, 1898 წლის ფოტოაპარატი და 1860 წლის დოკუმენტები ინახება.



სასახლი ასობით ქარის გზაგასაყარზე

სალომე დაუნაშვილი

პორტუგალიის დედოფლის, მარია მეორის მეუღლეს, პრინც ფერდინანდს რომანტიკული სასახლეების სიყვარული სისხლში ჰქონდა. ბიძამისი ლუდვიგით, რომელმაც ლამის სამეფო შესწირა ნოიშ ვაინშტაინის მშენებლობას, ფერდინანდსაც მთის მწვერვალებზე ამოზიდული კედლებისადმი ჰქონდა ლტოლვა.

Palácio Nacional da Pena – პენას სასახლე სინტრაში ოცნებაა. ბედნიერი გამონაკლისი, როცა სურვილები და შესაძლებლობები ერთმანეთს ემთხვევა. ეს სასახლე მე-19 საუკუნის ზმანებაა წარსულზე. პრინცის აკვიატება, რომელიც რეალობად იქცა.

ლისაბონის ცხელ ზაფხულს პორტუგალიის სამეფო ოჯახი ყოველთვის სინტრაში გაუბრბოდა. ეს პატარა ქალაქი, რომელიც მწვანე ტყეებით დაფარულ მთის ხეობაში ჩაკარგულა, არისტოკრატიული სიმშვიდით სუნთქავს. ცისფერი სისხლის პულსაციამ ქალაქი სინტრა თავის რიტმზე გადაიყვანა. დღესაც ეს ძლიერთა და გავლენიანთა მოსასვენებელი ადგილია. სიმშვიდეს მხოლოდ ატლანტის ოკეანიდან მონაბერი მოუსვენარი ქარი არღვევს. სწორედ მისი წყალობით სინტრაში გაცილებით უფრო გრილა, ვიდრე ლისაბონში.

ძველი სამეფო რეზიდენცია Palácio Nacional de Sintra, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს, ვერაფრით გამოგვაპარებათ – მისი 2 დიდი თეთრი საკვამური ყველა წერტილიდან ჩანს. უზარმაზარ სამეფო სამზარეულოში, რომელიც მთელ მეფის კარს ემსახურებოდა, ბუხარი სულ გიზგიზებდა. ამ სასახლის უგულებელყოფა არ ღირს. მდიდრულად მორთულ დარბაზებში მე-18 საუკუნის აზულეჟა შემორჩენილი.



ალბათ ფერდინანდისთვის ეს სასახლე არასაკმარისად რომანტიკულად გამოიყურებოდა. ტრივიალური ბუხრების ნაცვლად მას კომპიუტერისა და ქონგურების დანახვა სურდა. მისი ყურადღება ძველმა მონასტერმა მიიპყრო, რომელიც ქალაქს მთის მწვერვალიდან დაჰყურებდა.

მანუელინუს სტილში (პორტუგალიური რენესანსის მე-16 საუკუნე; სტილს სახელი მეფე მანუელ პირველი ილზლიანის გამო შეარქვეს, რომელიც ამ ხანაში მეფობდა) შექმნილი ეს მონასტერი მითოვებული იყო, თუმცა პორტუგალიის ძველი დიდების ნაშთი ახალი სასახლის მშენებლობისთვის კარგ საძირკვლად იქცა. სასახლის რომანტიკულ სტილში გაშენებული პარკიც კომპლექსის განუყოფელი ნაწილია.

საუკუნეების მანძილზე პენას მონასტერი მშვიდი ადგილი იყო, რომელიც მაქსიმუმ 18 ბერს იტევდა. მე-18 საუკუნეში მეხმა შენობა ძლიერ დააზიანა. ამას მოჰყვა ლისაბონის დამანგრეველი მიწისძვრა 1755 წელს და ათწლეულების მანძილზე მონასტერი მითოვებული იყო. ფერდინანდზე ნანგრევებმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სასწრაფოდ მშენებლობას შეუდგა.

სასახლე რომანტიკულ სტილში ახალგაზრდა გერმანელ სამთო ინჟინერს ვილჰელმ ლუდვიგ ფონ ეშვეგეს დაუკვეთეს.

მშენებლობა 1842 წელს დაიწყო და 1885 წლამდე – ფერდინანდის სიკვდილამდე გაგრძელდა. 1847 წლიდან პრინცი ფერდინანდი და დედოფალი მარია აქტიურად ჩაერთნენ სასახლის მშენებლობისა და დეკორირების პროცესში. ფერდინანდმა თავად მოიფიქრა ცენტრალური კარიბჭის სკულპტურული ფორმა. ნიჟარაში მჯდომ ტრიტონს, თევზის ქერცლით დაფარული ფეხებით, მხრებიდან ვაზი ამოზრდია. ეს სკულპტურა პორტუგალიის სახელმწიფოს სიმბოლო იყო – ზღვაზე ბატონობისა და მიწათმოქმედების კულტურის აღსანიშნავად.

ძველი სააბატოს სამეფო სასახლედ გადაკეთება არცთუ ადვილი აღმოჩნდა. გარეგანი დიდებულების მიუხედავად სასახლის ბინადრებს დაბალ ჯერთან უხდებოდათ შეგუება. სამეფო ოჯახის აპარტამენტებში პატიოდან ხვდებოდნენ, რომლის ცენტრშიც ქვის კუებს ნიჟარა შადრევანი უჭირავთ.

რომანტიკოსი მეფე ფერწერით იყო გატაცებული და ერთ-ერთი კედელი თავის სახელოსნოში თავადვე მიუხატავს.

სასახლის კედლებს არაერთი სახელგანთქმული ადამიანი უნახავს. პენას სასახლე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა არტისტული ბუნების მქონე ადამიანებზე. ერთ-ერთი მათგანი ლორდი ბაირონი აღმოჩნდა, რომელმაც სინტრას ლექსიც კი მიუძღვნა, დღიურებში კი წერდა: „სა-



სასახლები და ბალები კლდეებს შორის ამოზიდულა, ხეობები და ხრამები, მონასტრები – კოლოსალურ სიმბოლოებზე“.

სასახლის ბაღში, 200 ჰექტარზე, პრინცის ბრძანებით, მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილი მცენარეები გააშენეს: ჩრდილოამერიკული სექვოიები, იაპონური კამელიები, ჩინური გინკოს ხეები და გვიმრები, რომლებიც ხესავით იზრდებან...

წლების მანძილზე პენას სასახლის ფერადი კედლები გახუნდა და ერთიანად ნაცრისფრად გამოიყურებოდა. ახლახან დასრულებული რენოვაციის შედეგად სასახლის ფასადს პირვანდელი ხასხასა ფერები დაუბრუნდა. ვარდისფერი და ფორთოხლისფერი კედლები ჩამავალი მზის სხივებში დღეს ისევ ოქროსფრად ლივლივებს. სწორედ ამ სასახლეში გაატარა ღამე პორტუგალიის უკანასკნელმა დედოფალმა ამელიამ, სანამ ქვეყნიდან გაიქცეოდა. 1910 წლის რესპუბლიკურმა რევოლუციამ მონარქიას ბოლო მოუღო და ახალმა მთავრობამ პენას სასახლის ნაციონალიზაცია მოახდინა.

პენას სასახლე სინტრაში პორტუგალიური სამეფო კარის ბრწყინვალეების ბოლო ამოსუნთქვა იყო. ასე ხდება, როცა მეფეები ხატვას უფრო მეტ დროს უთმობენ, ვიდრე პოლიტიკას. უღმობელმა დრომ მალე ყველაფერი შეცვალა, მაგრამ სანამ პორტუგალიის უკანასკნელ მეფეს და მის ვაჟს ლისაბონის მთავარ მოედანზე გამოასალმებდნენ სიცოცხლეს, სანამ აზულეჟუთი მოპირკეთებული კედლები უბედური დედოფლის გოდებას აირეკლავდა – იყო პენას სასახლე.

სასახლე ოცნება, სამეფო ოჯახის ბუდე მთის წვერზე – ასობით ქარის გზაგასაყარზე.

ლისაბონიდან სინტრაში მანქანით ჩასვლას 40 წუთს მოუწოდებთ. აუცილებლად იქონიეთ თბილი მოსასხამი, რადგან ზაფხულის ყველაზე ცხელ დღეებშიც კი სინტრაში საკმაოდ გრილია.



თავად ქალაქი იმდენად მიმზიდველი და საინტერესოა, რომ თუ დრო გაქვთ, ნამდვილად ღირს რომელიმე პატარა სასტუმროში გაჩერება და სასახლის დილიდან მონახულება. სასახლესთან მანქანის გაჩერება ურთულესია, ამიტომ უმჯობესია, თუ ტაქსით გაემგზავრებით, ან ადგილობრივ ტუ-

რისტულ სააგენტოში სასახლის ტურს შეიძინოთ. ამ შემთხვევაში ტრანსპორტი პირდაპირ სასახლის ბაღის კარიბჭესთან მიგიყვანთ.

უფრო გამბედავები ბაღის ბილიკებს ფეხით მიუყვებიან მთის წვერამდე, მაგრამ შეგიძლიათ სპეციალური შატლებით ისარგებლოთ, რომლებიც პირდაპირ სასახლესთან მიგიყვანთ; თუმცა თავად ველური ბაღი, რომელშიც უამრავი ეგზოტიკური მცენარე იზრდება, ძალიან საინტერესო დასათვალიერებელია. შეგიძლიათ უკან ფეხით დაემავთ.



სინტრაში, ძირითადად, ერთდღიანი ტურით მიემგზავრებიან, თუმცა აქ 3 დღესაც არ მოიწყენთ, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი რესტორნები ცნობილია ტრადიციული სამზარეულოს დელიკატესებით. თუ გსურთ, ლისაბონის ხმაურიან ქუჩებს გამოერიდოთ და 2-3 დღე ჩიტების ჭიკჭიკსა და ულამაზესი არქიტექტურის გარემოცვაში გაატაროთ, სინტრა იმედებს არ გაიცრუებთ.

ამ დღეების ნამდვილი სამეფო კარის წვერივით გატარება თუ გინდათ, შეგიძლიათ Palácio De Seteais Sintra-ში გაჩერდეთ. ეს 1783 წელს აშენებული სასახლე დღეს სასტუმროა, გრანდიოზული დარბაზებითა და პარკით.



ლისაბონიდან სინტრაში ჯგუფური ტურის ორი პაკეტი არსებობს: 5-საათიანი და 8-საათიანი, ეს ტური **Cascais**-ის და **Cape Roca**-ს მონახულებასაც მოიცავს. 5-საათიანი ტურის ფასია 48€, რაშიც პენას სასახლის მონახულების და გიდის მომსახურების საფასურიც შედის. შეგიძლიათ დამოუკიდებლად გაემგზავროთ და ამისათვის მანქანა დაიქირაოთ მძღოლით (**ფასი:** 200€-მდე). ლისაბონიდან მატარებლითაც შეგიძლიათ გაემგზავროთ, ორმხრივი ბილეთის ფასია 8€, მგზავრობის ხანგრძლივობა – 40 წუთამდე, თუმცა თავად სინტრაში პენას სასახლემდე მისასვლელად ტაქსის დაქირავებას გირჩევთ.



Quinta da Regaleira

პენას სასახლის გარდა სინტრაში არაერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლია. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კინტა დი რელოჟიოა Palácio e Quinta da Regaleira. მავრიტანულ სტილში აშენებული ეს სასახლე, რომელიც ექსცენტრიკულ ინგლისელ მილიონერს ეკუთვნოდა, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია. ამობოხენ, რომ მისი პატრონი ოკულტიზმით იყო გატაცებული. არავინ იცის, ამით აიხსნება თუ არა სასახლის პარკის მომაჯადოებელი გარემო, მაგრამ ცხადია, რომ კვინტა დე რელოჯიო წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. სასახლეს ახალი პატრონი 2017 წელს გამოუჩნდა – ის ამერიკელმა პოპ-ვარსკვლავმა – მაღონამ შეიძინა.



ბილეთის ფასი: 12 €.

ღია: 1-ლი აპრილი-30 სექტემბერი – 09.00-20.00; 1-ლი ოქტომბერი-31 მარტი – 09.00 18.00



ხელდასხმის ჭა – სპირალური გალერეა მიწის სიღრმეში ცხრა თაღოვანი არისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულს 15 საფეხური აქვს. ლეგენდის თანახმად, ჭა დანტეს მიერ აღწერილი ჯოჯოხეთის, სამოთხის და განსაწმენდლის ცხრა სკნელის სიმბოლოა. ჭის ძირში მონტიერუს გერბზე ტამპლიერების რვაქმიანი ვარსკვლავია. გადმოცემის თანახმად, ჭასთან მასონების რელიგიური რიტუალები ტარდებოდა.



კაშკაიში (Cascais) და იშტურილი (Estoril), ანუ ლისაბონის ჩრდილოეთით მდებარე სანაპიროები, კოსმოპოლიტურ სამოგზაურო ადგილად მას მერე იქცა, რაც მეფე ლუიშ I-მა 1870 წელს კაშკაიშის ყურეში მდებარე ციხესიმაგრე საზაფხულო სამეფო რეზიდენციად გადააკეთა. რბილმა კლიმატმა და წელიწადში 260-მა მზიანმა დღემ განაპირობა, რომ სამეფო წყვილის კვალდაკვალ ევროპის არისტოკრატიულმა ოჯახებმა აქ თავიანთთვის მდიდრული სასახლეები ააგეს. ეს დასახლება თვალსა და ხელს შუა ბრწყინვალე კურორტი გახდა.



დედაქალაქიდან 20 კმ-ში მდებარე კაშკაიშში ლისაბონიდან ზღვის გასწვრივ მიმავალი გზით (Estrada Marginal), ანდა მატარებლით შეგიძლიათ გაემგზავროთ. მთელი მარშრუტის მანძილზე მდ. ტეჟუს ხეობისა და იშტურილის ცნობილი სანაპიროს თვალწარმტაცი პეიზაჟები თვალწინ ცოცხლდება. კაშკაიშის მთავარ ღირსშესანიშნაობად კვლავაც მისი პლაჟები რჩება. შეგიძლიათ დაისვენოთ როგორც ყურეში მდებარე, ისე გინშუს პლაჟებზე, რომლებიც საგარეუბნო პარკის, სინტრა-კაშკაიშის ნაწილია. აქ შესანიშნავი პირობებია სერფინგისა და ვინდსერფინგისათვის.

ამჟამად მთელ სანაპიროზე დიდებული პლაჟებია, რომელთა შორის ყველაზე ვრცელია გუინიუ – სერფერებისთვის ტემპარირი სამოთხე, რადგან აქ მუდამ ვეება ტალღებია.



FORTALEZA DO GUINCHO
სასტუმროს რესტორანი, სამი მიწოდების ვარსკვლავით, ადგილობრივი სამზარეულოს კერძებს გვთავაზობს.

აქვეა შესანიშნავი ბარი და ეზოც. Fortaleza პრესტიჟული გასტრონომიული ადგილია, მაგრამ ფასები აქ საკმაოდ ხელმისაწვდომია.
Estrada do Guincho



MUSEU DOS BISCAINHOS
„არისტოკრატის ციხესიმაგრე“ რამდენიმე საუკუნის წინათ დიდგვაროვან ოჯახს ეკუთვნოდა. დღეს კი ამ ნაგებობაში Museu dos Biscainhos მდებარეობს. კოლექცია მოიცავს რომის იმპერიის ეპოქის ფასდაუდებელ არტეფაქტებს.
Av. Rei Humberto II de Itália

CONVENTO DE NOSSA SENHORA DA PIEDADE
დედათა მონასტერი XVII საუკუნის შუა ხანებში დაარსდა. წლების განმავლობაში აქ მსოფლიოშიპირველი(ოფიციალური) ფილოსოფიის სკოლა მდებარეობდა. დღეს აქ კულტურის ცენტრია განთავსებული.
Av. Rei Humberto II de Itália



MUSEU CONDES DE CASTRO GUIMARÃES
კაშკაიშში მრავალი დიდებული სასახლეა შემორჩენილი. მათგან ყველაზე ცნობილია პალასიო დე კონდე დე კასტრო გიმარაიში. ამ სასახლის კედლებში დღეს საინტერესო მუზეუმა, რომელშიც 25 000 წიგნი ინახება. ეს პორტუგალიაში წიგნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლექციაა. მათ შორისაა ნამდვილი არქიტექტები, რომელთა ასაკი 500 წელზე მეტია.
**Av. Rei Humberto II de Itália
Parque Marechal Camona**

**ბრიტანელი მხატვრის, კაულა რაგუს მუზეუმი
CASA DAS HISTÓRIAS PAULA REGO, არქიტექტორი:
ედუარდო სოუზა და მორა.**



GRANDE REAL VILLA ITALIA
უნიკალური ისტორიული შენობა ოდესღაც სამშობლოდან განდევნილ იტალიელ მეფეთა რეზიდენციას

წარმოადგენდა. Grande Real Villa Italia-ს გარს აკრავს ქვის ფართო ტერასები, და აუზი. აღსანიშნავია ანტიკვარიატითა და ხელოვნების ნიმუშებით შემკული დიდებული ინტერიერი, რომელიც იშვიათი ჯიშის ხითა და რჩეული მარმარილოთია მოპირკეთებული.
R. Frei Nicolau de Oliveira 100



ESTORIL

ლისაბონიდან 15 კმ-ში, კაშკაიშის უბის სანაპიროზე მდებარე იშტურილი პორტუგალიის ტურისტული ინდუსტრიის ცენტრია. აქ უამრავი მაღალი კლასის სასტუმრო და ლამის კლუბია.

პატარა დასახლებული პუნქტი XIV საუკუნეში უმსხვილეს სავაჭრო ნავსადგურად იქცა. იშტურილი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა – ის პირველადმოჩენების, ვაჭრებისა და მთელი დანარჩენი ევროპის ერთმანეთთან დამაკავშირებელი რგოლი იყო. შემდგომში, დიდი ხნის განმავლობაში, იშტურილი თევზსაჭერი პორტი იყო და მხოლოდ XIX ს-ის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში იქცა ტურისტულ ცენტრად.

იბტურილი საზაფხუო ოჯახების და არისტოკრატების საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახლდათ. სხვადასხვა დროს ეს ქალაქი ტახტიდან ჩამოგდებადებული მეფეების თავშესაფარიც იყო, მათივე მსოფლიო ომის დროს მიგრანტების ახალი სახლიც და „ამერიკაში მანკილი ფანჯარაც“.

იშტურილი ატლანტიკური კლიმატია. ზაფხულის გრძელ დღეებს ზამთრობით თბილი წვიმიანი ამინდი ცვლის. მას მსოფლიოს ყველაზე მზიან ქალაქსაც უწოდებენ. ასეთ სითბოს გოლფსტრიმი განაპირობებს, ამიტომაც მთელი წელი პლაჟის სეზონია. თუმცა ყველაზე პოპულარულად მაინც ზაფხულის თვეები მიიჩნევა, როცა ჰაერის ტემპერატურა +30, ხოლო წყლის – +20 გრადუსია.



მომზაურებს იბტურილი შანსიონავი სანაპიროები, სუთა ჰაერი და დასვენების აპტიური სახიობები იზიდავთ. აქ ღიადი ვილაი, ბრწყინვალე სასახლეები, მაღალი კლასის სასტუმროები და ოქროსაქვიანი კლუბები.



CASINO ESTORIL

იშტურილის კაზინო ევროპაში ყველაზე დიდ სათამაშო სახლად მიიჩნევა. მეორე მსოფლიო ომის დროს აქ უამრავი ჯაშუმი ჩამოდიოდა და საომარი ავანტიურები იგეგმებოდა. ეს კაზინო სახელგანთქმული ინგლისელი მწერლისა და ჟურნალისტის, იან ფლეშინგის (ჯეიმს ბონდის შესახებ რომანების ავტორი) საყვარელი ადგილი იყო – სწორედ აქ სტუმრობის შემდეგ დაებადა მას იდეა, დაეწერა ახალი წიგნი ჯეიმს ბონდზე – „კაზინო როიალი“.

ყოველდღიურად იშტურილის კაზინოში გალაკონცერტები იმართება. კლიენტის გარეგნობას დიდი ყურადღება ექცევა. მაგ., რუღეთის სათამაშოდ თუ წახვალთ, აუცილებლად ჰალსტუხი უნდა გექეთოთ და შესვლისას პასპორტი წარადგინოთ. აქ ყოველდღიურად შესანიშნავი მუსიკა ცოცხალი მესრულებით ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე ჟღერს.

გასართობი დარბაზების გარდა კაზინოში არის ხელოვნების გალერეა, სადაც შეგიძლიათ რჩეული თანამედროვე მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრები დაათვალიეროთ.




კორკის მუხა 212 წლისაა. ამ ხისგან უკვე ტონა-ნახევარი ქარქის მოსავალი აიღეს.

მუხის ქერქისაგან ბოთლის საცობების დამზადებას საფუძველი ქრისტიანმა ბერმა დომ პერინიონმა ჩაუყარა. მან XVII საუკუნის შუა ხანებში ასამდე სხვადასხვა მასალა გამოსცადა და დაასკვნა, რომ არც გაპოხილი ძენძი, არც კანაფშემოხვეული ხის ნაჭერი ისე კარგად არ ინახავს ღვინოს, როგორც მუხის ქერქისგან დამზადებული საცობი.

კორკის მუხის ქერქი არ იწვის, წყალში თავის თვისებებს არ კარგავს, არ ატარებს სითხესა და აირებს. მიჩნეულია, რომ ჰაერის ის უკიდურესად მცირე რაოდენობა, რომელიც შეიძლება კორკის ფორების გავლით ბოთლში აღმოჩნდეს, ღვინოს ხარისხს მხოლოდ და მხოლოდ აუმჯობესებს. ამგვარი საცობი შეკუმშვის შემდეგ თავის პირვანდელ მოცულობას ნაწილობრივ აღიდგენს, რის წყალობითაც ბოთლის ყელში მჭიდროდ ჯდება.

მსოფლიოში კორკის საცობების ნახევარზე მეტს (52,2%) პორტუგალიაში აწარმოებენ.



საცობის დასამზადებლად მუხის მხოლოდ ორი სახეობაა გამოყენებული: კორკის და ჩრდილოური.



მრავალწლოვანი მუხის ხეები, რომლებიც ამ ფასეული ნედლეულის წყაროა, უნიკალური მეცნარეებია; ისინი ძალიან დიდხანს ცოცხლობენ და რეგენერაციის არაჩვეულებრივი უნარი აქვთ.

კორკის მუხა (Quercus suber L) 25 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ყოველ ცხრა-ათ წელიწადში ერთხელ ახალ ქერქს იკეთებს. სპეციალური ცულით ხის ტანზე ქერქს გრძივად და წრიულად აპობენ, რის შემდეგაც თითო ნაჭერს ისე ფრთხილად ატრიან, რომ მერქანი არ დაზიანდეს.

სამუშაოები მიისის დასაწყისიდან აგვისტომდე ტარდება, ძალიან ცხელი დღეების გამოკლებით, როცა შესაძლოა ხორშაკმა ქარაბმა ქარქის გარეშე დარჩენილი ხის ნაწი ზედაპირი დააზიანოს. მუხები „აფსაბან“ მათივე სათაყობადად იყენებენ და მოვიდად ახალ მუხებს დაელოდებიან და მუხების გარე ნაწილს იძლევიან ახალ ნედლეულს.

ღვინის ბოთლის ხარისხიანი საცობის დამზადება შესაძლებელია მხოლოდ მესამე მოსავლის აღების შემდეგ, რომელსაც მთელ სიღრმეზე სასურველი სტრუქტურა აქვს. ამის მერე კორკის მუხა ყოველ ათ წელიწადში ერთხელ, საუკუნუნახევრის განმავლობაში იძლევა ნედლეულს და ერთი ხისაგან სრულფასოვანი, შესანიშნავი მოსავალი დაახლოებით 15-16-ჯერ მიიღება.

ქერქს მხოლოდ ხელით ჩატარებული სამუშაოების შედეგად აცლიან. ქერქის ფენებს უზარმაზარ როფებში ხარშავენ, ამრობენ და გამოუსადეგარი ნაწილებისგან ათავისუფლებენ. ამის შემდეგ რამდენიმე პირ წყალში ხელახლა ხარშავენ და 9-12 თვის განმავლობაში ნესტიან მდგომარეობაში ინახავენ. მერე ქერქის ფენებს წყალში მესამედ წამოადულებენ, მზა ნაწილებად ტრიან, კიდევ სამ თვეს ინახავენ და მხოლოდ ამის მერეა აძლევენ საცობის საბოლოო ფორმას.

ნაწარმს ფაქიზად და მზრუნველობით, ხელით ახარისხებენ, ამოწმებენ, ხომ არ დარჩა მასში უცხო სუნები და ნივთიერებები, რომლებმაც შესაძლოა ღვინის გემობრივი თვისებები შელახოს. ამის შემდეგ ვაკუუმის შეფუთვაში მოთავსებული საცობები ღვინის მწარმოებლებს ეგზავნებათ. პორტუგალიაში კორკის მუხის ტყეებს 730 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს, ყოველ ხეზე რიცხვს შენიშნავენ – ეს ის თარიღია, როცა მუხას ქერქი შემოაცალეს.

პორტუგალიაში ასწლეულების განმავლობაში კორკის მუხის ტყეებს, როგორც ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილს, კანონი იცავს. ტყეების აღდგენის დღევანდელი ტემპი კი წელიწადში 10 ჰექტარს შეადგენს.



ღვინის მოყვარულთა გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ რაკონდებთან 75% ათთლში ჩამოსხმულ „დაბადილ“ ანუ თავდაცობილ ღვინოს ანიჭავენ უპირატესობას. ამასთან, 69% მიიჩნევენ, რომ ბუნებრივი კორკის საცობი სასმლის უკეთესი ხარისხის გარანტიაა.



CABO DA ROCA

პორტუგალიელები არ შემცდარან, როცა ამ პირქუშ, ფრიალო კლდეს ქვეყნის დასალიერი უწოდეს. კაბუ და როკას კონცხი ევრაზიის კონტინენტის უკიდურესი დასავლეთი წერტილია.

იმის იქით ატლანტის ოკეანე და ჩრდილო ამერიკაა. აქ, მიწის კიდზე, თავს კოსმოსში გაბნეული ქვიშის მარცვლივით უსუსურად იგრძნობთ. სტიქიის ძალა გაგაოგნებთ.

დატკბით მოლივლივ დაისის ფანტასტიკური ფერებით – აქ მზე პირდაპირ ოკეანეში ჩაესვენება.

BOCA DO INFERNO

პატარა ყურეს ბოკა დუ ინფერნუს დამრეცი კლდეები და მღვიმეები აკრავს, მათზე შეხეთქებული ტალღები გამოსცემს არაჩვეულებრივ ხმას, რომელიც გარეული მხეცის ღრიალს ჰგავს. ადგილობრივები აქაურობას მისტიკურ ადგილად მიიჩნევენ. არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც კლდის ახლოს მიწისქვეშა სამყაროში ჩასასვლელი მდებარეობს.





ALGARVE

ალგარვეს რეგიონში მთელი წელი (3000 სთ) მზე, რბილი კლიმატი, ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე გადაჭიმული შესანიშნავი თეთრქვიშიანი პლაჟები, ოქროსფერი კლდეებით შემოსაზღვრული პატარა უბეები, მუდამ მშვიდი, თბილი და ლურჯი ოკეანეა. რია ფორმოსას (Ria Formosa) ლაგუნასა და ზღვას შორის თითქმის უდაბური კუნძულებია.

ალგარვეს 200 კმ-იანი სანაპირო ზოლი საუკეთესო ადგილია ყველა სახეობის საწყლოსნო სპორტისთვის, იაღქნიანი ნავების, სერფინგისა და ვინდსერფინგისთვის.

ალჟებურთან (Aljezur) მდებარე სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროდან უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტამდე (Vila Real de Santo António) 200 კმ-ზე სხვადასხვაგვარი პლაჟებია გადაჭიმული. მათი უმეტესობა საუკეთესოაა დაცული და ევროპული „ხარისხის ნიშნის“ – „ლურჯი დროშის“ მფლობელია.



ალგარვეში ყველაფერია საიმისოდ, რომ განიტვირთოთ და სიცოცხლით დატკბეთ. ნაოსნობისა და მეკობრეობის ისტორია აქაურობას განუმეორებელ სიბლს სძენს. ის თითქოს გრძელდება მეთევზეთა იმ ფერადოვანი ტრალბოტებისა და მთელი მსოფლიოდან შემოსული იახტების პეიზაჟში, რომლებიც წყალზე ირწყვიან.



ლაგუშს დიდებული ისტორია აქვს. მისი ძველი სახელი ლაკობრიკაა. ახალ წელთაღრიცხვამდე 2000 წლით ადრე აქ კელტური ტომები დასახლდნენ, რომლებიც ფინიკიელებმა განდევნეს, მერე ბერძნები მოვიდნენ, შემდეგ – კართაგენელები. ეს ადგილი რომის ეპოქაში აყვავდა. X საუკუნეში არაბებმა ლაგუში დამცავი ციხესიმაგრით შემოსაზღვრეს. 1249 წელს ის პორტუგალიის სამეფოს მფლობელობაში დაბრუნდა.

XV საუკუნე ლაგუშის ოქროს ხანაა – დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა. აფრიკის კონტინენტის მოპირდაპირედ მდებარე ლაგუში უმნიშვნელოვანეს ნავსადგურად იქცა, საიდანაც გამგზავრებულ კარაველებს ეგზოტიკური საქონელი, სპილოს ძვალი და ოქრო-ვერცხლი პორტუგალიაში ჩამოჰქონდათ.



AVENIDA DOS DESCOBRIMENTOS-იდან საფეხმავლო ხილით იახტების უმხვენიარეს ნავსადგურში (MARINA DE LAGOS) აღმოჩნდა. უამრავ კაბარს შორის წყალზე დგას CARAVELA BOA ESPERANÇ – ძველი კოტაუგალიური კარავალაბის ასლი.

ლაგუშში თქვენი მარშრუტი Forte da Ponta da Bandeira-დან დაიწყეთ. თუ აღმოჩენების სახელობის პროსპექტს გადაკვეთთ, პირდაპირ XIV ს-ის გუბერნატორების ციხესიმაგრეს (Castelo dos Governadores) მიაღვებთ.

ახლოსვე მდებარეობს XV ს-ის წმ. ქალწულის ტაძარი (IGREJA DE SANTA MARIA), მანსაკაუტრებით სანიტარასო XVIII საუკუნის საკურთხეველი.

მოინახულეთ IGREJA DE SANTO ANTÓNIO – პირაუში ფასადით, მოუარულ-ჩუპურთმებიანი ინტერიარით.



აღმოსავლეთით ხუთ კილომეტრზე გადაჭიმულია Meia Praia-ს სანაპირო, რომელიც ლაგუნა ალგორით მთავრდება. მეორე მხარეს უფრო პატარა პლაჟებია. ნაპირს, რომელსაც სუფთა ტალღები ელამუნება, განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს ეროზიით ამოღრმავებული კლდეები.

ასეთი პლაჟებია: Batata, Pinhão, Dona Ana და Camilo, რომლებზე მისვლაც ლაგუშის ცენტრიდან ადვილად შეიძლება.



ალგარვე 40 ილა-ლური მოედნით, არაერთხელ აღიარეს მოღვის სათამაშო საუკეთესო ადგილად რომორც პროფესიონალისთვის, ისა მოყვარულ-ბისათვის.



BENAGIL

პლანეტის უმშვენიერეს პლაჟად აღიარებული, ბუნების ნამდვილი საოცრება, ალგარვეს შემოგარენში, სოფელ ბენაჟილთან მდებარეობს. აქ კრისტალურად სუფთა, ქვიშიანი სანაპირო, კლდოვანი წარმონაქმნები და მღვიმეებია. წყალი ისეთი გამჭვირვალეა, ოკეანისქვეშა მრავალფეროვანი სამყაროს დათვალიერებასაც შეძლებთ. ერთ-ერთ მორკალულ კლდესთან „საიდუმლო“ პლაჟია, სადაც მხოლოდ ზღვიდან მოხვდებით.



YELLOW LAGOS MEIA PRAIA

სასტუმრო დამსვენებლებს ლუქსის კლასის 200 ნომერს სთავაზობს. ყველა ოთახი მშვიდი, ნათელი ფერისაა და ექსკლუზიური ავეჯითაა გაწყობილი. ნომრებიდან მოჩანს სანაპიროზე და სასტუმროს აუზზე გამავალი პანორამული ხედი. აქვია საერთაშორისო სამზარეულოს შესანიშნავი რესტორანიც, ხოლო ბარში რეგიონული ღვინოების საუკეთესო სახეობებს შემოთავაზებენ.

R. Jardim da Meia Praia, 8600-315 Lagos



BOUTIQUE HOTEL MIRANDA

დიდებული ნომრები სხვადასხვა სტილითაა გაფორმებული; ზოგიერთი მათგანი მინიმალისტურია და თანამედროვე ავეჯითაა გაწყობილი, ზოგან კი კლასიკური დიზაინი და დახვეწილი



VALMAR VILLAS

Valmar Villas მშვენიერი ისტორიული შენობების კომპლექსს მოიცავს, ამიტომაც ნომრებსა და დარბაზებში შემორჩენილია რესტავრირებული ხის ჭერი და ქვის მოპირკეთების ელემენტები. ყველა ნომერი ლამაზი ხის ავეჯითაა გაწყობილი, რომელსაც ხელნაკეთი დეტალები ამშვენებს. სასტუმროში ძველი ტილოებისა და ფოტოების საინტერესო კოლექციაა წარმოდგენილი.

Estr. do Monte Carapeto 11



ანტიკვარული ავეჯი დაგხვდებათ. ყველგან ფერადოვანი ტექსტილი და განათების საინტერესო სისტემა. ოთახებს ელევანტურ ელფერს ხით მოპირკეთებული ელემენტები ანიჭებს.

Rua das Violetas - Porto de Mós

ARTISTAS

ამ რესტორანში გვთავაზობენ ადგილობრივი სამზარეულოს ყველაზე პოპულარულ მენიუს, ასევე, ზღვის პროდუქტების საავტორო კერძებს.

R. Cândido dos Reis 68



OASIS

ეს რესტორანი ქალაქში ერთ-ერთი პოპულარული ადგილია, ამიტომ მაგიდა წინასწარ დაჯავშნეთ.

Marina de Lagos, Loja 15 e 16



ARRIBALE

კერძების ჩინებული ხარისხის გარდა ამ რესტორანში გამორჩეულად კეთილგანწყობილი პერსონალია. აქაურობა განსაკუთრებით მათ მოეწონებათ, ვისაც სადილობა თევზების დახვეწილი კერძების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნია.

R. de Sá 40



FARO

ფარუ ალგარვეს რეგიონის დედაქალაქია. რია ფორმოზას ლაგუნას, რომელსაც ველური ბუნების უდიდეს ნაკრძალად მიიჩნევენ, აქ ყველაზე ფართო ტერიტორია უკავია. ეს ევროპაში იმ მცირერიცხოვან ადგილთა რიცხვშია, სადაც ხელუხლებლად შენახული სანაპირო ზოლი, თავისი ტბებით, პატარა კუნძულებითა და ტაობებით.

ძველ ისტორიულ ქალაქში ყურადღება მიაქცეით კათედრალურ ტაძარს, მის მიმდებარე XVII საუკუნის საეპისკოპოსო სასახლეს და არკუ და ვილას თაღოვან კარიბჭეს. რვა კილომეტრის სიგრძის ქვიშიანი სანაპირო ლაგუნითაა შემოსაზღვრული. პლაჟებზე ყველა პირობაა საიმისოდ, რომ იალქნიანი ნავეებით ისეირნოთ ან, უბრალოდ, ფეხით სიარულით ისიამოვნოთ.



ფარუსთან ახლოს მდებარე კუნძულ კულატრაზე, სადაც ფარუდან ან ოლიანიდან წყლის ტრანსპორტით 45 წუთში მოხვდებით, მდებარეობს პორტუგალიის ყველაზე სამხრეთი წერტილი.

აქ, სანტა მარიას კონცხზე ულამაზეს შუქურას დაინახავთ.



PRAIA DA ILHA DE FARO

იმ კუნძულთა ჯაჭვში, რომლებიც ლია ოკეანისგან რია ფორმოზას ლაგუნას გამოყოფს, დასავლეთის მხრიდან ფარუს კუნძული მდებარეობს. ის ბუნებრივი ნაკრძალის ტერიტორიაში შედის. აქ ბევრი რესტორანია, რომელთა მენიუში მთავარი დელიკატესია უგემრიელესი თევზის კერძი – ევროპული სოლეა ბრინჯით.



DESERTA

ფარუში პოპულარული მარშრუტია დაუსახლებელი კუნძული დებერტა. აქ წყლის ტაქსით შეგიძლიათ გაემგზავროთ. კუნძულის მთავარი ღირსება ულამაზესი თეთრქვიშიანი პლაჟებია. აქაური ინფრასტრუქტურის ერთადერთი ობიექტი პატარა რესტორანია. დებერტაზე სრული განმარტოების ატმოსფეროში შეგიძლიათ დაისვენოთ, უმშვენიერეს უდაბურ ადგილებში ისეირნოთ, ხოლო საღამოს რესტორანში ივახშმოთ და დაისით დატკბეთ.



TASCA

ფარუს მრავალ რესტორანს შორის გამორჩეულია Tasca-ს ეროვნული სამზარეულო. აქაური კონცეფციის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი პორტუგალიური კერძების დაუსრულებელი სია და ულუფების შთამბეჭდავი მოცულობაა.

R. do Alportel 38

CAMANÉ

ფარუს ცენტრალური პლაჟის ტერიტორიაზე ეროვნული სამზარეულოს კიდევ ერთი ყველაზე პოპულარული რესტორანი მდებარეობს. ჯობს, მაგიდა წინასწარ დაჯავშნოთ.

Av. Poente 9



DOIS IRMÃOS

ულამაზეს ძველ ნაგებობაში რესტორანი Dois Irmãos-ია, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კერძით გაგიმასპინძლებიან.

Praça Ferreira de Almeida 15

MONTE DO CASAL

რესტორანი სოფლურ ტავერნას მოგაგონებთ, მაგრამ გამორჩეულად პოპულარულია იმ გურმანებს შორის, რომლებსაც გრილზე მომზადებული თევზული მოსწონთ.

Cerro do Lobo

POUSADA DE SÃO BRÁS

პორტუგალიური ღვინოების მოყვარულთათვის ეროვნული სამზარეულოს რესტორანში, Pousada de São Brás-ში სტუმრობა საინტერესო კულინარიული თავგადასავალი იქნება. აქ მთელ კუნძულზე ყველაზე დიდი ღვინის სარდაფია. ღვინის მრავლისმომცველ რუკასა და დიდებულ მენიუში ღირსეული შემოთავაზებები დახვეწილი გურმანებისთვისაც მოიძებნება.


São Brás de Alportel



ჩაის სმის რიტუალი

ჩაის სმის საყოველთაოდ ცნობილი რიტუალის (five o'clock tea) ტრადიცია ინგლისში პორტუგალიის გავლენით წარმოიშვა. პორტუგალიელები კონტინენტზე მცხოვრებთაგან პირველები იყვნენ, ვინც 1543 წელს იაპონიაში ყოფნისას ჩაის კულტურას ეზიარნენ. ბებერ კონტინენტზე ჩაის გავრცელებაშიც უმნიშვნელოვანესი როლი აქაურმა ზღვაოზღაპრეებმა შეასრულეს. მე-16 საუკუნეში ევროპაში ჩაის შემოსატანად ჩინეთის მარშრუტის ათვისება პორტუგალიელებმა ყველას დაასწრეს; ხოლო 1750 წელს ჩაის პლანტაციებიც ასევე პირველებმა გააშენეს.

ცოთა მოგვიანებით პროტაბალიზმა პრინცესამ კაბარინა ბრამანცელმა, რომელიც ინგლისის მეფე კარლ II-ს ცოლად გაჰყვა, წარმოუდგინა შიდარულ მართავთაძე ქართლ ნიხლიან ალბიონა ჩაითი სავსა კოლოფიც ჩაიტანა. დადოვალმა სულ მალე ინგლისელთა და თანდათან ჩაის სმა იქაური ყოფის განუყრელ რიტუალად იქცა. დღეისათვის წმინდა ინგლისურ რიტუალს პროტაბალიზმად CHA DAS CINCO ანუ „ჩაის სმა 5 საათზე“ ეძღვნება.



არისტოკრატებს ჩაის სმის რიტუალი შესაძლებლობას აძლევდა, ფაიფურის დიდებული, ძვირადღირებული სერვისების დემონსტრირება მოეხდინათ და სტუმრები ნამცხვრების მრავალფეროვნებითაც გაეკვირვებინათ. სახლგანთქმული მინის დინასტიის ჩინური ფაიფური პირველად ევროპაში პორტუგალიელებმა ჩაიტანეს. ასე რომ, მსოფლიოში ცნობილი ტრადიციის დაბადება, რომლითაც ინგლისელები დღეს ასე ამაყობენ, სწორედ პორტუგალიის დამსახურებაა.

CARIOCA DE LIMÃO – თუ ტიპურ პროტაბალიზ კავშირებს უნდა გავხსნათ, აუცილებლად ლიმონის „კარიოკა დე ლიმონს“ მოგართმევთ. ეს ახალგაზრდა ლიმონის ქარაის ნაყინია.

ჩვენთვის კარგად ნაცნობ ლიმონის შაჰ ჩაის პროტაბალიზმ არ სვამენ, ხოლო ზომიერად კაჭკაჭი შაჰ ჩაის სასაღამოს ჩაშონათვალში საერთოდ ვერ იპოვით.



ზეთისხილის ტურიზმი

ბილის არომატით, ოდნავ მსუყვე სურნელით, ოქროს ან მოყვითალო-მომწვანო ფერით, მუავე, ცხარე თუ მარილით შეზავებული, რბილი ანდა ინტენსიური გემოთი – სწორედ ასეთია პორტუგალიური ზეთუნის ზეთი.

პორტუგალია იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებზეც ხმელთაშუა ზღვის კლიმატი ძლიერ გავლენას ახდენს. ზეთისხილის ბაღები მის პეიზაჟებში შთამბეჭდავად დომინირებს. ნიადაგის თვისებები და ბუნებრივი გარემოს განსხვავებები ზეთისხილის ჯიშების მრავალფეროვნებას განაპირობებს, ამიტომაც პორტუგალიაში ზეთისხილის მალაზხარისხოვანი ნაყოფისა და ზეთუნის ზეთის მდიდარი არჩევანია.

პორტუგალიაში ყოფნისას იმ ადგილების მოსანახულებლად შეგიძლიათ გაემგზავროთ, სადაც საუკეთესო ზეთუნის ზეთს ამზადებენ. საგანგებო ტურები ტარდება რეგიონებში: Trás-os-Montes, Beira Interior, Ribatejo, Moura, Alentejo Interior და Norte Alentejano.

პორტუგალია ლიდერია ზეთუნის ზეთის იმ უნიკალური სახეობებისა და კუპაჟების შექმნაში, რომლებიც მოსავლის თავისებურებებს, მისი ალების ვადებს, მომხმარებლის ტიპსა და ა. შ. შეესატყვისება.



ზეთუნის ზეთის მრავალსახოვანი პირამიდის უმაღლეს წერტილში ექსტრაქტასის ბუნებრივი ნაწარმი – AzeiteVirgem Extra დგას, რომელიც პორტუგალიის ზეთუნის ზეთის ინდუსტრიის სიამაყის მთავარი საგანია. ამ სახეობას, რომელიც მსოფლიო ზეთუნის ზეთის წარმოებაში მხოლოდ უმნიშვნელო წილს შეადგენს, ჯანსაღი, სიმწიფის შესაბამის საფეხურს მიღწეული ზეთისხილის ნაყოფისაგან ამზადებენ. ის მხოლოდ მყენიკური დაწურვის მეთოდით, გაცხელების გარეშე მიიღება, რაც მას ჩინებულ გემოსა და სურნელს ანიჭებს, ვიტამინებსა და ანტიოქსიდანტებს უნარჩუნებს.

კულინარიაში ასეთი პროდუქტი სალათებისა და სხვა ახალმომზადებული კერძებისთვის (წვნიანები, რაგუ და ა. შ.) იდეალურ საკმაზად მიიჩნევა. საერთოდ, ზეთუნის ზეთის ეს სახეობა სუფრეზე შეუცვლელია, რადგან კერძს საბოლოო, უგემრიელეს ნიუანსობრივ შტრიხს სძენს.

მას ასევე იყენებენ, როგორც ერთგვარ სოუსს, პურის ამოსაწობად. ამიტომ გირჩევთ, პორტუგალიაში ყოფნისას აუცილებლად მიირთვით ტიბორნა (tiborna) – გახსული პური ზეთუნის ზეთით.

თუ ზეთისხილის ტურს ვერ დაგეგმავთ, უგემრიელესი ზეთუნის ზეთის დაგემოვნება ლისაბონში, Banca de Pau-ს მალაზია-რესტორანში შეგიძლიათ, სადაც Trás-os-Montes-ის რეგიონის საუკეთესო პროდუქტებს ყიდიან.

ასწლოვანი ხეების ნაყოფისგან დაწურული ზეთის – Casa de Santo Amaro Praemium-ის დეგუსტაცია 5€ ღირს. ზეთუნის ზეთის ყოველ მარკას თავისი განუმეორებელი სურნელი და გემო აქვს. ეს მახასიათებლები ისეთი ფაქტორებითაა განპირობებული, როგორიცაა: კონკრეტული ადგილის კლიმატი, ხის ჯიში (სახეობა) და ნაყოფის სიმწიფის ხარისხი. დეგუსტაცია საშუალებას გაძლევთ, განსაზღვროთ გემოს სამი ძირითადი მახასიათებელი: ზეთში არსებული ბილის გემოს ხარისხი, სიმუავე და სიცხარე. გირჩევთ, ასევე მიირთვათ ზეთისხილი ნუშით და მოცვის მდოგვით.

ღიაა: ყოველდღე, გარდა კვირისა – 12.00-23.00

Banca de Pau; R. Nova de São Mamede 38A, Lisboa





საზღვაო ტურიზმი

ატლანტის ოკეანის შუა ნაწილში მდებარე პორტუგალიის ვრცელი სანაპირო ნამდვილი ედემია ზღვაზე გასეირნების მოყვარულებისთვის. ისინი აქ ყველა იმ მშვენიერებას აღმოაჩენენ, რომელსაც კი ოკეანის პეიზაჟისგან მოელოდა.

მშვიდი წყლები, რომლებიც იდეალურად ეხამება წყნარ ცურვას, ანდა ვეება ტალღები, ადრენალინის მოზღვავეებს რომ განაპირობებს – ოკეანე თქვენ წინაშე თავისი სამყაროს სხვადასხვა განზომილებით წარდგება და მას მხოლოდ ის ადამიანები გაუგებენ, რომლებსაც წყალი უყვართ. ზღვის სილამაზე – ეს არის „მუდმივი სიდიდე“, რომელიც ხან ნაპირზე აღმართულ დიდებულ კლდეებში, ხან ქვიშიან დიუნებში ვლინდება. აქ საწყლოსნო სპორტის ნებისმიერი სახეობისთვის საუკეთესო ადგილებია.

რეგატების ჩასატარებლად პორტუგალიის სანაპიროს ზოგიერთი ზონა მსოფლიოში საუკეთესოადაა მიჩნეული, ამიტომ აქ მუდმივად იმართება სხვადასხვა შეჯიბრება და საერთაშორისო ჩემპიონატები.



VOYAGER კომენტარი

ოქტომბრის ბოლო კვირა დღის 1-ლი საათიდან მარტის ბოლო კვირა დღის 1-ლ საათამდე ოჯიციანული დრო კონტინენტურ პორტუგალიასა და მაღიკაზა მსოფლიო დროს ემთხვევა. მარტის ბოლო კვირა დღის 1-ლი საათიდან ოქტომბრის ბოლო კვირა დღის 1-ლ საათამდე პორტუგალია ზაფხულის დროზეა, რომელიც ერთი საათით უსწრებს მსოფლიო დროს.

ზღვის სიღრმეებში წყალქვეშა ცურვის მოყვარულები შეძლებენ მრავალფეროვანი, მდიდარი ბიოლოგიური სამყარო აღმოაჩინონ – ფერადი თევზებითა და ნამდვილი საუკუნოვანი საგანძურებით.

პორტუგალიის ისტორია იმ ზღვაოსანთა მიღწევების ისტორიაა, რომლებმაც შორეულ ეპოქაში გადალახეს ოკეანე, სახიფათო ყურეები, მძლავრი დინებები, რათა დედამიწის მეორე კიდეზე მიეღწიათ. დღეისთვის საზღვაო ნავიგაცია თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით ხორციელდება, თუმცა ზღვისა და თავგადასავლების სიყვარული ყოველ პორტუგალიელს სისხლში აქვს გამჯდარი. ისინი სტუმრებს სიყვარულით ეგებებიან, განსაკუთრებით კი, ზღვიდან მოსულებს.



ის, ვინც პორტუგალიაში საკუთარი იახტით მოემგზავრება, მთელი ქვეყნის სანაპიროზე იპოვის შესაფერის ყურეს და წყალზე გასეირნებისთვის ხელსაყრელ ნავსადგურებს, სადაც უსაფრთხოდ შეძლებს ღუზაზე დგომას. ნავსადგომებში შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა სახის საჭირო მომსახურებაა, საიდანაც ფერწერული პორტუგალიის გასაცნობად შეგიძლიათ გზა ხმელეთზე გააგრძელოთ.



ლისაბონში საუკეთესო „სათვალთვალო მოედანი“ მდინარე ტეჟუა. კრუიზებს კომპანია Transtejo ახორციელებს. ძირითად ტურებს შორის პირველი – „ლისაბონის ხედები“ (20€, გამგზავრება Terreiro do Paço ferry terminal-იდან) – ორსაათ-ნახევრის განმავლობაში დროში გამოგზავრება. თვალწინ გადაგეშლებათ ქალაქის წარსული, აწმყო და მომავალი. მეორე ტური – „გეოგრაფიული აღმოჩენები“ (15€, გამგზავრება Cais do Sodré ferry terminal-იდან) ერთ საათში პორტუგალიის იმპერიის მთელ ისტორიას მოგიხსნობთ.



რკინიგზა

კომპანია CP-Comboios de Portugal (www.cp.pt) რკინიგზის ფართო ქსელს ემსახურება, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავს და პორტუგალიას მადრიდას და პარიზთან აკავშირებს. პარიზიდან (Paris Montparnasse) ლისაბონამდე (Lisboa Santa Apolonia) ლამის მატარებლით (TGV, ექსპრესი) შეგიძლიათ გაემგზავროთ; გზას 20 სთ და 4 წუთი სჭირდება (ამაში შედის ტრანსფერის დროც – 1 სთ და 24 წთ). მატარებლის ბილეთი 211-იდან 270 ევრომდე ღირს. მადრიდის ცენტრში მდებარე Recoletos Station-იდან კი კომფორტული მატარებლით (Trenhotel) ლისაბონის რკინიგზის სადგურ Lisboa Santa Apolonia-მდე მგზავრობას 9 სთ და 38 წუთი სჭირდება (ტრანსფერის დროის ჩათვლით – 2 სთ 31 წუთი). იმის მიხედვით, რომელ ადგილს აირჩევთ, ბილეთი 72-იდან 116 ევრომდე ღირს.

Alfa pendular-ით (ყველაზე სწრაფი და კომფორტული მატარებელი) გამგზავრება ლისაბონიდან პორტუში ან პირიქით, არჩეული ვაგონის ტიპიდან გამომდინარე, 30,30-იდან 42,40 ევრომდე ღირს, ხოლო საქალაქთაშორისო Intercidades-ით მგზავრობა – 24-იდან 35,90 ევრომდე.

სტანდარტული ტარიფების გარდა პორტუგალიაში ყოველდღიური მგზავრობისას შეგიძლიათ ფასდაკლებით ისარგებლოთ „ტურისტული ბილეთით“ (Bilhete Turístico), რომლითაც შეუზღუდავად იმგზავრებით საგარეუბნო მატარებლებით ლისაბონში (ხაზები: სინტრა/აზამბუჟა, კაშკაიში და სადუ), პორტუში (ხაზები: ავეირო, ბრაგა, გიმარაიში და მარკუდი კანავეზეში); აგრეთვე, არსებობს „ბილეთი პლაჟზე“ (Bilhete Praia) ლისაბონიდან, პორტუდან და კოიმბრიდან უახლოეს პლაჟებზე გასამგზავრებლად.

ავტომობილის დაქირავება

მანქანის დაქირავება ყველას შეუძლია, ვისაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი აქვს (ევროკავშირის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ან სხვა ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში – საზღვარგარეთის პასპორტი); აუცილებელი პირობაა მართვის მოწმობის წარდგენა, თანაც მისი გაცემიდან ერთი წელი მაინც უნდა იყოს გასული.



საზღაო მოძრაობის ნახაზი, თანახმად, ავტომობილის მართვისას აკრძალულია მობილური ტელეფონით სარგებლობა.

მანქანის მართვა აკრძალულია, თუ მძღოლის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 0,5 გ/ლ-ს უდრის ან აღემატება.

გზავი

პორტუგალიის საავტომობილო გზების დატოვტილი ქსელი სხვადასხვა ტიპის გზებს მოიცავს: ავტომაგისტრალები (AE), მთავარი გზები (IP), მეორეხარისხოვანი გზები (IC), ნაციონალური გზები (EN) და მუნიციპალური გზები.

ყველა კატეგორიის გზებზე არსებობს მწვანე კორიდორი (Via Verde), სადაც აუცილებელი თანხა ავტომატურად ჩამოიჭრება თქვენი ანგარიშიდან ახალი ელექტრონული სისტემის მეშვეობით; თუმცა ასეთი სერვისით სარგებლობა მხოლოდ მწვანე კორიდორის ამომცნობი ბარათის მფლობელებს შეუძლიათ. ბარათი წინასწარ უნდა შეიძინოთ კომპანია Brisa-ს გაყიდვის პუნქტებში.



მთავარი დასახლებული პუნქტები: 50 კმ/სთ – დასახლებული პუნქტის საზღვრებში; 90 კმ/სთ – ჩვეულებრივ გზებზე; 120 კმ/სთ – ავტომაგისტრალზე.

ავტობუსები

პორტუგალიის ყველა ქალაქს, სოფელსა და ძირითად დასახლებულ პუნქტს ერთმანეთთან ავტობუსის რეგულარული მარშრუტები აკავშირებს. დამატებითი ცნობები მარშრუტებზე, განრიგებსა და მოქმედ ტარიფებზე შეგიძლიათ ნახოთ ექსპრესების ეროვნული ქსელის საიტზე www.rede-expressos.pt.

ავტომობილის პარკვა

პორტუგალიის გზებზე მოძრაობა მარჯვენა ზოლშია დამკვეთი. საგზაო ნიშნები პორტუგალიაში საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება. უსაფრთხოების ქაშის გადატარა აუცილებელია.

ყოველთვის თან უნდა გქონდეთ შემდეგი დოკუმენტები: პირადობის დამადასტურებელი საბუთი; მართვის მოწმობა; დაზღვევის სერტიფიკატი; სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა ან მასთან გათანაბრებული საბუთი; მანქანის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი (ტექპასპორტი) ან მასთან გათანაბრებული საბუთი. ჯარიმას ადგილზე იხდით.



თალასოთერაპია

მარინა ყიფშიძე

თუ საკუთარ ჯანმრთელობასა და გუნება-განწყობაზე ზრუნავთ, გსურთ, ყოველდღიურ რუტინას გაექცეთ, ამისათვის უძველეს რეცეპტზე უკეთესი არაფერია. მის ინგრედიენტებს თავად ბუნება გვთავაზობს: კარგი ამინდი, მზე, სუფთა ჰაერი, კრისტალივით გამჭვირვალე წყლები, სამკურნალო თვისებების მქონე ბალახები და წყალმცენარეები.

ყველა ამ სიკეთის მიღება პორტუგალიაში, ზღვის ან მთის რომელიმე თერმულ კურორტზე, სპა-ცენტრში შეგიძლიათ.

დღეისათვის ჯანმრთელობის გასამაგრებლად და შეგრძნებების გასაუმჯობესებლად უამრავი შესანიშნავი პროგრამა არსებობს, რომელიც ინდივიდუალურად შეირჩევა.

იმ სარელაქსაციო პროცედურების სახეობები, რომელთა გარეშეც ფიზიკური თუ ფსიქიკური წონასწორობის აღდგენა შეუძლებელია, ურთიერთგანსხვავებული და მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყოს: თერმულ წყლებზე მკურნალობის ტრადიციული მეთოდების ერთობლიობა, რომლის დროსაც წყლის სამკურნალო თვისებები და მდიდარი მი-

ნერალური შემადგენლობა გამოიყენება; თალასოთერაპიის კურსი ვრცელ სანაპირო ზოლზე, ატლანტის ოკეანის წყლების გამოყენებით; მშვენიერი პეიზაჟის ფონზე მიმდინარე განტვირთვის სეანსები, რომლებიც ემყარება ისეთ განუმეორებელ ელემენტებს, როგორცაა: ღვინო, შოკოლადი, ცხელი ქვები.

პორტუგალიაში, სადაც გამაჯანსაღებელი სპა-ცენტრების უდიდესი არჩევანია, ჭეშმარიტად ბუნებრივ „თავშესაფრებს“ აღმოაჩენთ. ამ ადგილებში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ „დაავადებული თანამედროვე სამყაროსაგან“ გათავისუფლდეთ, შინაგანი სიმშვიდე მოიპოვოთ და ენერჯია აღიდგინოთ.

თალასოთერაპია კორტუგალიის სამხრეთში

შემთხვევითი არ არის, რომ ზღვის პირას თავს უკეთ ვგრძნობთ. მას, ვინც უკეთესი შეგრძნებებისაკენ მიისწრაფვის და ჯანმრთელობაზე ზრუნავს, პორტუგალიის სანაპიროს წყლების სამკურნალო თვისებები შინაგან წონასწორობას ნამდვილად დაუბრუნებს.

ოკეანის წყლის მდიდარმა შემადგენლობამ ეს სანაპირო თალასოთერაპიის ჩატარებისათვის საუკეთესო ადგილად აქცია. ზღვის წყალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტების წყაროა. ის ადამიანის პლამას ჰგავს და ჩვენს ფიზიკურ-მორალურ მდგომარეობაზე შესანიშნავ გავლენას ახდენს. მრავალ ოლიგოელემენტთან ერთად ოკეანის წყალი შეიცავს იოდს, მაგნიუმს, ლითიუმს, თუთიას, სპილენძს, სელენიუმსა და კალციუმს. ეს ყველაფერი კი ჩვენი სხეულის ძირითადი მინერალური ნივთიერებებია.

ოკეანის წყლის გამოყენება, ზღვის ჰაერსა და ამ წყლისგან მიღებულ ნივთიერებებთან ერთად (როგორცაა: წყალმცენარეები, ქვიშა და მინერალური ტალახები), ორგანიზმზე აღმდგენ ზემოქმედებას ახდენს. პროგრამები ითვალისწინებს დაღლილობისა და სტრესის მოხსნას, საერთო გაჯანსაღებას, ავადმყოფობის შემდგომ რეაბილიტაციას. ყოველი კლიენტისათვის ცალკე პროგრამა შეირჩევა.

პორტუგალიის სხვადასხვა კუთხეში – ცენტრალურსა და ჩრდილოეთ ნაწილში, პორტუში, ალგარვეში, ლისაბონში, მადეირის კუნძულებსა და პორტუ სანტუში – სპეციალიზებული ცენტრები არსებობს, რომლებიც ყველაზე თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი. გამაახალგაზრდავებელი, მატონიზებელი და დამატენიანებელი – ეს საერთო დამახასიათებელი ეპითეტები ყველა პროცედურას მიესადაგება.



წვრილი ქვიშისა და ზღვის წყლის სამკურნალო პროგრამის უპირატესობები, იოდის, კალციუმისა და მაგნიუმის ჭარბი რაოდენობის დაღლილობის გასაქრობად, რომელიც თქვენში ყოველდღიურად ცხოვრებას დაუპროვს. წყალმცენარეების, ტალახებისა და ქვიშის ერთობლივი პროგრამის მეშვეობით სხეული და კანი განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას იძენს.

ალგარვეს მიმზიდველ პლაჟებზე უამრავ პროგრამას შორის შეგიძლიათ აირჩიოთ „სამკურნალო გახდომის“, ანდა „ფეხების ტონუსის გაუმჯობესების“ მეთოდები. სხეული ამისათვის მადლობას გადაგიხდით, ხოლო მზიანი დღეები თქვენთვის გამორჩეულად მშვენიერი გახდება.

წვრილი ქვიშისა და ზღვის წყლის სამკურნალო პროგრამის უპირატესობები, იოდის, კალციუმისა და მაგნიუმის ჭარბი რაოდენობის გამო, იდეალური საშუალებაა იმ დაღლილობის გასაქრობად, რომელიც თქვენში ყოველდღიურად ცხოვრებამ დააგროვა. წყალმცენარეების, ტალახებისა და ქვიშის ერთობლივი პროგრამის მეშვეობით სხეული და კანი განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას იძენს.

მარილიანი წყლის აუზის პროცედურები შესანიშნავად ესადაგება სხვა სარელაქსაციო მეთოდებს, როგორცაა არომათერაპია, ცხელი ქვები, იოგა და მედიტაცია. უშუალოდ ზღვის სიახლოვეს ეს ყველაფერი სხეულის მოსავლელად და სულიერი სიმშვიდის აღსადგენად შექმნილი.



ცენტრალური კორტუგალიის თერმული წყაროები

თერმულ კურორტზე თუნდაც რამდენიმე დღის გატარებას საუკეთესო შეგრძნებები მოსდევს. ცენტრალურ პორტუგალიაში კი საამისოდ დიდი არჩევანია. თავისი გეოლოგიური თვისებების წყალობით, ეს რეგიონი მართლაც „გადატვირთულია“ თერმული წყაროებით. ნიადაგის სიღრმეში წარმოქმნილი ცხელი, სუფთა წყლები, მდიდარი ქიმიური და მინერალური შემადგენლობით, სხვადასხვა დაავადებას კურნავს. რამდენიმე კურორტს გაგაცნობთ, მაგრამ ამ რეგიონში იმდენი წყაროა, თითქოს თავად ბუნება გვეძახის მათ აღმოსაჩენად და მშვიდ გარემოში დასასვენებლად.





TERMAS DO LUSO

თერმულ წყაროებზე ეს კურორტი 1852 წელს აშენდა. ზოგიერთი იმდროინდელი ნაგებობა დღემდე შემორჩა. აქაურობა Serra do Buçaco-ს მთის შესანიშნავი მცენარეული საფარითაა გარშემორტყმული. ტერმამ დუ ლუშუში შემოგთავაზებენ თერმული წყლების კლასიკურ პროგრამას, სპა-ცენტრს კოსმეტიკური პროცედურებითა და დასალევი მინერალური წყლით, პროფილური მედიცინის ცენტრს გულის დაავადებებისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სამკურნალოდ.

AQUADOME

სერა დე იშტრელას მთაზე (Unhais da Serra-ში) გაშენებული სპა-ცენტრი ერთადერთი სამთო სპა-კურორტია პორტუგალიაში. ის ჯანმრთელობის აღდგენის, დაავადებათა პროფილაქტიკისა და თვითშეგრძნების გაუმჯობესების პროფილით შეიქმნა. ფიზიკური მდგომარეობისა და სულიერი წონასწორობის გასაუმჯობესებლად სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენების სხვადასხვა სახეობას შემოგთავაზებენ.

TERMAS DE SÃO PEDRO DO SUL

ამ ბალნეოლოგიურ სადგურს ხანგრძლივი ისტორია აქვს. აქ აღმოჩენილი არტეფაქტები ადასტურებს, რომ ძველი რომაელები 2000 წლის წინათ სარგებლობდნენ ადგილობრივი თერმული წყლის სიკეთეებით, ხოლო XII საუკუნეში აქ გაერთიანებული პორტუგალიის პირველი მეფე აფონსუ ენრიკიში ჩამოდიოდა სამკურნალოდ. დღეს სადგური ბოლო თაობის აპარატურითაა აღჭურვილი და პროცედურების ფართო სპექტრს გვთავაზობს.

CALDAS DA FELGUEIRA

ნელაშთან (Nelas) ახლოს მდებარე ეს ჩინებული კურორტი მშვიდი ადგილია მდ. მონდეგუს ხეობაში. ლანდშაფტი სრულ ჰარმონიაშია სამკურნალო რიტუალების მრავალფეროვნებასთან, რაც საუკეთესო გუნება-განწყობას უქმნის დამსვენებლებს. სულიერი ძალების აღსადგენად და სტრესის დასამარცხებლად სხვადასხვა პროგრამას შემოგთავაზებენ.



VILALARA THALASSA RESORT

ეს თალასოთერაპიის ცენტრი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა. სოფიტელის კომპლექსის დიდებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ჯგუფ „აკორის“ შემადგენლობაშია და თალასოთერაპიის საერთაშორისო ფედერაციის ყველა პირობასა თუ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

ხარისხიანი მომსახურება გარანტირებულია იმ სამედიცინო პერსონალის წყალობით, რომელთა შორის არიან ოსტეოპათები, ჰიდროთერაპევტები, ფიზიოთერაპევტები. ეს ადამიანები თალასოთერაპიის თანამედროვე მეთოდების საუკეთესო მცოდნენი არიან.

სამკურნალო და საერთო გამაჯანსაღებელ პროგრამებს შორის აღსანიშნავია გასახდომი პროცედურები, თამბაქოზე დამოკიდებულების საწინააღმდეგო პროგრამა, ფეხის კუნთების ტონუსის ასამაღლებელი მკურნალობა და ე. წ. „საბაზო კომპლექსი“, რომელიც შედის სხეულის ფორმის გაუმჯობესება და კოსმეტიკური პროცედურები. ასევე სპა-ცენტრი გვთავაზობს „ა ლა კარტის“ პროცედურებს, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად მოიცავს ოსტეოპათიის მკურნალობას, შიაგუს მასაჟს, რეიკის მასაჟსა და ტაი-ში-შუანის ვარჯიშებს.

Praia das Gaiotas, Alporchinhos, Porches



ბალნეოლოგიური კურორტები კორბუსა და ჩრდილო კორბუსალიაში

ბალნეოლოგიური წყაროები ამ რეგიონის განსაკუთრებულ სიმდიდრედ მიიჩნევა. ზოგიერთი წყარო მიწის ზედაპირზე მაღალი ტემპერატურით აღწევს, ხოლო მათი თერაპიული ზემოქმედება საყოველთაოდ აღიარებულია. ამ წყაროების სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან ცნობილია; მათ შორისაა ისეთი თერმული კურორტები, როგორცაა: Termas de Caldeas, São Vicente, Taipas და Chaves.

ამ უკანასკნელს სახელი რომის იმპერატორ ფლავიუს ვესპერტიანუსის პატივსაცემად ეწოდა (Aquaes Flaviae), რომელიც თავის ლეგიონებთან ერთად ამ წყლების სამკურნალო თვისებებს 2000 წლის წინათ იყენებდა. სხვა წყაროებმა (Caldas da Saúde და Caldas de Aregos) შუასაუკუნეებში მოიპოვა პოპულარობა.

მართალია, ეს ბალნეოლოგიური სადგურები დღემდე უპირველესად წყლების მინერალურ-გამაჯანსაღებელ თვისებებს იყენებენ, მაგრამ არსებობს სპეციალური დამატებითი პროგრამებიც სხეულის ტონუსისა და განწყობის ასამაღლებლად. პროცედურები მოიცავს შხაპებს, აბაზანებს, მასაჟებსა და სხვა. ამ ულტრაკომფორტულ სივრცეებში ისეთ ხანგრძლივ თუ მოკლე პროგრამებსაც მოძებნით, რომლებიც განტვირთვას, ჯანმრთელობის აღდგენას, კარგ განწყობას, სილამაზესა და სხვა მრავალ სიკეთეს გპირდებათ.



SIX SENSES DOURO VALLEY

XIX საუკუნის ნაგებობა მთაზე დგას, საიდანაც დორუს ხეობის ბალ-ვენახების ფერწერული ხედები იშლება. ბალნეოლოგიური კურორტი ამ შენობაში ცოტა ხნის წინ გაიხსნა. სტუმრებს აქ სამკურნალო სპა-პროცედურებს, ღვინის დევესტაციებსა და სარკისებრი ეფექტის მქონე ღია აუზს სთავაზობენ.

სასტუმრო Six Senses Douro Valley-ს ინტერიერში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის დახვეწილობა და რეგიონის ისტორიული ტრადიციები, ხოლო დეკორი ბუნებრივი ხისა და ქვის მასალისგანაა შესრულებული.

ღვინის კოლექციაში, რომელსაც ენოთეკის ორი მმართველი კრებს, რეგიონის სხვადასხვა წლის მოსავლის 750-ზე მეტი მარკაა წარმოდგენილი. რესტორანი Vale Abraão, ღია სამზარეულოთი და ხის ღუმლით, სტუმრებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამზარეულოს დახვეწილ კერძებს სთავაზობს.

სასტუმროს ტერიტორიაზე, რომელიც 8 ჰექტარს მოიცავს, სუფთა ჰაერზე ტყითა და ორგანული ბოსტნებით გარშემორტყმული რამდენიმე სარელაქსაციო და სამედიცინო ღია ბოანაა.



ჩრდილო პორტუგალიის კურორტები სტრესის დაძლევისა და დასვენებისთვის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის იდეალური ადგილია. გასაოცრად მომხიბვლელ ბუნებრივ ზონებში გამორჩეულ ატმოსფეროში აღმოჩნდებით, რომელიც შთაგონებით და სიმშვიდითაა სავსე.

რამდენიმე კურორტი მინიუს (Minho) მწვანე რეგიონში, ეროვნულ პარკში, ნამდვილი სამოთხეა. ამ ადგილების პირველყოფილება და სიხალასე თავბრუს დაგახვევთ. ზოგი თანამედროვე სპა-ცენტრი მსოფლიოში ცნობილი არქიტექტორების აშენებულია, რომელთა შორისაა სიზა ვიეირა (Termas de Pedras Salgadas და Spa de Vidago); ზოგი კურორტი ისტორიული ღირსშესანიშნაობების სიახლოვეს, დიდებული მწვანე გარემოს შუაგულშია; ეს კურორტები კომფორტული „თავშესაფრები“ა, სადაც ძაღვს მთლიანად აღიდგენთ.



სპა-სალონი Six Senses, 10 საპროცედურო კაბინეტით, სხვადასხვა კონცეფციას გთავაზობთ, მათ შორის, გამაჯანსაღებელ და იოგას პროგრამებს, ღვინისა და ყურძნის სპა-პროცედურებს.

სტუმრების განკარგულებაშია დახურული აუზი გამათბობლითა და ჰიდრომასაჟით; არომა-საუნები, არქტიკული შხაპები, წყლის რბილი საწოლები და ბიბლიოთეკა. სასტუმრო Douro Valley Six Senses პორტუს საერთაშორისო აეროპორტიდან 127 კმ-ითაა დაშორებული.

Quinta de Vale Abraão - Samodães 5100-758 Lamego



MADEIRA

კანქალი ჰლაქეზის გარეხა

თაა გვასალია

დაახლოებით ხუთი მილიონი წლის წინათ ატლანტის ოკეანეში მძლავრი ვულკანური ამოფრქვევა მოხდა და, ძირითადად, დინოზავრების წინაპრებით დასახლებულ ჩვენს პლანეტას ახალი, უსახელო არქიპელაგი შეემატა. არქიპელაგი დროთა განმავლობაში გაუვალე ტყით დაიფარა და მე-15 საუკუნემდე მოთმინებით ელოდა აღმოჩენებს, რომლებიც, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ან ესპანელები უნდა ყოფილიყვნენ, ან პორტუგალიელები.



იმ ჯერზე პორტუგალიელებს გაუმართლათ. 1418 წელს ინფანტ ენრიკ ზღვაოსნის ორ კაპიტანს – ჟუაუ გონსალვეს ბარკუსა და ტრიშტაუ ვამტეიერიას, რომლებიც აფრიკის სანაპიროს იკვლევდნენ, ქარიშხალი წამოეწიათ და უცხო კუნძულზე ამოყვეს თავი. მათ კუნძულს სახელად პორტუ სანტუ უწოდეს და, სამშობლოში დაბრუნებულებმა, მეფეს აღმოჩენის შესახებ უპატაკეს.

გახარებულმა ინფანტმა სასწრაფოდ გაგზავნა კოლონიზატორები ახალი ტერიტორიების ასათვისებლად. 2 წლის შემდეგ იმავე გონსალვეს ბარკუმ კუნძულის სანაპიროზე სეირნობისას ჰორიზონტზე მუქი ფერის გრძლად გაწოლი ღრუბელი დალანდა და რვა დღე ელოდა მის გაფანტვას; მეცხრე დღეს თავის მებღავურებთან ერთად იდუმალი ღრუბლისკენ აიღო გეზი



და ახალ, ტყით დაფარულ კუნძულს მიადგა, რომელსაც მადეირა ანუ ხე (ხის მასალა) უწოდა.

ლეგენდის თანახმად, კუნძულზე ადამიანების ადგილი რომ ყოფილიყო, შვიდი წლის მანძილზე წვავდნენ ტყეებს. გამოთავისუფლებულ მიწებზე პორტუგალიელებმა ჯერ ხორბალი დათესეს, შემდეგ კი – შაქრის ლერწამი. სწორედ ამ კულტურის წყალობით, რომელსაც იმხანად ოქროს ფასი ჰქონდა, მადეირა აყვავდა.

მა-19 საუკუნეში აქიპაგა კანქალის საპარნაო კლიმატსა და მინაქსის ყრადღება და ევროპელთა ზომონდა ფრანგული რივიარიდან მადეირაზე გადმოინაცვლა.

დღეს მადეირა ტურისტული სამოთხე და მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხოდ აღიარებული საცხოვრებელი ადგილია. იდეალური კლიმატის წყალობით (ზამთარში ტემპერატურა საშუალოდ 18, ზაფხულში კი – 28-33 გრადუსია), კუნძულზე წელიწადის არცერთ სეზონზე არ წყდება ტურისტების ნაკადი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის დედაქალაქ ფუნშალში საერთაშორისო აეროპორტი აშენდა.

თვითონ მადეირაზე, ტურისტებს რომ უყვართ, ისეთი პლაჟები არაა, სანაპირო ვიწროა და ქვიანი, მაგრამ თითქმის ყველა სასტუმროს აქვს აუზი, სპა და ყველა ის სიკეთე, რომელიც ადამიანს რელაქსაციისთვის სჭირდება.



ქალაქის ძველი უბანი რომ გაელამაზებინა, 2010 წელს მერიამ გადაწყვიტა, სანტა მარიას ქუჩაზე მდგარი 170 სახლის კარი მოეხატა. ექსპერიმენტმა გაამართლა. ტურისტებს მოხატული კარებიც ძალიან მოსწონთ და იმ ტერიტორიაზე არსებული პატარა რესტორნების მენიუებიც.

ყვავილების სიმრავლის გამო მადეირას მცურავ ბაღსაც უწოდებენ. აქ იმდენი საოცარი სილამაზის ეგზოტიკური ყვავილია მოშენებული, რომ აპრილის დასაწყისში სპეციალური დღესასწაული იმართება და ქალაქის ქუჩები ყვავილებისგან გაკეთებული ხალიჩებითაა მოფენილი.



ფახაურთის მოყვარულთა კარგად იცინან, რომ კორთუგალიტა სიამაყე, კრიშტიანუ რონალდუ სწორად მადეირაზე დაიბადა და გაიზარდა. ფუნჯალის აეროპორტი მისი სახელობისაა.

MERCADO DE LOS LAVRADORES
ნოციერი მიწისა და სუბტროპიკული კლიმატის წყალობით მადეირაზე უამრავი სახის ხილი და ბოსტნეული მოდის, რომელთაც ევროპულ ფასებთან შედარებით გაცილებით იაფად შემოგთავაზებენ.



ბრაზილიის სიმბოლო, ხალაგაშოლილი ჟრისტან ჟანდაკაბა ხომ მახსოვთ?! ჰოდა მსოფლიოში კიდეც ორი ასეთი ჟანდაკაბაა: ერთი – ლისაბონში, მეორე – მადეირაზე. მართალია, მადეირის მაცხოვარი ბრაზილიურს ზომით ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ სამაგიეროდ მასზე ძველია.



მადეირა მთავორიანი კუნძულია. ტურისტები აღმართებზე სიარულით რომ არ დაიღალონ, რამდენიმე ღირსშესანიშნაობამდე საბაგირო გზა ადის. ერთ-ერთი აუცილებლად სანახავი ადგილია ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. იქ მისაღწევად 11 წუთის განმავლობაში მოგიწევთ საბაგიროს ვაგონით 600 მეტრის სიმაღლეზე მგზავრობა.

თუ მუხლი გიჭრით, აქტიური დასვენების მომხრე ხართ და მთებში სიარული თქვენი ჰობია, ლევადებს უნდა გაჰყვით. ლევადები ძველებური წყლის არხებია, რომლებითაც თითქმის მთელი კუნძულია დასერილი. ძველად ამ არხების საშუალებით კუნძულის მოსახლეობა სასმელი წყლით მარავდებოდა, დღეს კი ისინი ტურისტულ ბილიკებადაა ქვეული.

გზადაგმა ხალით გადახურულ ძველებურ მადეირულ ქოხებს შეხვდებით, შესანიშნავი ხედებით დატკბებით და შეიძლება ნატოს რადარამდეც კი მიაღწიოთ, რომელიც კუნძულის ყველაზე მაღალ ადგილას, ზღვის დონიდან 1860 მეტრზეა.



ტობოგანი – დაწნული მარხილი ხის თევზავებით – ოდესღაც მადეირის მცხოვრებთათვის გადაადგილების ძირითადი საშუალება იყო: მისი საშუალებით ეშვებოდნენ ისინი მაღალი გორაკების ფერდობებზე და ფუნშალში ჩამოდიოდნენ.

დღეს ტობოგანი მონტეს მთის ტროპიკული ბაღების სანახავად ჩამოსული მოგზაურების გართობის საშუალებაა. ტრადიციის თანახმად, მას თეთრ კოსტიუმში, ჩაღის ქუდსა და რეზინისძირიან ჩექმებში გამოწყობილი მამაკაცები მართავენ და ცენტრამდე ერთი ადამიანი 15 ევროდ ჩაჰყავთ.



მადეირიდან მადეირის მაუსინჯავად მათოსვლა რომ არ იქნება, ყველა მოგზაურმა იცნოს. MAX ROMER-ში ღვინის ისტორიასაც მოგიყვებიან და მის ოთხივე სახეობასაც მამასინჯავან. მადეირას სპეციალურ კასრებში, მზის ბულვა ინახავან, რაც მას ჰარვის ფრასა და კარაბოლის მათოს აძლავს. მადეირის ერთ-ერთი სახეობა სადლის წინ, აპარიტივად მიირთმევენ, მეორე – დასარტად, რომელსაც კაშის მსგავს ბოლო DE MEL-ს აყოლებენ.

ქალაქში ხეტილის დროს გავრილება თუ მოგინდებთ, poncha გასინჯეთ, რომელსაც ბევრ ბარში შემოგთავაზებენ, მაგრამ ყველაზე კარგად მინჯ Taberna da Poncha-ში (Lage Serra de Água, 9350-309 Ribeira Brava) აკეთებენ. სასმლის ძირითადი ინგრედიენტებია შაქრის ლერწმის არაყი, ფორთხლის ან ლიმონის წვენი და თაფლი.



FUNCHAL

სხვა რომ არაფარი აკეთო მადეირაზე, მართლ სპა-პროცედურებისთვის ღირს ამ კუნძულზე ჩასვლა. ნარმოიდინეთ აბაზის ოქავანო ჩაკარბული კუნძული, მზის სხივებით, იოდითა და ოსონით გაჯარბული ჰაერი, თვალისმოშრულ ფარებად აბღვრიალბული სუბტროპიკული მცენარეები, ზანსალი საკვაბი, იძვი ზღვიდან ამოყვანილი თევზები, კუნძულის ნაყოფიარ მიწაზე შიშიური დანამაბიანი მარაბა მოყვანილი ხილი, ბოსტნული და ღვინო, რომელსაც პირდაპირი დანიშნულების მარდა სპა-პროცედურებშიც აქტიურად და შედეგინად იყენებენ.

მადეირის ეკონომიკის მთავარი მამოძკვაბელი, ღვინის, ყვავილიაბისა და ხილ-ბოსტნულის ეასკორტის მარდა, ბურიზი, მოზხაურებისთვის კი კარგი დასვენება კარგ ზამთ-სანსთანაც ასოცირდება. მადეირაზე უამრავ არაჩვეულბარიკ რასტორანს და კაფას ნახავთ.

HOTEL REID'S PALACE

ულამაბესი ბალით გარშემორტყმული სასტუმრო 2006 წელს გაიხსნა და ოჯახურ დასვენებაზე გათვლილი. მას ორი საცურაო აუზი, სარელაქსაციო არეალი და სპა-პროცედურების ფართო არჩევანი აქვს. სასტუმროდან ოკეანის ულამაბესი ხედები მოჩანს. აქ საკმაო ყურადღება ექცევა დრესკოდს, ამიტომ მარტო შორტებისა და პარეოს იმედად ნუ იქნებით. ფუნშალის ცენტრში ფეხით მისვლა თუ დაგჭირდათ, ნახევარ საათს მოგიწევთ სიარული.

ფასი 200€-დან იწყება.
Estrada Monumental 139; 9000-098



THE VINE HOTEL

ევროპის საუკეთესო სპა-სასტუმროს წოდების მფლობელ The Vine Hotel-ში ღვინის თერაპიის რამდენიმე კურსს ჩაგიტარებენ და იქიდან სრულად გაწმენდილი და გაახალგაზრდავებული კანით გამოხვალთ.

სასტუმროს შეფ-მზარეული მიშლენის რამდენიმე ვარსკვლავის მფლობელია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცედურების შემდეგ უგემრიელესი კერძების ფართო არჩევანი გარანტირებული გაქვთ. იქვე შეგიძლიათ მიირთვათ ადგილობრივი ღვინის, მადერის რამდენიმე სახეობა და რესტორნის ტერასიდან გადაშლილი ფუნშალის ხედით დატკბეთ.

ვინოთერაპიის გარდა სასტუმროში გელით პრომათერაპია, ანტისტრესული მასაჟები, აუზი, მასაჟი ცხელი ქვებით და სხვა მიწიერი სიამოვნებები.

ფასები საშუალოდ 160-200€-დან იწყება.

Rua dos Aranhas 27-A, Funchal



PORTO SANTO

არანაკლები სიამოვნება გელით მადეირიდან 50 კილომეტრში მდებარე კუნძულ პორტუ სანტოზე. იპ მოხვადრა მადეირიდან – მამით, ბორნით ან თვითმფრინავით (საკაბარო რაინი სულ რაღაც 15 წუთს მრძალდება), ლისაბონიდან და პორტუდან კი საკრიზო მამით ან თვითმფრინავით შიძლება. პორტუ სანტო მადეირაზე კატარა, სამაბიროდ ცხრა კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმული კლაშები აქვს. ოქროსფერი ქვიშის ბაშო მას „ოქროს კუნძულსაც“ უწოდებენ. მისი კლაშე პორტუგალიის საუკეთესო შვიდაულის სიის სათავეში იწონება თავს, ადგილობრივ სამკურნალო მასალას კი აქტიურად იყენებენ სპა-პროცედურებში. აქაურ სასუბრობაშიც ყველა პირობაა შექმნილი ფიზიკურად და მენტალურად დასვენების, მათნაღვარებისა და რელაქსაციისთვის.

HOTEL PORTO SANTO & SPA

Porto Santo & Spa-ში უძველესი რიტუალებით ჩაგიტარებენ ცხელი ქვებით მასაჟს, ოკეანის მარილითა და ოკეანისგე გაფილტრული წყლით კანს გაგიხეხვენ და ასეთი სკრაბის შემდეგ სურნელოვან აბაზანაში მოგათავსებენ. აღმოსავლური რიტუალების მოყვარულებს თურქული აბანო გელით, ჰაერზე გამოსული კი, ეგზოტიკურ ბაღში აღმოჩნდებით. ფასები აქ 120€-დან იწყება.

Campo de Baixa; 9400-015



APART HOTEL LUAMAR

სასტუმრო პორტუ სანტოზე ოკეანიდან ერთი წუთის სავალზე მდებარეობს და, შესაბამისად, არაჩვეულებრივი ხედებითაც დატკბებით. ღია აუზზე ბარი მუშაობს, სადაც ათასგვარ გამაგრლებელ სასმელს და კოქტეილს შემოთავაზებენ. აქვეა საუნა და მასაჟის ოთახები. ფასები აქ 80€-დან იწყება.

Cabeixo da Ponta

VILA BALEIRA THALASSA RESORT

„ვია ბალეირას“ 256 ოთახიდან 32 სუიტი და 56 აპარტამენტი. აქ თალასოთერაპიის გარდა ბევრ სხვა სპა-პროცედურას ჩაგიტარებენ, პლაჟზე ცხენით, მთის ბილიკებზე კი ველოსიპედით გასეირნებას და ოკეანეში ყვინთვას შემოგთავაზებენ. აქვთ საუნა, ორი აუზი, ჯაკუზი, გოლფის მოედანი და გემრიელი მენიუ. ნომრის ფასი 150€-დან იწყება.

Sitio do Cabeço da Ponta 243

RESTAURANTE PLANKA

რესტორან „პლანკას“ ტერასიდან ოკეანეში მზის ჩასვლის ყურება ერთი სიამოვნებაა, განსაკუთრებით, თუ ამ სანახაობას პორტუგალიური მწვადის, შებეტადას ან მარაკუიას სოუსმოსხმული ხმალთევზას თანხლებით ადვენებთ თვალს. ულუფები დიდა და გემრიელი. ნასადილევს თავად რესტორნის პატრონი გაგიმასპინძლდებათ pancha-თი.

ღვინისა და დესერტის ჩათვლით, ორკაციანი მენიუ 90€-მდე დაგივდებათ.
Caminho Voltas 110B



საუკეთესო პორტუგალიური მწვადის – შკაბადას დამამოვნებას თუ მადამყვით, კაბარა სოფელ CAMARA DE LOBOS-ს უნდა ეწვიოთ. ერთი ულუფა მწვადი სალათით და მამწვარი კაბოფილით დაახლოებით 15€ დაამზდებათ.

CIDADE VELHA

რესტორანი ძველ ქალაქში მდებარეობს. მისი ტერასა ოკეანეს გადაჰყურებს. აქ ერთნაირად გემრიელად ამზადებენ ზღვის პროდუქტებს, მწვადსა და დესერტებს. ორკაციანი მენიუ 100€-მდე ჯდება.
Rua Portao de Sao Tiago 21



IL GALLO D ORO

ეს ადგილი ნამდვილი სამოთხეა გურმანებისა და კარგი ღვინის დამფასებელთათვის. ღვინის შერჩევაში სომელიე დაგეხმარებათ. მიშლენის ორი ვარსკვლავის მფლობელი შეფ-მზარეული ბენო კი უგემრიელეს კერძებს და კრეატიულ დესერტებს შემოგთავაზებთ და ნავახშმებს თავად დარწმუნდება, რომ ყველაფრით კმაყოფილი დარჩით. აქ მიღებული სიამოვნების დაგვირგვინება ოკეანის ხედით და იქიდან მონახური მაცოცხლებელი ნიაგი. ორკაციანი მენიუ 200€-მდე ჯდება.
Rua Estrada monumental 147

O CLASSICO

დატკბით ოკეანის ხედებით და მიირთვით რვაფეხა, რომელსაც აქ რამდენიმე კერძში იყენებენ, სამანწკების წვნიანი ან ციკნის კატლეტი. ეს ყველაფერი ორ კაცზე 60€ ღირს.
Estrada Monum



თევზებიდან მანსაკუმრებით კოკულარულია ხმალთავა და თინუსი, მადეირის მხალბედი დაჯარილი ასთაკვი CAVACO და მოლუსკები LAPAS.



WINE BAR 3V'S

ეს სივრცე ღვინის ბარი უფროა, ვიდრე რესტორანი. აქ გაგასინჯებენ ადგილობრივ ღვინოებს – Porto Santo-ს და Moscatel-ს, რომელთათვისაც სპეციალურად შეგიჩვენებ მისაყოლებელს: თევზს, ღორის სტეიკს, ვეგეტარიანულ სალატებს ან ტკბილეულს. ბარში ერთ კაცზე, საშუალოდ, 40-50€-ს დატოვებთ.
Manuel Gregorio Pestana 8

VILA ALENCASTRE

რესტორანი პორტუგალიურ და ევროპულ კერძებს შემოგთავაზებთ. მათი საფირმო კერძია ადგილობრივი ხმალთევზა დაახლოებით 30€ ღირს. ფასში სალათა და კარტოფილიც შედის.
Campo de Baixo

RESTAURANTE PORTO SANTO GOLFE

როგორც მიხვდით, ეს რესტორანი გოლფის მოედანთან მდებარეობს და აქ უგემრიელესი თინუსის, სტეიკის, შოკოლადის დესერტისა და ვეგეტარიანული თუ ვეგანური კერძების გარდა მადერის ღვინის რამდენიმე სახეობასაც შემოგთავაზებენ.
ფასები 50€-დან იწყება.

Campo de golfe do Porto Santo

O ROCHEDO

ამ მყუდრო რესტორნის საფირმო კერძი ზღვის პროდუქტების ნაკრებია, რომელსაც მოზრდილი თევზით მოგართმევენ პომინივრის სოუსით, რომელიც დაახლოებით 30€ ღირს. ფასში სალათა და კარტოფილიც შედის.
Dr. Nuno Silvestre Teixeira

ფასები, კერძებისა და სასმელების მიხედვით, 30-იდან 60€-მდე მერყეობს.



კოლუმბის სახლ-მუზეუმი

პორტუ სანტოზე სიამაყით გაჩვენებენ ქრისტეფორე კოლუმბის სახლ-მუზეუმს. ის 1478 წელს ჩავიდა მადეირაზე და კუნძულის გუბერნატორის, ბარტულუმე პირიმტრელუს ქალიშვილზე, ფილიპაზე იქორწინა. სწორედ სიამაყისგან მიიღო მან საჩუქრად საზღვაო რუკები, რომელთა შესწავლის შემდეგაც გადაწყვიტა ინდოეთისკენ გამგზავრება. სახლ-მუზეუმში მის ნაქვთ ნივთებს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან, რადგან, კაცმა რომ თქვას, 11 კმ სიგრძისა და 6 კმ სიგანის კუნძულზე სხვა ღირსშესანიშნაობა არც აქვთ.

10%
პირველადი შენობები
12
თვიანი შიდა უპროცენტო
ბანკვალება

გრაველუნდინური კომპლექსი
KING DAVID

200 18 18

გ. ულამის ქ. 1012,
საბურთაქო, თბილისი, თბი

WWW.KING.GE

#არაჩვეულებრივიდასახლი

EUROPEAN PROPERTY AWARDS

ბარსელონის პრემია 2017

“საბურთაქოს გრაველუნდინური კომპლექსი”

და

“საბურთაქოს გრაველუნდინური კომპლექსის
პრემია 2017”





ჭავჭავაძის გამზ. №50

m² ჭავჭავაძის

ბინები დასრულებული რემონტით ბარდება **2018** წლის სექტემბერში

სიახლე! m² Rent ბინის გაქირავებისა და მოვლის მომსახურება | www.m2rent.ge

2 444 111 | www.m2.ge